


ლევან ტყეშელაშვილი

# გელათი

„მეორე იერუსალიმი სხვა ათინა“

„სიცოცხლე უფალთან გრძელდება“

მიტროპოლიტი კალისტრატე (მარგალიტაშვილი)



გელათის სასულიერო აკადემია  
ქუთაისი  
2007

ექლავნება სრულიად საქართველოს  
კათოლიკოს-პატრიარქის უნებინდებისა  
და უნებტარების ილია II-ის დაბადების 75,  
აღსაყდრების 30 წლის და ბელატიის სასულიერო  
აკადემიის 900 წლის იუბილეს.

იბეჭდება ქუთათელ-ბაენათელ  
მიტროპოლიტ კალისტრატეს  
ლოცვა-კურთხევიტ

---

ISBN 978-99940-929-4-9

© ლევან ტყეშელაშვილი

## წინასიტყვაობა

უკვე 900 წელი გავიდა, რაც წმიდა მეფე დავით აღმაშენებელმა დააარსა გელათის უდიდესი სამონასტრო კომპლექსი, რომელიც ქართველ მეფეთა საძვალედ შეიქმნა. თუმცა, მწირი ისტორიული წყაროების მიხედვით, დასტურდება, რომ გელათში უძველესი ეკლესია-მონასტრები ჯერ კიდევ VII-VIII საუკუნეებიდან არსებობდა. მე-მ საუკუნეში მურვან ყრუს გამანადგურებელი შემოსევის შემდეგ აღნიშნული ეკლესიები განადგურდა. მე-12 საუკუნეში წმინდა მეფე დავითმა გელათის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარი ააგო და იქ უამრავი ქრისტიანული სიწმინდე დააბრძანა. გელათში დაარსდა სასულიერო აკადემია, სადაც მრავალი წმიდა მამა მოღვაწეობდა. გელათის მონასტერს მრავალი სიწმინდე და ძვირფასეულობა შესწირეს ქართველმა მეფე-დიდებულებმა, რომელიც მათი სამუდამო განსასვენებელი შეიქმნა. წინამდებარე წიგნში შევეცადეთ, წარმოგვჩვენოთ გელათის ისტორია უძველესი დროიდან დღემდე. გელათში ბევრი ქართველი მეფე და დედოფალია დაკრძალული, ღვთისმშობლისა და წმინდა გიორგის ტაძრებში მრავალი ქართველი მეფე-დედოფლის ფრესკაა შემორჩენილი. გელათის ადრინდელი ფრესკები, რომლებიც გადაფარეს გვიანი პერიოდის ფრესკებმა, მრავალ საიდუმლოებას ინახავს. უნდა აღინიშნოს, რომ გელათის მონასტერი ყველაზე დაცული მონასტერია საქართველოში, მე-16 საუკუნემდე მას მტერი არ შემოსევია. მტრის რამდენიმე შემოსევამ საკმაოდ დააზიანა სამონასტრო კომპლექსი, თუმცა მისი არქიტექტურული სახე არ შეცვლილა. გელათის მონასტერი საუკუნეების მანძილზე წარმოადგენდა ქართული ბერ-მონაზვნური ინსტიტუტის მძლავრ კერას. მას გააჩნდა განსაკუთრებული ტიპიკონი და ქართველ მეფე-დედოფალთა განსაკუთრებული ყურადღებისა და ზრუნვის ქვეშ იმყოფებოდა. გელათში მე-16 საუკუნიდან იკრძალებ-

ბოდნენ აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსები. აქვეა დაკრძალული აფხაზეთის უცნობი კათალიკოსი იაკობი, რომლის შესახებ ქართული ისტორიული წყაროები არაფერს გვუბნება. საკუნეების განმავლობაში გელათის მონასტერს მრავალი უცხოელი სტუმარი ეწვია, რომლებმაც ძალზე საინტერესო მასალები შემოგვინახეს გელათის შესახებ. როგორც ცნობილი ხელოვნებათმცოდნე, პროფესორი ნიკოდიმ კონდაკოვი მიიჩნევდა, გელათის მონასტრის საუნჯეს მხოლოდ გენეციის წმ. მარკოზის ტაძრის საგანძური თუ შეედრებოდა. გელათში დამზადდა „ხახულის ღვთისმშობლის“ სასწაულმოქმედი ხატის კარედი და სხვა მრავალი ხატი და სიწმინდე. გელათში ითარგმნა მრავალი საღვთისმეტყველო, ლიტურატურული და ისტორიული ჟანრის ნაწარმოები, რამაც უდიდესი როლი იქონია ქართველი ერის სულიერების ამაღლების საქმეში. გელათის მონასტერი ერთადერთი უძველესი ჯვარ-გუმბათოვანი სამონასტრო კომპლექსია საქართველოში. წმიდა მეფის მიერ დაარსებულმა სულიერების ცენტრმა, „მეორე იერუსალიმმა“ და განათლების ცენტრმა „სხვა ათინამ“, უმთავრესი როლი ითამაშა ქართველი ერის სულიერ და და კულტურულ ცხოვრებაში. წმიდა მეფის მიერ დაარსებული აკადემია დღეს კვლავ აგრძელებს ძველ ტრადიციებს და აღასრულებს დავით მეფის უმთავრეს სურვილს, ქართველი ერი ეზიაროს ქრისტეს ჭეშმარიტ სარწმუნოებას. მრავალი საკითხი გელათის შესახებ კვლევადიებასა და შესწავლას მოითხოვს. მიმდინარე ეტაპზე გელათის მონასტრის ეზოში წარმოებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურა გელათში XII საუკუნეზე ადრინდელი შენობათა ნაშთების არსებობა, აღმოჩენილი იქნა ასევე მოჭიქული კრამიტის ნიმუშები. ვფიქრობთ, აღნიშნული ნაშრომი გამოადგება ყველა იმათ, ვინც ქართველი ერის ღირსეული წინაპრების ღვაწლით არის დაინტერესებული.

## ეკლესია-მონასტრები გელათში დავით აღმაშენებლის მოღვაწეობაზე

ქრისტეს ეკლესიის უმთავრეს წარმმართველ ძალას ბერ-მონაზვნობა წარმოადგენს. საქართველოში VI საუკუნიდან არსებობს სამონასტრო კომპლექსები, რომლებმაც ქართველი ერის სულიერების, განათლებისა და მეცნიერების განვითარებისა და ამაღლების საქმეში მთავარი როლი ითამაშეს.

ქართული ბერ-მონაზვნობის უბრწყინვალესი ისტორიის ოქროს ნაწილია გელათის სამონასტრო კომპლექსი. მისი ისტორია ბოლო დრომდე სათანადოდ არ არის შესწავლილი, მაგრამ ერთი რამ უდავოა, რომ გელათში სამონასტრო ცხოვრება გაცილებით ადრე დაიწყო, ვიდრე წმიდა მეფე დავით აღმაშენებელი დააარსებდა ქრისტიანულ სამყაროში ერთ-ერთ უდიდეს და გამორჩეულ სამონასტრო კერას და სასულიერო აკადემიას.

დაკვირების შედეგად კარგად ჩანს, რომ მოწამეთას მონასტრიდან ჯერ მდინარე წყალწითელას ხეობას მიუყვება კლდეში ნაკვეთი მღვიმეთა რიგი, შემდეგ კი იგი გრძელდება დასავლეთით და მიჰყვება მთის კიდეს დავითის კონცხი, ელია, წმიდა ნინო, ბერის ციხე, დოხორა, ნაცისხარი - და ასე შემდეგ. ადგილ-ადგილ შეიმჩნევა მთიდან ოდნავ ქვემოთ საცალფეხო ბილიკები, რომელიც კლდის ძირს მიუყვება და ხელოვნურად არის გაკეთებული. მთის ზემოთ, დავითის კონცხიდან დასავლეთით ტყეში შეიმჩნევა გზები ძალიან ძველი და ხელოვნურად გაკეთებული, ამ გზასთან ახლოს არის მიწისქვეშა ჩასასვლელები, ზოგი - გზის ერთ მხარეს, ზოგი კი - მის მოპირდაპირე გზის მეორე მხარეს. ეს მიწისქვეშა ჩასასვლელები გარკვეულწილად ერთი მიმართულებით გრძელდება დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ და ზოგი ჰგავს ბუნებრივს, ზოგი კი - ხელოვნურს.

თუკი ძველი ეკლესიების განლაგებას დავაკვირდებით, ისინი საკმაოდ საინტერესოდ არიან განლაგებულნი გარემოსთან მი-

მართებაში. მაგალითად, მთავარანგელოზის ეკლესია მთის ქვე-  
მოთ, ოდნავ ზემოთ სოხასტერი და მთის თავზე წმ. ნინოს  
ეკლესია ერთ ხაზზეა განლაგებული. ხოლო დავითის კონ-  
ცხის (შესაძლოა ეს კოშკი დავით აღმაშენებელს აღედგინოს  
და იგი უფრო ადრინდელი იყოს) ქვემოთ მოწამეთა, სამხრე-  
თით, მთაზე გოდოგნის მთავარანგელოზი და ჩრდილოეთით  
სორმონის სამების ეკლესია თითქმის ერთ ხაზზეა განლაგე-  
ბული. მნიშვნელოვანია, რომ ძველი ეკლესიებისა და ნაგებო-  
ბათა ნაშთები შეინიშნება დასავლეთით სოფელ ცუცხვათამდე  
და სამხრეთით გოდოგნის მიდამოებშიც, სადაც ახლაც შემორ-  
ჩენილია ადგილები (მაგალითად, საბერო და სხვა). დაახლოე-  
ბით VI-VII საუკუნიდან აღნიშნულ ტერიტორიებზე განლაგე-  
ბული იყო ეკლესია-მონასტრები, რომლებიც ძალზე ახლოს  
იყვნენ ერთმანეთთან და ყველა ამ ძველ ეკლესიასთან დღე-  
საც შეინიშნება გალავნის ნაშთები.

ამ ტერიტორიაზე ყოფილა ძველად ასევე „ადგილი იგი ცი-  
ხე ქალაქ და ერ მრავალ“, რომელიც მოხსენიებულია წმიდა  
მოწამე დავით და კონსტანტინეს ცხოვრებაში. სავარაუდოდ,  
ამ ქალაქის ნაწილს მდინარე რიონის ხეობა წარმოადგენდა,  
დიდმოწამეთა ცხოვრებაში ნახსენებია მდინარე რიონის ნა-  
პირზე მდებარე წმიდა კოზმა და დამიანეს სახელობის ეკლე-  
სია.

არქეოლოგიური კვლევის შედეგად ბაგრატის ტაძრის სა-  
ძირკველში აღმოჩენილი იქნა VII-VIII საუკუნის ეკლესიის ნაშ-  
თები, ასევე ბაგრატის ტაძრის ეზოში წმიდა გიორგის ეკლე-  
სიის ქვემოთ აღმოჩნდა ბაზილიკა, რომელიც V-VI საუკუნით  
თარიღდება.

ასევე ძალზე საინტერესოა მოწამეთას მიდამოები, რომელიც  
არ არის დღემდე სათანადოდ შესწავლილი, თუმცა ძველად იქ  
არსებობდა ღვთისმშობლის ხარების სახელობის ეკლესია, სა-  
დაც შემდგომში დააბრძანეს არგვეთის მთავართა წმიდა ნაწი-  
ლები.

საყურადღებოა კიდევ ერთი ფაქტი: „ხოსროიანები უპირა-

ტესობას მაინც ქუთაისის ანიჭებდნენ, მათი მამა სტეფანოზი იქ იმარხება, რათა იპოვოს იგი საწამებლად სამკვიდროსა ჩვენისა“.

შემდგომში წმიდა არჩილ მეფემ ქუთაისი სატახტო ქალაქად გადააქცია. ასევე გაერთიანებული საქართველოს პირველმა მეფემ „აქა აღაშენა მეფემან ბაგრატ ყოვლადწმიდისა ეკლესია მშვენიერი“. ქუთაისის სიონში, ბაგრატის ტაძარში დაკრძალეს ერთიანი საქართველოს მეფე გიორგი I. ძალზე საინტერესოა სომეხი ისტორიკოსის ვარდანის ცნობა, რომლის მიხედვით გელათში დაკრძალულნი ყოფილან დავითის წინაპარნი.

XII საუკუნეში კი გელათი წმიდა მეფე დავით აღმაშენებელმა ქართველ მეფეთა საძვალედ აქცია. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ძალიან კარგად ჩანს, რომ ქუთაისი-რიონის ხეობა და გელათი-წყალწითელას ხეობა ჯერ კიდევ დავითის ეპოქამდე იყო გამორჩეული და შემდგომ წმიდა მეფემ, ალბათ, წარსულის საფუძველზე დააარსა ახალი უდიდესი და უძლიერესი სამონასტრო კომპლექსი, რომლის მნიშვნელობა შემდგომ პერიოდში ყოველთვის გამორჩეული გახლდათ.

რით იყო ისტორიის ამ ეტაპებზე ასე გამორჩეული აღნიშნული ადგილები კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, ერთი უდავოა - გეოგრაფიული მდებარეობა და სტრატეგიული მნიშვნელობა ამ მიდამოებისა, თუმცა შესაძლოა, უფრო დიდ საიდუმლოებას ფარავდეს აღნიშნული ტერიტორია.

თუ როდის დაარსდა გელათში პირველი ეკლესია-მონასტრები და რა ფაქტები გვაძლევენ ჩვენ საშუალებას, ვიმსჯელოთ აღნიშნულ საკითხზე ქვემოთ ვისაუბრებთ.

1. 1527 წლის წყალობის წიგნი იმერეთის მეფის ბაგრატ III-ისა სეფე ჯვრის მტვირთველის ფანჩულიძის სახელზე „მას ჟამსა ოდეს ძველ ოდესმე მურვან ყრუსაგან დაქცეული და აოხრებული მთვარანგელოზისა ეკლესია საფუძვალამდისა დაქცეული აწ მოაქანმდის არავის ხელეყო აღშენებად მისად“.

აღნიშნული წყალობის წიგნი საკმაოდ მრავლისმთქმელია. მურვან-ყრუს შემოსვლის დროს, 735, წელს გელათში არსებობდა მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია, რომელიც სასტიკ დამპყრობელს საფუძვლამდე დაუნგრევია. ამ ლაშქრობის დროს მურვან-ყრუ, რა თქმა უნდა, გაანადგურებდა ასევე ამ ტერიტორიაზე არსებულ ყველა ეკლესია-მონასტერს.

დანგრეული მთავარანგელოზის ეკლესიის აღდგენა კი 1527 წლამდე ვერავინ შეძლო.

2. წმიდა მოწამეთა დავით და კონსტანტინეს ცხოვრებაში არის ასეთი ცნობა: „თავსა ზედა კლდისასა, ადგილსაჲ მას, რომელსა პრქვიან წყალ წითელ რამეთუ იყო ადგილი იგი ციხე ქალაქ და ერ მრავალ, რამეთუ ყრუსა მურვანსა გამოელო და აღეოხრა და დაეწვა და იყო უკაცურ და დარღუეულ ეკლესია“. ამ ცნობიდან ირკვევა, რომ მდინარე წყალწითელას ხეობაში კლდის თავზე არსებობდა ციხე-ქალაქი, რომელშიც ცხოვრობდა მრავალრიცხოვანი მოსახლეობა, იქვე ყოფილა ხარების სახელობის ეკლესია, ეს ციხე-ქალაქი თავისი ეკლესიითურთ დაუნგრევია მურვან ყრუს. შედიოდა თუ არა აღნიშნული ციხე-ქალაქის შემადგენლობაში გელათი? რასაკვირველია, შედიოდა. ამ ლაშქრობის დროს დაანგრია მურვან ყრუმ როგორც ციხე-ქალაქი, ასევე მასში არსებული მთავარანგელოზისა და ხარების სახელობის ეკლესიები.

3. 1881 წელს მეხუთე არქეოლოგიური კრების კომიტეტმა გელათში გააგზავნა გიორგი წერეთელი. იგი აღნიშნავს, რომ გელათის მონასტერი აშენებულია „ფრიად ძველ, ნანგრევთა ნატამალზე, აქ ჯერ კიდევ საუკუნეთა სიღრმეში ყოფილა რაღაც ქალაქი, რომლის კვალი დღესაც ჩანს გელათის მიდამოში“.

გელათის მიდამოებში გ. წერეთლის ყურადღება მიიქცია ქვითკირის შენობათა კედლებმა და წყლის მიღებმა, რომლებიც ირგვლივ იყო გარშემოკირული. დასავლეთის მხარეს - გალაგნის გარეთ ყოფილა მიწის ბეგი, რომლის ნახევარი არშინის სიღრმეზე მას აღმოუჩენია სარკოფაგი. მიმართულე-



ბა სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ ჰქონია. მისი აზრით, ეს საფლავი არ უნდა ყოფილიყო ქრისტიანული სასაფლაო. გელათის ბერებს მისთვის უჩვენებიათ ქვითკირის სასახლის ნანგრევები, სადაც აღმოჩენილია რამდენიმე რომაული ფული, ლამაზი შუშის ყური და სხვ. გ. წერეთელი აღნიშნავს, რომ ამ მიდამოში უნდა ყოფილიყო მდიდრად აშენებული ალაგი, რომლის კულტურა ბევრად ძველი უნდა ყოფილიყო ბიზანტიის კულტურაზე. „როდესაც კაცი გელათიდან გადახედავს ქუთაისს, დაინახავს ქვემოთ ბაგრატის ტაძრის ნანგრევს, მაშინ კიდევე უფრო დარწმუნდება, რომ ქუთაისის ძველი ციხე სწორედ მტრის მოსაგერიებელი წინა ბურჯი უნდა ყოფილიყო გელათისთვის“.

გ.წერეთელი აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ წმინდა არჩილ მეფეს მეშვიდე საუკუნეში უნდა მიეჭცია ყურადღება გელათის ადგილმდებარეობისათვის, როდესაც მან ქუთაისი სატახტო ქალაქად აქცია. იგი არ ეჭვობს, რომ მიწის ქვეშ დამარხულ ნანგრევებში ბევრად უფრო ძველი ნაშთები აღმოჩნდებოდა, ვიდრე მეშვიდე საუკუნისა (კვალი, 1894 წ. №12). ყოველივე ზემოაღნიშნულიდან სავსებით ნათელია, რომ გელათის მიდამოებში წმიდა მეფე დავითის მოღვაწეობამდე არსებობდა მრავალრიცხოვანი ქალაქი ეკლესია-მონასტრებითა და სასახლეებით. სავარაუდოდ ეს ტერიტორიები ადრექრისტიანულ ხანაშიც იყო დასახლებული.

ხელნაწერ გულანზე, რომელიც ძველად გელათში ინახებოდა (989-1014 წ.წ.), მიწერილი ყოფილა შემდეგი: „წმიდისა ამის გელათის უდაბნოს აღმაშენებლისა ბაგრატ მეფისა საუკუნომცა არს სახსენებელი“. როგორც თედო ჟორდანიას მიიჩნევს, აქ მოხსენიებული ბაგრატი არის ბაგრატ III. როგორც ამ მინაწერიდან ჩანს, ბაგრატ III-ს, გაერთიანებული საქართველოს მეფეს, პირველად გელათში აუგია სამონასტრო კომპლექსი, რომელიც გულანში გელათის უდაბნოს სახელით არის ცნობილი. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ბაგრატ III აღადგენდა, ალბათ, გარკვეულწილად დანგრეულ მონასტრებს და მათ გვერ-

დით ახალსაც ააშენებდა, ვინაიდან ტერმინი „უდაბნო“ გულისხმობს დიდ სამონასტრო კომპლექსს. თუმცა წყაროების სიმწირე არ გვაძლევს საშუალებას, რომ ამ საკითხზე ჩვენ უფრო ნათელი წარმოდგენა გვქონდეს.

ამ წარწერას მოსდევს შემდეგი: „და მეორედ აღმაშენებლისა მეფისა, ფოტინა და თამარ დედისა მათისა საუკუნომცა არს სახსენებელი“. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მეფე ბაგრატ IV-ს განუახლებია წმ. გიორგის ეკლესია, რადგან იგი იწოდება მეორე აღმაშენებლად ამავე ტაძრისა.

ამ წარწერას მოსდევს „დავით მეფისა აღმაშენებლისა დიდისა მის მონასტრისა და ძისა მისისა მეფისა დანილ მონაზონისა საუკუნოდ არს სახსენებელი და კურთხევა მათი“. ამ წარწერიდან ჩანს, რომ მთავარი ტაძრის ამგები გახლდათ წმიდა მეფე დავითი თავის შვილთან ერთად. ამ საკითხს დაწვრილებით შემდგომ შევეხებით.

ბაგრატ IV-მ აღაშენა ასევე მოწამეთის მონასტერი - „და აღიძრა სულისა მიერ წმიდისა და აღაშენა ადგილი იგი მონასტრად უდაბნოებისა და მყუდროებისთვის მის ადგილსაჲ“ (ვიდრე დღეთამდე დიდისა ხელმწიფისა ბაგრატისამდე) (საქართველოს სამოთხე, გვ. 330).

უდავოა ბაგრატ IV-ის აღმაშენებლობითი საქმიანობა წყალ-წითელას ხეობაში, ისევე როგორც გელათსა და მოწამეთაში. თუმცა ზოგი წყარო მოწამეთის აშენებას ბაგრატ III-ს უკავშირებს.

დიმიტრი ბაქრაძე მიიჩნევდა, რომ წმიდა გიორგის ეკლესია ბაგრატ III-ის აშენებულია. თუმცა თედო ჟორდანიას თვლიდა, რომ წმ. გიორგის ეკლესია ბაგრატ IV-ის დროს უნდა ყოფილიყო აგებული. იგი ასევე ამბობს, რომ დ. ბაქრაძეს არც ერთ თხზულებაში არ გამოუთქვამს აზრი, თითქოს ბაგრატ III-ს აეშენებინოს წმ. გიორგის ტაძარი (129).

თედო ჟორდანიამ თავის ქრონიკებში დაასაბუთა, რომ გელათში VIII საუკუნის უწინ ყოფილა მთავარანგელოზის ტაძარი, ხოლო წმ. გიორგის ეკლესიის აშენება დაუწყია ბაგრატ

IV-ს სამადლობლად ღვთისა იმ გამარჯვებისათვის, რომელიც მიეცა მას 1056 წელს ლიპარიტ ერისთავთ-ერისთავზე.

„ვარდანი იტყვის, რომ გელათში დამარხულნი არიანო დავითის წინაპარნი.“

ღიებუა ამტკიცებს, რომ „დავითს გელათი თითქოს განეხლებინოს“.

რა ფაქტმა მისცა ღიებუას ამის თქმის საშუალება, ეს ცალკე საკითხია.

მაგრამ ძალზე საინტერესოა სომეხი ისტორიკოსის ვარდანის ცნობა, რომლის მიხედვით გელათში დაკრძალულნი ყოფილან დავითის წინაპარნი.

თ. ჟორდანიას აზრით, წმ. გიორგის ეკლესია აღუშენებია 1057 წელს ბაგრატ IV-ს და, ალბათ, მეფეთა საძვალე ყოფილა. იქ უნდა „იყოს დამარხული გიორგი II და ბაგრატ IV“ (130). ძალიან საინტერესოა აღნიშნული ცნობა - „სოზ: ამა ქ-კსა დავით აღმაშენებელს გელათი დაუწყია და ქორონიკონი მობრუნებული არი“. ჟორდანია მიიჩნევს, რომ ამ ქრონიკის დამწერს საბუთი ჰქონია იმისი, რომ გელათის შენება 1057 წელს დაუწყიათ, მაგრამ ყველამ იცის, რომ დავით აღმაშენებლისგან არის აგებული გელათი, ამის გამო თვითონ ჩაუმატებია სიტყვები „დავით აღმაშენებელს“. ცხადია, 1057 წელს დავით აღმაშენებელი დაბადებულიც არ იყო“ (54; 202).

ფაქტია, რომ ბაგრატს გელათში აუგია წმ. გიორგის ან სხვა რომელიმე ეკლესია.

რაც შეეხება გელათში დავითის წინაპართა დაკრძალვის საკითხს, თუკი ბაგრატ IV და გიორგი II სვეტიცხოველში არ არიან დაკრძალულნი და არც ბაგრატის ტაძარში, მაშინ არ არის გამორიცხული, რომ ეს ორი მეფე დავითამდე სწორედ გელათში იყვნენ დაკრძალულნი. და სწორედ მისი წინაპრების დიდი პატივისცემის ნიშნად წმიდა მეფე დავითმა გელათში დაიწყო ახალი დიდი ტაძრის მშენებლობა, რომელიც შემდგომში შეიქმნა ქართველ მეფეთა საძვალედ. არის კიდევ ერთი ფაქტი - 1080 წელს ქუთაისში ილაშქრეს თურქებმა.

აღნიშნული ლაშქრობის დროს ხომ არ დაზიანდა გელათის სამონასტრო კომპლექსი? წყაროები ამის შესახებ არაფერს გვეუბნებიან.

თანამედროვე ეტაპზე, თუკი შესაბამისი ცოდნის მქონე პიროვნება გულდასმით დაათვალიერებს გელათის სამონასტრო კომპლექსს გალავანს შიგნით და გალავნის გარეთ, დარწმუნდება, რომ გელათში არის სხვადასხვა პერიოდის განსხვავებული არქიტექტურის და მნიშვნელობის ეკლესია-მონასტრების, სასახლეებისა და სხვა დანიშნულების შენობები ან შენობათა ნაშთები. აღნიშნულ თავში შევეხებით მხოლოდ იმ ეკლესიებს და შენობათა ნაშთებს, რომლებიც დღეს არსებობს გელათში და მათ შესახებ თითქმის არაფერია, ან ძალიან მწირი ცნობები გვაქვს.

გელათის სამხრეთით გალავნის გარეთ ფერდობ ადგილზე არის ერთი ძველი ნაეკლესიარი. ადგილობრივები მას ლალისეულს უწოდებენ, ზოგი კი საძვალეს უწოდებს. ტაძარი, ალბათ, ორსართულიანი იყო, დიდი, თლილი ქვებით ნაგები, ზედა ნაწილი დანგრეულია და მასზე ამოსულია ხეები. სამხრეთით ორი კუთხე არის შერჩენილი, ქვევით არის სანაწილე, რომელსაც შესასვლელი აქვს აღმოსავლეთის მხრიდან, ნახევრად ამოვსებული მიწით. შიგნითა შუა ნაწილი ჩაწეულია, ხოლო ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლების გასწვრივი მხარე - ამაღლებული ქვით ნაშენი. ზემოდან სანაწილეში ჩაყრილია მიწა და ქვები. ტაძრის ირგვლივ მიმოფანტული ქვები ჩრდილოეთის მხარეს არის ჩაყრილი, თითქოს ტაძარი ვინმეს დაეზგრიოს.

აღნიშნული ტაძარი არის საკმაოდ ძველი და განსხვავებული. სამწუხაროდ, ვერ მივაკვლიეთ ცნობას იმის შესახებ, თუ ვისი სახელობისა იყო ეს ტაძარი, შესაძლოა იგი დაახლოებით VIII-X საუკუნით დათარიღდეს, ან უფრო ძველიც იყოს. მომავალში აუცილებელია აღნიშნული ეკლესიის გაწმენდა და არქეოლოგიური შესწავლა, რომლის საშუალებითაც ბევრი საკითხი გაირკვევა.

გელათის უძველესი ეკლესია-მონასტრები:

1. საბას სახელობის ეკლესია
2. ელიას სახელობის ეკლესია
3. წმ. ნინოს სახელობის ეკლესია
4. სოხასტერი
5. ლალისეული
6. ბერის ციხე
7. დოხორა
8. მთავარანგელოზის ეკლესია
9. უცნობი ეკლესია.

აღნიშნული ეკლესიები არსებობდა გელათში.

ამ ეკლესიების შესახებ ძალიან მწირი მასალები მოგვეპოვება, რა თქმა უნდა, გელათში არსებობდა კიდევ სხვა ეკლესია-მონასტრებიც, რომლებიც მტრების არაერთგზის შემოსევამ გაანადგურა.

უძველესი მონასტრებია: მთავარანგელოზის VI-VII საუკუნის; მოწამეთა ანუ ხარების - VI-VII საუკუნის; საბაწმიდის სახელობის მონასტერი და ეკლესია-მონასტრები, რომელთა შესახებ ჩვენამდე ცნობებს არ მოუღწევია, დაარსებული უნდა იყოს საქართველოში ასურელი მამების შემოსვლის დროიდან, დაახლოებით VI-VII საუკუნის მეორე ნახევრიდან. აღნიშნულის სისწორეს დაადასტურებს ამ ადგილების არქეოლოგიური შესწავლა.

ტრადიციულად გელათში აღნიშნულ ტაძრებს დღესაც ყველაზე ძველად მიიჩნევენ.

## სოხასტერი

გელათის ზემოთ, ამაღლებულ ადგილზე, არის ძველი ეკლესიის ნანგრევები, მის გვერდით კი საკმაოდ დიდი შენობის ნაშთებია. ამ მონასტრის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს: „მონასტერი გუმბათიანი დიდშენი სოხასტრად ხმობილი“.

სოხასტრის მაცხოვრის ეკლესია ერთ-ერთი უძველესია გელათის სამონასტრო კომპლექსში. სოხასტერი ეწოდებოდა ისეთ ადგილს, სადაც დაყუდებული (მღუმარებაალთქმული) ბერები მოღვაწეობდნენ (44; 60). ბერ-მონაზვნური ცხოვრების განვითარებას თან მოჰყვა ბერ-მონაზონთა ღვაწლის ეს სახეობა, სადაც ბერები სულიერების უმაღლეს საფეხურზე აღიოდნენ. თავდაპირველად იგი ბიზანტიაში ჩამოყალიბდა და შემდგომ საქართველოშიც კპოვა განვითარება. ეგრეთ წოდებული „ისიქასტები“ ანუ მღუმარე ბერები ცალკე ცხოვრობდნენ და ამ მონასტერს განსაკუთრებული ტიპიკონი ჰქონდა. ამ ფაქტით კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ გელათში ბერ-მონაზვნური ინსტიტუტი საკმაოდ კარგად იყო განვითარებული XII საუკუნემდე. თუმცა წერილობითი წყაროების სიმწირე საშუალებას არ გვაძლევს უფრო დაწვრილებით ვიცოდეთ სოხასტრის მონასტრის უძველესი ისტორია. 1833 წელს, როცა დიუბუა დე მონპერე გელათში იმყოფებოდა, აღნიშნავდა, რომ „ხეობის ზემოთ, პლატოზე, უზარმაზარი ცაცხვის ჩრდილქვეშ დგას ბევრად უფრო ძველი, ვიდრე გელათის ყველა დანარჩენი ეკლესია. მღვდელი, რომელმაც ეკლესიის კარი გაგვიღო, გვარწმუნებდა, რომ იგი დაახლოებით 1000 წლით თარიღდება. ეს არის უგუმბათო, მასიური და დაბალი ეკლესია. ბევრი ვეძებე წარწერები, მაგრამ ვერ აღმოვაჩინე“ (145; 84).

დღესდღეობით გარკვევით ეტყობა, რომ ეკლესია ძველად სამნავიანი ბაზილიკა იყო. ეკლესიას აქვს პატარა საკურთხეველი. ამჟამად ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს - ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან. დასავლეთიდან ორი თაღოვანი სარკმელი, შუაში თლილი ქვით. შემდეგ არის შესასვლელი მეორე დარბაზში, დარბაზს ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან თაღები აქვს ამოყვანილი. ჩრდილოეთით თაღი ჩამოქცეულია. ადგილ-ადგილ კედლებზე შეინიშნება ფრესკის ნაშთები. ეკლესიას აქვს სადიაკვნე და სამკვეთლო. ორივე მათგანში არის კედელზე მიდგმული მაგიდის ფორმის ქვები. სამხრეთით წარმოდგენილია ორი ქვა, შესაძლოა ტაძარში ორი ტრაპეზი იდგა.

ეკლესიას ეტყობა, რომ იგი რამდენჯერმე არის გადაკეთებული და თავისი ძველი სახე დაკარგული აქვს. ერთ ადგილზე გვიანი ფრესკის შიგნით დაფიქსირდა ძველი ფრესკა. ეკლესიის წინ სამხრეთ-აღმოსავლეთით წარმოდგენილია მაღალი ოთკუთხედი შენობის ნაშთი, რომელსაც აქვს კარები და სარკმლები. ეტყობა, შენობა უფრო გვიანდელია. ეკლესიის სამხრეთით არის საკმაოდ დიდი შენობის ნაშთები, რომელსაც სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან შესასვლელი კარები აქვს. შენობა მრავალი ოთახისაგან შედგება. როგორც წყაროებით არის ცნობილი, აღნიშნული შენობა წმიდა მეფე დავით აღმაშენებლის მიერ დაარსებული ქსენონი უნდა იყოს. მაგრამ ყოველივე ამის დასადასტურებლად აუცილებელია, ამ მიდამოებში ჩატარდეს არქეოლოგიური კვლევა-ძიება, რომლის შემდეგაც ბევრ საკითხს ნათელი მოეფინება. სოხასტრის ეკლესია თავისი ნაგებობებით შემოსაზღვრულია გალავნით.

## საბა ბანაშენდელის სახელობის ეკლესია

საბას სახელობის ეკლესია წარმოადგენს თეთრი თლილი ქვით ნაგები ერთნაფიან ბაზილიკას. ეკლესიას აღმოსავლეთ, სამხრეთ, ჩრდილოეთ და დასავლეთ მხარეს სარკმლებისა და შესასვლელი კარის თავზე ჩასმული აქვს ჯვრის ორნამენტები, რომლებიც, როგორც ჩანს, ძალიან ძველია, ჯვრების ფორმები ყველა ერთმანეთისაგან განსხვავებულია. ეკლესიაში არის ორი საფლავი, როგორც ჩანს, აქ მოღვაწე ბერებისა, რომლებიც ღვაწლის გამო ეკლესიაში დაკრძალეს.

დასავლეთიდან ეკლესიას აქვს რაღაც ძველი მინაშენის ნაშთი. ეკლესიის ირგვლივ ძველად არსებულა გალავანი, რომელიც დღესდღეობით დანგრეულია. გალავნის კუთხეში კლდის პირთან შეინიშნება ბერების საცხოვრებელი კელიის ნაშთი.

2006-2007 წლებში ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტ კალისტრატეს კურთხევით ეკლესია აღდგა.

2007 წლის 5 დეკემბერს ქუთათელ გაენათელმა მიტროპოლიტმა კალისტრატემ წმიდა საბას ეკლესია აკურთხა.

ტაძრის აღდგენა დააფინანსა ბატონმა ვარლამ მოსიძემ.

გელათის ზემოთ არის უძველესი წმიდა ილია წინასწარმეტყველის სახელობის ეკლესია. ეკლესიაში ასასველელ კიბეებთან დგას ძველი ქვის სტელა, რომელზეც ჯვარია გამოსახული. სტელას მარჯვენა მხარე ჩამოტეხილი აქვს, ზემო ნაწილში კი შეიმჩნევა ძნელად გასარჩევი ასომთავრული წარწერა. ქვის სტელა დაახლოებით VII-VIII საუკუნისა უნდა იყოს.

ეკლესია არის ორნაგვიანი ბაზილიკა, დასავლეთით გვიანდელი მინაშენით. ეკლესიის შესასვლელთან არის ორი ჩუქურთმიანი ქვის ნაშთი, ჩუქურთმა ქართულია. ეტყობა ეკლესია რამდენჯერმე შეაკეთეს, მას გარკვეულწილად პირველადი ფორმა შეცვლილი აქვს. ტაძრის ქვედა ნაწილი ნაგებია დიდი თლილი ქვებით. ეკლესიის ირგვლივ XIX-XX საუკუნის საფლავის ქვებია. ჩრდილო-აღმოსავლეთით შეინიშნება ძველი შენობის ნაშთი, ალბათ, ბერების სადგომი. უფრო აღმოსავლეთით არის ძველი შენობის ნანგრევი, რომელიც საკმაოდ დიდი ზომის ქვით იყო ნაგები.

წმიდა ილიას ეკლესია გიორგი ჯოხტობერიძის მიერ არის მოხატული, რასაც ადასტურებს დასავლეთ კედლის შუა ნაწილზე სამსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა: „ამისა მხატვარსა გიორგ/ი/ს ჯოხტ/ო/ბერიძ/ე/ს შეუ/ნდოს ღმე/რ/თ/მან ამ/ი/ნ“. ტაძარში წარმოდგენილია ექვსი საუფლო სცენა, წმიდა მოწამეთა გამოსახულებანი და ქტიტორთა რიგი. სამხრეთით საკურთხევლისკენ ვედრებად მიმართული სამი ქტიტორია, პირველი ქტიტორი, რომელიც საკურთხევლის გვერდითაა, ხანში შესული წვეროსანი მამაკაცია („ივანე დიდებულსა შეუნდოს ღმერთმან, ამინ“). მის გვერდით შუა ხნის ქალი დგას „მეულლე გულდამ“. შემდეგ კი ახალგაზრდა მამაკაცი ძე მათი „მერაბა“. დასავლეთი კედლის ქვედა მონაკვეთზე კი „ძე მათი ზვიადი“ (102; 111-113).

ეკლესიის მხატვრობა გვიანი შუასაუკუნეების პერიოდს მიეკუთვნება და მისი დამკვეთი ივანე დიდებულსაა.



## შენობი ეკლესია

გელათის თავზე, აღმოსავლეთით წმიდა ნინოს ნაეკლესიარის ქვემოთ, არის ძველი ნაეკლესიარის ნაშთი. შემორჩენილია საკურთხევის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი და სამხრეთის კუთხის ნაწილი. ეკლესიას, შესაძლოა, ქვემოთ საძვალე ჰქონდა. შეიმჩნევა სამკვეთლო და სამკვეთლოს კარი. ეკლესია დარბაზული სტილისაა და იგი წმიდა ნინოსა და ლალი-სეულში მდებარე ეკლესიის ნაშთებს ჰგავს არქიტექტურული თვალსაზრისით. ეტყობა, ის მტრის შემოსევის დროს დაინგრა. ეკლესიის ქვები ირგვლივაა მიმოფანტული. საინტერესოა, რომ ეკლესიის აღმოსავლეთ ნაწილი კლდეზე ყოფილა მიდგმული ხოლო ირგვლივ გალავანი ჰქონია შემოვლებული, მის ჩრდილოეთით შეინიშნება ძველი შენობის ნაშთი, რომელიც ამაჟამად დანგრეულია. ეტყობა, იგი ბერების სადგომი იყო.

### წმ. ნინოს სახელობის ეკლესია

წმიდა ნინოს სახელობის ეკლესია ორნაეიანი ბაზილიკაა. იგი დიდი თლილი ქვებით იყო ნაგები. ეკლესიას ქვედა ნაწილში საძვალე ჰქონია. იგი ზედ კლდის პირას დგას და სონასტერსა და მთავარანგელოზის ეკლესიას გადაჰყურებს. ეკლესიას ირგვლივ ჰქონია გალავანი, რომელიც დღესდღეობით დანგრეულია. ეკლესიასთან ახლოს, ჩრდილოეთიდან კლდეში ნაკვეთი მღვიმეა. შესასვლელის ზემო ნაწილი ქვით არის ამოშენებული. მღვიმეში დაახლოებით 10 მეტრის სიღრმეში შეიძლება შესვლა, უფრო სიღრმეში კი იგი გასაწმენდია. მღვიმეში აღმოჩნდა ქვევრის ნატეხები. ძველად, შესაძლოა, მღვიმეში ბერები იყვნენ დამკვიდრებული. წმიდა ნინოს ეკლესიამდე მისასვლელ გზასთან ძველი შენობის ნაშთი და მიწისქვეშა ჩასასვლელები შეინიშნება.

უფრო დასავლეთით ციცაბო კლდის ნაპირზე გაკეთებულია კლდეში ამოკვეთილი წვიმის წყლის შესანახი, დაახლოებით ისეთი, როგორიც დავით გარეჯშია. კლდეში ამოკვეთილ ამ ღრმულში დაახლოებით 200-300 ლიტრი წყალი შეიძლება დაგროვდეს.

აღმოსავლეთით არის კოშკი, რომელშიც, ალბათ, დამკვიდრებული იყო განმარტოებული ბერი. შენარჩუნებულია კოშკის აღმოსავლეთი კედელი, რომელსაც ზემოთ ვიწრო სარკმელი აქვს, ქვედა მხარეს კი - ორი ოთკუთხედი სარკმელი. აქვე კლდეში შესასვლელი მღვიმეა. იქვე არის ვიწრო, დამრეცი ჩასასვლელი და დასავლეთით - კლდეში გამოკვეთილ საკმაოდ გრძელ დარბაზში შესასვლელი, რომელიც ჩრდილოეთიდან თხელი ქვითაა ამოშენებული, მასში დატანებულია სათვალთვალო სარკმლები, სარკმლიდან პირდაპირ ჩანს საცალფეხო ბილიკი, რომელიც დასავლეთით გრძელდება.

ლოცვასთან ერთად აქ დამკვიდრებული ბერი მოთვალთვალის ფუნქციასაც ასრულებდა.

წმიდა მეფე დავით აღმაშენებელმა XII საუკუნის დასაწყისში ქრისტიანულ სამყაროში ერთ-ერთი მძლავრი სამონასტრო კომპლექსი ააგო, რომელიც ქართველ მეფეთა საძვალედ იქცა. მან დააარსა სასულიერო აკადემია, რომელიც ქართველი ერის სულიერებისა და განათლების ცენტრი გახდა. მეფის სურვილით გელათის მონასტერში დაბრძანდა ქრისტიანული სამყაროს უდიდესი სიწმინდეები. ამ საკითხების შესახებ დაწვრილებით ცნობებს გვაწვდის დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. პირველ რიგში, აღვნიშნოთ, თუ როდის დაიწერა „დავით აღმაშენებლის ცხოვრება“. ივ. ჯავახიშვილის აზრით, დავით აღმაშენებლის ცხოვრება დაიწერა 1123-1126 წლებში, „მაშინ, როცა თბილისი აღებული იყო და დამთავრებულა დავითის გარდაცვალების შემდეგ“. ამავე აზრს იზიარებს კორნელი კეკელიძე. მეცნიერთა ნაწილი კი - თ. ჟორდანიას, ს. კაკაბაძე, რ. მეტრეველი, მიიჩნევენ, რომ მატთანე დაიწერა XII საუკუნის 30-იან წლებში, რაც მართებულია, ვინაიდან დავით აღმაშენებელს მისი ისტორიკოსი „ცოცხლად არ წარმოგვიდგენს, მას ყველაფერი წარსულ დროში აქვს გადმოცემული“. იქვე გელათზე საუბრისას მემატთანე აღნიშნავს: „აღმატებული ყოველთა, წინანდელთა ქმნულთა, რომელ ჰმატს შევნიერებასა ყოველთასა, სივრცითა და ნივთთა სიკეთითა და სიმრავლითა და მაქმნულობისა შეუსწორებლობითა, რომელსა აწ თანამოწმობით ხედვენ თვალნი ყოველნი“ (77; 330). როცა დავითის მემატთანე ამ სიტყვებს წერდა, გელათი უკვე დამთავრებული იყო, ვინაიდან იგი აღნიშნავს გელათის გამორჩეულობას, რომ გელათში დაბრძანებულია მრავალი წმიდა ნივთი და სიწმიდე და ამას ყველა მისი თანამედროვე ხედავდა. წყაროების მიხედვით კი გელათი დასრულდა დავითის ვაჟის დემეტრე I-ის მეფობაში - დაახლოებით 1130 წელს.

შესაძლოა, დავითის მემატთანე სასულიერო პირი იყოს, ან მეფესთან ძალზე დაახლოებული პიროვნება, ვინაიდან მომ-

ხდარ ამბებს ძალზე დაწვრილებით და ქრონოლოგიური სი-  
ზუსტით წარმოგვიდგენს. როცა უშუალოდ გელათზე იწყებს  
საუბარს, მებატიანე აღნიშნავს, რომ წმიდა მეფის საქმეებს  
ღმერთი განაგებდა მხოლოდ და იგი ღვთის ნებას აღასრუ-  
ლებდა: „და ვინათგან ღმერთი ესრეთ განაგებდა საქმეთა და-  
ვითისათა, და წარუმართებოდა ყოველთა გზათა მისთა“. გა-  
ნამრავლებდა საქმეთა კეთილთა და სათნოთა ღვთისათა. არა-  
მედ სრულითა გულითა მსახურებდა, და მათ იქმოდა, რომელ-  
ნი ნებისა ღმრთისად დაამტკიცის და სათნო ყოფილად მისდა  
აღუჩნდის, ვითარაცა აწ ითქვას“ (77; 329). ძალზე საინტე-  
რესოა აღნიშნული სიტყვები, აქ კიდევ ერთხელ კარგად ჩანს,  
რომ მათი ავტორი სასულიერო პირია, ისეთი ვინც კარგად  
იცის მეფის სულიერი მდგომარეობა და მისი მსახურება სრუ-  
ლი გულით ღვთის წინაშე. რაც მთავარია, წმიდა მეფემ გე-  
ლათის ამენება ღვთის ნებით დაიწყო და არა საკუთარი სურ-  
ვილით. „რამეთუ მოიგონა აღშენება მონასტრისა და დაამ-  
ტკიცა, რომელიცა გამოირჩია მადლმან საღმრთომან ადგილ-  
სა ყოვლად მშვენიერსა და ყოვლითურთ უნაკლულოსა, რომელ-  
სა შინა ვითარცა მეორე ცა გარდაართხა ტაძარი ყოვლად  
წმიდისა და უფროსად კურთხეულისა ღვთის-მშობელისა“.

დაუსრულებელ ტაძარში დავით მეფემ დააბრძანა სასწაულ-  
მოქმედი ხატები და წმიდა ნაწილები: „და აღავსო სიწმინდე-  
თა მიერ პატიოსანთა ნაწილთა წმიდათასა, და წმიდათა ხატ-  
თა მიერ და სიწმიდისა სამსახურებელთა ყოვლად დიდებულ-  
თა და სხუათა ნივთთა ძნიად საპოვნელთა“. სავარაუდოდ  
დიდგორის ბრძოლამდე გადმოაბრძანა დავით აღმაშენებელმა  
ხახულის მონასტრიდან „ხახულის ღვთისმშობლის სასწაულ-  
მოქმედი ხატი“. ვინაიდან პირველი დიდი შენაწირი ხახულის  
ხატს გელათში აღმაშენებელმა მიუძღვნა, ჩემნი ალალნი (ლალ-  
ნი) და თვალმარგალიტი ხახულის ღვთისმშობლისად შემეწი-  
რავს“ (70; 22). შემდეგ სხვადასხვა მეფეებმა ხახულის ღვთის-  
მშობელს მრავალი შესაწირი მიართვეს. დიდგორის ბრძოლა-  
ში დამარცხებული არაბთა მეფის დურბეისისათვის წართმეუ-

ლი ძვირფასი თვლებით შემკული ოქროს მანიაკი დავით აღმა-  
შენებელს გელათის მონასტრისათვის შეუწირავს „ღმრთისა  
სახსენოდ და სამადლობლად ძლევისა მის საკვირველისა“  
(48; 205). დავითის მემატთანე აღნიშნავს, რომ სიწმიდეები და  
საეკლესიო ნივთები ძნელი მოსაპოვებელი იყო. მართლაც,  
წმიდა კეთილმსახურმა მეფე დავითმა განსაკუთრებული სუ-  
ლიერების, იმდროინდელ მსოფლიოში მისი დიდი ავტორიტე-  
ტის ფასად მოიპოვა ქრისტიანული ეკლესიის უდიდესი სიწ-  
მიდეები და დააბრძანა გელათში. წმიდა მეფე თავის ანდერ-  
ძშიც იხსენებს სიწმინდეებს და ზრუნავს გელათისათვის, რო-  
მელზეც ცოტა ქვემოთ გვექნება საუბარი.

ამის შემდეგ დავითის მემატთანე გადმოგვცემს ძალზე საინ-  
ტერესო ფაქტს. „ამათ თანა დასხნა მუნვე დიდთა და ხოსრო-  
ანთა მეფეთა ტახტნი და საყდარნი, სასანთლენი და კიდელნი  
ფერად-ფერადნი იაგარად მოხმულნი თვისნი და კვალად გვირ-  
გვინნი და მანიაკნი, ფიალნი და სასმელნი რომელნი მიუხუ-  
ნა მეფეთა არაბეთისათა, რაჟამს თვით იგინცა ტყვედ მოიყ-  
ვანნა, ამასვე ტაძარსა შინა შეწირნა ღმრთისა სახსენოდ და  
სამადლობლად ძლევისა მის საკვირველისა“ (77; 330).

სწორუპოვარმა მეფემ, მესიის მახვილმა, ღვთის შეწევნით  
დიდგორის ბრძოლაში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა, ამ  
გამარჯვებას ქრისტიანულ სამყაროში უდიდესი მნიშვნელობა  
ჰქონდა. ღვთის სადიდებლად კი დავითმა ყოველივე ძვირფასი  
თვალი, გვირგვინი, სასმელები და მეფეთა ტახტებიც კი, რაც  
ამ ბრძოლაში მოიპოვა, გელათს შესწირა. თუმცა ძვირფასეუ-  
ლობისა და სიწმიდეების გარდა ლიპარიტთა მამულიც შესწი-  
რა გელათს: „სოფლებსა თანა მისცნა დედასა ღვთისასა,  
სიწმინდეების მისსა წინაშე მდგომათათვის და უზრუნველი  
ტრაპეზი განუჩინა; ასევე დავითის შემდეგ მრავალმა მეფემ,  
საეკლესიო პირმა და დიდებულმა დიდი ტერიტორიები შე-  
სწირეს გელათის მონასტერს. ამის შემდეგ მემატთანე აღნიშ-  
ნავს, რომ გელათი შეიქმნა როგორც სულიერებისა და მეცნი-  
ერების ცენტრი, სულიერების თვალსაზრისით, როგორც „მე-

ორე იერუსალიმი“ და მეცნიერების თვალსაზრისით კი „სხვა ათინა“. „წინამდებარე არს ყოვლისა აღმოსავალისა მეორედ იერუსალემად, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად, მოძღვრად სწავლულეებისად, სხუად ათინად, ფრიად უაღრეს მისსა საღმრთოთა შინა წესთა, დიაკონად ყოვლისა საეკლესიოსა მშვენიერებად. ხოლო სახელი მისი გელათი“ (77; 331). შესაძლოა ეს ბოლო აბზაცი უფრო გვიან მინაწერი იყოს.

გელათში მოიწვია დავით მეფემ საქართველოში და უცხოეთში მოღვაწე წმიდა მამები „მუნევე შემოკრიბნა კაცნი პატიოსანნი ცხოვრებითა და შემკულნი ყოვლითა სათნოებითა, არა თვისთა ოდენ სამეფოთა შინა პოვნილნი, არამედ ქვეყანისა კიდეთათ სადაცა ესმა ვიეთმე სიწმინდე, სიკეთე, სისრულე, სულიერთა და ხორციელთა სათნოებათა აღსავესება, მოიყენა და დაამკვიდრნა მას შინა“.

აქვე ააგო დავითმა ასევე ქსენონი, სადაც ყოველივე პირობა შეუქმნა ავადმყოფებს სამკურნალოდ „და თვით მოვიდის, მოიხილნის, მოიკითხნის და ამბორს უყვის თვითოეულსა... მონახის თვისითა ხელითა ცხედრები, სამოსლები და საგებელი მათი, პინაკი და ყოველი სახმარი მათი, მისცეს თვითეულსა ოქროს საყოფინი“.

დავითის მემატიანე გელათზე საუბრობს უკვე გიორგი ჭყონდიდელის გარდაცვალების გამო, როცა 1118 წელს „ოვსეთის ყოფასა მიიცვლა გიორგი ჭყონდიდელი: თავ-ადგა სიყრმით განთა პატრონისა მსახურებისათვის; და პატივითა დიდითა წარმოგზავნა მონასტერსა, ახალსა და მუნ დაემარხა“. ძალზე საინტერესოა, რომ დავითმა თავისი გამზრდელი ჯერ კიდევ დაუსრულებელ მონასტერში დაკრძალა, შესაძლოა, ამ დროს ტაძრის ძირითადი ნაწილი აგებული იყო, დავითის მემატიანე კი გელათს უწოდებს „მონასტერსა ახალსა“, თვითონ უშუალოდ სიტყვას „გელათი“ არ ხმარობს.

შემდგომში ახალი მონასტრის სახელით გელათს საკმაოდ ხშირად მოიხსენიებენ. გელათის მონასტრის აგება დავით აღმაშენებელმა რუის-ურბნისის კრების (1103) წლის შემდეგ დაი-

წყო. ამის შესახებ არსებობს ორი ძირითადი წყარო: გელათის გულანი (ხელ. ინსტ. A-186a) და შემოქმედის გულანი.

გელათის გულანში აღნიშნულია შემდეგი: ქრონიკონსა - სუდ (1606) ამა ქრონიკონამდის გელათი რომ დაწყებულა, ფ წელიწადი გარდასულიყო. (1606-500=1106) (44; 16).

XVII საუკუნის დასაწყისის გელათის გულანის მინაწერი ძალიან მნიშვნელოვანია. ამ მინაწერის ავტორი გელათში მოღვაწეობდა, ფლობდა ზუსტ ინფორმაციას გელათის აგებასთან დაკავშირებით და შესაბამისად გელათის გულანში დააფიქსირა, რომ გელათის აგებიდან გასული იყო 500 წელი.

ამასვე ადასტურებს შემოქმედის გულანის კვინკლოსის წარწერა: „ქრონიკონსა ტკვ (1106) აქა დავით გელათი დაიწყო“. ის ფაქტი, რომ გელათი დავით აღმაშენებელმა დაიწყო და მისმა ძემ დემეტრემ დაასრულა „გელათის გულანშია“ აღნიშნული:

„დავით მეფისა, აღმაშენებლისა დიდისა მის მონასტრისა (გელათისა) და ძისა მისისა მეფისა დანიილ მონაზონის (დომიტრისა) საუკნომცა არს სახსენებელი და კურთხევა მათი“ (54; 144).

„გელათის გულანში, რომელიც თავისი შედგენილობითა და მნიშვნელობით უნიკალურია და ღვთისმსახურებში იყენებდნენ, აუცილებლად მოხსენიებული უნდა ყოფილიყვნენ მონასტრის აღმაშენებელნი „წმიდა მეფენი“ (დამიანეს მაგივრად მეფე დემეტრე I მოხსენიებულია დანიილ მონაზონად).

არსებობს კიდევ „დადიანთა ქრონიკა“, რომელიც გვაუწყებს, რომ „წელს ჩრლ (1130 წ.) დავით აღმაშენებელმა გელათი აღაშენა“ (44; 246). აქ გადმოცემულია გელათის მშენებლობის დასრულების ფაქტი, რომელიც დემეტრე I-მა 1130 წელს დაასრულა, ამ ქრონიკის ავტორმა ვერ გაითვალისწინა, რომ ამ წელს დავით აღმაშენებელი უკვე გარდაცვლილი იყო.

შესაბამისობაში მოდის აღნიშნულთან დავით აღმაშენებლის ანდერძი, კერძოდ, ის, რომ მის სიცოცხლეში გელათის მშენებლობა არ იყო დასრულებული „დარჩა მონასტერი, სამარ-

ხავი ჩემი და საძვალე შვილთა ჩემთა უსრულად“. დავით აღმაშენებელი მონასტრის მშენებლობის დასრულებას მის პირ-მშოს, საქართველოს მომავალ მეფეს დემეტრეს აკისრებს: „აწ შვილმან ჩემმან დიმიტრიმ სრულჰყო ყოვლითურთ“ (49; 7).

ამ წყაროების მიხედვით სავსებით ნათელია, რომ გელათის მთავარი, ღვთისმშობლის შობის ტაძრის მშენებლობა ღვთის კურთხევით დაიწყო წმიდა მეფე დავით აღმაშენებელმა, რომელმაც, სამწუხაროდ, გარდაცვალების გამო ვერ დაასრულა მშენებლობა, რასაც გულისტკივილით აღნიშნავს თავის ანდერძში „და წარმყუა მისთვისცა ტკივილი სამარადისო“. მაგრამ მისმა მემკვიდრემ დემეტრე I-მა მამის ანდერძი მალევე აღასრულა, 1130 წელს ღვთისმშობლის ტაძარი უკვე დასრულებული იყო, მთელი თავისი მშვენიერებით, ფრესკებით, მოზაიკით და ა.შ.

რაც შეეხება თვითონ სახელწოდებას - გელათი, გაენათი ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს დაბადებას, შობას. თანამედროვე ეტაპზე შესაძლებელი გახდა უფრო ნათელი წარმოდგენა შეგვექმნას აღნიშნულ საკითხზე. კათოლიკოს-პატრიარქმა ანტონ I-მა, რომელმაც ახალგაზრდობაში გელათში მიიღო განათლება, დაწერა ახალი საგალობელი ქართველ წმინდანებზე. ერთ-ერთი საგალობელი ანტონ I-მა მიუძღვნა დავით აღმაშენებელს: „აკოლუთია წმიდისა კეთილმსახურისა მეფისა დავით მესამისა, ყოვლისა საქართველოსა და აფხაზეთისა, ზედწოდებით აღმშენებლისა“ (16; 12). ანტონ კათოლიკოსი ბიბლიიდან პარადიგმულ სახეებს მოიხმობს და დავით აღმაშენებელს ბიბლიურ მეფე დავით წინასწარმეტყველს ადარებს და ქართველთა მეფეს მეორე დავითს უწოდებს.

ნ. მახარაძის სტატიაში - „მეფის კარიბჭესთან დამარხვის „იერუსალიმურ“ წარმომავლობაზე, ანუ დავით წინასწარმეტყველთან მეფე გვირგვინოსნის ღვთივსულიერი მიმართება“ ნათქვამია, რომ იერუსალიმის მრავალრიცხოვან კარიბჭეთაგან ერთ-ერთის, დასავლეთის მეორე კარიბჭის სახელწოდებაა გაენათი-გენათი, იგი აღნიშნავს „ბაღის კარს“, ანუ ძველი



ქართულით „სამოთხის კარს“. ამას აღნიშნავს | საუკუნის ებრაელი ისტორიკოსი იოსებ ფლავიუსი „იუდეველთა ომების ისტორიაში“. „ძველი აღთქმის“ მიხედვით კი სოლომონმა ტაძარი ააგო იმ ადგილას, სადაც მეფე დავითს ანგელოზი მოეცლინა მახვილით ხელში“ (6, 12, 13; გვ. 27). წმიდა მეფე დავით აღმაშენებელი თავის მიერ დაწერილ „გალობანი სინანულისანში“ აღნიშნავს „ისრაელისა მეფეთა ებაძვედ“. სწორედ ბიბლიურ მეფეთა დავითის და სოლომონის მაგალითზე იგი ააგებს ახალ ტაძარს. „რამეთუ მოიგონა აღშენება მონასტრისა და დაამტკიცა, რომელიც გამოირჩია მადლმან საღმრთომან ადგილსა ყოვლად შუენიერსა“. დავით აღმაშენებლის შემთხვევაშიც ღმერთმა გამოირჩა ტაძრის აგების ადგილი. როგორც აღვნიშნეთ „გელათი“ მემატთანეს ნახსენები არა აქვს. ს. ყაუხჩიშვილის ვარაუდით, რაც ხელნაწერებმა დაადასტურეს, „ხოლო სახელი მისი გელათი“ ჩანართს წარმოადგენს (გვ 26). როგორც მიიჩნევენ, „დავით აღმაშენებლის მიერ გელათი მოაზრებულია იერუსალიმის ანალოგიით ტაძრებისა და კარიბჭეების ერთ მთლიან სივრცედ. დიდი ქართველი მეცნიერი ვახუშტი ბატონიშვილი თავის ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ გვაცნობებს: „ალაშენა აღმაშენებელმან დავით მეფემან და უწოდა სასუფეველს გენაათი და აწ უწოდებენ გელათს“ (7; 753). მართლაც საინტერესოა, აღნიშნული მოსაზრება. ბიბლიური მეფე დავით წინასწარმეტყველი იერუსალიმის ერთ-ერთ „კარიბჭე ტაძარში დაიკრძალა“ მისმა მემკვიდრემ კი, სოლომონ მეფემ, განასრულა იერუსალიმის ტაძარი, რომელიც დავით მეფემ ჩაიფიქრა.

ასევე წმიდა მეფე დავით აღმაშენებელიც „კარიბჭეში“ დაიკრძალა და გელათის მონასტერი მისმა მემკვიდრემ - დემეტრემ, დაასრულა. საინტერესოა, რომ ამ კარიბჭესთან ზემოდან მიღებით ჩამოდიოდა წყალი, მომლოცველები განიბანებოდნენ, მოწესრიგდებოდნენ და შემდეგ კარიბჭის გავლით მოსალოცად შედიოდნენ ტაძარში.

ცნობილია, რომ დავით აღმაშენებელმა პირველმა შექმნა

სამეფო მონასტრები, გელათი თვითონ ააგო, დავით გარეჯის და შიო მღვიმის მონასტრები კი სამეფოდ აქცია. ასე რომ, მის პერიოდში საქართველოში სამი სამეფო მონასტერი არსებობდა, რომლებიც უშუალოდ, მეფეს ემორჩილებოდნენ. სამეფო მონასტერს ეკისრებოდა გარკვეული ძღვენი, რომლებიც ამ მონასტრებს უნდა გაეღოთ. მაგალითად, დავით გარეჯის მონასტრის ძღვენის შედგენილობა განსხვავებული იყო გელათური ძღვენისაგან. „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ მოცემულია ამ ძღვენის შედგენილობა და მოხმარების წესი, რაც მოწმობს მის საგანგებო მნიშვნელობას მეფის ოჯახისათვის. (42; 24)

წმიდა ექვთიმე თაყაიშვილს მიაჩნდა, რომ ხელმწიფის კარის გარიგება გელათში ან გელათის მახლობლად იყო დაწერილი, მის ერთ-ერთი მუხლში ჩამოთვლილია მეფის მისართმევი ძღვენი - „გელათური ძღვენი საჭარმაგეო სეფისკვერი, სამი შეკანული ღვინო, ზუთხი და სატალახე ცხენი ფიცხლივ მოაგებონ საქრისტეშობოთ მომავალს მეფესო“ (23; 10).

როგორც ამ ტექსტიდან ჩანს, მეფეს ჩვეულებად ჰქონია ქრისტეშობისთვის გელათს გამგზავრება და მონასტერს ძღვენი უნდა მიერთმია. დავით გარეჯს უფრო დიდი ძღვენი ემართა.

XIX საუკუნის 40-იან წლებში გელათში იმყოფებოდა ა.მურავიოვი. მან დაათვალიერა და აღწერა გელათის მონასტერი. იგი თავის წიგნში - ორ მეტად საინტერესო საკითხზე საუბრობს, რომელიც წმიდა მეფე დავით აღმაშენებელს ეხება. როდესაც იგი წმიდა გიორგის ტაძარზე საუბრობს, აღნიშნავს, რომ „წმიდა გიორგის ეკლესია უძველესია ყველა ტაძრებს შორის, რომელიც დაარსებულია დავით აღმაშენებლის მიერ, იმავე ადგილზე, სადაც გამოეცხადა მას დიდმოწამე და მიუთითა ტაძრის აგება. მეფე მანამდე ფიქრობდა, რომ ტაძარი აეგო ცოტა ზემოთ. დავით მეფესთან ერთად ამ დროს ლოცულობდა მისი მოძღვარი არსენი „რომელმაც სასწაულებრივი გამოცხადებისას გაიგონა მხოლოდ ციური ხმა და დაინახა,

როგორ ხრიდა დავით მიწამდე თავს, რადგან ღირსად არ თვლიდა თავს დიდმოწამესთვის თვალი გაესწორებია“. ალბათ, ეს კიდევ ერთი დადასტურებაა დავით მეფის უდიდესი სარწმუნოებისა (112; 208). მას წმიდა დიდმოწამე გიორგი მხოლოდ დიდგორის ბრძოლის დროს არ გამოცხადებია და შესაძლოა ასეთი სასწაულებრივი გამოცხადება წმიდა მეფის ცხოვრებაში არაერთი ყოფილა. ამის დამადასტურებელია დავით აღმაშენებლის ცხოვრებაში მომხდარი კიდევ ერთი დიდი სასწაული, „მეფეთა შორის გამორჩეული დავით აღმაშენებელს, აეჭვებდა ნადვილად აქ იყო საუფლო კვართის სამყოფელი და ხშირად ფიქრობდა: „რა ვიცით, რა არის ამ კონქის შიგნით, ან რას ვცემთ თაყვანს?“ - ერთხელ გზად მიმავალი მეფე შევიდა სვეტიცხოველის ტაძარში, მივიდა სვეტთან ამგვარი დაბრკოლებული გონებით მოილოცა და წავიდა. ღამით, როგორც კი ჩასთვლიმა, ესიზმრა მოხუცებული კაცი, ძველთა დღე, ბრწყინვალე ნათლით განათებული, რომელიც სვეტის თავზე იყო მჯდომარე და რომლის სახის ბრწყინვალეობაც ძნელი გასაძლები იყო ადამიანთა თვალისათვის. მეფე ამ საოცარი ხილვით გაკვირვებული და შეშინებული იყო. ძველთა დღემ მიმართა მეფეს „დავით, არა უწყვი, თუ ვინ ვარ აქ. იცოდეთ ყველამ, ის, ვისაც ჩემი სასოება აქვს, არასოდეს იქნება შერცხვენილი. ნუ იქნები ურწმუნო ჩემ მიმართ, რადგან ვისაც ჩემი არ სწამს, ისინი სასჯელს მიიღებენ“.

ცხენზე ამხედრებული მეფე მაშინვე გაემართა ეკლესიისკენ. ეკლესიაში შევიდა, ცისკრის ლოცვა სრულდებოდა. იოანე პატრიარქს და ტაძრის მრევლს გაუკვირდა მეფის უდროოდ მისვლა.“ დაჩოქილი მეფე ცრემლით იატაკს ალტობდა და შენდობას სთხოვდა ღმერთს თავის ურწმუნოებისა და შეცდომისათვის“ (17; 30).

წმიდა მეფე დავით აღმაშენებელს სასწაულებრივად გამოცხადა ყოვლადწმიდა სამების ერთ-ერთი ჰიპოსტასი ძე - „უჟამოჟამი“, „ძველ დღეთა“, რომელიც სუფევდა ხორციელად შობამდე. სწორედ ამ ხილვის შემდეგ დავითის სურვილით მის

მიერ აგებულ გელათის მონასტრის საკურთხეველის თავზე დაიწერა ფრესკა „ძველ დღეთა“, „უფალი“ - ირგვლივ ქერუბიმებით, ისევ როგორც ძველ აღთქმაში ერვენა „ძველ დღეთა“ უფალი დანიელ წინასწარმეტყველს. გელათში მთავარი ტაძრის ჩრდილოეთ ნაწილში საკურთხეველთან გახლავთ წმიდა კეთილმსახური მეფის დავითის ფრესკა, თანამედროვე ეტაპზე ჩვენ საშუალება გვეძლევა ვისილოთ უდიდესი მეფე მთელი თავის დიდებულებით. გელათის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის ჩრდილოეთ კედლის ქვედა რეგისტრში მოთავსებულია მრავალფიგურიანი პორტრეტი, რომელზეც წარმოდგენილია საქტიტორო XVI ს-ის ისტორიულ პირთა გამოსახულებანი. გრძელი მწკრივის სათავეში დგას მონასტრის დამაარსებელი დავით აღმაშენებელი ეკლესიის მოდელით ხელში. წმიდა მეფეს ხელში უჭირავს აღმოსავლეთისაკენ, საკურთხეველისაკენ მიმართული გუმბათიანი ეკლესიის მოდელი. მეორე ხელში გრავნილი. ზედა მარჯვენა კუთხიდან, ცის სემენტრიდან მეფისკენ დაშვებულია ღვთის მაკურთხეველი მარჯვენა. მეფის ფრესკას თან ახლავს მისი ვინაობის განმსაზღვრელი წარწერა, რომელიც განთავსებულია შარავანდის ორივე მხარეს, ორ სვეტად, მაგრამ იკითხება ჰორიზონტალურად სტრიქონების მიხედვით: „დიდი, მეფეთა შორის წარჩინებული, აღმაშენებელი საუკნოდმცა არს ხსენებაი მისი, ამინ:დავით“ (124; 6).

დეკანოზი დავით ღამბაშიძე ძალზე შთამბეჭდავად აღწერს დავით მეფის ფრესკას: „დავითი ყოფილა ძალიან ღამაზი კაცი, თვალები ჰქონებია დიდი შავი და აზრიანი, წარბები სწორი და სქელი, რომელნიც ამშვენებდნენ დავითის მალალს შუბლს, ცხვირი სწორე და მუდამ მღიმარე ტუჩები, მოკლე და შავი წვერი და შავი თმა ამშვენებდნენ თურმე დავითის ზომიერ თავს. მეფე დავითს თავზე ახურავს ოქროსგან გაკეთებული და ძვირფასი ქვებით მორთული დაბალი გვირგვინი. ეს გვირგვინი ძალიან წააგავს ბიზანტიის იმპერატორის გვირგვინებს“ (106; 19).

წმიდა მეფეს აცვია ბიზანტიური სამეფო სამოსი, გრძელი ძვირფასი ბისონი, რომელიც მორთულია მარგალიტებით და ძვირფასი ქვებით. „ბისონის მწვანე ქსოვილზე მსხვილი სტილიზებული მცენარეული ორნამენტის სახეა დატანილი. მომრგვალებული ფორმის გვირგვინი, საიდანაც საფეთქლებს გასწვრივ ეშვება პენდილიები“. მეფის ფეხსაცმელი არის ყვითელი, დაბალქუსლიანი, მარტივი ორნამენტით. დავით მეფის წელში გამოყვანილი კაბა ასახავს XII-ს-ის შემდეგ გავრცელებულ სტილს, მეორე მხრივ კი ადრინდელი, მეფის თანამედროვე სამოსის დამახასიათებელ ნიშანსაც ატარებს (გვ-7).

საქართველოში დღესდღეობით გელათში გვაქვს შემორჩენილი ყველაზე სრულყოფილი და დაუზიანებული დავით აღმაშენებლის ფრესკა, რომელიც დავითის გარდაცვალებიდან ოთხასი წლის შემდეგ არის შესრულებული, მაგრამ როგორც ფრესკის გამოკვლევით დადგინდა XVI ს-ის მხატვრობის ქვემოთ შეინიშნება უფრო ძველი შრე.

დავით მეფის გამოსახულება, როგორც ჩანს, ხელშეუხებელი დატოვეს. ეს მტკიცდება იმით, რომ ახალი XVI-ის. ბათქაში მოდის დავით აღმაშენებლის გამოსახულებამდე (122; 6). როგორც ხელოვნებათმცოდნეები მიიჩნევენ - დავითი იხატებოდა უმეტესად მოციქულთასწორ მეფე კონსტანტინესა და მისი დედის ელენეს გვერდით, გელათშიც ამ მეფეთა გვერდით არის იგი წარმოდგენილი. რაც შეეხება ფრესკას, რომელიც შეიცავს XVI-საუკუნეზე უფრო ძველი მხატვრობის ელემენტებს, შეიძლება XVI საუკუნეში ძველი ფრესკის საფუძველზე გააახლეს. მნიშვნელოვანია, რომ წმიდა მეფის თავს ზემოთ მარჯვენა მხარეს გამოსახული ღვთის მაკურთხეველი მარჯვენა ასახავს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობას, რომ ღვთის განსაკუთრებული შეწევნა და მადლმოსილება მთელი ცხოვრების მანძილზე იფარავდა წმინდა მეფეს.

საქართველოს მრავალ ტაძარში არსებობდა დავით აღმაშენებლის ფრესკა. დღესდღეობით როგორც მეცნიერები მიიჩნევენ, წმიდა მეფის ფრესკები დაზიანებული სახით შემორჩენი-

ლია ატენის სიონის, ბოჭორმის, დავით გარეჯის ნათლის-  
მცემლის მთავარი ტაძრის მხატვრობაში, ალვანის ბაზილი-  
კაში.

ასევე მიიჩნევენ, რომ სინას მთის წმიდა გიორგის ხატზე  
მოთავსებულ პორტრეტზე დავით მეფეა გამოსახული. დავით  
აღმაშენებელი საზღვარგარეთ არსებულ კერებს და კერძოდ,  
სინას მთას დიდ დახმარებას უწევდა.

XIX საუკუნეში დავით მეფის ფრესკა ყოფილა გამოსახული  
ქვათახევის მონასტერშიც.

თინათინ ვირსალაძე ვარაუდობდა, რომ დავით აღმაშენებ-  
ლის გამოსახულებამ შეცვალა ტაძრის ადრინდელ დეკორში  
წარმოდგენილი მეფის პორტრეტი. ძველი პორტრეტის არსე-  
ბობის სასარგებლოდ შეიძლება მიუთითებდეს ისეთი დეტა-  
ლიც, როგორცაა გელათის ტაძრის მოდელი, რომელზეც სამ-  
ხრეთი ფასადი იმ სახითაა წარმოდგენილი, როგორც იყო იგი  
აგებისას, მინაშენების გარეშე (124; 10). მინაშენი ეკვტერები  
რ. მეფისაშვილის მიხედვით კი აგებულია XII ს-ის II მეოთხედ-  
ში. ამ ფრესკის საშუალებით შესაძლებლობა გვეძლევა წარ-  
მოვიდგინოთ წმიდა მეფის განსაკუთრებით დიდი ფიზიკური  
მონაცემები, როგორც ამას მისი მოძღვარი არსენი აღწერდა  
„მაღალი ვითარცა ფინიკი ნერგთა შორის; შუენიერ, ვითარ-  
ცა ვარდი ყვაფილთა შორის: აღმატებულ, ვითარცა სამოთხე  
ქუეყანისა შორის, ძლიერი ვითარცა ლომი მხეცთა შორის...  
ბრძენ, ვითარცა სოლომონ მეფეთა შორის“ (22, 124-125; 11).  
ძველად, როგორც დავით ღამბაშიძე აღნიშნავს, გელათში და-  
ცული იყო წმიდა მეფის ნივთები, რომლებიც მეფის ტანსრუ-  
ლობაზე მიგვიითითებენ. „დავითის ნაქონი ბეჭედი, რომელში-  
აც თავისუფლად შედის კაცის ხელის სამი თითი, მეფის ნაქო-  
ნი ქოშები, რომელნიც მოქარგულნი არიან ოქროთი და მარ-  
გალიტებით: ეს ქოშები ორჯერ მეტია ჩვეულებრივ ქოშებზე  
და მეფის ქუდი“.

დავითის ბეჭედი XIX საუკუნეში ნ. კონდაკოვმა და დ. ბაქ-  
რაძემ აღწერეს და ფოტო გადაუღეს. ოქროში დაფერილ ბე-

ჭედზე გამოსახული იყო წმიდა დიდმოწამე გიორგი. ბეჭედზე იყო წარწერა: „წმ. გიორგი, ძალითა შენითა ვსძლევ მტერთა ჩემთა“. ზ. ავალიშვილის მიხედვით ბეჭედზე სხვა წარწერაც ყოფილა: „ჯვართა მტერთა მძლეველი მე, დავით, ვარ უძლეველი“ (72; 155). ბეჭედს ჰქონდა ხუფი წმიდა ნაწილებისთვის, როგორც მიიჩნევენ ბეჭედში ჩაბრძანებული იყო „ცხოველსმყოფელი ჯვრის“ ნაწილთან ერთად წმიდა გიორგის ნაწილიც. კეთილმსახური მეფის მთელი სასოება მიმართული იყო უფლისადმი და მას განსაკუთრებული პატივისცემა გააჩნდა წმიდა გიორგისადმი. მის ცხოვრებაში იყო მრავალი შემთხვევა, როცა ხილულად გამოეცხადა „ძველ დღეთა უფალი და დიდმოწამე გიორგი“. აღნიშნულ ბეჭედზე ჩვენ ქვემოთ კიდევ გვექნება საუბარი. რაც შეეხება მეფე დავითის ქოშებს და ქუდს - მათი ადგილ-სამყოფელი უცნობია.

1125 წელს წმიდა მეფე დავითი შიომღვიმის მონასტერს აძლევს სიგელს: „ძემან ჩემმან დემეტრე ძელი ცხოვრებისაი და ნაწილნი წმიდათანი, ორი მოთხე საესე, ესე თვით ამას ჩემსა ეკლესიისა შინა იყოს“ (71; 4). მეფის სურვილია, რომ უდიდესი სიწმინდე „ძელი ცხოვრებისაი“ (ჯვარი რომელზეც მაცხოვარი ევნო) და ორი კიდობანი წმიდა ნაწილებით საესე დააბრძანოს გელათში, რომელსაც იგი უწოდებს „ჩემსა ეკლესიას“.

„უფლის ჯვრის“ ნაწილი საქართველოში წმიდა ნინოს დროიდან იყო, ხოლო „ორი მოთხე საესე სიწმინდეები“ დავითმან ან საქართველოს რომელიმე ტაძრიდან შესწირა, ან, შესაძლოა, უცხოეთის რომელიმე მონასტრიდან ჩამოაბრძანა. სიწმინდეები შესწირა დავითმა გელათის მონასტერს, თუმცა ამ სიწმინდეების ნაწილი შედეგ „გელათის დიდ სანაწილეში“ ჩააბრძანეს. დავით მეფის მიერ გელათისადმი სიწმინდეების შეწირვა უდავოა, ვინაიდან 1820 წლის გელათის მონასტრის აღწერაში მოხსენებულია დავით აღმაშენებლის მიერ გელათისადმი შეწირული დიდი სანაწილე: „საკურთხეველში, კვ. სანაწილე ვერცხლისა, მოოქროვილი, საშუალო ზომისა და კუბო ვერცხლის სანაწილედ“. სამწუხაროდ, აღნიშნული სა-

ნაწილად ამ აღწერიდან რამდენიმე წელიწადში იკარგება.

წმიდა მეფე დავით აღმაშენებელმა გელათში დააარსა სასულიერო აკადემია, რომელიც იყო ღირსეული გამგრძელებელი საქართველოში დიდი საღვთისმეტყველო და მეცნიერული მიღწევებისა, რაც მიმდინარეობდა მანამდე ათონის მთაზე, შავ მთაზე, პეტრიწონსა და წმიდა მიწაზე. დავით მეფე, თუკი მის მოღვაწეობას დაუკვირდებით, ასრულებს და სრულყოფს წმიდა გიორგი მთაწმინდელის სურვილს, შეგონებას, როცა იგი საქართველოში იყო XI ს-ის II ნახევარში და სამეფო ხელისუფლება და ეკლესიის მაღალი იერარქიები ამხილა. სწორედ რუის-ურბნისის საეკლესიო კრების (1103) შემდეგ დაარსდა აკადემია, რომელმაც საქართველოს სულიერ ცხოვრებაში უმთავრესი როლი ითამაშა. სწორედ გელათში უნდა მიეღოთ უმაღლესი სასულიერო და საერო განათლება ადამიანებს, რომლებიც შემდგომში საერო და საეკლესიო ხელისუფლების მაღალ თანამდებობაზე გვევლინებოდნენ. სულიერი მნიშვნელობით „მეორე იერუსალიმი“ და „სხვა ათინა“ მეცნიერული მიღწევების თვალსაზრისითაც არათუ ჩამოუვარდებოდა, არამედ აღემატებოდა კიდევაც უცხოეთში არსებულ სხვა აკადემიას. მრავალმა მეცნიერმა მიუძღვნა ნაშრომი გელათის სასულიერო აკადემიას - ექ. თაყაიშვილმა, კ. კეკელიძემ, ს. ყაუხჩიშვილმა, ბ. ლომინაძემ, ვ. ჩაკვეტაძემ, გ. მჭედლიძემ, მ. ნიკოლეიშვილმა, დ. მელიქიშვილმა და სხვებმა. თუმცა საბოლოოდ დაწვრილებით მაინც არ არის შესწავლილი აღნიშნული საკითხი, ასევე მომავალში აუცილებელი იქნება იმ უძვირფასეს თხზულებათა გამოკვლევები და კომენტარები, როლებიც გელათში შეიქმნა XII საუკუნიდან XIX საუკუნის ჩათვლით, ასევე იქ მოღვაწე მოძღვართმოდვრებისა და მოღვაწე მამათა ცხოვრებანი.

დავით მეფის ისტორიკოსი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „მუნვე შემოკრიბნა კაცნი პატიოსანნი ცხოვრებითა და შემკულნი ყოველთა სათნობათა“, უცხოეთში თუ საქართველოში მოღვაწე მამები, რომლებიც „სულიერი და ხორციელი სათნოებით



იყვნენ აღსაყენი“. როგორც მიიჩნევენ, დავით აღმაშენებელმა გელათის აკადემიაში მოიწვია იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი, ხუცეს-მონაზონი თეოფილე და იოანე ტარიჭის ძე (114; 38). რაც ყველაზე მნიშვნელოვანია დავითის პერიოდის გელათში მოღვაწეობს მოძღვართ-მოძღვარი. „ხელმწიფის კარის გარიგების“ 23-ე მუხლი გვაუწყებს: „მოძღვართ-მოძღვარი დარბაზს აწვიონ, და შინაური დარბაზის ერი უნდა და ერთი ჯორი და სამი ცხენი, მოძღვართმოძღვრისათვის და ორნი მისთა მოწაფეებისათვის“ (23; 29).

ექვთიმე თაყაიშვილი მიიჩნევდა, რომ „მოძღვართმოძღვარი ბერია და ეპისკოპოსის ხარისხიც უნდა ჰქონდეს. ის ყოველთვის პირველად იხსენიება ოთხ წარჩინებულ და დიდ ხარისხოვან მონაზონთა შორის. განსაკუთრებულ პატივს მიაგებდა მეფე მოძღვართმოძღვარს დარბაზის შეკრებაზე: „მოძღვართმოძღვარი შევიდეს და ეთაყვანოს მეფესა და მერმე მეფეც ეთაყვანოს. ხელნი სრულიად დასხნეს ნატაკსა ზედა და მომრგვალებით ეთაყვანოს, გინა დამრუდებით, მეფე ნოხთა პირსა მოგებვის და მოესალმოს: „მოიხსენე ბრძანოსო“. წავიდეს და მარჯვენით გარდადგეს ახლო. კათალიკოსსა და ჭყონდიდელს „ეგრეთვე ეთაყვანოს და მეფემანცა ეგრევე ხელნი დაასხნეს დამხედებითცა, გინა ნოხსა ზედა მესამედი წამოიაროს“. მოძღვართმოძღვარი უფრო წინ დგას, ვიდრე ჭყონდიდელი, ქართლის და დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) კათოლიკოსები.

აკადემიაში სწავლება *trivium-guadrimum*-ის პრინციპზე იყო აგებული. აქ შვიდი საგანი ისწავლებოდა: გეომეტრია, არითმეტიკა, მუსიკა, რიტორიკა, გრამატიკა, ფილოსოფია, ასტრონომია. „ტრივიუმს“ წარმოადგენდა სამი დისციპლინა: გეომეტრია, არითმეტიკა და მუსიკა, იოანე პეტრიწის მიხედვით. იგი „ყოვლადწმიდა სამებას“ აკავშირებს, რადგან ადამიანთა „ცხოვრების და მუშაობის საფუძველია გეომეტრია, არითმეტიკა და მუსიკა“. „ქვეყნის სამზომლოი“ ანუ გეომეტრია, „რიცხუნი“ ანუ არითმეტიკა, „სამოსოი“ ანუ მუსიკა. იოანე

საღვთისმეტყველო მსჯელობისას „ყოვლაწმიდა სამებაზე“ ამბობს: „ნათელსა შორის შენსა ვიხილეთო ნათელი ძესა შორის სულისა მიერ წმიდისა“. ე.ი. მამა ღმერთის ნათელი სულიწმინდის საშუალებით გამოვლინდა ძე ღმერთში“. იგი აღნიშნავს, რომ გეომეტრიაში არითმეტიკასა და მუსიკაში სამი ძირითადი მონაცემია, რომელიც „სამების“ სწავლის მოძღვრებას ემსახურება. გეომეტრიაში, ზედაპირი, წრეწირი და წერტილი „ქვეყანის მეზომეობაი დასდებს სამთა თვისდად პირველ ყოველთაისა და ორთა მათ ერთისა მიერ წარმოაჩენს, ვითავე და სული ერთისაგან მხოლოდობითსა მამისა“.

ასევეა არითმეტიკაში, რიცხვთა საფუძველი. ერთი-ორი და სამი ყოველი ერთისა მიერ იწარმოებვის... ერთი რაი იწარმოებდეს მეშვეობას, რიცხვთასა, ორი გზა მისდა არს, რამეთუ მიდრკა, ხოლო სამი დასაწყისი სხვათა რიცხუთა შორისაი“.

მუსიკაც სამ ხმაზეა დაფუძნებული: ესენია; მზახრ, ჟირ და ბამ. „რამეთუ უსწორობისაგან მორთულებათაისა მიეცემის სისწორე კეთილდადასვასა მორთულებისასა“.

შემდგომ უფრო მაღალ საფეხურს წარმოადგენს (quadrium): რიტორიკა, გრამატიკა, ფილოსოფია, ასტრონომია. ძველი ბერძნული ტრადიციის საფუძველზე „იოანე პეტრიწი რიტორიკის სამ სახეს ასახელებს: სათათბიროს, საპაექროსა და საზეიმოს (თანამზრახველობისა), მეპაექრობისა, დღესასწაულებისა. გრამატიკის შინაარსი კი ასეა ჩამოყალიბებული: კითხვა-გამოთქმა, სტროპები, ენათმეტყველება, ეტიმოლოგია, ანალოგია და ნაწარმოებთა გარჩევა-ფილოსოფია სამი სახისა: პრაქტიკული, თეორიული და დიალექტიკა (საქმიითი, მხედველობითი და „განმსიტყუელობითი ხელოვნება“).

ასტრონომია კი არის „ვარსკვლავთმრიცხველობა“.

მკლევართა მოწმობით გელათის პირველ მოძღვართმოძღვრად იოანე პეტრიწია მიჩნეული. არსებული გადმოცემით იგი ირიცხებოდა იმ 80 ყმაწვილს შორის, რომლებიც გიორგი მთაწმინდელმა XI ს-ის 60-იან წლებში ათონის მთაზე წაიყვანა სასწავლებლად. მას ასევე უსწავლია მანგანის აკადემიაში,

მიქაელ ფსელოსისა და იოანე იტალოსის ხელმძღვანელობით დაუფლებია თეოლოგიას და ფილოსოფიას. სავარაუდოდ იგი ხანგრძლივად მოღვაწეობდა ეფრემ მცირესთან შავი მთის იოანე საკვირველმოქმედის მონასტერში. როგორც მიიჩნევენ იოანე პეტრიწი გელათში მუშაობდა - მისი დაარსებისთანავე - ალბათ, 1106 წლიდან (15; 9). როგორც ცნობილია, იგი დავით აღმაშენებელმა საგანგებოდ მოიწვია „დავითის გამგეობისა და წყალობითა და თანადგომისა მინდობილმან“ მთელი ძალით დაიწყო მოღვაწეობა „აწ შეძლებისაებრ და ძალისა ჩემის აწცა ვიღონო“ (49; 28). თუმცა გავლენიანმა თანამემამულეებმა მაინც დაუწყეს მას დევნა, მაგრამ იგი წმიდა მეფე დავით აღმაშენებელმა შეიფარა და მისი წყალობით გააგრძელა გელათში ბრწყინვალე საღვთისმეტყველო და სამეცნიერო მუშაობა. ამას თვითონვე აღნიშნავს იოანე პეტრიწი, რომ თავის საფილოსოფოსო ნაშრომი დაუწერია „კელინსა შინა გაენათისასა“. იოანე პეტრიწმა საკმაოდ ბევრი ფილოსოფიური, საღვთისმეტყველო თხზულება თარგმნა, თარგმანებს თან ურთავდა კომენტარებს, ნემესიოს ემესელის „ბუნებისათვის კაცისა“, პროკლე დიოდოხოსის „ფილოლოგიის ელემენტები“, რომელსაც დაურთო ვრცელი ორიგინალური თხზულება „განმარტებაი“, იოანე სინელის „კლემექსი“ (სათნობათა კიბე), იოსებ ფლავიოსის „მოთხრობანი იუდევებრისა სიტყვა დასაბამისობანი“, მას მიაწერენ „გალობანი წმიდათანის“ იამბიკონად შეთხზვასა და გელათურ „კანტენებიანი ბიბლიის“ თარგმანს. დღესდღეობით შემორჩენილია მისი ორი კრებული A1108 და Q1152. თავისი მნიშვნელობით და შედგენილობით „გელათის კანტენებიანი ბიბლია“ უნიკალურია. ორივე ნუსხას აკლია დასაწყისი „ლევიტელთამდე“, ხოლო ბიბლიის „კიმენური“ ტექსტის თარგმანი ვრცელია სქოლიოებითურთ „რუთის წიგნამდე“ განხორციელებული (51; 24). განმარტებათა ექსპერტიზების ავტორთა სახელები ხელნაწერის არშიებზეა მიწერილი სინგურით, ამ ავტორთა შორისაა: კირილე ალექსანდრიელი, თეოდორ კვირელი, ორიგე-

ნე და აპოლინარი, ევსევი კესარიელი და სევეროს ანტიოქიელი, დიოდორე ტარსელი, იოანე ოქროპირი, ისიდორე პელუზიელი, დიდიმოს ალექსანდრიელი, ბასილი კესარიელი, ირინეუსი, ფილონ ალექსანდრიელი, გრიგოლ ნოსელი, იუსტინე მოწამე და სხვა (126; 26).

გელათის ბიბლიაში თეოდორე კვირელის განმარტებები - 183 კითხვა-მიგებაა, როგორც ვ. ჯუღელმა დაადგინა და სიტყვა-სიტყვით თარგმნა ბერძნული დედნიდან. სქოლიოებში ასევე უმცროსი მთარგმნელების - აკვილას, სვიმასოსის და თეოდოტიონის სახელები სამეულშია, რომლებმაც ძველი აღთქმის ბერძნული ტექსტი ზემიწევებით დაუახლოვეს ებრაელ დედანს. გელათის ბიბლია, როგორც მიიჩნევენ, ანტიოქური სკოლის კანტენებიანი ბიბლიის კრებულის თარგმანს უნდა წარმოადგენდეს.

ამავე პერიოდში, დაახლოებით 1114 წლიდან, გელათში მოღვაწეობს ღირსი მამა არსენ იყალთოელი. იგი თეოფილე ხუცესმონაზონთან და იოანე ტარიჭისძესთან ერთად ჩამოსულა საქართველოში და ეფრემ მცირის მოღვაწეობის უშუალო გამგრძელებლად მოიაზრება.

XI ს-ის ბოლოსა და XII-ს-ის დასაწყისისათვის, როცა განვლილია ეტაპი ეფთვიმე მთაწმინდელის განმანათლებლური მოღვაწეობისა, „ეფთვიმეს მიერ „ჩვილი ერის“ რძით გამოკვების“, არსენმა „მცირე სჯულის კანონის“ ნაცვლად თარგმნა „დიდი სჯულის კანონი“.

„წინამძღვრის“ ნაცვლად შეადგინა უზარმაზარი დოგმატიკურ-პოლემიკური კრებული „დოგმატიკონი“, რომელიც 72 თხზულებისაგან შედგება და მართლმადიდებლური სარწმუნოების ერთგვარ ენციკლოპედიას წარმოადგენს (13; 25). თარგმნა გიორგი ამარტოლის „ხრონოგრაფი“, მასვე მიაკუთვნებენ კანონიკურ თხზულებას „რუის-ურბნისის ძეგლისწერა“. ცნობილია, რომ არსენ იყალთოელმა „დიდი სჯულის კანონი გელათში თარგმნა“. გარკვეული დაპირისპირების გამო იგი ტოვებს გელათს და გადადის აღმოსავლეთ საქართველოში,

სადაც იყალთოს აკადემიას უდგება სათავეში. ზუსტად არ არის გარკვეული როდის დატოვა მან გელათის მონასტერი, სავარაუდოდ - XII საუკუნის 20-იან წლებში.

ქართველი ერის სულიერ მდგომარეობაზე უდიდესი გავლენა იქონია გელათში შექმნილმა საღვთისმეტყველო, სალიტერატურო და მეცნიერულმა ნაშრომებმა. ამ საქმის დამწყები და უშუალო შემოქმედი გახლდათ წმიდა მეფე დავით აღმაშენებელი, რომლის ღვაწლიც ფასდაუდებელია, შესაძლოა, სწორედ გელათში დაწერა წმიდა მეფემ „გალობანი სინანულისანი“, სადაც მკლავნდება მეფის განსაკუთრებული სიმდაბლე და წმიდა წერილის უებრო ცოდნა. დავითის მემატიაზე, მის თხზულებას ასე ასრულებს „სადა იგი აწ მკვიდრ არს და იქცევის ნათელსა შინა ღმრთეებისასა. რამეთუ იყო მაშინ თუე იანვარი ოცდაოთხი და დღე შაბათი, ოდეს ქრონიკონი იყო სამასორმოცდახუთი, ხოლო წელიწადი მისნი შობითგანნი ორმოცდაცამეტნი“ (77; 362). აღესრულა ქართველ მეფეთა შორის უდიდესი „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, „მესიის მახვილი“, იგი დასაფლავებული იქნა გელათის მონასტრის სამხრეთ კრიბჭეში. „რაოდენისამე დროსა, ოდეს წმიდა ეკლესიამ შერაცხა დავით მეფე წმიდათა შორის, დიდის მოწიწებით იქმნა აღმოსუენებელ წმიდა ნაწილნი მისნი და დაკრძალულ გაენათის საკრებო ეკლესიის ტრაპეზის ქვეშ“. (62; 512)

როდის შეირაცხა მეფე დავითი წმინდანთა დასში? ერთი გადმოცემით გარდაცვალებიდან ძალიან მალე რამდენიმე წლის შემდეგ. სხვა ინფორმაციით უფრო გვიან. როგორც დავითის ისტორიკოსი აღნიშნავს, თხზულების დაწერის დროს მეფე უკვე გარდაცვლილი იყო, თუმცა მიუთითებს, რომ „იქცევის ნათელსა შინა ღმრთეებისასა“. შესაძლოა მის პერიოდში დავითი უკვე შერაცხეს წმინდანთა დასში. საბინინი აღნიშნავს, რომ „შემდეგ რაოდენისამე დროსა შერაცხა ეკლესიამ დავით მეფე წმინდანთა დასში“. ერთი კი ძალიან მნიშვნელოვანია - ქრისტიანული ტრადიციით, როცა ხდებოდა პიროვნების წმინ-

დანად შერაცხვა, მის წმიდა ნაწილებს საკურთხეველში ტრაპეზის ქვეშ კრძალავდნენ. არსებობს კიდევ ერთი ცნობა დავით აღმაშენებლის საკურთხეველში გადასვენების შესახებ. დავითის საფლავის ქვა, გადასვენების შემდეგ, „დაუტყვევს თავის-სავე ალაგს“ - ამას აღნიშნავს მურავიოვი, რომელიც გელათში XIX საუკუნის 40-იან წლებში იმყოფებოდა და საბინინიც. მურავიოვი კი კონკრეტულად მიუთითებს, რომ ნაწილი წმიდა მეფისა, გადატანილი იქნა, საიდუმლო ადგილზე საკურთხეველის ქვეშ დიდი მეფე სოლომონის მიერ, რათა გადაერჩინა ისინი ლეკების თავდასხმისაგან“ (113; 161).

ორივე დასახელებულმა ავტორმა დავითის საფლავის ქვაზე ხუცურად ამოიკითხა არსენ იყალთოელის მიერ დავითისადმი მიძენილი იამბიკო.

„როს ნაჭარმაგევს მეფენი თორმეტნი პურად დამეხსნეს.“

დეკანოზი დავით ლამბაშიძე აღნიშნავს: „დავითის გვამი მისმა მოძღვარმა არსენიმ მთელი სამღვდლოების თანდასწრებით დიდის პატივისცემით მიასვენეს გაენათის მონასტერში და დაასაფლავეს უმთავრესი ტაძრის შესავალ ეკლესიაში სამხრეთის მხრით“. ლოდზე აწერია 131-ე ფსალმუნის შემდეგი სიტყვები: „ესე არს განსასვენებელი ჩემი უკუნითი უკინისამდე, ამას დავემკვიდრო, რამეთუ მთნავს ესე“. დავით ლამბაშიძე აღნიშნავს, რომ „ამ ლექსის გარდა ამ ქვის ფიტარზე კიდევ სხვა წარწერაც ყოფილა, მაგრამ იგი დროთა განმავლობათა გამო წაშლილა, მაგრამ ხალხში ეს ლექსი დღესაც არის დაცული“ (106; 18).

დიუბუა აღნიშნავს: დედათა მონასტრის ქვემოთ მას უნახავს 1833 წელს კედლებში ჩასმული დიდი დოქები, შემოღობილი ადგილი ტერასებად ყოფილა დანაწევრებული, სადაც განლაგებული ყოფილა დავით III-ის მეუღლის ანას მიერ აშენებული პატარა ეკლესიის ნანგრევები. დღეისათვის ამ ადგილის დაფიქსირება არ ხერხდება. საინტერესოა, თუ დიუბუა საუბრობს დავით აღმაშენებლის მეუღლეზე, მაშინ მისი სახელი გურანდუხტია, თუმცა ეკლესიის არსებობა ძალიან

საყურადღებოა. შესაძლოა ეს ეკლესია ააგო დავით მეფის პირველმა მეუღლემ რუსუდანმა. რაც შეეხება გურანდუხტ დედოფლის დაკრძალვის ადგილს, იგი უცნობია. შესაძლოა, იგი მთავარ ტაძარში ან რომელიმე სხვა ტაძარში იყოს დაკრძალული.

გელათის მონასტერში ყოფილა ვრცელი ცხოვრება წმიდა მეფე დავით აღმაშენებლისა, რომელიც დაკარგულა მიტროპოლიტ დავით წერეთლის დროს XIX საუკუნეში, „რომელიც თითქოს თავის ნათესავს აჩუქაო, რომელიც შესაძლებელი არის, გამოაჩინეთ, ვისაც გაქვთ ეს საუნჯე ეკლესიისა“ - ითხოვდა თავის დროზე გ. საბინინი. მართლაც, აღნიშნულ ცხოვრებაში ძალზე ბევრი საინტერესო და მნიშვნელოვანი ინფორმაცია იქნებოდა უშუალოდ დავით მეფეზე და გელათის მონასტერზეც. XVIII საუკუნეში ანტონ კათალიკოსმა ახლად შეადგინა ქართველ წმინდანთა განგებანი, ხელახლა დაწერა საგალობლები და საკითხავები. წმიდა მეფე დავით აღმაშენებლის ხსენების დღედ, ნაცვლად 25 იანვრისა, 26 იანვარი დააწესა, ვინაიდან „კე იანუარსა არს დღესასწაული დიდისა მოძღვრისა და ღმთრისმეტყველისა (იგულისხმება გრიგოლ ღვთისმეტყველი) და არა ეგებოდა დატყვება ხსენებისა მისისა, და უკეთუ ამასა დავიდუმებდით, ყოვლად უსამართლოსამც შთავცვენით ბრალსა, რამეთუ სადმე დავით არა მოევიღინა ღმერთსა ჩვენდა, სრულიად აღზოცამცა ჩვენ შორის ბილწსჯულთა მახმადიანთა მიერ სახელი ქრისტესი“ (16; 13).

ზუსტად აფასებს კათალიკოს-პატრიარქი ანტონ I დავით მეფის მოღვაწეობას. დავით მეფის მოღვაწეობის შედეგად გაძლიერდა და გამტკიცდა ქართველ ერში ქრისტეს ჭეშმარიტი სარწმუნოება, არა მარტო იმ დროს, არამედ დღევანდელ დღემდე, წმიდა დავით მეფე არის მაგალითი სარწმუნოებისა,

---

„ხელმწიფის კარი გარიგების“ შემდგენელს ჩამოთვლილი ჰყავს თორმეტი მეფე: „ორნი ოსთა მეფენი, და კახთა მეფე და ალვანთა მეფე, წანართა მეფე სამნი ტაოულია მეფენი და სომეხთა მეფე და ტრაპიზონელი და შარვან-შაჰენი“

უებრო მებრძოლისა, ზნეობისა, მოწყალების გაღებასა, მსურ-  
ვალე მლოცველისა და როგორც ანტონ კათალიკოსი ბრძა-  
ნებს „შეუთხზვიდეთ გვირგვინსა ქებისასა“. წმიდა მეფე თავის  
ანდერძში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „დარჩა მონასტერი  
სამარხვი ჩემი და საძუალე შვილთა ჩემთა უსრულად და  
წარმყუა მისთვისაც ტკივილი სამარადისო, აწ შვილმან ჩემ-  
მან მეფემან დიმიტრი სრულ ჰყოს ყოვლითურთ საუკუნოდ  
სალოცავად ჩემთვის და მისთვის და მომავალთა ჩემთათვის,  
რომელი მომიცემია მათგანსა ნურას მოაკლებს და ადგილნი,  
რომელნი მიშოვნია უმკვიდრონი და უმამულონი მათგანიცა,  
ვითარცა ბერმან არსენი და კათალიკოსმან გამოარჩიონ, მე-  
ფემან დიმიტრი მიცემითა წერათათა და სიგელითა განასრუ-  
ლონ ყოვლითურთ უნაკლულად“ (61; 513). ამ სიტყვებით  
მთავრდება წმიდა მეფის ანდერძი, რომლის ბოლო ნაწილში  
მეფე კვლავ გელათზე საუბრობს, ანდერძში გარკვევით ჩანს,  
რომ დავით მეფემ, რომელსაც „სამარადისო ტკივილი მიჰ  
ყვება“, ვერ მოასწრო გელათის მონასტრის დამთავრება. იგი  
თავის შვილს - დიმიტრის უბარებს, რომ დაასრულოს მონას-  
ტერი, რომელიც უნდა გამხდარიყო დავითისათვის, მისი შვი-  
ლისათვის და მთელი მისი მომავალი თაობისათვის საუკუნოდ  
სალოცავ (მოსდებოდა მათი მოხსენიება ყოველთვის) ტაძრად.  
დავით მეფე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რაც მას შეუწირავს  
გელათისთვის, ნურავინ შეეცდება მის მოკლებას, ასევე იგი  
უბარებს არსენ ბერს და კათალიკოსს, რომ „უმკვიდრო მამუ-  
ლები“ გამოერჩიათ და შეეწირათ გელათისათვის, რომელიც  
დემეტრე მეფეს უნდა დაემტკიცებინა თავისი სიგელით. შემ-  
დგომში ყველა მეფე ცდილობდა შეესრულებინა დავით აღმა-  
შენებლის ანდერძი, შეეწირათ გელათის მონასტრისთვის გა-  
მორჩეული სიწმინდეები და მამულები. გელათი შეიქმნა ქარ-  
თველ მეფეთა საძვალედ, ამ დროიდან გაერთიანებული სა-  
ქართველოს ყველა მეფე იკრძალებოდა გელათში, რამდენიმეს  
გამოკლებით, ნაწილი კი - საქართველოს უმთავრეს ტაძარში  
- სვეტიცხოველში.



წმიდა მეფე დავით აღმაშენებელმა დემეტრეს თავის სიცოცხლეშივე, დაადგა გვირგვინი: „ვითარცა პირველმან დავით სოლომონი, ...ამანცა დადგა თავსა გვირგვინი მშვენიერი, ქვათაგან პატიოსანთა“... (61; 511).

დემეტრე I-მა მამის ანდერძი ღირსეულად აღასრულა. მან დაასრულა გელათის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის აგება და მოხატვა.

ტაძრის აგება რომ 1130 წელს დასრულდა, ამ ფაქტს „დადიანთა ქრონიკა“ გვაუწყებს. ცნობილია, რომ დემეტრეს დროს მოხდა გელათზე სამხრეთიდან ეკატერის, ხოლო დასავლეთიდან ნარტექსის მიშენება (50; 8).

თუკი დასრულებული გელათის ღვთისმშობლის ტაძრის კურთხევა 1130 წელს მოხდა, მას უთუოდ დავით აღმაშენებლის თანამედროვე კათალიკოს-პატრიარქი იოანე VI აკურთხებდა (შესაძლოა კურთხევა ძვ. სტ. 8 სექტემბერს აღსრულდა ტაძრის დღესასწაულზე). „იოვანე ყოვლადღირსი მთავარეპისკოპოსი, კათალიკოსი და ყოვლისა საქართველოსა დიდი მამამთავარი, ...სიმშვიდითაცა სულისაითა მიმსგავსებული მოსესი, და მსგავსად დიდისა სამოელისა წინა მლოცველი ერისა და მცხებელი მადლით სრულყოფადთაი“.

დაახლოებით 1155 წელს დემეტრე I ბერად აღიკვეცა დამიანეს სახელით და დავით გარეჯის უდაბნოში დაეყუდა, თუმცა შვილის - დავითის, გარდაცვალების გამო კვლავ ტახტზე ავიდა.

დავით აღმაშენებლის შემდეგ გელათში დაიკრძალა მისი შვილიშვილი დემეტრე I-ის ძე დავით V, რომელმაც „იმეფა ექუს თუე და მოკუდა“, „დაფლეს მამათა თანა თუისსა გელათსა“ (18; 42).

საინტერესოა გელათის გულანის მინაწერი: „დავით მეფისა აღმაშენებლისა დიდისა მის მონასტრისა და ძისა მისისა მეფისა დანიილ მონაზონისა, საუკუნოდ არს სახსენებელი და

კურთხევა მათი“. გასაკვირი არ არის, რომ გელათში იხსენი-  
ებდნენ დავით აღმაშენებელსა და მის ძეს, მაგრამ აქ დამიანეს  
მაგიერად „დანიილ მონაზონი“ იხსენიება, შესაძლებელია, იგი  
დრო და დრო გელათის მონასტერშიც იმყოფებოდა. ცნობი-  
ლია, რომ დამიანე წერდა შესანიშნავ იამბიკოებს. ჩვენამდე  
მოდწეული იამბაკოებიდან გამორჩეულია შესხმა ღვთისმშობ-  
ლისა „შენ ხარ ვენახი“. დღესდღეობით საქართველოში დე-  
მეტრე მეფის ერთი ფრესკაა შემორჩენილი სვანეთში - მა-  
ცხვარიშის (ლატალი) ეკლესიაში. აქ გამოსახული ჯგუფური  
სცენა ძალზე საინტერესოა, სვანი ფეოდალები ხმაღს აბამენ  
დემეტრე I-ს, ხდება მისი მეფედ კურთხევა, ანგელოზი კი  
გვირგვინს ადგამს თავზე.

ძველად დემეტრეს ფრესკა დავითგარეჯის უდაბნოშიც ყო-  
ფილა გამოსახული. დემეტრეს ფრესკა აუცილებლად იქნებო-  
და გამოსახული გელათში დავით აღმაშენებლის ფრესკის გვერ-  
დით - და შესაძლოა სხვა ადგილზეც, მაგრამ თურქების თავ-  
დასხმის დროს იგი შესაძლოა დაზიანდა და XVI ს-ის მხატ-  
ვრობამ გადაფარა.

დემეტრე მეფემ შეამკო ხახულის ღვთისმშობლის ხატი, ამას  
ადასტურებს ორივე კარის ქვედა არშიაზე ასომთავრული იამ-  
ბიკო, შესაძლოა, ეს იამბიკო თავად დემეტრემ დაწერა.

„ვარ ძველსადვე მადლით ღ-თის მამაქმნილმან  
შენ აღჰყუავენ რაი მის შორის დედოფალი  
ამდიდრნა მკობად, ნიეთნი შ-ნ ღ-თის ტაძრისა  
ეგრეთ აწ დავით ღ-თის მორჩმან ესე:  
სულით სხეულით, ტაძრითურთ გძღუნნ ქწლო..  
ხოლო ახალმან ვესელიელ სოლომონ:  
ძეობით ფლობით მრსობლ ტალანტნა დემეტრე:  
და სამყაროს გზებრ, აცისკრა მორფი შ-ნი  
აწ ჟამსა /რ/ აელობის, ოხად ღ-თის მშობელო  
და ზენა /ქ/რისტეს შ-ბის...ფობად“

დემეტრე მეფემ ხატი შეამკო წმიდა ნაწილებით - ძვირფასი  
თვლებითა და მინანქრიანი ხატებით.

1157 წელს წმიდა დამიანე გარდაიცვალა „დემეტრე მეფე ბელტის ციხეს მიიცვალა და გელათს წარიყვანეს მისგანვე კურთხეულსა ახალსა მონასტერსა. ქრონიკონი იყო სამას სამოცდაათ ჩვიდმეტი“ (76; 239).

ღირსი დამიანე დაკრძალულია ღეთისმშობლის ტაძრის ერთ-ერთ ეგვტერში. სამწუხაროდ, წყაროები ზუსტ ადგილსამყოფელზე არაფერს გვეუბნებიან.

სიცოცხლის ბოლოს დემეტრე მონაზვნად აღიკვეცა - „წარვლო ცხოვრება და მოიწია სრულ-ქმნილი სიბერესა. შეიმოსა ჩოხა და იკურთხა სქემითა. დაყო წელიწადი ერთი და მოკუდა“ (77; 336).

„ქართლის ცხოვრება“ ზუსტ ცნობას გვაწვდის დემეტრეს შესახებ, მან მხოლოდ ერთი წელი დაჰყო ბერობაში და სქემითაც შემოსილა.

XII საუკუნის ბოლოს, 1184 წელს, აღესრულა ერთიანი საქართველოს მეფე გიორგი III, „უმაღლესი ყოველთა მეფეთასა, ...კეთილის მსახური ღმრთისა ...საყდართა, ეპისკოპოსთა მეუღაბნოვეთა, მღვდელთათვის კეთილის მყოფელი იყო“. ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიაზე საკმაოდ მწირ ცნებებს გვაწვდის, თუმცა აღნიშნავს, რომ გიორგი მეფე შეეწოდა ეკლესიას და სასულიერო პირებს დიდად უწყობდა ხელს. სამწუხაროდ არაფერია ნათქვამი მისი გელათში მოღვაწეობის შესახებ, თუმცა შესაძლებელია „მამა-პაპათა საძვალე“ გამშენიერდა და შეიმკო მის მიერ. მემატიაზე ძალზე გულდასმით გადმოგვცემს წმიდა თამარ მეფის შობის ფაქტს: „და მოსცა ღმერთმან შვილი გვირგვინის ცოლსა თანა ბურღუხანს, მსგავსად აღთქმით შობილსა, ვითარ ანნას სამოელი, რომლის მიერ გამოზრწყინდა სიპართლე და მრავალი მშვიდობა დღეთა მისთა“... და „იმეფა ოცდარვა წელი და მიიცვალა სტაგირს კახეთისასა, თუესა მარტსა ოცდაშვიდსა, სამშაბათსა ვნებისასა, და დამარხეს მცხეთას ჟამის სიძნელისაგან, და მასვე წელსა გელათს წაიყვანეს“ (77; 367).\*

\* აღსანიშნავია, რომ გელათში მეფეების გვერდით იკრძალებოდნენ თავიანთი მეუღლეები, ბურღუხან დედოფალიც გელათშია დაკრძალული მისი მეუღლის გვერდით

1184 წელს ტახტზე ადის წმიდა კეთილმსახური მეფეთმეფე თამარი, „ყოველთა მეფეთა შორის უდიდეს, სვიანი და ბედნიერი, ღვთის-მოშიში, ტკბილი სახიერი, ეკლესიათა და მონაზონთა მოყვარე“ (77; 368). თამარ მეფე გახლდათ მხურვალე მლოცველი, „ლოცვისა მოუყარე იყო დაუცადებელი: ვითარ მოწესებან უწინარეს ძალისა ლოცვა და ფსალმუნება გარდაისახა“. თამარის ორივე ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ მას განსაკუთრებული სასოება ღვთისადმი გააჩნდა, იყო გლახაკთა და დაერდომილთა პატრონი და შემწე. თამარის ორივე ისტორიკოსი მისი თანამედროვე იყო, თუმცა თამარის მეორე ისტორიკოსი - ბასილი ეზოსმოძღვარი, განსხვავდება თამარის პირველი ისტორიკოსის - „ისტორიათა და აზმათა“ ავტორისაგან, „რადგან იგი არ გვისურათებს სამხედრო მოქმედებებს, ასევე არც სამეფო დარბაზობის აღწერილობით ყოფილა დაინტერესებული, ავტორს არცერთი დარბაზობა, თვით მნიშვნელოვანი საზეიმოც კი, არა აქვს აღწერილი“ (4; 5). ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან იგი სასულიერო პირი გახლდათ, ამიტომ მისი ცნობები ძალზე მნიშვნელოვანი და სარწმუნოა.

თამარ მეფე ხშირად იმყოფებოდა გელათში, მთავარი ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთ წმიდა ანდრიას პირველწოდებულის ეკვდერს დღევანდელ დღემდე „თამარის ეკვდერს“ უწოდებს ხალხი. ცნობილია, რომ აქ ხშირად განმარტოვდებოდა მეფეთ-მეფე და „წმიდა ტაძარში წმიდა ცრემლს ღვრიდა“. ყველასათვის ცნობილია გადმოცემა, როცა თამარ მეფე წირვაზე წასასვლელად ემზადებოდა და სამეფო სარტყელზე ძვირფას ღილებს იმაგრებდა, მას მსახურმა მოახსენა, რომ მის კარზე ერთი უპოვარი ქალი იდგა და მოწყალეობას ითხოვდა. მეფემ ბრძანა დალოდებოდნენ, მაგრამ გამოსვლისას მთხოვნელი უკვე აღარ ჩანდა. ამის გამო თამარ მეფემ მოიხსნა თავისი სამეფო სარტყელი და „ხახულის ღვთისმშობელს“ შესწირა (70; 149). 1842 წლის გელათის ქონების აღწერილობაში თამარ მეფის სარტყელის შესახებ ნათქვამია: „ერთი სარტყელი შეკერილი ოქრომკედით, თვლებში მოჭედილი ვერცხლით და მოოქროვი-

ლი თვლებით შემკული და ერთი დიდი მარგალიტი ვერცხლის ჯაჭვით კიღია“.

დღესდღეობით არსებობს 1187 წლის სიგელი თამარ მეფისა გელათისადმი შეწირული. საბუთს უზის თარიღი: თამარის მეფობის მეათე ინდიკტიონი - (თამარის მეფობის ინდიკტიონი ათვლილია 1178 წლიდან) (81; 77).

სიგელი დაზიანებულია - „ქ. სახელითა ღმრთისითა მე, თამარ ბაგრატიუნთან, ნებითა ღმრთისითა აფხაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფემან და დედოფალმან, შარვანშა და შაპანშა ...ვინებე, რათამც წარსამართებლად მეფობის ჩემისად და კუალადცა შემდგომითი - შემდგომად მომავალისა ჩემისა სინათლისა, იესო ქრისტეს აღდგომასა ჟამსა სალხინებულად სულისგან მცირი საქმე ჩენილიყო“. ამ დროს უკვე თვით თამარ მეფე დიდ მონასტერს გელათს უწოდებს და ეს მონასტერი „მეფეთა პაპათა ჩემთაგან სრულქმნილისა, ყოვლითურთ შემკობილსა საყოფელს დედისა ღმრთისასა, სამკვიდრებელს დიდსა მონასტერსა გელათს, შინა, რომელი აღეშენა სალოცველად სულისა მათისად და წარსამართებლად შემდგომად მათსა მომავალთა ტახტსა მათსა ზედა მხდომთა მეფეთა“ (79; 25). ამ დროისათვის გელათი დამთავრებული და შემკობილი ყოფილა. იგი თავიდანვე „დედა ღვთისას“ სამყოფელად და ქართველ მეფეთა სულისა საოხად აუგიათ.

1193 წელს შამქორის ბრძოლის შემდეგ განძის ლაშქრობიდან დაბრუნებული თამარ მეფე და დავით სოსლანი „წავიდნენ ლიხთ იმერეთს“. თამარ მეფე ჯერ ბიჭვინთის ტაძარში მივიდა სალოცავად, შემდგომ გელათსაც ესტუმრა და ძვირფასი თვლებით მოაჭედინა „ხახულის ღვთისმშობლის ხატი“. „ერთ წელიწადს ქვეყანანი მიერთა დაიარეს და ყველას წესზედ მრავალი წყალობა დამართა და მივიდა ხახულსა გელათისასა და თავისი მორთულობა და ქალობისა და მეფობისა და დედოფლობის მოკაზმულობა მრავალი ძვირფასი თვალმარგალიტით მიართვა დედათა შინაგან ნაქებს მარიამ ყოვლადწმინდის სახეს და ოქროთი მოკაზმა. და ეს ნახსენები

თვალნი გვარნი ძვირფასისანი მასზედ და ააჭრელეს და ააყ-  
ვაფა განკითხვის დღის მოსახმარათ და დღესაც ასხენან“ (38;  
68).

შამქორის ბრძოლაში ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ „გა-  
იმარჯვეს ქართველთა და სუდუს ათაბაგი გააქციევს და მისი  
დროშა დაირჩინეს და გაგზავნეს გელათს. „წარგზავნა ესე  
მონასტერსა დიდსა წინაშე ხახულის ღვთისმშობლისასა“. ფარ-  
სადან გორგიჯანიძე აკონკრეტებს: „მართვეს დროშა ბაღდა-  
დის ხალიფისა შალვას ახალციხელს ეშოვნა და მისივეს ხე-  
ლით გაუგზავნეს საყდარსა გელათისასა“. წმიდა მოწამე შალ-  
ვა ახალციხელს თავისივე ხელით შეუწირავს ხალიფის დრო-  
შა გელათისათვის. საინტერესოა, რომ უკვე ამ პერიოდიდან  
ახალ მონასტერს უწოდებენ გელათს.

ამასვე ადასტურებს „ქართლი ცხოვრებაც“. თამარს ეს შეწი-  
რულობა აღუსრულებია „მსგავსად მამის პაპისა მათისა: მა-  
შინ მას წარეგზავნა ქუდისაგან დორბეზე სადაყაის ძისა,  
ჟამთა დიდგორთა გაქცევისათა, მანიაკი ოქროსა, შემკული  
თუალებითა, ძვირფასისათა“ (78; 73, 74). დიდგორის ბრძო-  
ლის ველზე გამარჯვების შემდეგ პირველად დავით აღმაშენე-  
ბელმა შესწირა ოქროს მანიაკი ხახულის ღვთისმშობლის ხატს.  
შემდეგ კი თამარ მეფემ შამქორის ბრძოლაში ბრწყინვალე  
გამარჯვების გამო შესწირა ხალიფას დროშა ხახულის ღვთის-  
მშობელს. ამის გამო თამარ მეფემ მადლობა შესწირა ღმერთს  
და იამბიკო მიუძღვნა, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია:

„ქალწულებრივთა შენთაგან სძალო,  
ობედ საიდუმლოდ ზენაისა განგებისად,  
ღვთისა ძისა ძედ მეშე იქმნენ არსთა მცხოვნად.  
მე, თამარ, მჩენი ტომთაგან დავითებთაით  
მამკე, შემამკე, მადიდე, აღმამაღლე!  
აწ მეცა ხელვყავ შემკობად ხატისა თქვენისა  
დედისა ძითურთ და მეც ძითურთ მფარვედ“.

იამბაკო შემოკლებითაა. ამ დროს თამარის მეგვიდრე ლაშა-  
გიორგი ჩვილი იყო და უფალს მის მფარველობას ევედრება.  
გელათის მონასტერში აშენებისთანავე თორმეტი მწირი ბე-

რი მოღვაწეობდა, მათ არ ჰქონდათ არაერთი საზრდელი, გარდა ალაპსა თუკი ვინმე გარდისდიდა, მაშინ გააჩნდათ ტრაპეზი. სხვა შემთხვევაში ბერებს ძალიან უჭირდათ. თამარ მეფე აღნიშნავს, რომ „ესე ეწყინა მეფობასა ჩვენსა“ „ამისთვის შევსწირე და მოვახსენე დიდსა ლავრასა და მუნ შინა დაუსრულებულად განჩენილსა ტრაპეზსა არგუეთს ჭოვრილა კავაისიძისა ტოლელისა“. თამარ მეფე გელათს უწოდებს დიდ ლავრას. შესაძლოა ამ დროს გელათში - მთელ სამონასტრო კომპლექსში, რამდენიმე ასეული ბერი მოღვაწეობდა. ამ პერიოდში, ალბათ, ეს თორმეტი მწირი ბერი მონასტრის გარეთ მოღვაწეობდა, გელათის ზემოთ მდებარე ძველ ეკლესიებსა და კლდეში ნაკვეთ სენაკებში. „დასხდებოდიან ყოვლიდვე დაუცადებლად იგი მწირნი თორმეტნივე ტრაპეზს; ვითა მას მონასტერსა შინა მყოფნი ძმანი დასხდებიან, ეგრევე თორმეტი მწირი დასხდებოდეს. და ჰქონდეს ტრაპეზით პური და ულოცვიდენ მეფობას ჩემსა, სოფელსა ამას შინა წარმართებისათვის და სიგრძისათვის დღეთასა, და მერმესა მას საუკუნესა შესანდობელად ჩემდა“. ამ სიგელს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს და ბევრ საინტერესო ინფორმაციას შეიცავს: პირველ სამეფო მონასტერში თორმეტი მწირი - განდევილი ბერი, ლოცულობდა მირონცხებული მეფის საკეთილდღეოდ, მეორე - გელათში ცალკე მოღვაწეობდნენ გალაენის შიგნით ბერები, ხოლო გალაენის გარეთ მთაზე მოღვაწეობდნენ მწირი ბერები. გელათის მონასტერში იყო განსაკუთრებული ტიპიკონი - ლოცვითი კანონი, ასევე ცალკე მიმდინარეობდა სამეცნიერო მუშაობა, საოქრომჭედლო საქმიანობა და ა.შ.

თედო ჟორდანიას თავის „ქრონიკებში“ მიუთითებს, რომ ეს სიგელი დაწერილია - თამარის მეფობის მეხუთე წელს - „დაიწერა ბ ბაი და სიგელი /ესე/ - ჩემი ინდიკტიონსა მეფობისა ჩემისასა მე/ხუ/თესა (ხელითა) საწოლისა და საჭურჭლისა მწიგნობარისა არსენ სამძივარისა (ითა)... ამ სიგელზე მიკერებული ყოფილა ტყავის ფურცელი, რომელზეც მიწერილია თვით თამარ მეფის ხელით ხვეულად „ქ.ესე /ვითადა/

მიწერი/ია/... ნ სასობით და გულსმოდგინებით ჩემის საქმი-  
სა... განაჩენი ჩემითა ხელითა ცოდვილითა დამიმტკ/იცებია“  
(55; 74). სიგელზე გადაკერებულ ტყავის ფურცელზე ყოფი-  
ლა ასევე დავით სოსლანის ხელმოწერა, რომელიც თავის  
თავს ერისთავს უწოდებს. სიგელს ხელს აწერს ასევე კათალი-  
კოს-პატრიარქი თეოდორე II (1188-1204 წ.წ.). „მტკიცე ყავ  
ღმერთმან ბრძანება მათ, მეცა, გლახაკი ქრისტეს მიერ კათა-  
ლიკოსი თეოდორე მოწამე და დამამტკიცებელი ვარ“. კათა-  
ლიკოსი თეოდორე - ანტონ ქუთათელთან ერთად იყო თამარ  
მეფის უახლოესი და ერთგული მხარდამჭერი.

XIX საუკუნის ერთ კრებულში არის მშვენიერ „სიტყუაობი-  
თითა ხელოვნებითა შეწყობილნი სტიხნი“, რომელიც მიარ-  
თვეს წმიდა კეთილმსახურ მეფე თამარს „მრავალთა მტერთა  
მძღველსა, ქმნილი გელათის მონასტერსა შინა და შენითვე  
მორთმეული აბდულმესია შავთელისაგან, პირველ ყოვლისა  
მდივნად ღირს სახსოვარისა მის მეფისა და შემდგომ მონაზო-  
ნების მიღებისა მის მონასტერსა შინა იოანედ წოდებულსა“.  
ღირს მამა იოანე შავთელს გელათში მიუღია განათლება და  
აქვე უთარგმნია „აბდულმესია“ და მიუერთმევია მეფისათვის.  
საინტერესოა, რომ წინათ იოანე ყოფილა მეფის მდივანი -  
შემდგომ კი იგი ბერად აღკვეცილა გელათის მონასტერში,  
შემდგომ იგი ვარძიაში მოღვაწეობდა და იქვე დაწერა გალო-  
ბანი „ვარძიისა ღვთისმშობლისანი“. როგორც მიიჩნევენ, ღრმად  
მოხუცებული ღირსი მამა იოანე შავთელ-გაენათელი გელათ-  
შია დაკრძალული.

წმიდა მეფე თამარი მეუღლის, დავით სოსლანის, გარდაცვა-  
ლების შემდეგ უფრო მეტ ხანს დაჰყოფდა გელათის მონას-  
ტერში. ერთი ცნობით დავით სოსლანი კარის ბრძოლაში დაჭ-  
რილა და ამის გამო გარდაიცვალა. იოანე ბაგრატიონის ცნო-  
ბით „დასნეულდა დავით მეფე და უკუნ იქცნენ ქართლადგე,  
გარნა გაუძნელდა სნეულება დავითს და ჩინებულთა აქიმთა-  
ცა ვერარა არგეს მას და გარდაიცვალა მეფე დავითი წელსა  
ქრისტეს აქეთ 1199 და დაფლეს გელათსა შინა“ (38; 126). ეს



ცნობა სავსებით რეალურია გარდა თარიღისა. თედო ჟორდანიას აზრით, დავით სოსლანი გარდაიცვალა 1207 წელს. მთავარი ის გახლავთ, რომ დავით მეფე გელათშია დაკრძალული.

როგორც მიიჩნევენ, გელათში, სასულიერო აკადემიაში, აქვთ განათლება მიღებული დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს, ჩახრუხაძეს, „ისტორიათა და აზმათა“ ავტორს, პეტრე გელათელს, კათალიკოს - არსენ ბულმანისიმისძეს, კათოლიკოს ნიკოლოზ გულაბერიძეს, იეზუიტებს და დიდ შოთა რუსთაველს (51; 29 ).

წმიდა მეფე თამარის ავადმყოფობამ მთელი ქართველი ერის უდიდესი ტკივილი და მწუხარება გამოიწვია, როგორც დიდი ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა. საკმარისია, ადამიანმა წაიკითხოს თამარ მეფის ავადმყოფობისა და სიცოცხლის უკანასკნელი წუთებისა და სიკვდილის მშვენიერი აღწერილობა, რომ იქ თანამედროვის გულისძგერა და ტკივილი ცხადად არ იგრძნოს. აღწერილობას თავზე ახლად დამტყდარი უბედურების ძლიერი შთაბეჭდილების გავლენა ეტყობა. რაღაც დედობრივი სენი აღმოაჩნდა თამარ მეფეს, მაშინ, როდესაც დასასვენებლად ბრძანდებოდა ნაჭარმაგევის სასახლეში. სატკივარს დიდხანს ჰფარავდა: „მორცხობის გამო, მაგრამ სატკივარმა თავი არ დამალა. შეიქმნა დიდი მწუხარება“. შემდეგ თამარ მეფე თბილისში გადაუყვანიათ, იქიდან კი - დასოს, ჭალიანს ადგილას, შემდეგ აგარას ციხეში, მაგრამ ყოველი ცდა ამო შექმნილა. „ავადმყოფმა პალატაში შეიწვია ყველანი, წამოიწია სარეცელზე, გადახედა ყველას, დალოცა და წარმოთქვა: „ძმანო და შვილნო, აწ მივიწოდები უხილავისა მიერ“, და აღმოუტევა სული წრფელი, მეტყველმან: „ქრისტე ღმერთო, შენ შეგვედრებ სამეფოსა ამას, რომელი შენ მიერ მერწმუნა, და ერსა ამას პატიოსანითა სისხლითა შენითა მოსყიდულსა, შვილთა ამათ ჩემთა, რომელი შენ მომცენ, და მერმე სულსა ჩემსა.“ „ასე აღესრულა მზე ქართლისა“ 18 იანვარს 1213 წელს ისნის სასახლეში, თბილისს (104; 73-74).

თამარის გარდაცვალებას ერთან ერთად იგლოვდა თვით ცა და დედამიწა. თამარ მეფის ისტორიკოსი მანსლობელ პირებს აბრალებს გაუფრთხილებლობას - „აქა საბრალობელ მოჩანს დიდად ერთგულნი იგი კაცნი, თუ ვითარ უგულვებელ ყუეს ეგოდენი ტკივნეულობა მისი“. საინტერესოა, რომ თამარ მეფეს გარდაცვალების წინ თავს ეხვია მისი ერთგული მსახურნი და სასულიერო პირნი, თვით ბასილი ეზოსმოდღვარიც.

გლოვის შემდეგ თამარ მეფე მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარში გადაასვენეს, სადაც მას ერმა თაყვანი სცა, შემდეგ კი - გელათში. მეფის დაკრძალვაზე სხვადასხვა პირებს წარმოუთქვამს გამოსათხოვარი სიტყვა, მათ შორის იოანე ჭიმჭიმელსაც.

თანამედროვე ეტაპზე და წინათაც თამარ მეფის დაკრძალვის ადგილის საკითხი ცილობის საგანი იყო. ზოგი მიიჩნევდა, რომ თამარი გელათში იყო დაკრძალული, ზოგი ვარძიას, იერუსალიმს, კვიპროსს და სხვადასხვა ადგილს ასახელებს\*, მაგრამ გაუგებარია, რატომ წარმოიშვა ასეთი გაურკვეველობა, როდესაც ყველა წყარო თამარ მეფის დროინდელი და შემდგომი დროსა სავსებით გასაგებად მიუთითებს, რომ თამარ მეფე გელათში გახლავთ დაკრძალული? შევეცდები წარმოვადგინო თამარის გარდაცვალებიდან დღემდე ყველა ის წყარო და ინფორმაცია, რომლის მიხედვით დასტურდება თამარ მეფის გელათში დაკრძალვის ამბავი. აქედან განსაკუთრებული მნიშვნელობის გახლავთ სამი წყარო - 1. თამარის პირვე-

---

ბატონმა ი. ლოლაშვილმა თავის ნაშრომში წარმოადგინა ის წყაროები, რომლის მიხედვით დასტურდება, რომ თამარ მეფე გელათში გახლავთ დაკრძალული, ასევე მან დაადასტურა, რომ თამარს ვერანაირ შემთხვევაში ვერ გადაასვენებდნენ იერუსალიმში. თუკი თექვსმეტი წლის მეფე ლაშა-გიორგიმ საფლავიდან ამოიღო დედამისის ცხედარი იერუსალიმში - ქრისტეს საფლავის ახლოს დასაკრძალად, თუკი ეს გადასვენება ნამდვილად მოხდა, უპირველესად ამ ფაქტს აღნიშნავდნენ თამარის პირველი და მეორე ისტორიკოსები. ასევე ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე და მოგვიანებით ჟამთააღმწერელი, მაგრამ თამარი დაკრძალეს გელათში და იქიდან არსად გადაუსვენებიათ. ისტორიკოსები თამარის გადასვენებაზე არაფერს ამბობენ,

ლი ისტორიკოსის, „ისტორიანი და აზმანის“ ავტორის, თამარის მეორე ისტორიკოსის - ბასილი ეზოსმოძღვრის და ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანის ცნობები.

1. „ისტორიანი და აზმანი“: „მიიცვალა მეფე თამარ მელსა დგომასა შინა მოიწია მწუხარება და მოუთხრობელი მკვიდრთა საქართველოსათა და ძნელად გამწარებულნი: იტყებდეს და ისხმოდნიან თავსა ნაცარსა და მტვერსა... და წარიყვანეს სამკვიდრებელსა მათსა გელათს და დამარხეს სამარხოსა პატიოსანსა“ (75; 302).

2. „ბასილი ეზოსმოძღვარი“: „და თამარ დაიძინა ძილი იგი მართალთა თუესა იანვარს იც... მაშინ აღმოიყვანეს და მცირეთა შინა დღეთა მცხეთად დადგეს, მე მერმე უკანასკნელ თვით მუნვე გელათს დაამკვიდრეს თვისსა შინა სამარხოსა, დიდებად მუნ შინა დამკვიდრებულთა პაპათა და მამათა მისთა სახელოვანთა მეფეთა თანა“ (78; 149).

3. ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანი: მეფობასა შინა დაყო ოცდასამი წელიწადი და აღვიდა წინაშე ღმრთისა, სადა იგი მკვიდროებენ წინასწარმეტყველნი და მამათ-მთავარნი და მეფენი, თუესა იანვარსა თორმეტს, დღესა ოთხშაბათსა, აგარათა სომხითისათა, ქრონიკონსა ოთხას ოცდაშვიდსა. დამარხეს ახალსა მონასტერსა გელათს (77; 369).

სამივე ეს მემატიანი გახლავთ თამარ მეფის თანამედროვე, რომლებიც უშუალოდ ესწრებოდნენ თამარ მეფის დაკრძალვას, თუმცა ისინი კონკრეტულ ადგილსამყოფელს არ მიუთითებენ, როგორც ი. ლოლაშვილი შენიშნავს, ცნობა თამარის სამარხის ადგილსამყოფელის შესახებ პირველად ჩნდება XIX საუკუნის 40-იან წლებში. ლაშა-გიორგის მემატიანი თამარ მეფის შესახებ აღნიშნავს: „აღვიდა წინაშე ღმრთისა, სადა იგი მკვიდროებენ წინასწარმეტყველნი, და მამათ-მთავარნი“. შესაძლოა, როცა მემატიანი ამ სიტყვებს წერდა, თამარ მეფე უკვე შერაცხილი იყო წმინდანთა დასში. ერთ საინტერესო ფაქტია, რომელსაც აქამდე არაფინ მიაქცია ყურადღება - გელათში თამარის გარდაცვალებამდე დაიკრძალა მისი მეუღ-

ლე დავით სოსლანი. ყველა შემთხვევაში თამარს მეუღლის გვერდით დაკრძალავდნენ, რადგან ეს ქრისტიანული ტრადიცია გახლდათ. როგორც მიიჩნევენ, წმიდა ანდრიას ეკველერში წარმოდგენილი დედოფლის ფრესკის სახის ნაწილი გახლავთ თამარ მეფის ფრესკა, ძალზე დაზიანებული. ფრესკის გვერდით, აღმოსავლეთით, კედელი მთლიანად დაზიანებულია. სწორედ ამ ადგილზე თამარ მეფის გვერდით შესაძლოა გამოსახული ყოფილიყო მეფე დავით სოსლანი. მოგეხსენებათ, ფარსადან გორგიჯანიძე გვაწვდის ცნობას: „წაასვენეს მამა-პაპათ საფლავსა - გელათ-ქუთაისსა - წმიდისასა - პატიოსანი - მეფეთ-მეფე თამარი (43; 38). შემდეგ პერიოდში თამარის საფლავის შესახებ ინფორმაცია გვაქვს 1619 წელს, როდესაც რუსეთის სამეფო კარზე იმყოფებოდა თეიმურაზ პირველის ელჩი - ქურმულოს არქიმანდრიტი ხარიტონი. დენილობაში მყოფი თეიმურაზი იმერეთს აფარებდა იმ ხანებში თავს. მიხეილ თევდორეს ძის კარზე არქიმანდრიტს ეკითხებიან, თუ სად აფარებს თავს მისი მეფე. არქიმანდრიტი იძულებულია რამდენჯერმე გაიმეოროს და დაუზუსტოს ქართლის მეფის ადგილსამყოფელი: „თეიმურაზი ახლა სცხოვრობს იმერეთში, სადაც დაკრძალულია წმიდა გვამი თამარ დედოფლისა“ (70; 189). არქიმანდრიტმა ხარიტონმა ზუსტად იცოდა თამარ მეფის დაკრძალვის ადგილი, ვინაიდან კეთილმსახურ მეფეს ყოველთვის განსაკუთრებულ პატივსა და სიყვარულს მიაგებდნენ.

მნიშვნელოვანია კიდევ ერთი ფაქტი, რომლის მიხედვითაც დასტურდება თამარის გელათში დაკრძალვის საკითხი. ქართლის მეფე ვახტანგ VI-ის მიერ მოწვეულმა „მეცნიერმა კაცებმა“ „ახალი ქართლის ცხოვრების“ შევსების მიზნით გარდა „ქართლის ცხოვრებათა“ და სიგელ-გუჯრებისა „სხუაცა წერილნი მოიხუნეს და გამოიყენესო“. ს. ყაუხჩიშვილის დაკვირვებით „შევსებულ „ქართლის ცხოვრებაში“ სწავლულ კაცთა დადგენილი ტექსტი არ წარმოადგენს მარტოოდენ ჯამს თამარის პირველი და თამარის მეორე ისტორიის ტექსტებისას. ზოგჯერ ის უფრო მეტია, ვიდრე ორი ისტორიის ტექსტის ჯამი (20; 13).

სწავლულ კაცთა კომისიას ხელთ ჰქონდა უფრო მეტი ინფორმაცია თამარის ცხოვრების შესახებ, კერძოდ: „გელათიდან და მცხეთის მონასტრიდან აიღო ვახტანგ მეფემ ცნობები ქართული ქრონრიკისათვის“ - აღნიშნავს გიულდენშტედტი, რომელიც გელათში იმყოფებოდა 1772 წელს (19; 147).

XVIII საუკუნეში მცხეთასა და გელათში არსებული სიგელ-გუჯრები ადასტურებდნენ თამარის გელათში დაკრძალვის ამბავს.

ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „თამარ მეფის სიკვდილის აღწერა მეტად მკრთალია და მოკლე: „მიიცვალა მეფე თამარ ხმელსა დგომასა შინა, მოიწია მწუხარება მოუთხრობელი“. თვით გარდაცვალების თარიღიც არ არის აღნიშნული. დასაფლავების შესახებ ნათქვამია: „წარიყვანეს სამკვიდრებელსა მათსა გელათს და დამარხეს სამარხოსა პატიოსანსა“. თუკი თამარ მეფე გადასვენებული იყო გელათიდან, მაშინ სწავლულ კაცთა კომისია, რომელსაც ყველა ცნობა გააჩნდა, აუცილებლად აღნიშნავდა, მაგრამ რეალობას ადასტურებდა და თამარის განსასვენებელ ადგილად გელათს მიიჩნევდა.

XVIII საუკუნეში რამდენიმე ცნობა არსებობს თამარის საფლავის შესახებ. 1730 წელს გარდაიცვალა იმერეთის მეფე ალექსანდრე V-ის მეუღლე მარიამი და მეფემ მისი დასაფლავება თამარ მეფის ეკვტერში გადაწყვიტა: „საცთურიანმა სოფელმა წარმიღო ჩემისა თვალისა ნათელი, მეუღლე ჩემი დადიანის ბეჟანის ასული, წარვიღე ცხედარი სასურველისა ჩემისა მეფეთა სასაფლაოს გელათს ზოლო საძვალენი მეფეთანი აღვსილ იყვნეს მრავლითა შეწირულებითა, ამისათვის ცალკედ ვინებთ მიღება მიცვალეზულისა ჩემისა, რამეთუ მენება საყვარელისა ჩემისა ეკვტერის გაპატეოსნება, რაოდენ ძალმედვა. იყვენ მუნ გელათსა კერძო მარჯვენით ეკვტერი დავიწყებული!!! ჟამთა ვითარებისაგან არავინ უწყოდა, თუ ვისი საძვალე ყოფილიყო ანუ სახელსა ზედა წმიდისა შენება საყდრისა. ხელგყავ გაშენებად და შემკობად მისა“. რაც შეეხება ამ ფაქტს, ალექსანდრე V იმერეთის მეფე გახლდათ და

მას ექნებოდა ინფორმაცია თამარ მეფის საფლავის შესახებ, შესაბამისად ქართველი ერის უდიდესი წმიდა მეფის საფლავს ალექსანდრე V არ შეეხებოდა, გარდა ამისა მას ამის საშუალებას „აფხაზეთის კათალიკოზი გრიგოლი და სხვანი მიტროპოლიტნი და ეპისკოპოსნი“ არ დაანებებდნენ.\*

საქართველოს ისტორიის ბრწყინვალე მცოდნე დიდი მეცნიერი ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავს: „ეკლესია ყოვლადწმიდისა ღვთისმშობლისა... აღაშენა აღმაშენებელმან დავით მეფემან და უწოდა სასუფეველს გაენათი და აწ უწოდებენ გელათს... ამა შინა დაფლულ არიან აღმაშენებელი, გიორგი, თამარ, ლაშა, რუსუდან, დავით, დავით და სხვანიცა“.

იოანე ბაგრატიონი: „იგლოვეს, ვითარცა ჩვეულება არს ქართველთა, და დიდის ცერემონიალით წარასვენეს გვამი მისი (თამარისი) გელათს და მუნ დაასაფლავეს“ (43; 39).

პეტრე ლარაძე: „დამარხეს გვამი მეფისა მის (თამარისი) გელათსა შინა“.

1819 წელს გ. ავალიშვილი იმყოფებოდა გელათში. ის მიუთითებს თამარის საფლავის დაახლოებით ადგილსამყოფელს, მაგრამ კონკრეტულ ადგილს მაინც ვერ აზუსტებს: „მარცხენა კერძო შინაგან წმიდისა ტაძრისა ამას კედლისა ზედა იხილვებიან სახენი საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ძეთა მათთა დავით აღმაშენებლისა და სხვათა. „იატაკი ვითარც საკურთხეველისა, ესრეთვე წინაშე კანკელისაც არს დაფენილი თეთრი თლილის ქვითა. ამას შინა არიან დაფლულ მეფენი: გიორგი, თამარ, ლაშა, რუსუდან დედოფალი, დავით, კუალად დავით და სხვანიცა, რომელთა სამარხვონი არღა უკუე იპოვებიან ადრით ჟამითვე“ (1; 19-20). გ. ავალიშვილს, შესაძლოა, მხედველობაში ჰქონდა ძალზე საინტერესო ფაქტი, ხომ არ იყვნენ გადასვენებულნი თამარ მეფე და სხვა მეფენი მთავარ ტაძარში, საკურთხეველის წინ, ან თვით თამარ მეფე

---

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, თითქოს, ალექსანდრე V-მ გაძარცვა თამარ მეფის ეკვტერი, რაც ფრიად საეჭვოა.

საკურთხეველში? ჯერჯერობით ეს საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

დაახლოებით 1800-1802 წლებში გელათში იმყოფებოდა ბერი იოანე ხელაშვილი, რომელსაც „აჩვენეს საფლავნი მეფეთანი და ამასთან თამარ მეფისა და დავით აღმაშენებლისა“ (70; 191). ე.ი. ამ დროს გელათში ბერებმა იცოდნენ თამარის საფლავის ადგილსამყოფელი. XIX საუკუნის 40-იან წლებში იმერეთის მიტროპოლიტი დავით წერეთელი მოახსენებდა რუს მეცნიერს ა. მურავიოვს, რომ „ამ ეკედერში, სოლომონის მამის, ალექსანდრე მეფის, დრომდე ყოველწლიურად თამარის ხსენების დღეს ახდიდნენ მისი საფლავის ქვას და პანაშვიდს იხდიდნენ“ (70; 191). მიტროპოლიტი დავით წერეთელი, წმიდა მღვდელმთავარ დოსითეოს წერეთლის ძმისშვილი და მისი გაზრდილი იყო. მას, ალბათ, ბიძისგან ეცოდინებოდა თამარის საფლავის ადგილ-სამყოფელი გელათში.

1772 წელს საქართველოში იმოგზაურა რუსეთის აკადემიის ნამდვილმა წევრმა ა. გიულდენშტედტმა. აგვისტოს თვეში იგი იმყოფებოდა იმერეთში და მოინახულა გელათის მონასტერი. „ეს მონასტერი არის იმერეთის პატრიარქის საჯდომი, ახლანდელს ჰქვია იოსები და არის მეფე სოლომონის მკვიდრი ძმა, ამბობენ, აქ არიან დასაფლავებული მეფე თამარი და სხვა მეფეები“ (19; 145). ეს გახლავთ საკმაოდ მნიშვნელოვანი ცნობა, ვინაიდან, შესაძლოა, ეს ცნობა მეცნიერმა უშუალოდ აფხაზეთის კათალიკოსის იოსებ ბაგრატიონისაგან მიიღო, შესაბამისობაში მოდის სხვა ცნობებთან.

თამარ მეფის საფლავის ძიების მცდელობა იყო ორჯერ. პირველად XIX საუკუნეში - „განსვენებული დ. ბაქრაძე იმ აზრის იყო, რომ თამარი გელათში უნდა ესვენოს და კიდევ გამოითხოვა ნებართვა იმერეთის ეპისკოპოსს გაბრიელისაგან

სამარხის საძიებლად. ის იატაკის აღებას აპირებდა გელათში, მაგრამ სიკვდილმა აღარ დააცალა (11; 177).\*

1833 წელს იმერეთი მოიარა ფ. დიუბუა დე მონპერემ, იგი გელათის მონასტერშიც იმყოფებოდა. მას აქვს ერთი საინტერესო ცნობა ერთ-ერთ ქრონიკაში, რომელიც ბ-ნმა ბარტნევმა გამოიყენა და რომლიდანაც თამარ მეფის მთელი ისტორია ამოწერა, არის გელათზე საუბარი. „გელათი აგებულია დავით აღმაშენებლის მიერ. მონასტრის შესასვლელში რკინის კარის ორი ფრთაა, რომელიც აღმაშენებელმა დარუბანდიდან ჩამოიტანა. აქვე განისვენებენ თვით ეს დავითი, გიორგი, თამარი, თავისი ვაჟითა და ასულით და იმერეთის სხვა მეფეები“ (145; 81). დიუბუას ეს ცნობა უფრო ძველი წყაროდან აქვს გადმოწერილი, ვინაიდან, XVIII საუკუნის II ნახევარში, სოლომონ I-ის დროს რკინის ერთი კარი დაჭრეს ლუსმნებად მთავარი ტაძრის გადასახურავედ.

მეორედ 1920 წელს ივლისში წმ. ანდრიას ეკვდერი გათხარა წმ. ექვთიმე თაყაიშვილმა: „დასავლეთ კედელზე ემჩნევა კიდევ ფიგურა მთელი ტანით და გულზე სამლოცველოდ მიდებულს ხელებით ვგონებ მეფისა. ამ ფიგურის ქვემოთ საფლაფია, რომელსაც თამარის საფლავს უწოდებენ. ჩრდილოეთ თაღზე ეკუდერისა დასავლეთისაკენ მეფის სურათი ყოფილა მთელის ტანით, ბიზანტიური სამეფო ტანისამოსით. მოჩანს კიდევ ზემო ნაწილი თავის გვირგვინით და შარავანდელით და წარწერა მარცხნივ თავისა:

მეფ-თა მეფეთა

---

გ. ლეონიძეს 1963 წელს მოსწრებულად უთქვამს - „თამარი რომ გელათიდან სადმე (მაგალითად იერუსალიმში) გადასვენებული ყოფილიყო ვახუშტი არ იტყოდა „დაფლულ არიან“ არამედ: თამარი გელათში დასაფლავეს და შემდეგ სხვაგან გადასვენეს“. იგივე შეიძლება ითქვას ყველა სხვა ისტორიკოსის შესახებ.



მ-ფე მეფე

მეფის სურათი დაკუთრებს საფლავს, რომელსაც თამარის საფლავს უწოდებენ, მაგრამ კომისიის შემოწმებით იქ აღმოჩნდა არა თამარის საფლავი, არამედ საოჯახო სასაფლაო, რომელშიც ოთხი მიცვალებულის ჩონჩხი იყო, მათ შორის ერთი კუბოთი ზემოთ და სხვები კუბოს ქვეშ. სასაფლაოს, თამარისად წოდებულს, ექვთიმემ უწოდა იმერეთის დედოფლის თამარის ეკედერი. თამარის საფლავის ქვის ზომა სიგრძით 1 მეტრი მნ სანტიმეტრია, სიგანით 92 სანტიმეტრი, კედლიდან მეორე საფლავის ქვის სიგრძე 1 მ. 90 სანტიმეტრია, განი - 96 სანტიმეტრი. „გაეხსენით საფლავი, კედლები საფლავისა ამოშენებულია გათლილის ქვებით - კუბოს გარეთ მარჯვნივ და მარცხნივ მიწაა და ამ მიწაში არეული კაცის ძვლებია“. ექვთიმემ ამ საფლავს უწოდა „საოჯახო საფლავი“. მასში დაკრძალულია ოთხი მიცვალებული. აღმოჩნდა დაბალი ქალის ჩონჩხი, ორი ახალგაზრდისა და ერთი ბავშვისა. ქალი, როგორც მიიჩნევენ, არის ალექსანდრე V-ის მეუღლე, რომელიც დაუმარხაეთ ადრე დაკრძალულ ცხედართა ძვლებზე. ორი უცნობია, ერთი კი - დავით-ნარინის შვილი - ვახტანგი უნდა იყოს, რომელიც ახალგაზრდა ასაკში გარდაიცვალა. თუკი აღნიშნული ფრესკა ეკუთვნოდა თამარ მეფეს და სავარაუდოდ, გათხრილი საფლავი თამარ მეფისა იყო, მაშინ დასკვნა ერთია - თამარ მეფე წმინდანად შერაცხვის შემდეგ, რაც, ალბათ, მისი გარდაცვალებიდან მალე მოხდა, გადაასვენეს საკურთხეველში, ისე როგორც წმ. მეფე დავითი. მაგრამ არსებობს ამ ფაქტის საწინააღმდეგო ცნობა: დეკანოზი დავით ლამბაშიძე 1909 წელს წერს - „გადმოცემით, ტაძრის მარჯვენა მხარეს, გვერდით ეკვდერში, რომელიც ნაკურთხია მოციქულ ანდრია პირველწოდებულის სახელზე, არის სახელოვანი დიდი მეფის თამარის საფლავი... გადმოცემით ცნობილია, რომ „სოლომონის მამის ალექსანდრე მეფის დრომდე თამარ მეფის ხსოვნის დღეს ამ ეკვდერში იხდიდნენ პანაშვიდს, რაც ნათლად ადასტურებს, რომ დიდი მეფის თამარის დაკრძალვის

ადგილი აქ არის, ამ ეკედერში და არა სხვა ადგილას“ (ალბათ, შეცდომაა, პანაშვიდი უნდა იყოს პარაკლისი, თამარ მეფე ზომ წმინდანია).

ძალზე საინტერესო ცნობას გვაწვდის თამარ მეფის ფრესკის შესახებ დიუბუა დე მონპერე. იგი 1833 წელს იმყოფებოდა გელათში და აღნიშნავს, რომ „დიდი ეკლესიის გვერდით ეკედერში არის მეფე გიორგი III-ის, მისი მეუღლის და მათი ასულის თამარის პორტრეტები. მეფის ტანსაცმელი არაფრით არ განსხვავდება ბაგრატის ტანსაცმლისაგან. მე გადმოვიხატე მწვანე ფერის „ოქროს არშიებით შემკული ძვირფასი ქვებით მორთული დედოფლის სამოსელი, წითელი ქვებითა და მარგალიტებით მოოჭვილ გვირგვინზე მას თეთრი ვუალი აქვს“ (145; 82). ფაქტობრივად თანამედროვე მეცნიერთა ვარაუდი იმის შესახებ, იყო თუ არა ანდრიას ეკედერში თამარ მეფის ფრესკა, დადასტურდა. თამარის ფრესკა უხილავს და გადაუხატავს კიდევ დიუბუას. ეს ინფორმაცია ძალიან ბევრ საკითხს ნათელს კჳენს. აღნიშნული ფრესკები დაზიანდა 1840-1860 წლებში, როცა გელათში წყალი ჩამოდიოდა და ფრესკებს აზიანებდა. ამ ფრესკებით დასტურდება, რომ ანდრიას ეკედერი იყო თამარ მეფის ოჯახის საგვარეულო საძვალე, სადაც დაიკრძალნენ მისი მშობლები, მეუღლე და მემკვიდრენი.

პეტრე ჭაბუკიანი აღნიშნავს: „მონასტრის ბერებმა დოდო ჭიჭინაძემ, ეპიფანე გაბელიამ, ეპიფანე ზაქარაშვილმა და სხვებმა 1910 წელს მიაშბეს, რომ თამარის გარდაცვალების დღეს ყოველწლიურად გელათის მონასტრის გაუქმებამდე თამარის საფლავზე (სამხრეთის კედელთან) პანაშვიდს ასრულებდნენ. საფლავს ახდიდნენ ქვას (სხვათა შორის, ფიქალს ერთი ნაპირი ჩამოტეხილი აქვს), აკლდამიდან ამოყრიდნენ სილას, ძვლებს დაანახვებდნენ ყველას“ (70; 192).

ბატონმა გივი ტყეშელაშვილმა ეს ორი მნიშვნელოვანი ცნობა თამარის საფლავის შესახებ თავის ნაშრომში გამოაქვეყნა, სადაც თამარ მეფის წმიდა ნაწილებზეც არის ინფორმაცია.

ქუთაისის მუზეუმში დაცული ერთი ხელნაწერის თანახმად თამარის საფლავზე ნათქვამია: „თამარ მეფე, ზეპირმეტყველებით წინაპრებისა, გადმოცემით უნდა იყოს დასაფლავებული წმიდა მოციქულის ანდრიას ეკვდერში (ეკვდერია პატარა), აღევს ქვა წაუწერელი და ჩაკირული შიშისათვის მამადიანთა, რომლებმაც სიცოცხლეში ვერ დაიმორჩილეს და სიკვდილის შემდეგ ემუქრებოდნენ ხელში ჩაგდებას მის გვაშისას და მისთვის საფლავი დაფარულია. ესეც ზეპირგადმოცემით არის და ქვეშ უნდა იყო წარწერა“.

თამარ მეფის საფლავის წარწერის შესახებ გვაქვს რამდენიმე ცნობა. ქუთაისის მუზეუმში არსებობს ერთი XIX საუკუნის კრებული, რომელიც ჯრუჭის მონასტრიდან არის შემოსული. როგორც ამ კრებულშია მინიშნებული: „ესე ვიხილე ძველთა მოთხრობათა და ისტორიათა საქართველოსა მეფეთასა და გარდმოსწერე, ვითარცა წერილი იყო“. „საფლავსა ზედა თამარ მეფისასა ესრეთ წერილ არს, როს ნაჭარმაგვეს მეფენი შეიდნივე პურად დამესხნეს“ (84; 345).

ეს ცნობა XIX საუკუნეში გადმოწერილი ყოფილა ქართველ მეფეთა ძველი ისტორიიდან. იგი სავსებით რეალურია, ვინაიდან სხვა წყაროც ადასტურებს აღნიშნულს. ხელნაწერთა ინსტიტუტის A ფონდის №1319 საბუთში აღწერილია იმერეთის ამბები, ბრძოლების თარიღები, მეფეთა გარდაცვალების წლები, კათალიკოს იოსების გარდაცვალება, ჭირის გაჩენა იმერეთში და ამ ფაქტების შემდეგ ეს ინფორმაცია ცალკეა გამოყოფილი - „თამარ მეფის საფლავზე წერია“:

„როს ნაჭარმაგვეს მეფენი შეიდნივე პურად დამესხნეს თურქნი, სპარსნი და არაბნი საზღვართა გარეთ გამესხნეს თევზნი ამერთა წყალთაგან იმერთა წყალში შთამესხნეს აწე ამისა მოქმედსა ხელი გულზედა დამესხნეს.“

როგორც ჩანს, ძლევაშობილ მეფეთ-მეფეს საფლავზე ისეთივე წარწერა გაუკეთეს, როგორც მისი დიდი პაპის, წმიდა მეფე დავით აღმაშენებლის საფლავზე იყო.

მარი ბროსე მიიჩნევდა, რომ „თამარი დაკრძალულია ვარ-

ძიაში, როგორც გადმოცემა ამბობს, და ან გელათში, როგორც მემატრიანე მოგვითხრობს“ (146; 177). დიდ მეცნიერს შალვა ამირანაშვილს მიაჩნდა, რომ „მემატრიანეთა ცნობების მისხედვით, გელათში დაკრძალულ მეფეთა (დემეტრე I-ის, გიორგი III-ის, თამარის, ლაშა-გიორგის) უცნობი საფლავები უნდა ვეძიოთ ტაძრის საკურთხეველში.“ ს. ყაუხჩიშვილი თვლიდა, რომ თამარის ეკვდერში არის თამარის საფლავი, რადგან ფრესკაზე წარმოდგენილია წარწერა - „მეფეთა-მეფე“, ქალთაგან კი მხოლოდ თამარი იყო მეფე. ცნობილი მეცნიერი სერგი მაკალათია მიიჩნევდა, რომ „მემატრიანის ცნობით თამარი დასაფლავებულია გელათში, მაგრამ შემდეგში მტრების შიშით ამ საფლავის ნიშნის ქვა გადამალული უნდა იყოს, მითუმეტეს, რომ მტერი შურისგების მიზნით შეურაცხყოფას აყენებდა მეფეთა საფლავებს“ (46; 58).

XIX-XX საკუნის საეკლესიო ისტორიკოსი მ. ჯანაშვილი ამ წარწერას თამარ მეფის თქმულად მიიჩნევს, ხოლო ტექსტი ოდნავ განსხვავებულია:

„ხაზართა თევზნი ბევრ რიგნი

ივერთა წყალში შთამესხნეს,

ამა საქმისა ხელმქნელსა

აწ მკლავნი გულსა დამესხნეს“.

მოსე ჯანაშვილი ცნობას გვაწვდის თამარ მეფის საფლავის შესახებ: „თამარი აღესრულა 1212 წ. 18 იანვარსა და ჰმარხია გაენათის დიდებულ მონასტერში“ (103; 90). ღირსმა მამამ იოანე შავთელ-გაენათელმა სპეციალური ქება მიუძღვნა გელათს:

„ახალო რომო, შენთვის თქვეს, რომო

უფროს იქმნესო მყოფთა ყოველთა.

ვნატრი ელაღსა, თვით მას გელათსა,

სად რომ დაჰკრძალვენ წმიდათ სხეულთა“.

ეს სიტყვები, ალბათ, თამარ მეფის გარდაცვალების შემდეგ წმიდა მამის გარდაცვალებამდე, 1127 წლამდე დაიწერა. ძველ გადმოცემაზე უნდა იყოს დამყარებული პ. ლარაძის ლექსი,

რომელიც XIX საუკუნეში დაიწერა. ამ ლექსს თამარ მეფის ანდერძსაც უწოდებენ:

„ანდერძი ნახეს მეფისა  
თამარის დატოვებული:  
ჰქმენითო სამნი კუბონი  
თვალ-ოქროთ გამშვენებული,  
ერთი დამარხეთ მცხეთასა,  
ერთი ვარძიას დებული  
მე დამმარხეთო გელათში  
არ მყონ თათართა ვნებული“.

1811 წლის 12 აპრილს თამარ მეფეს ბრწყინვალე შესხმა მიუძღვნა დავით რექტორმა: გთავაზობთ შემოკლებით

„ივერიელთა - მიერ ჟამით სახსენად,  
გიციან ყოველთა, და შენით მოქადულან,  
სპარსნი მძრწოლარნი, ინდია არაბადმდე,  
თვით კეისარი, ჰანგარად წოდებული  
ვით შეაძრწუნენ, წარტყუნევით ქვეყანათა:

სახელნი ზესთა, განფენილნი მარადის,  
ჰოი მეფეო თამარ, ქუელ-დიდებულო,  
ყოვლ სიკეთითა, ბუნებრივ შუენიერო,  
სად და ჰხდა ხატი, ელუარე ეთერებრი,  
გჰძრწვი თქმად და სიტყუად, უმჯობეს მღუმარება (7; 195-196).

XX საუკუნის დასაწყისში, როცა გელათის მონასტერი გა-  
ძარცვეს (ქვემოთ მოგახსენებთ), მაშინ დიდმა აკაკიმ, ამ საში-  
ნელი ფაქტის გამო ლექსი დაიწერა, რომელიც ძალზე გულში  
ჩამწვდომია. გთავაზობთ შემოკლებით:

„ძველი დიდების საჩინო ნაშთნი,  
შენი გელათი, დიდი ტაძარი,  
სადაცა ბრწყინაეს სული დავითის  
და თამარისა, ვითა ლამპარი,  
ის წმიდა ქოში, რომელსაც თამარ

ლოცვა ვედრების დროს გაიხდიდა  
და ფეხშიშველა, სამშობლოს მსხვერპლად  
წმიდა ტაძარში წმიდა ცრემლს ჰღვრიდა“.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის დღიდან, 1917 წლიდან, თამარობის დღესასწაულის აღნიშვნა კვლავ აღდგა. ტრადიციულად აღინიშნებოდა 1 მაისს - ახალი სტილით 14 მაისს. ცალკე აღინიშნება კიდევ თამარ მეფის ხსენება მენელსაცხებლუ დედების კვირას.

2005 წ. საქართველოს ეკლესიის წმ. სინოდმა კიდევ დააწესა კეთილმორწმუნე ქართველთა მეფის ხსენების დღე - ძველი სტილით 31 იანვარს და ახალი სტილით 13 თებერვალს. უდიდეს პატივს მიაგებს ქართველი ერი კეთილმსახურ მეფეს. 1915 წლის 1 მაისს ეპისკოპოსი ლეონიდე (შემდგომში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი) ქადაგებდა: „განა ყოფილა წაში, რომ თამარის სიყვარულს ფართო ალაგი არ სჭეროდეს ქართველი ერის გულში, თამარის ქება, თამარზე მღერა მცირე ხანს მაინც შეწყვეტილიყოს ჩვენს ქვეყანაში?.. იშვიათია ვინმე მათგანი ჩასწვდომოდეს ერს ისე ღრმად გულში, როგორც თამარი, იშვიათია, რომ სხვას ვისმე გაეთბოს ერის გულის ყველა კუნჭულები ისეთი ნაზი და დამატყვევებელი თანაგრძნობით, როგორც თამარ მეფეს“ (146; 19).

თამარ მეფის მემკვიდრეების - მეფე ლაშა-გიორგისა და რუსუდან დედოფლის გელათში მოღვაწეობის შესახებ დაწვრილებით ცნობები არ მოგვეპოვება. არსებობს ლაშა-გიორგის გელათისადმი შეწირულობის სიგელი. პირველის კურთხევა მომხდარა ბასიანის ომისა და დავით სოსლანის გარდაცვალების ახლო ხანაში. წყაროებით ვიცით მხოლოდ, რომ ორივე მეფე გელათში არის დაკრძალული. „მოკუდა გიორგი მეფე ბავანს იანვარსა თურამეტსა, დღესა ოთხშაბათსა. ქრონიკონი იყო ოთხას ორმოცდაორი. წარიყვანეს მაშინვე გელათსა, და-

მარხეს საფლავსა მამისასა მისისასა“ (77; 37). ძალზე საინტერესო გახლავთ ეს ცნობა, როგორც მიიჩნევენ გელათში ცალკე იკრძალებოდნენ მეფე მამაკაცები და ცალკე დედოფლები. ამის მიხედვით მემატრიანე თითქოს მიუთითებს კონკრეტულ ადგილსამყოფელს, სადაც დაკრძალეს მეფე ლაშა-გიორგი - „დამარხეს საფლავსა მამისა მისისასა“. როგორც ჩანს, ლაშა-გიორგი დაკრძალეს მამის დავით სოსლანის გვერდით, სავარაუდოდ მაცხოვრის სახელობის ეკვდერში. მაგრამ თუ ვივარაუდებთ, რომ დავით სოსლანი და თამარ მეფე ერთ ეკვდერში დაკრძალეს, მაშინ ლაშა-გიორგიც და რუსუდანიც წმ. ანდრიას სახელობის ეკვდერში იქნებიან დაკრძალულნი. ჟამთააღმწერელიც აღნიშნავს, რომ რუსუდან მეფე დაკრძალეს „სამარხოსა მამათა მათთას, მონასტრისა გელათს“ 1245 წელს. (78; 207)

დავით ნარინმა განსაკუთრებით დიდი ღვაწლი დასდო გელათის მონასტერს. რუსუდანის მემკვიდრემ „აფხაზთა, ქართველთა, კახთა და სომეხთა მეფემან, შარვანშა და შაჰანშა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთის მპყრობელმან, სასოსა და მფარველსა ხახულის ღმრთისმშობელსა მოწყალებით მინდობილმა“ (79; 73) იყიდა სოფელი საბანელა და შესწირა გელათს. დავით მეფეს განსაკუთრებული სასოება ხახულის ღვთისმშობლის ხატისადმი ჰქონია: „სათნო ვიჩინე მოხსენებად დიდს მონასტერს ხახულის ღმრთისმშობელს, რომელმან აურაცხელნი წყალობანი ყვნა ჩემზედა“. ყოველ მარიამობას ხახულის ხატს კანდელაკის ხელით უნდა მირთმეოდა ორმოცდაათი ლიტრი ცვილი (სანთელი) და მთელი წლის განმავლობაში დღეც და ღამეც „საუკუნოდა შეუცვლელად, ვიდრე ქვეყანა ყოფად იყოს, თხუთმეტი სანთელი ეკლესიასა შინა ენთებოდეს, ვითარ მოძღვარს ჩვენს ილარიონს გაუხსნია ხახულისა ღმრთისმშობელსა და სხუათა ხატთაცა წინაშე ნთებად ადგილთა“.

ყველა ხატის წინ სანთლების დანთება დაუდგენია მეფე დავით ნარინის მოძღვარს ბერ ილარიონ სოფრომისძეს, რომელიც მეფეს ოპიზის მონასტრიდან გადმოუყვანია და „მოუ-

თავსებია გელათისა ქედის ეკლესიაში და მისთვის უჩუქებია მშვენიერი ტყავის სახარება“. აღნიშნული სახარება გელათში 1920 წელს უნახავს ექვთიმე თაყაიშვილს, თუმცა იგი აღნიშნავს, რომ მეფეს მოძღვარი გელათის ქედის ეკლესიაში დაუდგენია, და სადაც ძველად ყოფილა მთავარანგელოზთა ეკლესია. აქ გაუგებრობაა, რადგან გელათის აღმოსავლეთით ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ მიმართულ ქედზე არის ელია წინასწარმეტყველის სახელობის ეკლესია.

ილარიონ სოფრომისძეს მეფის ნაბოძარი საფასით დაუხატვინებია და მოუჭედავს მომცრო მთავარანგელოზთა ხატი, ეკლესიისთვის შეუძენია ბარძიპ - ფეშხემი და ა.შ. (ხელ. ინსტ. ექვთ. ფონდი №333).

დაახლოებით 1260-67 წლებში დავით-ნარინის მეუღლე თამარმა - „საუკუნო ჩემისა სახსენებელი და სამწირველოსა გაჩენა გულსვიდგინე“. მან გელათს შესწირა სოფელი კვახჭირი, მესხეთს ერთი გლეხი და საღვინედ ფარცხანაყანევეს ციბაძე - „მწირველსა ჩემსა იოანე კანდელაკს“ (79; 76). აღნიშნული სიგელი გელათის დიდ მონასტერში დაუდევს თამარ დედოფალს. ამავე სიგელში წარმოდგენილი გახლავთ გელათის სამეფო მონასტრის სტრუქტურა - წინამძღვრების შემადგენლობა, რომელთაც დაუმოწმებიათ აღნიშნული:

1. „დიდისა მოძღვართ-მოძღვარისა, დავითის მწირველის ანტონისითა“. მოძღვართ-მოძღვარი ანტონი, რომელიც ამავე დროს მეფის მწირველი ყოფილა და იერარქიულად მონასტერში პირველი ადგილი ეჭირა.

2. „დიდის მონასტრისა წინამძღვრის, პატრონთა მწირველისა იოანესითა.“ გელათს ცალკე ჰყავდა წინამძღვარი იოანე, რომელიც ასევე სამეფო ოჯახისათვის წირავდა და იერარქიით მეორე იყო.

3. „პატრონთა გამზრდელისა, თამარის მწირველისათა, ილარიონ ფავენელისათა“. ეს იგივე ბერი ილარიონ სოფრომისძეა, რომელიც ყოფილა მეფის გამზრდელი და თამარ დედოფლისათვის მწირველი.

4. შემდეგი გახლდათ პეტრე დეკანოზი, რომელსაც საკმაოდ დიდი უფლებები ჰქონდა.



ასევე 1260-1267 წლებში თამარ დედოფალმა იყიდა სოფელი ჯიქეთონი თორმეტი გლეხით, მიწა-წყლით, მთით და ბარით და შესწირა დიდსა მონასტერსა გელათს - „საუკუნოდ სალოცველად და სააღაპოდ სულისა ჩემისად, ვიდრემდის წმიდა ესე მონასტერი ეგოს“ (79; 77).

სანთლიანი ალაპი განუჩენიათ ღვთისმშობლის შობის დღეს, ოცს სექტემბერს „და ყოველთა დღეთა ტრაპეზსა ზედა ხელდებით მოვიხსენებოდეთ“. ამ ღირსეულმა დედოფალმა, შესაძლოა, კიდევ მრავალი სიკეთე აღასრულა, თუმცა ჩვენ სხვა ცნობები არ გვაქვს. იგი გარდაცვალების შემდგომ გელათში დაკრძალეს, შესაძლოა წმ. ანდრიას სახელობის ეკვდერში. 1259-1293 წელს დიდისა მონასტრის დეკანოზმა იაკობმა „პატრონთა რუსუდანის ძისა დავით მეფეთ-მეფისა წყალობითა, მათად სადიდებლად და სულისა ჩემისა“ გელათის მონასტერს შესწირა: მაცხოვრის ბერძნული მოჭედილი ხატი - თვალ-მარგალიტითა „მისითა კუბოითა, ესე თვით ხახულისა ღმრთისმშობელსა წინაშე სასუენებლად მომიხსენიებთან“, ასევე თავის მკვიდრი მამული - მეფეთგან ბოძებული მალლაკის აბანოს სახლი, თხუთმეტი ლიტრი ზეთი - ხახულის ღვთისმშობელს, მამულები თავისი ყმებით და მიწა-წყლითა, ტყით და ველით შეწირა - ფარცხანაყანეეს, ზარათს, არგვეთს. როგორც ჩანს გელათის დეკანოზს ძალიან დიდი უფლებები გააჩნდა და მისი მიზანი საბოლოოდ იყო, გელათის მონასტერს უზრუნველი ტრაპეზი ჰქონოდა, სადაც მოიხსენიებდნენ ქართველ მეფეებს.

მეფე დავით ნარინს სიბერის ჟამს დიდი განსაცდელი ეწვია. მას გარდაეცვალა ვაჟი ვახტანგი, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოში მეფობდა. „შეედვა მცირე რამე სენი, სამ წელ ოდენ მეფე ყოფილი“. „ვეითარცა ცნა დავით სიკუდილი ვახტანგისი, განმწარდა სიკეთისა და სიჭაბუკისა მისისათვის და იგლოვა წესისამებრ და ფრიად პატივი სცა და წარგზავნა გელათს სამარხოსა მეფეთასა“ (78; 295). როგორც ვარაუდობენ, სწორედ ამ დიდი მწუხარების შემდეგ აღიკვეცა ბერად მეფე. დავით ნარინი გელათში და გარდაცვალებამდე იქ მოღვაწე-

ობდა. ამას ადასტურებს წმიდა ანდრიას ეკვდერის კედლის მხატვრობა, რომელიც 1291-1293 წლებით თარიღდება. აქ წარმოდგენილი გახლავთ დავით ნარინის ორი პორტრეტი - ეკვდერის დასავლეთ კედელზე, „შესასვლელი კარის თავზე, ცის სეგმენტის ფონზე გამოსახულია ქრისტეს ნახევარფიგურა, რომელიც მის წინაშე მდგომ მეფე-დედოფალს აკურთხებს“. დავით ნარინს აცვია სამეფო სამოსელი და იგი ახალგაზრდაა - უფლისკენ ვედრებად გაწვდილი ხელებით. დავით ნარინის გვერდით თამარ დედოფლია გამოსახული (101; 21). მეორე პორტრეტი დავით ნარინისა სამხრეთის კედლის დასავლეთ მონაკვეთზეა გამოსახული. აქ მას ბერის შესამოსელი აცვია და მოხუცებულია - „ხელები წინ აქვს გაწვდილი ცის სეგმენტიდან გამოწვდილი მაკურთხევეელი მარჯვენისაკენ. ორივე პორტრეტს ახლავს წარწერა: „მეფე დავით ძე რუსუდანის“. ორმაგი პორტრეტების გამოსახვა დამკვიდრებული ყოფილა ბიზანტიაში. ასეთი პორტრეტები, როგორც წესი, საფლავის თავზე გამოისახებოდა.

„დავით ნარინის ეს ორი გამოსახულებაც მისი ორმაგი პორტრეტი უნდა იყოს და, მაშასადამე, მეფის საფლავის პორტრეტიც. ღვაწლმოსილ მეფეს ჯერ კიდევ სიცოცხლეში შეუმკია და მოუხატია სახელოვანი ბების და შვილის ეკვდერი, ბოლოს თვითონაც იქ ჰპოვა სამუდამო განსასვენებელი.

XIV საუკუნეში ქართველ მეფეთა დაკრძალვა უკვე დაიწყეს გელათში ჩრდილოეთ მხარეს მდებარე მაცხოვრის ეკვდერში. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ წმიდა ანდრიას ეკვდერი უკვე შევსებული გახლდათ XIII საუკუნეში მოღვაწე მეფეთა ნეშტით (თამარი და მისი შთამომავლობა). ცნობილია, რომ წმიდა მოწამე დემეტრე თავდადებულის ნაწილები დაკრძალეს სვეტიცხოველის საკათალიკოსო ტაძარში, ხოლო მისი სახელოვანი ვაჟი, საქართველოს უდიდესი მეფე გიორგი ბრწყინვალე დაკრძალულია გელათში. თუმცა წყაროები პირდაპირ არ გვეუბნებიან ამ ფაქტს. თვით ვახუშტიც საკმაოდ ძუნწად გადმოსცემს გიორგის გარდაცვალების ამბავი: „მეფობდა მეფობითა კეთილითა ივერიასა ზედა კ-ც წელსა, შემდგომ გარ-

დაიცვალა ყოვლითა კეთილითა და ღუთისმსახურებითა სავესტფილისის ქ-სსა ჩ-ტმვ, ქართულსა ლ-დ“ (7;260).

გიორგი ბრწყინვალე გარდაიცვალა თბილისში 1346 წელს. ამის შემდეგ, შესაძლოა, დიდი მეფის სხეული დააბრძანეს სვეტიცხოველში, ხოლო შემდეგ მოხდა მისი გადასვენება და დაკრძალვა გელათში. XIX საუკუნის შუა წლებში გელათში იმყოფებოდა გამოჩენილი მეცნიერი პლატონ იოსელიანი. იგი აღნიშნავს, რომ გელათში მარცხენა მხარეს მაცხოვრის ეკვდერში მრავალი დიდებული მეფის განსასვენებელი არის. გელათური ტრადიციით გიორგი ბრწყინვალე დაკრძალულია მაცხოვრის ეკვდერში. დღესდღეობით კონკრეტული საფლავის ქვასაც უთითებენ ეკვდერის შუა ნაწილში, ჩრდილოეთ მხარეს, სადაც სავარაუდოდ უნდა იყოს დაკრძალული გიორგი ბრწყინვალე. ამ საკითხის გასარკვევად საინტერესოა იმ პერიოდის ეკვდერის კედლის მხატვრობა, სადაც აუცილებლად იქნებოდა გამოსახული გიორგი ბრწყინვალის ფრესკა, მაგრამ დღესდღეობით ეკვდერი გვიანი საუკუნეების ფრესკებით არის დაფარული. მათ შიგნით მდებარე ძველი ფრესკები კი, ალბათ, მრავალ საიდუმლოებას ინახავს.

1952 წელს გელათში, მაცხოვრის ეკვდერის შესასვლელში, აიღეს გვიანი პერიოდის ფრესკები, მათ შიგნით შესასვლელი კარის მარჯვნივ და მარცხნივ წარმოდგენილია ახალგაზრდა მეფე-დედოფლის მეფედ კურთხევის სცენა. ზოგიერთი მეცნიერი ვარაუდობს, რომ ამ ფრესკებზე წარმოდგენილია გიორგი ბრწყინვალე თავისი მეუღლით. თუმცა ხელოვნებათმცოდნეები ამ ფრესკას XV-XVI საუკუნით ათარიღებენ და მიიჩნევენ, რომ ფრესკაზე წარმოდგენილია იმერეთის მეფე ბაგრატ II. თანამედროვე ეტაპზე ყველა ისტორიულ წიგნსა თუ ნაშრომში გარკვევით აღნიშნავენ, რომ გიორგი ბრწყინვალე დაკრძალულია გელათში. ალბათ, მაცხოვრის ეკვდერში გახლავთ დაკრძალული გიორგი ბრწყინვალის ვაჟი მეფე დავითი XI, რომელმაც 14 წელი იმეფა და ვახუშტის მიხედვით „გეგუთს ყოფასა შინა გარდაიცვალა... და დაფლეს გელათს“ (7;261).

ვახუშტი არაფერს გვეუბნება, თუ სად დაკრძალეს დავით XI-ის მემკვიდრე მეფე ბაგრატ V (1360-1393 წ.წ.), რომელიც თემურ-ლენგის სასტიკ თავდასხმებს აღუდგა წინ. რაც შეეხება საქართველოს შემდგომ მეფეებს, ისინი უკვე მცხეთას, სვეტიცხოველში იკრძალებოდნენ.

1478 წელს გელათში დაკრძალეს ქართლ-იმერეთის მეფე ბაგრატ VI (1466-1478 წ.წ.). ვახუშტის მიხედვით „რაჭას დასნეულდა მუნ და მოკუდა და დაფლეს გელათს“. ბერი ეგნატაშვილიც იმავეს ადასტურებს. მნიშვნელოვანია, რომ ბაგრატ მეფის ფრესკა შემორჩენილი გახლავთ სამხრეთის კარიბჭის დასავლეთ კედელზე. ჩამოთვლილ მეფეთა გარდა გელათში იკრძალებოდნენ ბაგრატიონთა დინასტიის იმერეთის შტოს წარმომადგენლები. რაც შეეხება შემდგომ პერიოდს, საქართველოს დაშლის შემდეგ, გელათი გადაიქცა უკვე იმერეთის მეფეთა საძვალედ.

განსაკუთრებული ღვაწლი დასდო გელათს იმერეთის მეფე ალექსანდრე II-მ 1484-1510 წ. 1459 წელს ალექსანდრე მეფე, მეუღლე თამართან ერთად, „მეორე იერუსალიმის ტაძარსა ყდ წმიდისა ღ-ის-მშობლისა“ სწირავს მამულებს და ყმა გლეხებს: „განვაჩინეთ ჩნ-ისა სულისა (თვის) ამალლებასა დღესა აღაპი კარგაღებული ერთითა ხარითა და ერთითა ცხვარითა, ერთობით კრებულნი მამანი ს-დ ჟამსა გვიწირავდნენ სულისათვის ჩვენისა... ექვსი მღვდელი და მოძღვართ-მოძღვარი ჟამსა გვიწირავდნენ“ (55; 311). ქართველი მეფე-დედოფალნი ყურადღებას უთმობდნენ სულზე ზრუნვას, ისინი ყველაფერს აკეთებდნენ, რომ მათი გარდაცვალების შემდეგ სამეფო მონასტერში მათი სულისათვის შეკვეთილი წირვები აღსრულებულიყო, ეს საპასუხისმგებლო საქმე კი მოძღვართ-მოძღვარსა და ექვს მღვდელს უნდა აღესრულებინა. 1504 წელს ალექსანდრე მეფე გელათს სწირავს ბანოჯაში მცხოვრებ ხუთ კომლს ხუცეს ბერაძესთან ერთად, რომელიც „ყოველს დიდ მარხვაშიდ მეფის მწირველი იყოს“. 1509 წელს გელათის უკანასკნელი მოძღვართ-მოძღვარის თხოვნის საფუძველზე ალექ-

სანდრე მეფემ თანამეცხედრესთან ერთად ხახულის ღვთისმშობელს შესწირა ნაბარევი „გალმა-გამოლმა-ჩაფარახმელასა მარგველაშვილები მათითა შესაყალითა, სამძღუარითა, ტყითა, ველითა“.

XVI საუკუნის დასაწყისში, ალექსანდრე მეფის დროს, მოხდა პირველი თავდასხმა გელათის მონასტერზე, რომლის დროსაც ძალზე დაზიანდა სამეფო მონასტერი - დაზიანდა უძველესი კედლის მხატვრობა, ხოლო რამდენიმე წელიწადში გაუქმდა გელათის სასულიერო აკადემია და მოძღვართმოდვრის ინსტიტუტი. წყაროები რამდენიმე თარიღს უთითებენ, 1508-1509-1510-1512-1514 წლებს, თუმცა თ. ჟორდანიამ ზუსტად განსაზღვრა, რომ თურქების თავდასხმა 1510 წელს მოხდა. „ქ-კს: რქვ: ამა ქ-რნაკსა მოვიდეს თათარნი ნოემბერსა კვ და დაწვეს ქუთაისი და გელათი“. ეს ფაქტი აღნიშნულია - XVI საუკუნის გელათის წმ. გიორგის ხელნაწერ გულანში და ასევე XVI საუკუნის პარაკლიტონში. ალექსანდრე მეფემ გორი დაიჭირა და ქართლში იმყოფებოდა თავდასხმის დროს და არა იმერეთში. სამწუხაროდ, ამ საქმეში მთავარი როლი სამცხის ათაბაგმა მხეჭაბუკმა ითამაშა, რომელიც ოსმალთა ჯარის ტახტის მემკვიდრე სელიმს შემოუძღვა იმერეთში და ოსმალებს ქუთაისი და გელათი - ასევე სხვა ეკლესია-მონასტრები დააქცევინა. ზამთრის მოახლოების გამო ოსმალებმა მალევე დატოვეს იმერეთი, თუმცა ამ ლაშქრობის დროს მათ დაწვეს გელათის მონასტერი - როგორც ჩანს ბერებმა მაინც მოასწრეს მონასტრის სიწმინდეების უმეტესი ნაწილის დამალვა. თავის დროზე გელათის მონასტერს გააჩნდა განძსაცავი, ომიანობის დროს იქ გადააბრძანებდნენ ხოლმე სიწმინდეებს. იმავე წელს, მარტის 12-ს, გარდაიცვალა დედოფალი თამარი, 10 აპრილს კი - მეფე ალექსანდრე: „ხოლო ამან ალექსანდრემან იმეფა მშვიდობით და მიიცვალა ესეცა და ცოლიცა ამისი თამარ დედოფალი ქრონიკონსა ერთსა წელსა ქრისტესით - 1510 და დაფლეს ორნივე გელათს“ (22; 155). ალექსანდრე მეფის შემდეგ ტახტზე ავიდა იმერეთის მეფე ბაგრატ III (1510-1565 წ.წ.), გელათის მეორე აღმაშენებელი - ძლევაგოსილი

მეფე, რომლის დროსაც გელათში მრავალი მნიშვნელოვანი რამ მოხდა.

1519 წელს „მიიცვალა დიდისა მონასტრისა გაენათისა მოძღვართ-მოძღვარი ილარიონ, პატრონი, თვესსა მაისსა 3 და გორისჯვარით აქა გელათს მოასვენეს“ (105; 282). აღნიშნულია პარიზის ქრონიკაში. აღესრულა გელათის ბოლო მოძღვართ-მოძღვარი, რომელიც გელათში მოასვენეს და იქვე დაკრძალეს. შესაძლოა, მოძღვართ-მოძღვრები გელათში რომელიმე ცალკე ტაძარში იკრძალებოდნენ, თუმცა დღესდღეობით არ გაგვაჩნია არანაირი ცნობა მათი დაკრძალვის ადგილის შესახებ.

გელათის ბოლო მოძღვართ-მოძღვარი გამორჩეული პიროვნება გახლდათ, მას განსაკუთრებულ პატივს მიაგებდა მეფე ალექსანდრე II და მისი ვაჟი ბაგრატ III. იგი, როგორც ჩანს, ამავე დროს მეფე ალექსანდრე II-ის სულიერი მოძღვარიც იყო - „სულისა ჩვენისა მოძღვარი ილარიონი“ - ამბობს მეფე ალექსანდრე. ის ალექსანდრე მეფის გარდაცვალების შემდეგაც ზრუნავდა მეფის სულისათვის. 1513 წელს „მოძღვართამოძღვარმა ილარიონ შემოგწირე /პატ/ონისა მეფეთა მეფისა ალექსანდრესათვისა სულისათვისა ქუთაისსა ცისკარასა შვილი დიდ კარსა შიგნითა უფლისაი და მიქაელი“ - შეწირულ ყმებს ყოველ თვედრობას უნდა გაეღოთ თითო ლიტრი საკმეველი და ისინი ყველასაგან ხელშეუვალი უნდა ყოფილიყვნენ. 1505-1519 წლებს შორის გელათის მონასტერს წირავენ მამულებს - ბანძაძე ნასყიდა თავის შვილებთან ერთად. სიგელში ხაზგასმით არიან ნახსენები მოძღვართ-მოძღვარი ილარიონი და წინამძღვარი მელქისედეკ აბაშიძე. იერარქიულად მოძღვართ-მოძღვარი ითვლებოდა უფრო უპირატესად, თუმცა გელათის წინამძღვარსაც თავისი უფლებები ჰქონდა და გამიჯნული იყო მოძღვართ-მოძღვრის უფლებებისაგან.

გელათის უკანასკნელი მოძღვართ-მოძღვრის გარდაცვალების შემდეგ დასრულდა ერთი დიდი ეპოქა გელათში, რომელსაც დავით აღმაშენებელმა ჩაუყარა საფუძველი. თითქოს ამის შემდგომ გელათის მნიშვნელობა ოდნავ დაეცა რადგან აქ უკვე მხოლოდ იმერთა მეფენი იკრძალებოდნენ, აკადემიამ და ასევე გელათში მოქმედმა საოქრომჭედლო სკოლამ შეწყვიტა არსებობა. ბაგრატ III-მ გელათს არა მარტო დაუბრუნა თავისი ძველი დიდება, არამედ მას ახალი ღირსებები შემატა და თავისი მნიშვნელობით საქრისტიანოში კვლავ გამორჩეულ სამეფო მონასტერად აქცია.

იმერეთის მეფე ბაგრატ III გამეფებისთანავე შეუდგა გელათის მონასტრის აღდგენა-გამშვენიერებას. 1510-1524 წლებში მეფეთ-მეფე ბაგრატი, თავის ძმა ვახტანგთან ერთად, „სოფელთა თხილელთა ერთობილთა ასრე - და ამა პირთა ზედან ახლად ამისი სიგელი და გუჯარი დაგიდევით.“ აღნიშნული სოფლის მცხოვრებლებს არაფითარი გადასახადის გადახდა არ უწევდათ, გარდა „მამისა ჩუენისა სულისათვის გელათის სააღაპოდ ყოვლად წმინდისა ღვთისმშობლისათვის შეგვიწირავს - წყალწითელასა და რიონს შუა...“ (30; 7). როგორც ჩანს, ბაგრატ მეფემ გელათის მონასტერს შესწირა მდინარე წყალწითელასა და რიონს შორის მდებარე ადგილები. 1519 წელს ბაგრატ მეფემ, თავის თანამეცხედრე დედოფალ ელენესთან ერთად, მოიძია გელათის წმ. გიორგის ეკლესიის მამულები. მათ ასევე ხელი მიჰყვეს წმიდა გიორგის ეკლესიის მეორედ აღშენებას. ოსმალთა შემოსევის დროს წმ. გიორგის ეკლესია საკმაოდ დაზიანებულია. „აწ მრავლითა გულმოდგინებითა ხელყავით საყდრისა და მონასტრისა წ-ის გიორგის მეორედ აღშენებად და ოდესმე სადედოფლო ყოფილიყო და აწ. ჩ-ნ სამარხოდ და საძულედ შევქმენით. აღვაშენეთ და შევკვეით ხატითა, წიგნითა და კანდელითა“ (55; 336). წმიდა გიორგის ეკლესიაში მეფე-დედოფლისათვის უნდა ეწირათ 12 საუფლო და დიდ დღესასწაულებზე. ძალზე საინტერესოა სიგელის შინაარსი: ძველად თურმე წმ. გიორგის ეკლესია სადედოფლო ყოფილა - ხომ არ იკრძალებოდნენ ამ ტაძარში ქართველ მეფეთა თანამეცხედრეები? ამ საკითხზე პასუხი არ გვაქვს. მაგრამ, რაც მთავარია, ბაგრატ III-მ გელათის წმ. გიორგის ეკლესია გაამშვენიერა და თავის საძვალედ შექმნა. მას ყმები შესწირა ოხოშირის, ნაბოსლევის, ფარცხანაყანევის სოფლებიდან. ცოტა უფრო ადრე - მოძღვართმოძღვარ ილარიონის გარდაცვალებამდე - მეფე-დედოფალმა „თავად მოეჭედეთ ხატი წ-ისა ღვთისმშობლისა და დაეაბრძანეთ მონასტერსა გენათი-

სასა. ვინებეთ სოფლისა აღშენება, რომელ არს ბალახუანი და მოვიღეთ პური საბრძანებლისა ჩუენისადმი... აღვაშენეთ დიდისა შიმშილობაშიგან, ამისთვის უწოდეთ ნების-სოფელი და შევსწირეთ მონასტერსა გენათისასა“ (55; 341). 1527 წელს ბაგრატ მეფემ, თავის თანამეცხედრე ელენესთან ერთად, შეუცვლელელებელი სიგელი უბოძა ერთგულსა და თავდადებით ნამსახურ სეფე ჯვარის მტვირთველ იოსებ ფანჩულიძეს თავის ბავშვებთან ერთად, რათა მათ აღედგინათ ძველი, მურვან-ყრუსაგან დაქცეული მთავარანგელოზების ეკლესია: „მურვან ყრუსაგან დაქცეული და აოხრებული მთავარანგელოზისა ეკლესია საფუძვლამდის დაქცეული აწ მოაქანამდის არავის ხელეყო აღშენებად მისად, ინება განგებამ ღვთისამან და ძალმან მთავარ ანგელოზისმან აწ ვიგულეთ და ვიგულისმოდგინეთ და გვიბრძანეთ აღშენება წმიდისა მთავარანგელოზისა ეკლესიისა“ (30; 9). ამ სიგელის ბოლოს მოხსენიებულია აფხაზეთის კათალიკოსი მალაქია, ქართლის კათალიკოსი ბასილი, დიდისა საყდრის მოძღვართ-მოძღვარი მანასე და წინამძღვარი მაკარი“... თუმცა გარკვეული გაუგებრობაა, რადგან 1527 წლისათვის მანასე ცოცხალი აღარ იყო. იგი 1505 წელს აღესრულა.

1529 წელს იმერეთის მეფე ბაგრატ III-ის თხოვნის საფუძველზე ქუთაისის საეპისკოპოსო გაიყო სამად „მიტროპოლიტისა და მღვდელმთავარსა გაენათელ ეპისკოპოს წა მეუფესა მელქისედეკს მეფეთა შორის ბრწყინვალემან დიდად სახელოვანმან და სახლ. განთქმულმან ღვთის მსახურმან და ღვთივ გვირგვინოსანმან მეფეთმეფემან ბაგრატ მოგუახსენა და დაგუაჯერა მოხსენება მათი... ვაკურთხეთ და დავსვით გენათს კაცი უაღრესი ანგელოზთა, განუჩინეთ პატრივი და საჯდომი - ვითრ. პატრიარქთა და მეფეთაგან განაჩენსა ძეგლსა შინა წერილ არს და გაუჩინეთ სამწყსონი და საკურთხი რიონსა და ქუთათის ქალაქსა ზედათ, ყვირილას გამოღმა და ვიდრე კაცხის ზღუარამდის და ხრეთის აქეთ რაჭის მთამდის, ოკრიბა ს-დ“ (30; 11).



აფხაზეთის ანუ დასავლეთ საქართველოს კათალიკოსის ლოცვა-კურთხევით გელათში პირველად დასვეს და აკურთხეს ეპისკოპოსი მეფის სურვილის საფუძველზე. ექვთიმე თაყაიშვილის აზრით, მოძღვართმოძღვარი ეპისკოპოსის ხარისხს ატარებდა. 1529 წელს ბიჭვინთაში მყოფ „აფხაზეთის კათალიკოს“ მალაქია აბაშიძეს ხარისხში უკურთხებია ქუთაისის, გელათის და ხონის ეპისკოპოსები. „ქრონიკონი იყო სიზ-წარვედით აფხაზეთს საკურთხეველად იენისს კ და მოვედით იელისსა კ“ (42; 178). მანამდე მალაქია კათალიკოსის გუჯარი 1519 წლისა გვაუწყებს, რომ „მალაქიას აღუდგენია გაუქმებული საეპისკოპოსო და არა ახალი დაუწესებია.“ შემოქმედის გულანის მიხედვით გელათს ომფორი 1525 წელს დადევს (23; 31).

ამრიგად, ქუთათელის სამწყსოს გამოეყო მდინარე რიონს ზემოთ, ქუთაისის ზემო და ყვირილას გამოღმა - კაცხამდე და რაჭის მთამდე - საკმაოდ დიდი ტერიტორიები. 1529 წელს ცალკე ეპისკოპოსი დასვეს ხონში, შემდეგ კი - 1544 წელს კათედრა დაარსდა ნიკორწმინდაშიც. დაახლოებით 300 წლის განმავლობაში გელათში ეპისკოპოსები ისხდნენ და ახლა ისინი ზრუნავდნენ მონასტრის მოვლა-პატრონობაზე. 1529 წლიდან 1820 წლამდე გელათში დაახლოებით 15-17 ეპისკოპოსი იჯდა, რომელთა მოღვაწეობის შესახებ შეგვიძლია წარმოდგენა ვიქონიოთ.

პირველი ეპისკოპოსი მელქისედეკ საყვარელიძე 1529-1543 წლებში მოღვაწეობდა, გაენათელი მსახურებას აღასრულებდა მთავარ ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარში. გაენათელმა მელქისედეკმა მრავალი იღვაწა გელათის მონასტერში. დღესდღეობით მისი ფრესკა შემორჩენილია საკურთხეველიდან სამკვეთლოში გასასვლელ კართან წარწერით: „ქ. საყდრისა: ამის: მღრდლთ: მთე:არების:კოპსსა:მელქისედეკს:შეუნდოს:ღნ:ან.“ ფრესკაზე მელქისედეკი გახლავთ სამღვდელმთავრო სამოსში. ფრესკას, თვალები აქვს დაზიანებული განგებულმერთობის ხანაში. სამკვეთლოში ფანჯრის წინ „კედელთან ერთ დიდ მრგვალ სვეტზე არის ოთხკუთხედი ქვა ტრაპეზისა

ასომთავრული წარწერით: „ქ ადიდნეს ღმერთმან, მეფეთ-  
მეფე ბაგრატ და დედოფალი ელენე. ამინ. დიდისა საყდრისა  
გაენათელი მთვარეპისკოპოსმან საყვარელიძემან მელქისედეკ  
აღვაშენე კანკელი და ტრაპეზი ესე“ (ხელ. ინსტ. ექ. თაყაიშ-  
ვილის ფონდი №311; 21).

ასევე საკურთხეველში შემორჩენილია მღვდელმთავრის საჯ-  
დომი რვასაფეხურიანი ქვის კიბე, რომლის მეშვიდე საფეხურ-  
ზე თეთრი ასოებით შემორჩენილია წარწერა: „საყდრისა ამის  
მღვდელმთავარეპისკოპოსსა მელქისედეკ საყვარელიძეს შეუნ-  
დოს ღმერთმან“. გაენათელმა მელქისედეკ საყვარელიძემ სრუ-  
ლად აღადგინა გელათის ღვთისმშობლის ტაძარი, კერძოდ,  
კანკელი, მანვე დადგა ტრაპეზის და სამკვეთლოს ქვა. ალბათ,  
ტრაპეზშიც მღვდელმთავრის საჯდომიც მან შეაკეთა. ყველა-  
ფერი ეს გვაფიქრებინებს, რომ ოსმალთა შემოსევის გამო  
გელათი ძალიან დაზიანებულა. ამიტომ თითქმის თავიდან  
დაიწყო ტაძრის გამშენიერება. გაენათელი მელქისედეკი სა-  
ვარაუდოდ ღვთისმშობლის შობის ტაძარში არის დაკრძალუ-  
ლი. იგი აღესრულა 1543 წელს. გელათში შემორჩენილია  
იმერეთის მეფე ბაგრატ III-ის ორი ფრესკა. ერთ-ერთ ფრესკა-  
ზე ღვთისმშობლის ეკლესიაში, სამხრეთის მკლავში, დასავლე-  
თის თაღოვან კედელზე, გამოსახულია ბაგრატ III თავის თანა-  
მეცხედრესთან ერთად - ბერძნული სამსტრიქონიანი წარწე-  
რით. იკითხება მხოლოდ მარჯვენა ნაწილი - „მოიხატა ტაძა-  
რი იმერეთის მეფის ბაგრატის შეწევით“ (44; 32). ბაგრატ III  
პოლიტიკურ ასპარეზზეც გამორჩეული გახლდათ, მან მხო-  
ლოდ 10 წლით - 1535-1545 წლებში ოსმალებს გამოსტაცა  
სამცხე და იმერეთს შემოუერთა, თუმცა, სამწუხაროდ, საბო-  
ლოდ მაინც ვერ შეძლო ამ ძირძველი კუთხის შენარჩუნება.  
სწორედ ამის შესახებ მესხური ღვთისმშობლის მატრიანე გვაუწყებს:  
რომელშიც, ალბათ, როგორც ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევს, სამ-  
ცხეში მოზინადრე მესხი აღნიშნავს: „ქ-კს-სლდ აწყურის ღ-  
თის მშობელი ტყვედ წაასხეს ციხის ჯვარსა იმერელმა მეფემ  
ბაგრატ... ქ-კსა ს-მსა ციხის ჯვარიდამ აწყურის მღვთის მშო-  
ბელი ტყვეთ წაასვენეს იმერეთსა“ (105; 281).

1553 წელს შაჰ-თამაზი ქართლს შემოესია - „ათაბაგი მიეგება, ვარძია, თმოგვი, ვანის ქვაბი, აწყვეერი ასპინძიდან სრულიად აიღო - ქაიხოსროს მოსცა აწყვეერის ღვთისმშობელითურთ - ...და კუალად აწყვეერის ღვთისმშობელი ტყვედ წარიყვანეს იმერეთს“ (ხელ. ინს. ექ. თაყაიშვილის ფონდი №362; 121). ეს ფაქტი საკმაოდ ნათლად წარმოგვიდგენს, თუ რა მიზეზით გადააბრძანა ბაგრატ იმერთა მეფემ აწყურის ღვთისმშობელი გელათში. ბაგრატ მეფემ აწყურის ღვთისმშობელის სასწაულმოქმედი ხატი გელათში დააბრძანა, ისევე როგორც ძველად დიდმა დავითმა - ხახულის ხატი.

1565 წელს გარდაიცვალა იმერეთის მეფე ბაგრატ III. იგი დაკრძალულია გელათის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიაში. „მიიტვალა ბაგრატ მპყრობელი იმერეთსა და დამარხეს გელათს“ (78; 502). XVI საუკუნის 60-იანი წლებიდან, კერძოდ, 1569 წელს, გელათში გადმოტანილი იქნა ბიჭვინთის საკათალიკოსო რეზიდენცია. ქალბატონმა ბაბილინა ლომინაძემ თავის ნაშრომში საკმაოდ დაწერილებით განიხილა აღნიშნული საკითხი. გელათის წმ. გიორგის ტაძარი კათალიკოსის განკარგულებაში იმყოფებოდა 1569 წლისათვის. იმერეთის მეფემ გიორგი II-მ (1565-1578) „ჩვენდა საღვთისმშობელად და გასამარჯვებლად და მეფობისა ჩვენისა წარსამართებლად და ცოდვათა შესანდობელად შემოგწირეთ მცირე და ესე უნდოძღვენი და შემოსაწირავი თქვენ წმიდასა და დიდებულსა წმიდასა გიორგის და ღვთივ გუირგვინოსნისა მეფეთმეფის მამისა ჩვენისა წმიდასა გიორგის და ღვთივ გუირგვინოსნისა მეფისა ეკლესიასა და მაშვიგან განწყობილსა ხატთა და მღრღელმონაზონთა“ (30; 18). გიორგი მეფე სოფელ ჩუნეშში უამრავ ყმა-გლეხს წირავს წმიდა გიორგის ტაძარს. „აწე ჩუენდა საღვთისმშობელად და მეფობისა ჩვენისა წარსამართებლად... ყოველთ წელიწადსა რეარვასა ჟამსა გვეწირევადით პატრონი კათალიკოზი და სადამდის პატრონი ევდემონ კათალიკოზი დღევრძელად და ამოდ იყოს, ის ნუ დაგვაკლებს წელიწადშიგან ამ მამულისათვის რვა-რვა ჟამის წირვასა... ვინც კათა-

ლიკოსი იყოს და წმიდის გიორგის მონასტერი და ეკლესია ჰქონდეს, ის ნუდ დაგვაკლებს წელიწადშიგან რვა-რვასა ჟამის წირვასა“ (30; 19).

ამიერიდან გელათის წმიდა გიორგის ტაძარში დაბრძანდა დასაველეთ საქართველოს კათალიკოსი, რომელსაც მეფეთა საკეთილდღეოდ და მოსახსენებლად წელიწადში რვაჯერ უნდა ეწირა. ამავე პერიოდიდან კიდევ უფრო გაიზარდა გელათის მნიშვნელობა. გელათში უკვე ეპისკოპოსთან ერთად კათალიკოსიც ცხოვრობს. გაენათელი ეპისკოპოსები უკვე ხშირად გვევლინებიან აფხაზეთის კათალიკოსადაც. ასევე იყო ევდემონ ჩხეტიძე. იგი მელქისედეკ საყვარელიძის შემდგომ გაენათელი ეპისკოპოსია 1543-1557 წლებში. XVI საუკუნეში გელათში სულ ოთხი გაენათელი ეპისკოპოსი მოღვაწეობდა: 1557-1588 წლებში - ანტონ გაენათელი, წინათ მაწყვერელი, შემდეგ კი - 1588 წლიდან 1603 წლამდე, გაენათელი სიმონ ბატონიშვილი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აფხაზეთის კათალიკოსის ევდემონ ჩხეტიძის ღვაწლი. უშუალოდ მისი ინიციატივით ჩატარდა იმერეთში საეკლესიო კრება, ვინაიდან ერში იმრავლა მრავალმა უსჯულოებამ - „იქმნა განტევება ცოლისა, კვლა, იდუმალ ტყვის სყიდვა და უჯერონი სჯულსა ზედა მრავალნი იმერეთს შინა, ამიტომ შეიკრიბნენ ქართლის კათოლიკოსი მალაქია, აფხაზეთის კათოლიკოსი ევდემონი და განაჩინეს მოქმედთა მათთვის ჯეროვანი შერისხვანი“ (27; 9). ამ კრებას ესწრებოდნენ ეპისკოპოსები: ქუთათელი სვიმეონი, გაენათელი ანტონი, ჭყონდიდელი, ბედიელი, მოქველი, დრანდელი, ცაგერელი, ნიკორწმინდელი და ცაიშელი. კრებაზე მიიღეს „სამართალი კათალიკოსისა“, რომლის მიხედვით ყველა ამ უსჯულოების მიმართ მკაცრი კანონები მიიღეს. კრების განჩინებით ტყვეების გამყიდველებზე დაწესდა სასჯელის უმაღლესი ზომა - ჩამოსრჩობა.

ევდემონ კათალიკოსმა ბიჭვინთის ღვთისმშობლის ხატი გამოასვენა გელათში: „ნებითა ღვთისათა არის ევდემონ კათალიკოსის შეწირული ერთი ოქროს ხატი ბიჭვინთისა ღვთის-

მშობელი გელათს ასვენია“ (90; 136). კათალიკოსმა ევდემონ ჩხეტიძემ მრავალი სიწმინდე შესწირა გელათის მონასტერს: „ერთი ოქროს ჯვარი მოთვალ-მარგალიტით, ერთი ბარძიმი ოქროსი მოთვალ-მარგალიტით, ერთი ოთხთავი ოქროთი მოჭედილი მოთვალ-მარგალიტით, ერთი ოქროთი მოჭედილი ყავარჯენი, ერთი ოქროს ომფორი - ხუთი მეტაფრასი წიგნი“ და მრავალი სხვა (90; 136). კათალიკოს ევდემონის კურთხევით დაიწყო გელათში მეტაფრასული თხზულებების (წმინდანთა და წმ-და მოწამეთა ცხოვრების) აღწერა-გადაწერა. 1565 წელს მისი კურთხევით ითარგმნა ოქტომბრის თვის საკითხავი „ადიდენ ღ-ნ ორთავე ცხოვრებასა ქრისტეს მიერ კურთხევით კურთხეული, საქრისტიანოს ზღუდე და მაკურთხეველი, ტომ ნათესაობით ჩხეტიძე დიდი მამამთავარი აფხაზეთის კათალიკოზი ევდემონ, რომლის ბრძანებითა გათავდა თვე ესე ოქტომბერი ყოვლითურთ სრული დიდებულსა საყდარსა გელათს, მეფობისა ჩვენისა მეფეთ-მეფისა გიორგის ძისა ბაგრატ მეფეთ-მეფისა სნგ მაისს ადიდენ ღმერთმან პატრონი კათალიკოზი ევდემონ, ამისა მჩხრუკელსა (გადამწერსა) ინანიკისშვილის მანოელის, ჩვენს განმგესა და ზედა მღვთმელსა სვიმონ ჯაფარიძესა“ (ექ. თაყაიშვილის ფონდი №362; 121). აღნიშნული მეტაფრასი უშუალოდ გელათში გადაიწერა მანოელ ინანიკისშვილის მიერ, რომელსაც ხელმძღვანელობას უწევდა სვიმონ ჯაფარიძე. თ. ჟორდანიას აზრით, იგი გელათის წინამძღვარია. ძალზე საინტერესო წარწერა აქვს გელათის წმ. გიორგის ოთხ დიდ წიგნად შეკრულ მეტაფრასს: დეკემბრის თვისას აწერია „აღმაწერინებელი წიგნისა ამის ღირსი ღვთის მცნებისა და მუშაკი საღვთო სჯულისა, სიმდაბლითა და სიწმინდითა ღმერთმემოსილქმნილი... სიბრძნითა სულიერთა და ხორციელთა ზესთა ამაღლებული მნათობი ქართველთა, სახე და კანონი მონაზონობისა, მწყემსი მწყემსთა... ლამპარი... მნე... მზე... გმირი კათალიკოსი აბხაზთა ნეტარი ევდემონ... ამხეგრძელობლე“ ამინ (იქვე, 121).

ასე მაღალი სულიერი შეფასება დაიმსახურა თანამედროვე-

თავან კათალიკოსმა ევდემონმა, რომლის კურთხევეითაც გელათში კვლავ გამოცოცხლდა სამეცნიერო მუშაობა, მოიხატა ტაძრის ძირითადი ნაწილი. მის მიერ გელათში დაბრძანდა მრავალი სიწმინდე, მის უდიდეს ავტორიტეტზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მთავარ ტაძარში ჩრდილოეთის კედელზე ევდემონ კათალიკოსი გამოსახულია წმიდა მეფე დავით აღმაშენებლის გვერდით. ევდემონ ჩხეტიძის ფრესკის მიკროსკოპული გამოკვლევისას აღმოჩნდა საინტერესო ფაქტი. შარავანდედი, ჯვრები სამოსელზე, კათალიკოსის კვერთხი დაფარული იყო ბაჯალლო ოქროს ფენით, რაც ადრე არ იყო ცნობილი, დღეისათვის ოქროს ფენა ჩამოყრილია (ან მოხსნილია). ამ ადგილებზე ჩანს მხოლოდ საცხი, რომლის მეშვეობითაც ოქრო იყო მიმაგრებული (122; 6). დეაწლმოსილი კათალიკოსი ევდემონი გარდაიცვალა 1578 წელს და დაკრძალეს გელათის წმიდა გიორგის სახელობის ტაძარში. მის საფლავზე შემდეგი ეპიტაფია იკითხებოდა: „მე დამარხულმან საფლავთა შინა მეფეთასა დავახატვინე საყდარი ესე და შევამკვე ხატი ბიჭვინტისა ღვთისმშობელი სახსენებლად სულისა ჩემისა“... (42; 184). როგორც განსვენებული ბაბილინა ლომინაძე შენიშნავს: საფლავის ეპიტაფიების ავტორები თვითონ იყვნენ და ეპიტაფიის ტექსტს თვით ადგენდნენ ხოლმე.

ევდემონ კათალიკოსის დროს გელათის კათედრას განაგებდა გაენათელი ანტონი, წინათ მაწყვერელი. სამცხე-იმერეთის 10-წლიანი ერთობის შემდეგ ანტონი დაახლოებით 1545 წლის შემდგომ გადმოდის იმერეთში, როგორც ბაგრატ III-ის უშუალო მხარდამჭერი და თანამებრძოლი. იგი სავარაუდოდ 1557 წლიდან 1588 წლამდე გაენათელი ეპისკოპოსია. მის მიერ იქნა მოხატული ჩრდილოეთის მინაშენის სამხრეთის კედელი. „მაწყვერელმან და აწ გენათელ მთავარეპისკოპოსმან ანტონი დავახატვინე კარიბჭე ესე ჩემდა სულის საოხად, მეფედ მეფის გიორგის სადიდებლად. ამინ“ (44; 40). ჩრდილოეთ მინაშენში, ჩრდილოეთის კარიბჭეში წერია: „ჰოი, ასულო სიონისაო, ნაყოფო იოვაკიმესო, სურნელეზაო სამოთხისო, წმიდაო ღვთის-

მშობელო, შეიწყალე სული ანტონის გენათელ მთავარეპის-კოპოსისა“ (44; 40). ანტონ გაენათელი დაახლოებით 1588 წელს გარდაიცვალა. იგი საეპარაუდოდ დაკრძალულია ჩრდილოეთის კარიბჭეში.

1578 წლიდან აფხაზეთის კათალიკოსია ექვთიმე I საყვარელიძე - ღირსეული მწყემსმთავარი. გელათის წმიდა გიორგის ეკლესიაში დაცული ერთ-ერთი წიგნის მინაწერში ვკითხულობთ: „დაიწერა ბრძანებითა დიდისა აფხაზეთისა და ყოვლისა საქართველოსა პატრიარხისა კათოლიკოსისა პატრონის ეფთვიმისითა... ბიჭვინთისა ღვთისმშობელო, აცოცხლე რამეთუ ჭეშმარიტად იჭირვოდა... წიგნთა წმიდათა წერასა და ამკობდა პატიოსანთა საყდართა კახეთით, ქართლით, იმერეთ-ოდიშით და გურიით და დასდებდა დიდროან და პატიოსანთა ყოვლითურთ შემკობილსა წიგნებსა“ (69; 143). მრავალი შესაწირი მიუძღვნა კათალიკოსმა ექვთიმემ ბიჭვინთის ღვთისმშობელს. „ნებითა ღვთისათა შევსწირე მე აფხაზეთის კათოლიკოსმან ეფთვიმე საყვარელიძემან ბიჭვინთის ღვთისმშობელს: გვირგვინი ოქროს მოთვალმარგალიტებული, ომფორი მძიმედ მოთვალმარგალიტებული, ბისონი სტავრისა ოქროს ღილეებითა, ოქროს ხატი მძიმედ მოთვალმარგალიტებული, სამსჭუალი და ძელი არის შიდა და პატიოსანი ნაწილები, ქამარი მარგალიტის, ექვსი მღვდელმთავრის ბისონი ოქროს და ვერცხლის ღილეებით, ბარძიმი ბროლისა ოქროთი მოჭედილი, ერთი ფეხშუმი ოქროსი და ერთი ვერცხლისა, ერთი კამარა ოქროსი მოთვალვით, ლახვარი კოვზი, ოდიკი დახატული, ერთი ოქროს კონდაკი ოქროს მეღნით დახატული ოქროს ღერითა, ერთი ჟამნი, დავითნი, ერთი კურთხევანი, ერთი პატიოსანი გულანი ლამაზად დახატული, ერთი სჯულის კანონი, ერთი ქართლის ცხოვრება“ (90; 136-137) და სხვა მრავალი სიწმინდე. შეწირული სიწმინდეებიდან უმნიშვნელოვანესი გახლდათ სამსჭუალი - ცხოველსყოფელი ჯვრის ნაწილი და წმინდანთა ნაწილები. ეს უდიდესი სიწმინდეები დააბრძანა კათალიკოსმა ექვთიმემ გელათში. კათალიკოსი ექვთიმე საყვარელოდ

1616 წელს აღესრულა. იგი მოქვეში უნდა იყოს დაკრძალული, ვინაიდან კათოლიკოსობასთან ერთად იგი მოქვის მათავარეპისკოპოსიც გახლდათ.

1588-1603 წლებში გელათის ეპისკოპოსი გახლდათ გაენათელი სიმონ ბატონიშვილი. ამ მღვდელმთავრის შესახებ დაწერილებითი ცნობები არ მოგვეპოვება. ჩრდილოეთის მინაშენში, მაცხოვრის ეკვდერში შემორჩენილია სვიმონ ბატონიშვილის ფრესკა ბერის სამოსელში წარწერით: „ბატონიშვილი გაენათელი სვიმონ“. სვიმონ გაენათელი იქვე არის დაკრძალული.

იმერეთის მეფე გიორგი II და დედოფალი თამარი განსაკუთრებით ზრუნავდნენ გელათისათვის. საინტერესოა, რომ სამეფო ტაძარში ლორთქიფანიძეებს აძლევენ სასაფლაოს. „ჩვენი დიდად ერთგულნი ლორთქიფანიძე ქექაოზ და ქრთამიც მოგვართვ... და უბოძეთ გელათს დასავლეთის კარსა სასაფლაო და ლე...ულუხან იქ დაემარხეთ და გაუჩინეთ მწირველი - მღრდელ-მონაზონი გერმანე და გაუჩინეთ რვა კელაპტარი და შევსწირეთ გლევხნი“. ლორთქიფანიძეებს ადგილი გამოეყოთ მთავარი ტაძრის დასავლეთ კარებთან. იქვე დაუკრძალავთ ერთ-ერთი პირი, რომლის სახელი გაურკვეველია და მისი სულისთვის ბერი წირავდა, ასევე შეწირეს: „გელათს სახლი საყვარელიძე გენათელი რომ მიიცვალა, ის ადგილი და იმის ქვეშეთ გალავნისა და იმას შუა ბოსტანი“ (30; 89; 31).

1586 წელს იმერეთის მეფე გიორგი II გარდაიცვალა. მთავარ ტაძარში, ჩრდილოეთ მხარეს შემორჩენილია მისი ფრესკა მეუღლესთან და შვილთან ერთად. გიორგი II-ის პირველი მეუღლე გახლდათ დედოფალი თამარი, შერმაზან დიასამიძის ქალიშვილი. მეორე მეუღლე იყო რუსუდან დედოფალი. 1586 წელს გიორგი მეფის თანამეცხედრე გელათს წმიდა გიორგის ძვირფას ხატს და ყმა გლევხებს სწირავს - „ჩვენ თამარ ყოფილმან ქრისტინე შემოგწირეთ ჩვენის იარალითა თაჯისა და გაძისაგან დავშალეთ და შევამკეთ და გავაჭედინეთ ოქროსა



ყოველად წმიდისა კარისა ღმთისმშობელსა ხატი და შევამკეთ პატიოსანითა თვალითა და მარგალიტით, ამას გარეთ კიდევ ცხოველსმყოფელი პატიოსანი ოქროსა მაცხოვრის ხატი მისითა პატიოსნითა თვალითა“ და ყმა-გლეხნი „ასევე კათალიკოზი ყოველსა ღმრთის შობლობას დღესა ჟამსა გვიწირვიდეს ჩვენის სულისა“ (30; 33).

1590-1605 წლებში იმერეთის მეფე გახლდათ როსტომ I, რომლის გელათში მოღვაწეობის შესახებ ცნობები არა გვაქვს. ცნობილია, რომ იგი დაკრძალულია მაცხოვრის ეკედერში, დასავლეთის კედელზე არის წარწერა - „მეფეთ-მეფე როსტომ“. იმერეთის მეფე გიორგი III თავის თანამეცხედრესთან ერთად ზრუნავდა გარდაცვლილი ძმის სულისათვის. „ჩვენის ძმის - მეფეთ-მეფის როსტომის სულის საოხად და ჩუენად სადღეგრძელოდ ყოველს ახალკვირის შაბათსა ვინც გაენათელი იყოს, ჩვენის ძმის მეფეთ-მეფის როსტომის სულის საოხად თვით გენათელი მისი კრებულითა ჟამს სწირვიდეს და აღაპს გარდაიხდიდეს ერთის ხარითა და სამ ცხუართა, მისი პურღვინითა, სანთლითა და საკმეველითა“ (30; 37).

იმერეთის მეფის გიორგი III-ის (1605-1639 წ.წ.) თანამედროვე კათალიკოსი გახლდათ მალაქია II გურიელი (1616-1639 წ.წ.). რაც შეეხება მათ თანამედროვე გაენათელ ეპისკოპოსს, მისი სახელი უცნობია.

1637 წელს გაენათელი ეპისკოპოსი ხდება ზაქარია ქვარიანი და შემდგომ პერიოდში გაენათელთა თანამიმდევრობა თითქმის უწყვეტია. 1603 წლიდან, სავარაუდოდ 1637 წლამდე, გაენათელი ეპისკოპოსი დომენტი ჩხეტიძე უნდა ყოფილიყო. ამ პიროვნების შესახებ გელათში მხოლოდ ერთი ფრესკა და ორი წარწერაა თარიღის გარეშე. სამხრეთის ნაოსის ფრთებს შუა ფანჯრის პირველ კამარაზე მთავარ ტაძარში ასომთავრული წარწერაა: „წმიდაო მფარველ და მეოხ ექმენ წინაშე ღვთისა გაენათელ მღვდელ მთავარეპისკოპოსს დომენტი ჩხეტიძესა.“ სალაროს კარის თავზე, შესასვლელში დახატულია მღვდელმთავარი თეთრი ბისონით და ომფორით, მას ქრისტე

აკურთხებს, იქვე წარწერაა: „გაენათელი მღვდელმთავარების-  
კოპოსი დომენტი ჩხეტიძე საუკუნოდამც არს ხსნებაჲ მისი.  
ამინ“. გაენათელი დომენტი ჩხეტიძე მთავარ ტაძარში არის  
დაკრძალული. იმერეთის მეფე გიორგი III 1639 წელს აღეს-  
რულა და დაკრძალულია მაცხოვრის სახელობის ეკვდერში.

კათალიკოზ მალაქიას გარდაცვალების შემდეგ, შესაძლოა,  
ძალზე მცირე ხნით კათალიკოსი იყო გრიგოლი. გელათის  
გულანის მიხედვით 1639 წელს „მიიცვალა გრიგოლ კათალი-  
კოზი და იმავე წელსა ქრისტიანე და ღვთისმოყვარე მაჭუტა-  
ძე კათალიკოზი ბატონი მაქსიმე ეკურთხა კათალიკოსად“. როგორც ცნობილია, მაქსიმე მაჭუტაძე თანამედროვეთ „წმი-  
და კაცად მიაჩნიათ საერთოდ“, იერუსალიმში სამჯერ იყო და  
ყოველთვის დიდი შეწირულება მიქონდა. ქართლის მთავარების-  
კოპოს ტიმოთე გაბაშვილის ცნობით იერუსალიმის ჯვრის  
მონასტერში „ხატია აფხაზეთის კათალიკოსი ღირსი მაქსიმე“  
(45; 131). ერთი ცნობით, კათალიკოსი მაქსიმე 1640 წელს  
წავიდა იერუსალიმში (40; 208). კათალიკოსი მაქსიმე მაჭუ-  
ტაძე გარდაიცვალა იერუსალიმში, სადაც დაყო ცხოვრების  
ბოლო წლები და დაკრძალულია ჯვრის მონასტერში.

1639-1660 წლებში იმერეთში მეფობდა ალექსანდრე III, მისი  
თანამედროვე გაენათელი ეპისკოპოსი 1637-1657 წლებში ზა-  
ქარია ქვარიანი გახლდათ. იგი მეფის უშუალო მხარდამჭერი  
და თანამებძოლი იყო, ამის გამო იწვნია მან გადაგვარებული  
ლევან დადიანის რისხვა, რომელმაც რამდენჯერმე მოაწყო  
თავდასხმა ქუთაისზე. იგი თავმომწონედ აცხადებდა: „ქუთაი-  
სი ქალაქი დავსწვით და ავაოხრეთ, და შემოვადექით გენათე-  
ლის ციხესა და დაუწყეთ ბრძოლა. დაუშინეთ დიდროვანი  
ზარბაზნები, დავამტვრიეთ სხვისა მრავლითა და მეთოფითა  
მისი საქონლითა და აზნაურიშვილებითა, სხვისა მრავლითა  
და მეთოფითა მისი საქონლითა და ალაფითა ავსებულნი მშვი-  
დობით გამარჯვებულნი შინ მოვედით“. დადიანი თავს დაესხა  
გაენათლების რეზიდენციას ქუთაისში - მწვანეყვავილაზე და  
აიღო ციხე. გაენათელ ეპისკოპოსთან ბრძოლა, როგორც მი-

ინევენ, 1651 წლამდე უნდა მომხდარიყო. იმერეთის მეფე ალექსანდრე III-მ რუსეთის ხელმწიფესთან 1651 წლის 9 ოქტომბერს ერთგულების ფიცი დადო. ამ დოკუმენტზე ზაქარიათავისი ხელმოწერა შეასრულა: „ქ. გელათის მიტროპოლიტი ზაქარია ქვარიანი“.

1652 წლის 13 ივლისს გაენათელმა მიტროპოლიტმა ზაქარია ქვარიანმა იმერეთში მყოფ რუს ელჩებს ნ. ტოლოჩანოვსა და ა. იველიევს გელათის მონასტერი და მისი სიწმინდეები დაათვალიერებინა. რუსმა ელჩებმა წერილობით დააფიქსირეს გელათის სიწმინდეები. ამ ჩანაწერებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან ელჩებს უშუალოდ მიტროპოლიტი ზაქარია ესაუბრებოდა. ელჩების აღწერილობა ემთხვევა ერთმანეთს ოდნავი განსხვავებით. ნ. ტოლოჩანოვის თქმით „ქრისტეს ხატის მახლობლად ორი არშინის ზომის ოქროთი მოჭედილი ჯვარია ძვირფასი ქვებით“. ამ ჯვარში, ჯვარცმის ზემოთ, წმიდა ნაწილებია - ჩვენი უფლის იესო ქრისტეს თმები და წვერებია, ჯვარცმის დროს რომ დაამცირეს და შეურაცხყვეს, მაშინდელი. ჯვარს ზემოთ, ფეხებთან, ყოველად წმიდა ღვთისმშობილს კბილია „სიონში“, პატარა კიდობანში. ზაქარია მიტროპოლიტმა განაცხადა, რომ ეს ჯვარი იმ ოქროს ერთი ნაწილისაგან არის გაკეთებული, ახლადშობილ ქრისტეს რომ მოგვებმა თაყვანი სცეს და საჩუქრად ოქრო და კეთილსურნელოვანობა მიართვეს“ (74; 112). ა. იველიევი ღვთისმშობლის კბილზე საუბრისას აღნიშნავს: „შვიდი წლის ასაკის დროინდელია“. ელჩებს გელათში უხილავთ წმ. გიორგის ხატი. „ზაქარია მიტროპოლიტმა გვითხრა ამ ხატის შესახებ, რომ ის იმ ვერცხლისაგან არის გაკეთებული, იუდამ რომ ქრისტე გასცა და ოცდაათი ვერცხლი აიღო“. გელათის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედ ხატზე საუბრისას ელჩები აღნიშნავენ: „ყოველად წმიდა ღვთისმშობლის ხატი მარადიული ყრმით ტრაპეზზე დასვენებული, ოქროთია მოჭედილი და ძვირფასი ქვებით - იაგუნდით, ზურმუხტითა და ლალით არის შემკული. ხატს შიგნით ორმოცდაშვიდმეტი (კიდობანი) „სიონი“

აქვს ჩატანებული, „სიონში“ სხედასხვა წმინდანის ნაწილე-  
ბია, წარწერები არა აქვს, მხოლოდ ერთი დაგვისახელა ანტონ  
„პერგამოელის კბილიაო“ (74; 113). აღსანიშნავია, რომ დღე-  
ისათვის, ვინც იხილავს გელათის ღვთისმშობლის ხატს, დარ-  
წმუნდება, რომ აღწერილობა უზუსტესი და რეალურია. ელჩებმა  
იხილეს ასევე ვერცხლის „სიონი“ კიდობანი, რომელიც სუდა-  
რაში ყოფილა შეხვეული. „ზაქარია მიტროპოლიტმა გაგვი-  
ცხადა, რომ იმ „სიონში“ წმიდა მოციქულების, წმიდა მამების  
და მრავალ მოწამეთა ნაწილებიაო, მხოლოდ კიდობანი მეფის  
ბეჭდით არის დაბეჭდილიო“. ამ შემთხვევაშიც ელჩების აღწე-  
რა უზუსტესია - ეს ვერცხლის კიდობანი, რომელიც ელჩებმა  
ნახეს, წმ. მეფე დავით აღმაშენებლის მიერ შეწირული წმიდა  
ნაწილებით სავსე გახლდათ. შესაბამისად იგი სამეფო ბეჭდით  
იყო დალუქული. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამ  
აღწერილობას, ვინაიდან სიწმინდეებზე საუბრობს გაენათელი  
მიტროპოლიტი, განათლებული და სწავლული პიროვნება, რო-  
მელიც შემდგომში აფხაზეთის კათალიკოსი გახდება.

1644 წელს გაენათელმა ზაქარიამ გელათის მონასტერს თა-  
ვისი მკვიდრი და მონაგები მამულები შესწირა. „ჩვენ უღირ-  
სმან და ყოველთა კაცთა უცოდვილესმან მონამან და მოსაე-  
მან ძისა და ღმრთისა შენისმან გენათელმან ქვარიანმან ზა-  
ქარია, თქვენ საშინელსა და შესაძრწუნებელსა და თვალთავან  
მოურულებელსა გელათისა ხახულისა და საკურთხეველისა  
ღმრთისმშობელისა და ტაძარსა თქვენსა გენათს და საძალეს  
ღმრთის ცხებულთავან და ღმრთივ გვირგვინოსანთავან პან-  
გრატონიანთასა“ (80; 508). ჯერ კიდევ მეფეთ-მეფე გიორგის  
გაენათელ ზაქარიასათვის, რომელსაც იგი გამზრდელს უწო-  
დებს, ქუთაისში უბოძებია უშვილო კაცის - აბესალომ მასხა-  
რაშვილის, ადგილი, ტყე და მიწა, სადაც „აღვაშენეთ ეკლესია  
მთავარანგელოზთა და ციხე და სახლ-კარი და შევჰქმენით  
სოფლად უშენი ადგილი“ (80; 508); ამის შემდგომ ქუთაისში  
მწვანეყვავილას მთავარანგელოზთა ეკლესია გაენათელთა ერთ-  
ერთი რეზიდენცია იყო. მისივე შეკვეთით 1652-1655 წლებში

გადაწერილი იქნა დიდი გულანი, რომელიც შემდგომ დავით-გარეჯის მონასტრისათვის შეუწირავთ. მისივე შეკვეთით 1660 წელს დამზადდა შავ ხავერდზე ოქრომკედით ნაქარგი ძვირფასი გარდამოხსნა, რომელზეც არის წარწერა: „ღმერთო, შეიწყალე აფხაზეთის კათალიკოსი ზაქარია ქვარიანი, ამინ, ამან - შეამკო გარდამოხსნა ესე“. აღნიშნული გარდამოხსნა ამჟამად ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში ინახება. გელათის ღვთისმშობლის შობის ტაძარში კათალიკოს ზაქარია ქვარიანის ორი ფრესკაა შემორჩენილი - ერთი გაენათლობის, მეორე კი - კათალიკოსობის დროინდელი თავისი წარწერით: „ღმერთო, შეიწყალე დიდისა საყდრისა გენათისა მიტროპოლიტი და აწ აფხაზეთისა და საქართველოს დიდისა ბიჭვინტისა კათალიკოსი ზაქარია ქვარიანი, ამინ“. ეს ფრესკა წარმოდგენილია ტაძრის დასავლეთის მკლავში, სამხრეთის მხარის ქვედა რეგისტრში. მეცნიერთა ვარაუდით, დასავლეთის მკლავის „ქრისტეს ვნებათა“ სცენები „თვით კათალიკოს ზაქარია ქვარიანის მიერ იყო შედგენილი“ და მის ღროს მოიხატა.

XVII საუკუნეში საქართველოში, უმეტესად დასავლეთში, 26 წლის განმავლობაში ღონ კრისტოფორო დე კასტელი იმყოფებოდა, რომელმაც შეადგინა ალბომი და ბრწყინვალე ცნობები შემოგვინახა იმ პერიოდის მოღვაწეთა შესახებ. კასტელმა დახატა კათალიკოს ზაქარია ქვარიანის სურათი პატრიარქის ბრწყინვალე შესამოსელში. მან დახატა აგრეთვე იმერეთის მეფეთა გიორგი III-ისა და ალექსანდრე III-ის სურათები. იგი აღნიშნავს, რომ „საქართველოს მეფეები ტანად თითქმის გიგანტები არიან“ (34; 77). „ქართველი კაცები ძალიან ძლიერნი არიან, არასდროს არ თერებიან, რამდენიც არ უნდა დალიონ, ყოველთვის აღუშფოთებელნი რჩებიან, სიტყვასაც კარგად ამბობენ“. კასტელმა დახატა ასევე სოფელ გენათის ხედი.

1660 წელს გარდაიცვალა აფხაზეთის კათალიკოსი ზაქარია ქვარიანი, რომელიც მთავარი ტაძრის ჩრდილოეთ კარიბჭეში დაკრძალეს. საფლავის ქვაზე კი შემდეგი წარწერაა: „ქრისტე

ღმერთო შეიწყალე კათალიკოზი ზაქარია ესე საფლავი ჩემი არის და ვინცა ესე ჩემს უკან გახსნას შერგენებული იყოს“. საფლავის წარწერა უშუალოდ კათალიკოსის შედგენილია. ამავე წელს გარდაიცვალა იმერეთის მეფე ალექსანდრე III, რომელიც დაკრძალეს მთავარი ტაძრის დასავლეთ მინაშენში, წმ. იოაკიმე და ანას სახელობის ეკლესიაში, რომელიც ალექსანდრე III-ის მიერ ჯერ კიდევ სიცოცხლეში იქნა გამშვენიერებული და მოხატული.

1661-1666 წლებში აფხაზეთის კათალიკოსია სვიმონ ჩხეტიძე. დაახლოებით 1664-1682 წლებში გაენათელი ეპისკოპოსია გედეონ ლორთქიფანიძე. ზაქარია ქვარიანის შემდეგ, საეარაუდოდ, გაენათელი ეპისკოპოსი გახლდათ აბრაამი, რომელიც დაესწრო არჩილ მეფის მეფედ კურთხევას ქუთაისში. არჩილის მეფედ კურთხევა მოხდა დაახლოებით 1661 წელს. სამწუხაროდ, ამ მღვდელმთავრის შესახებ ჩვენ სხვა ცნობები არ მოგვეპოვება. მისი გაენათელად ყოფნა დაახლოებით 1658-1664 წლით შეიძლება დათარიღდეს (134; ). XVII საუკუნის 60-იანი წლებიდან მთელი დასავლეთ საქართველო საშინელმა ანარქიამ მოიცვა. სამეფო ტახტზე 40 წელიწადში ოცჯერ შეიცვალა მეფე. „ამასთან ერთი შერჩა მეფობას ბუნებით სიკვდილამდის. მთავრები აუქმებდნენ საეპისკოპოსოებს, საწინამძღვროებს და იტაცებდნენ საეკლესიო მამულებს, საერო ფოთლებმა დაიტაცეს საკათალიკოსო სოფლები“. ახალციხე, ბათუმი, სოხუმი და შემდეგ ქუთაისი ტყვეებით ვაჭრობის პუნქტებად იქცა (9; 274). მიუხედავად იმისა, რომ ტყვეებით მოვაჭრეებზე სასჯელის უმაღლესი ზომა - ჩამოსრჩობა იყო დაწესებული, ამ საშინელ ცოდვას მაინც ჩადიოდნენ.

1664 წელს საქართველოში იმყოფებოდა ანტიოქიის პატრიარქი მაკარი (1648-1672 წ.წ.). „ტნბა 1664 აქა მობრძანდა ანტიოქიის პატრიარქი მაკარიოზ“ (53; 42).

1664 წლის 17 აგვისტოს პატრიარქი მაკარიოსი და ღიაკონი

პავლე ალექსოელი თბილისში იმყოფებიან. იმავე წლის შემოდგომაზე ისინი უკვე დასავლეთ საქართველოში არიან (2; 22).

პავლე ალექსოელი თავის აღწერილობაში მოგვითხრობს, რომ „იგი დაესწრო ცნობილ სასწაულს ილორის წმ. გიორგის მონასტერში და თავისი თვალთ იხილა თუ როგორ მოიყვანა უჩინრად წმ. გიორგიმ ეკლესიის წინ ხარი“. პატრიარქი მაკარი შესვდა უშუალოდ აფხაზეთის კათალიკოსს სვიმონ ჩხეტიძეს, პატრიარქი ცდილობდა, შეერიგებინა ლევან დადიანი და ბაგრატ იმერთა მეფე. პატრიარქი იყო აგრეთვე გელათში: „საქართველოში ჩვენი თვალთ ვიხილეთ მრავალი წმიდა რელიქვია, საეკლესიო ღირშესანიშნაობა, რომელთა მსგავსი არსად არაფერი გვინახავს. ჩვენ იქ ვნახეთ რამდენიმე წმიდა სამსჭვალნი, რომლებითაც უფალი ჯვარს აცვეს, პატიოსანი ჯვარის რამდენიმე ნაწილი, მრავალი ხატი, რომლებშიც იყო მცირე და დიდი ჩაღრმავებები (სანაწილეები), რომლებიც საუსე იყო წმინდანთა ნაწილებით, რომელთა სახელებიც იქვე ეწერა. კათალიკოსის ტაძარში ჩვენ ვნახეთ ოქროს ფეშხუმი ძვირფასი თვლებით და მარგალიტებით მორთული, ძალიან ძვირფასი ოქროს სახარება - მორთული მარგალიტებით, საქართველოში ბევრი ნამდვილი სამეფო ტაძარია, აშენებული განსვენებულ ქართველ მეფეთა მიერ, რომლებშიც დღემდეა დაცული მეფეთა შეწირული ძვირფასი ნივთები“ (119; 46).

როგორც ცნობილია, უფლის ერთი სამსჭვალნი გელათში იყო დაბრძანებული. ანტიოქიის პატრიარქი გაკვირვებულია საქართველოში არსებული სიწმინდეებით. როცა სამეფო ტაძარზე, ანუ იგივე კათალიკოსის ტაძარზე საუბრობს პატრიარქი, მას მხედველობაში აქვს გელათის ტაძარი, სადაც მან მრავალი სიწმინდე იხილა.

იმერთზე საუბრისას პატრიარქი მაკარიოსი\* განსაკუთრებით გამოყოფს გელათის მონასტერს. „მონასტერი ძალიან

ლამაზია და სასწაულმოქმედი, აქ არის ყოვლადწმიდა ღვთის-  
მშობლის ხატი, რომელიც დაწერა ლუკა მახარებელმა, არის  
ასევე წმიდა დიდმოწამე გიორგის ხატი - მოჭედილი იმ ოცდა-  
ათი ვერცხლით, რომლითაც იუდამ ქრისტე გაყიდა, არის  
ასევე დიდ ჯვარზე ის ოქროს ნაწილი, რომელიც მოგვებმა  
მიართვეს ბეთლემში დედა ღვთისას, არის ძალიან ბევრი წმი-  
და ნაწილი, მსგავსი მონასტერი და ასეთი ტაძარი არსად არ  
მინახავს“ (2; 72-73). აღნიშნული აღწერილობა თითქმის ზუს-  
ტად ემთხვევა რუსი ელჩების მიერ გელათის სიწმინდეების  
აღწერილობას. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამ ცნო-  
ბებს ჩვენთვის, რადგან ალექსანდრიის პატრიარქი დარწმუნე-  
ბის გარეშე არ აღიარებდა გელათის გამორჩეულობას. იგი  
აცხადებს კიდევ, რომ მას ქვეყნად არსად უნახავს მსგავსი  
ტაძარი და ამდენი სიწმინდეები.

1665 წელს საქართველოში იმყოფებოდნენ ალექსანდრიის  
პატრიარქი პაისიოსი და სინას მთავარეპისკოპოსი ანანია.  
პატრიარქ პაისიოსს საქართველოში მოპყვლია დოსითეოსი,  
შემდგომში იერუსალიმის სწავლული პატრიარქი. დოსითეო-  
სის „იერუსალიმის ისტორიაში“ ვკითხულობთ: „ეს იყო 1658  
წლის გაზაფხულზე. მისი (პაისიოსის) სინოპში ყოფნისას სა-  
ზარელი ხანძარი მოედო ქალაქს, დოსითეოსი, რომელიც პატ-  
რიარქს თან ახლდა ამალაში, ისინი ზღვით გაემგზავრნენ  
სამეგრელოში... ადგილობრივმა ეპისკოპოსმა მეგობრულად მი-  
იღო პატრიარქი, მიაცილა იგი დადიანის სასახლეში, ზოლო  
იქიდან კი ქუთაისში იმერეთის მეფე ალექსანდრესთან. ზამ-  
თარი პატრიარქმა გელათის შესანიშნავ მონასტერში გაატა-

---

\* ანტიოქიის პატრიარქი მაკარი ორჯერ იმყოფებოდა რუსეთში - პირველად 1655  
წელს და მეორედ - 1666 წელს რუსეთის მეფის ალექსანდრე მიხეილის ძის მიწვევით,  
რათა იქ რუსეთის პატრიარქის ნიკონის მჯავრდებისათვის სპეციალურად მოწვეულ  
საეკლესიო კრებაში მიეღო მონაწილეობა. მოსკოვში ასევე მიწვეული იყო ალექსან-  
დრიის პატრიარქი პაისიოსი.



რა“ (39; 11-13). როგორც ჩანს, პატრიარქი პაისიოსი საქართველოში ადრეც ყოფილა, კერძოდ, 1658 წელს და მთელი სამთარი გელათის მონასტერში გაუტარებია. ისინი 1658 წლის ზაფხულში ჩასულან გელათის მონასტერში, სამთარი იქვე გაუტარებიათ და 1659 წლის გაზაფხულზე გურიისა და ტრაპიზონის გავლით კონსტანტინეპოლში დაბრუნებულან.

კათალიკოსი სვიმონ ჩხეტიძე 1666 წელს გარდაიცვალა. შემდგომი ორი კათალიკოსის - ევდემონ II-ის (საყვარელიძე) (1666-1669 წ.წ.) და ეფთვიმე II-ის (საყვარელიძე) (1669-1679 წ.წ.) გელათში მოღვაწეობის შესახებ დაწერილებითი ცნობები არა გვაქვს. ხოლო გაენათელი გედეონ ლორთქიფანიძე აქტიურად მოღვაწეობდა როგორც სასულიერო, ისე საერო ცხოვრებაში. იგი წინ აღუდგა იმერეთის მეფე ალექსანდრე III-ის ცოლს - ნესტან-დარეჯანს, რომელმაც ბაგრატს მეფობა წაართვა და თვალებიც კი დასთხარა. შემდგომ ქმრად ვახტანგ ჭყჭუნიასშვილი შეირთო. ერში სულიერების დაცემის გამო ძალზე წუხს გაენათელი გედეონი. მან გარკვეული შესაწირავი გაიღო გელათისათვის 1664 წელს - „ლორთქიფანიძემან გაენათელ-ნიკორწმინდელმა გედეონმა საკუთარ-ქმნილი მამული შენი და წილხდომილი ერი შენი ესრეთს იწროებასა, ოხრებასა და მწუხარებასა შინა იყო ხუთს წელიწადს, რომელ რა არაოდეს მოსულიყო ესეთი შფოთი და ურვა მას აქათ არაეინ ისმინოს და არცა ვის სმენოდა“ (80; 537). 1668 წელს თურქები მეორედ დაესხნენ გელათის მონასტერს. „ქუთათის, დიდი დედაქალაქი, ციხე და მონასტერი თათრითა და მოლით სავსე იყო და პატრიოსანი ხატი და ჯვარი დასთხარეს, ოქრო და ვეცხლი დაადვნეს და თან წაიღეს და ზოგი წაასვენეს და სასახსროდ დაატყვევეს“ (107; 84) - წერდა იმერეთის მეფე ბაგრატ IV 1669 წლის 6 დეკემბერს რუსეთის მეფე ალექსი მიხეილის ძეს. ყოველივე ამ უბედურებაში მთავარი როლი დარეჯან დედოფალს ეკავა, რომელმაც ახალციხის ფაშას 20000 მარჩილი აღუთქვა, თუკი მას და მის ქმარს გაამეფებდა იმერეთში. სწორედ 1668 წელს გადავიდა ახალციხის ფაშა იმე-

რეთში. ბაგრატი მეფე ლეჩხუმში გადაიხვეწა, ხოლო „დასვენს დარეჯან და ვახტანგ მეფედ“, ყოველივე ამის ფასად ოსმალებმა „მოსრნეს, მოსტყუებნეს იმერეთი, შემუსრნეს მრავალნი ხატნი და ჯუარნი, მოწუეს ქვეყანანი და ეკლესიანი“ (7; 838). მეფესთან ერთად რუსეთის მეფისადმი გაგზავნილ წერილს ხელს აწერენ „აფხაზეთის კათალიკოსი ექვთიმე, დიდისა დედაქალაქის ქუთათელი მიტროპოლიტი სვიმონ, დიდისა დავით აღმაშენებლისა დიდისა საყდრის გენათის გენათელი მიტროპოლიტი გედევან, დავით, მთავარეპისკოპოსი სვიმონი“.

სამწუხაროდ, ჩვენ ხელთ არა გვაქვს ცნობა, თუ რა სიწმინდეები გაიტაცეს ოსმალებმა აღნიშნული თავდასხმის დროს, თუმცა ფაქტი ერთია, გელათზე პირველი და მეორე თავდასხმის დროს მტრის მეგზურები გადაგვარებული ქართველები იყვნენ.

ღვთის რისხვამ არ დააყოვნა. იმავე 1668 წელს ხოსია ლაშხიში იღვწა დარეჯან დედოფალი და მისი მეუღლე ვახტანგი შუბით განგმირა.

„პარიზული ქრონიკა“ საკმაოდ განსხვავებულ ცნობას გვაწვდის: „დედოფალი იდგა ქუთაისში, მეორე დღეს შუადღის შემდეგ მასთან შევიდნენ ხოსია ახვლედიანი, სეხნია ჩხეიძე და სოფრონ გაენათელი. დედოფლის მომხრეები თავს დაესხნენ მათ, პირველად დაჭრეს თავში სოფრონ გაენათელი, დედოფალს ესროლეს იარაღიდან და დარეჯანი და მისი მეუღლე, ვახტანგი ორივე მოკლეს. შემდგომ ისინი ორივენი დაკრძალეს ქუთაისის ყოვლადწმიდას სახელობის ეკლესიის შესასვლელში“. ერთი წლის შემდეგ დედოფალი დარეჯანი გადაასვენეს გელათში (115; 79).

საინტერესოა, რომ გედეონის მაგივრად „პარიზული ქრონიკა“ გაენათელად სოფრონს იხსენიებს, რომელიც სასიკვდილოდ იჭრება, მაგრამ ეს ფაქტი არ არის სწორი, ვინაიდან თუკი მხოლოდ სახელი არის შეცდომით, გედეონ გაენათელი უფრო გვიან - 1682 წელს აღესრულა. სხვა მხრივ ეს წყარო

ძალიან საინტერესოა, დარეჯან დედოფალი ერთი წლის შემდეგ გადაუსვენებიათ გელათში და დაუკრძალავთ თავისი მეუღლის ალექსანდრე III-ის გვერდით. დარეჯან დედოფალზე თავდასხმისას გაენათელის იქ ყოფნაზე ფარსადან გორგიჯანიძე არაფერს ამბობს: „მიუსდა დანდობილს, ფიცა გატეხა და წაუშინეს და მეფე და დედოფალი ორნივე დახოცეს და მათი მკვლეელიც იმერელთ დახოცეს“ (33; 65).

ეს ტრაგედია ქუთაისის ციხეში, ბაგრატის ტაძრის ეზოში დატრიალებულა, ხოლო ფიცის გამტეხი კი ლაშხიშიელი გახლდათ, რომელიც ასევე სიკვდილით დაუსჯიათ. ამის შემდგომ, 1669 წელს, იმერეთის მეფე ბაგრატ IV-მ რუსეთში ელჩობა გაგზავნა, რომელიც 26 კაცისგან შედგებოდა და რომლის მეთაური გედეონ გაენათელი გახლდათ. ამ დროს რუსეთში თეიმურაზ I-ის შვილიშვილი ერეკლე იმყოფებოდა, რომელმაც „მიტროპოლიტ გედეონს დარეჯან დედოფლის მოკვლაში მონაწილეობის მიღება, ხოლო ელჩს ეხვეიელს, როგორც კახელი ბაგრატიონების ყოფილ აზნაურს, ლალატი წაუყენა ბრალდებად“ (85; 32). რუსეთის სამეფო კარმა იმერეთის 26-კაციანი ელჩობა რუსეთის შორეულ მონასტერებში პატიმრობაში გაგზავნა. გაენათელმა გედეონმა რუსეთში 1676 წლამდე დაყო. სავარაუდოდ ამ წლებში გაენათელი ეპისკოპოსი დავით ნემსაძე გახლდათ, ვინაიდან იგი 1673 წლიდან უკვე აფხაზეთის კათალიკოსია, სწორედ გედეონის რუსეთში წასვლის შემდგომ ხდება იგი გაენათელი ეპისკოპოსი, თუმცა წყაროები ამ ფაქტის შესახებ მეტად ძუნწია. 1676 წლის სექტემბერში დედოფალ ელენეს თხოვნით გედეონ გაენათელი გაათავისუფლეს და იგი სამშობლოში დაბრუნდა. 1682 წელს გაენათელი გედეონ ლორთქიფანიძე გარდაიცვალა, იგი დაკრძალეს მთავარი ტაძრის დასავლეთის მინაშენში, წმ. მარინეს ეკლესიაში. მის საფლავზე შემდეგი წარწერაა: „ღმერთო შეიწყალე გენათელი ლორთქიფანიძე გედეონ, ვინცა შენდობა ბრძანოთ, თქვენც შეგინდოთ ღმერთმან. ამას წინათაც პაპა ჩემს ხელმწიფისაგან წყალობად საფლავი ემოვნა კარ შესა-

ვალს. ესენიც და დედა ჩემიცა აქ დაემარხნენ და აწ არს განსასვენებელი ჩემი, ამას დავემკვიდრო უკუნისამდე, რამეთუ მთნავს ესე, ვინც კაცის დასამარხავად ეს გახსნას, ჩემდამც მუქაფად განიკითხვის მეორედ მოსვლას. ქორონიკონ ტ. ԶԻ“. აშკარაა, რომ საფლავის წარწერა თვითონ გედეონის შედგენილია, საიდანაც ჩანს, რომ ამ ეკლესიაში მისი მშობლები და წინაპრებიც იკრძალებოდნენ.

დაახლოებით 1673 წლიდან აფხაზეთის კათალიკოსი იყო დავით ნემსაძე. 1681 წელს აღესრულა იმერეთის უსინათლო მეფე ბაგრატ IV, რომელიც რამდენჯერმე ჩამოაგდეს ტახტიდან. „იმერეთს მოკუდა ბაგრატ მეფე... და დაფლეს გელათს“ (7; 845). პოეტი მეფე არჩილი, რომელიც ხუთჯერ ჩამოაგდეს იმერეთის სამეფო ტახტიდან, 1680 წლის 28 ნოემბერს რუსეთის მეფე თეოდორ ალექსის ძეს დიდი გულისტკივილით წერს: „საქართველო დიდად შეწუხდა და დასუსტდა ქრისტიანობა და მოუძღურდა. გვარგე რამე, ამდენი საყდრები და მონასტრები, ამდენი პატიოსანი ხატი და ჯვარი, ამდენი წმიდანი ნაწილები დაკარგვას აპირობენ, სულ წახდენას აპირობენ, მოეხმარე, ნუ შეურაცხყოფ, დაგვიხსენ განსაცდელისა და საცთურისაგან, ნუ უგულებელს მყოფ ამ წმინდის ღვთისმშობლის გულისთვის და მსთვად მეწივენ წყალობანი შენნი უფალო“. არჩილ მეფის შიშს სავესებით რეალური საფუძველი ჰქონდა, ნამდვილად შესაძლებელი იყო, საქართველოში დაბრძანებულ უამრავ ხატსა და წმიდა ნაწილებს დაკარგვის საფრთხე დამუქებოდა.

1691 წელს გაენათელი მიტროპოლიტია მარკოზ ლაშხიშვილი, რომელიც წყალობის წიგნს აძლევს და გელათის დეკანოზს სვიმონს, მახარა კლდიაშვილს უწყალობებს. მარკოზ გაენათელის გარდაცვალების შემდეგ (26; 41-42) დეკანოზი სვიმონი გამხდარა გაენათელი ეპისკოპოსი.

არსებობს გაენათელი სვიმეონის წყალობის წიგნი იოვანე კლდიაშვილისადმი: „ქ. ჩვენ ქრისტეს ღმრთისა მიერ კურთხეულმან გენათელმა მღრდელ-მთავარ-ეპისკოპოსმა ბატონის შვილმა ბატონმა სვიმონ“ (80; 620).

წყაროთა სიმცირის გამო ამ ორ მღვდელმთავარზე არ მოგვეპოვება სხვა ინფორმაცია. ორივე მღვდელმთავარი დაკრძალული უნდა იყოს გელათში. დაახლოებით 1696 წელს გარდაიცვალა აფხაზეთის კათალიკოსი დავით ნემსაძე, წინათ გაენათელი. კათალიკოსი დავითი დაკრძალული უნდა იყოს გელათის მონასტერში.

1696-1742 წლებში აფხაზეთის კათალიკოსი გახლდათ გრიგოლ II (ლორთქიფანიძე). მის ბეჭედზე შემდეგი წარწერა იყო: „მეფე და მღვდელმთავარი აფხაზეთის კზი გრიგოლ“.

კათალიკოს გრიგოლის თანამედროვე გაენათელი ეპისკოპოსები იყვნენ: 1701 წლიდან - ნიკოლოზი, რომელიც კათალიკოს გრიგოლთან ერთად აქტიურად იბრძოდა ტყვეთა სყიდვის წინააღმდეგ. მის დროს, 1713 წელს, დაიწერა გელათის დავითნი და გალობანი, მინაწერებში მოხსენიებული არიან გაენათელი ნიკოლოზი და ეპისკოპოსი მანუელი. 1720 წლიდან გაენათელი ეპისკოპოსია ბარის ეპისკოპოსი გედეონ II, დაახლოებით 1730-იან წლებამდე. მან ბოლოს განიძარცვა საეკლესიო სამოსელი და ცოლი შეირთო. გედეონის შემდეგ გაენათელი ეპისკოპოსია გაბრიელ დადიანი, რომელიც წინათ ჯუმათისა და ჭყონდიდის ეპარქიებს მართავდა. იგი გაენათელია დაახლოებით 1726 წლიდან - „ქ. დავსხედით ჩვენ, ბრძენი და მოსამართლენი თავად ბატონი მეფე ალექსანდრე, დადიანი ბატონი ბეჟან, აბაშიძე ზურაბ, გენათელი გაბრიელი, სხვანი დარბაისელნი“ (21; 447). შემდგომში გაენათელი ეპისკოპოსი გახლდათ ექვთიმე, დაახლოებით 1737-1745 წ.წ., წინათ ჯუმათელი. 1739 წელს კათალიკოს გრიგოლის ლოცვა-კურთხევით მიტროპოლიტ ექვთიმეს მიერ ბერად აღიკვეცა ანტონი, შემდგომში კათალიკოს-პატრიარქი. თეიმურაზ-ანტონი „ათვრამეტიცა წლისა 1738 მონაზონ იქმნა და აღიკვეცა გაენათს, თებერვალსა ორსა; სამსა თებერვალსა დიაკონად ხელდასხმულ იქმნა დღესა შაბათსა ხელითა გაენათელ მიტროპოლიტიცა ეფთვიმისათა“ (56; 75).

ვახუშტის აზრით, აღნიშნული საბუთი დაწერილი უნდა

იყოს 1721-1732 წლებს შორის. 1720 წელს აღესრულა იმერეთის მეფე გიორგი VI, იგი დაკრძალეს მთავარ ტაძარში, მაცხოვრის ეკვდერში.

1720 წელს ტახტზე ადის ალექსანდრე V, რომელმაც 1730 წელს გადაწყვიტა საყვარელი ახლადგარდაცვლილი მეუღლე თამარ მეფის ეგვიპტერში დაესაფლავებინა: „საცთურიანმა სოფელმა წარმიღო ჩემისა თვალისა ნათელი, მეუღლე ჩემი და დიანის ბეჟანის ასული, წარვიღე ცხედარი სასურველისა ჩემისა მეფეთა სასაფლაოს გელათს. ხოლო საძვალენი მეფეთანი აღვსილ იყვნეს მრავლითა შეწირულებითა. ამისათვის ცალკედ ვინებეთ მიღება მიცვალებულისა ჩემისა, რამეთუ მენება საყვარელისა ჩემისა ეგვიპტრის გაპატიოსნება, რაოდენ ძალმედვა. იყვნეს მუნ გელათსა კერძო მარჯვენით ეგვიპტერი და ვიწყებული. ჟამთა ვითარებისაგან არავინ უწყოდა თუ ვისი საძვალე ყოფილიყო ანუ სახელსა ზედა წმიდისა შენება საყდრისა. ხელ-ვეყვ გაშენებად და შემკობად მისა“. საკმაოდ უცნაურია, თუ რატომ უწოდებს ალექსანდრე მეფე ყველასგან დავიწყებულს აღნიშნულ ეგვიპტერს და თითქოს არავინ იცოდა, თუ ვისი საძვალე იყო იგი. შემდგომში ალექსანდრე მეფემ მოაჭედინა ბიჭვინთის ღვთისმშობლის ხატი მისი მეუღლის სულის საოხად. „გავაწყვე კანკლითა, იარალითა, შესამოსელითა, შევსწირენ აგარაკნი და დავაყენე არხიმანდრიტი, რათა სამარადისოდ მემსხვერპლეობდეს“ (56; 134).

1742 წელს გარდაიცვალა აფხაზეთის კათალიკოსი გრიგოლი. შესაძლოა იგი დაკრძალული იყოს გელათში. 1742 წლიდან აფხაზეთის კათალიკოსია ბესარიონ ერისთავი, ხოლო 1745 წლიდან გაენათელი ეპისკოპოსი გახლდათ იოსებ ბაგრატიონი.

1745 წლის ახლო ხანებში იხსენიება კიდევ ერთი კათალიკოსი გერმანე, რომელიც იმედის წიგნს აძლევს მალაქია აბაშიძეს: „შენის ცოდვის მაგიერის პასუხის მისაცემი და შენი განსათავისუფლებელი წიგნი და პირობა გიბოძეთ ჩვენ, ღვთივ ამაღლებულმა, ღვთივ დამყარებულმა, კათალიკოზმან გერმა-

ნემ და წულუკიძემან მერაბ, შენ აბაშიძეს მალაქიას“ (26; 76).

1752 წელს გარდაიცვალა იმერეთის მეფე ალექსანდრე V. იგი დაკრძალეს მის მიერ განახლებულ და შემკულ წმ. ანდრიას სახელობის ეკვდერში.

მესამე და უკანასკნელი ლაშქრობა გელათში ლეკებმა 1759 წლის 10 აგვისტოს მოაწყვეს, „ამავე ქრონიკონსა იმერეთს ლეკის ლაშქარი მოვიდა, მრავალი სული ქრისტიანი იშოვეს, გელათი და სუჯუნის საყდარი დაწვეს. თვესა ი აგვისტოსა“ (56; 260). შემოქმედის გულანი ამ ფაქტს 1758 წლით ათარიღებს. ლეკების მარბიელი ლაშქარი საჩხერიდან გადმოვიდა, ეტყობა ეს იყო მოულოდნელი თავდასხმა, მაგრამ რა წაიღეს გელათიდან, ზუსტი ცნობები არა გვაქვს. გელათის გუჯარში გადმოცემულია იმ პერიოდის ქრისტიანთა ღრმა მწუხარება: „ქ. გელათი რომ ლეკმა დასწვა თქვენც (მეფეს) მოგეხსენებათ, ეკლესია გაოხრებული იყო, ყოველი მართლმადიდებელი ქრისტიანე ვინც იყო და გელათი ენახათ იმ ჟამად სტიროდნენ და კიდევ ეწეოდნენ“ (იქვე). ამ ცნობით ირკვევა, რომ ლეკებმა გელათის მონასტერი ძლიერ დააზიანეს, ისე რომ, ქრისტიანები მისი ხილვისას ტიროდნენ და მის შესაკეთებლად შესაწირავს იღებდნენ. ცნობილია, რომ ამ თავდასხმის დროს ლეკებმა დაამტვრიეს და გაიტაცეს მარმალლოს საკათალიკოსო ტახტი. 1760 წელს ახალი ტახტი ააგო იოსებ გაენათელმა. ტახტზე წარწერაა: „მოიხსენე უფალო ტახტისა ამის აღმაშენებელი მეფის ალექსანდრეს ძე გენათელი მიტროპოლიტი იოსებ მის წელსა იყო ქრისტეს აქეთ ქვი ჩღჲ“.

მეფე ალექსანდრეს ორივე ძე - იმერეთის მეფე სოლომონ I და გენათელი იოსები განსაკუთრებით ზრუნავდნენ გელათისთვის. იმერეთის მეფე სოლომონ I-მა გელათის მონასტერი ხელახლა გადახურა „საკუთრითა მონაგარითა, თვისითა დახურა ახლად სრულიად ეკლესია რკინის ყაფრელითა“ (ქ.იბ. №703). რომელიც რუსეთიდან ჩამოუტანიათ, სწორედ ამ დროს მუშებს შემოაკლდათ ლურსმნები და „ბერებს სხვა საშუალება არ ჰქონდათ და ამიტომ მისცეს ერთი კარი ლურსმნების

გასაკეთებლად“. საუბარია განძის კარებზე, სხვა ცნობით კი ეს კარი დავითს ჩამოუტანია დარუბანდიდან. დაჭრილი კარის წარწერიანი ნაწილი შეინახეს და იგი დღესაც დაცულია ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში (70; 187). გელათის მონასტერი, ალბათ, სოლომონ მეფემ ლეკების თავდასხმის შემდეგ - 1759 წელს გადახურა.

1774 წელს სოლომონ მეფემ შეამკო აწყურის ღვთისმშობლის სატი: „შეგიმკევ კუბო ვერცხლითა... მეფეთ-მეფემან სოლომონ საკურნებლად თანამეცხედრისა ჩვენისა დადიანის ასულისა... მარიამისათვის და ძისა ჩვენისა ალექსანდრეს აღსაზრდელად... აგვისტოს 3-ჩლოდნწ“ (56; 333).

ამავე პერიოდში სოლომონ მეფის მიერ შეიმკო ასევე ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა და იოანე ნაცლისმცემლის სატები „ნეტარხსენებულისა დედოფლის მარიამის სულის საოხად“. ორივე ეს სატი წმიდა მარინეს ეკვდერში დააბრძანეს. და ზედ სასტიკი წყევლაც დადეს: „ვინც ამ ეკვდერს ეს სატი გამოსწიროს, შვიდთა მსოფლიოთა კრებათა და ოთხთა პატრიარქთაგან შეჩვენებულ იყოს“. სოლომონ მეფის ძმა, იოსებ გაენათელი, მეფის აქტიური მხარდამჭერი გახლდათ. იმერეთის ელჩობა, რომელსაც იოსებ გაენათელი ხელმძღვანელობდა, მოლაპარაკებას აწარმოებდა ოსმალეთთან (მომრიგებლის როლში ერეკლე გამოდიოდა). ერეკლესა და სოლომონის ელჩები სტამბოლს 1766 წელს ჩავიდნენ, ხელშეკრულება კი 1767 წელს დაიდო (58; 645). გაენათელმა იოსებმა ასევე მონაწილეობა მიიღო 1759 წელს საეკლესიო კრებაში. კრებაზე მიუღიათ დადგენილება - სამრევლო და სახუცო გამოსაღების მოკრების შესახებ. „წმინდამ ამ კრებამ ასე დაამტკიცეს და ბრძანეს: როგორადაც ჭყონდიდის სამწყოშიდ იყოსო, გენათლისა და ქუთათლის სამწყოსიშიდ იმასაც ეგრეთ განეწესეთო. სახუცო როგორც საქუთათლო, საგელათოს მართებს მესამე წელიწადს“ (29; 7). ოსმალეთთან ურთიერთობის გამო 1769 წლის 10 მაისს კათალიკოსი ბესარიონი გადააყენეს და აფხაზეთის კათალიკოსი იოსებ გაენათელი გახდა, ამავდროულად



იგი გაენათელიც იყო. მისი კათალიკოსად კურთხევა გელათში მომხდარა. 1772 წელს კათალიკოს იოსების კურთხევით გადაიწერა „საღმრთო ჟამის წირვა“. სამივე ლიტურგია, რომელიც შედარებული იქნა ბერძნულ და რუსულ ლიტურგიკულ ტექსტებთან. კათალიკოსმა იოსებმა გელათის მონასტერს შესწირა მრავალი შესაწირავი. „წყალობათა ღვთისათა, ჩვენ ღვთივ დიდებულმან სოლომონ დავითიანმან, ჩვენი ძმის კათალიკოზის იოსების მიერ შეწირული ანდერძსა შინა, როცა წმიდასა და დიდსა ეკლესიასა გელათისასა შესწირა, დავამტკიცეთ და შევსწირეთვე: მწვანე მდინარე, თავისის ტერფებით გაწყობილი, სტოფის სტიხარი, ყვითლის არშიით გაწყობილი, სირმის ოლარი, მარგალიტის ნაკერის სამკლავებესა თანა, სარტყელი ოქრომკედით ნაკერი - ვერცხლითა და თვლებით გაწყობილი, ყვითელი სტოფის ბისონი ოქროს დილებით; ოქროთი დაფერილი ბარძიმ-ფეშხუმი, ერთი სეფისკვერის ვერცხლის თეფში, ოდიკი, არდაგი - მრჩობელი ყავარჯენი, ჯვარის სასანთლეები ვერცხლისა, კონდაკი, არწივი თვლებით და ოქროს ჯაჭვით; სამღვდელმთავრო მიტრა, პირველთაგანვე ხახულისა ღვთისმშობელისა, აწ განახლებული ვერცხლის საცეცხლური, ერთი სჯულის კანონი, ვნების კვირის სახარება, საყდრის კურთხევის წიგნი“ და მრავალი სხვა (99; 349-350).

ეს სამი ლიტურგია აღწერა ხუცეს-მონაზონმა ზაქარია გაბაშვილმა (გაბაონმა). „ესე სამნი ლიტურგიანი, გამოსატვითა წმიდათა სამთა მღვდელთმოძღვართა ხატთათა თანად, ბრძანებითა... უფროსად ბრძნისა დიდისა უფლისა, მეფეთ-მეფის ძის იოსებ კათალიკოზ მამათა-მთავრისა. ერთობით ვიღვაწეთ და ყოვლითურთ გავასრულეთ მადლითა მარიამ ხახულის ღვთისმშობელისათა. განიკარგა გენათისა დიდისა ეკლესიისა ეზოსა შინა“ (იქვე, 350). აღნიშნული ლიტურგიები გელათის ეზოში გადაუწერიათ. ზაქარია გაბაონი იმ დროს სამოცდახუთი წლის ყოფილა და „მოხუც-მსცოვანებითა მხედველობითნი უძღურ-ქმნილ იყვნეს“, რამე ცდომილების პოვნისას კი

ზაქარია ითხოვს, რომ შეცდომა სიმშვიდით განემართათ.

კათალიკოს იოსების მოღვაწეობის დასაწყისში, 1769 წელს - სოლომონ მეფემ იგი რაჭის ერისთავ როსტომთან გაგზავნა მოსალაპარაკებლად. მან როსტომს სოლომონ მეფესთან შერიგება აღუთქვა, რაჭის ერისთავმა დაიფიცა მეფის ერთგულებაზე და ენდო კათალიკოსის სიტყვას, რომელმაც მეფისგან შეპირებული უსაფრთხოება ბარძიმძე დაფიცებით აღუთქვა. როსტომ რაჭის ერისთავი თავის ვაჟიშვილებთან ერთად იმერეთში ეწვია მეფეს. თავის მხრივ სოლომონმა დაარღვია ძმასთან დადებული პირობა და როსტომ ერისთავს შვილებიანად თვალები დასთხარა. ამის გამო იოსებმა თავისი ნებით დატოვა კათალიკოს-პატრიარქობა. ამის შემდეგ მას აღარ უწირავს და დარჩენილი სიცოცხლე ღრმა სინანულში გაატარა. ღრმადმორწმუნე კათალიკოსი 1776 წელს წერს: „ჩემი ღწვა დღე და ღამე ეს იყო, რომ, რადგან გელათს დიაკვნად ვეკურთხე, მღვდლად ვეკურთხე და მღვდელმთავრად, რაც რაიმე მიღვაწია, ყოველივე გელათისთვის მინდოდა და კიდევ შემიწირავს, როგორც გალავანი შემოვაელე, ისე დახურვა მინდოდა“.

შემდეგ ჩამოთვლილია რამდენი გლეხი და მამული შესწირა გელათს კათალიკოსმა იოსებმა. გელათის სასარგებლოდ ნაღვაწთა გრძელი სია ჩამოთვლილი ყოფილა გელათის წმ. გიორგის გუჯრებში, რომელიც თავის დროზე თედო ჟორდანიამ გადმოწერა თავის III უბის წიგნაკში. სამწუხაროდ, დღესდღეობით ხელნაწერთა ინსტიტუტში არ მოიპოვება აღნიშნული უბის წიგნაკი, სადაც აღწერილი ყოფილა კათალიკოს იოსების ღვაწლი გელათის სასარგებლოდ. 1776 წელს კათალიკოსი იოსები გელათის მონასტერს სწირავს „ჯგულის კანონს“, რომელშიც შეტანილი ყოფილა რუის-ურბნისის საეკლესიო კრების „ძეგლისწერაც“.

კათალიკოსი იოსები 1776 წლის 13 მაისს ქუთაისში გარდაიცვალა, გაენათლების რეზიდენციაში მწვანეყვავილაზე (25; 273). იგი დაკრძალეს გელათში, ღვთისმშობლის შობის ტაძ-

რის წმ. იოაკიმეს და ანას ეკვდერში ტრაპეზის ქვეშ.

1772 წლის 10 აგვისტოს გელათში იმყოფებოდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი იოჰან ანტონ გიულდენშტედტი. იგი შეხვდა კათალიკოს იოსებს და აღწერა გელათის მონასტერი. იმ დროისათვის ყველა ტაძარში მიმდინარეობდა ღვთისმსახურება, ხოლო მთავარი ტაძარი უკვე დახურული ყოფილა ახალი სახურავით.

1772 წელს გელათში დაკრძალეს თეიმურაზ მეფე - „თეიმურაზ მეფე მკვდარი მოიტანეს გელათს დასაფლავად“ (იქვე, გვ. 262). კონკრეტულად რომელ ტაძარში ან ეკვდერში დაკრძალეს იგი, არ არის ცნობილი. აღსანიშნავია, რომ გელათში ასევე იკრძალებოდნენ ბატონიშვილები, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა. სოლომონ I-ის ერთადერთი ვაჟიშვილი ალექსანდრე, რომელმაც მამის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობა მიიღო, 1780 წელს გარდაიცვალა. „განტყვევისათვის ცოლისა და უჯეროსისა ქორწინებისათვის ეკლესიამ იგი კრულ ჰყო“. სოლომონ I-ს სურდა შვილი ეკლესიის შიგნით დაეკრძალა: „თუმცა სამღვდელთა კრებათა არა აუფლეს მეფესა“. მხოლოდ ერთის მღვდლის წინ გაძლოლითა დაფლეს იგი გარეგან ეკლესიისა“ გელათს (68; 40). 1784 წელს აღესრულა „ქრისტიანეთა ნათელი მეფე სოლომონ“. „შემუსვრელმან თათარ ოსმალთამან, აღმოფხვრა ძირითურთ ციხე-სიმაგრენი მათნი და მეორედ მაშენებელ ექმნა ქვეყანასა და წმიდანი ესე ეკლესიანი აღაყვავილნა... ესოდენი ღვაწლი თავს იღვა - ამისთვისცა დამარხეს პირველსა ამ. ერ.. შინა რომელ არაოდეს ემარხნენ მეფეთაგანნი ვინმე და არცა მარხვად არს თვინიერ ამისსა. თვესა აპრილსა კვ. ჩოპდ. დღესა სამშაბათსა“ - გვაუწყებს გელათის გულანი (56; 382). აღნიშნული ინფორმაცია უმნიშვნელოვანესია, ქვეყნის მეორედ აღმშენებელი მეფე, რომელმაც განდევნა ოსმალები და ეკლესია-მონასტრები აღადგინა, დაკრძალეს გელათის ღვთისმშობლის შობის სახელობის მთავარ ტაძარში, ჩრდილოეთის კედელთან, მანამდე მთავარ ტაძარში არასოდეს არცერთი მეფე არ იყო დაკრძალული. გამონაკლი-

სი მხოლოდ სოლომონ I შეიქმნა - იმ დიდი ღვაწლისთვის, რაც მან აღასრულა სამშობლოს და ეკლესიის წინაშე. აქ კიდევ არის ერთი საკითხი. ამ დროისათვის თითქმის ყველა ეკვდერი აღვსებული იყო მეფეთა სამარხებით და, ბუნებრივია, რომ დადგებოდა მეფეების მთავარ ტაძარში დაკრძალვის აუცილებლობა. სოლომონის საფლავის ქვაზე შემდეგი წარწერაა: „აქა განისვენებს გუამი იმერეთის მეფისა დიდი სოლომონისა. დაიბადა 1735 წ. და მიიცვალა 23-ს აპრილს 1782 წელსა, ჰყავდა ერთი ვაჟი ალექსანდრე და ორი ასული მარიამ მეუღლე ქსნის ერისთავის ელიზბარის და დარეჯან მეუღლე თავადის ქაიხოსრო აბაშიძისა“ (გარდაცვალების თარიღში შეცდომაა. უნდა იყოს 1784 წ.).

1776 წელს აფხაზეთის კათალიკოსი გახდა მაქსიმე II (აბაშიძე). იგი იყო აფხაზეთის უკანასკნელი კათალიკოსი.

1778 წლიდან კათალიკოსმა მაქსიმემ გელათის წმ. გიორგის ეკლესია, როგორც საწინამძღვრო, ცალკე გამოყო და გაათავისუფლა საკათალიკოსოსაგან. მის წინამძღვარს შეუნარჩუნა მამული და გაუჩინა შემოსავალი. გელათის წმ. გიორგის ეკლესიის წინამძღვარი არქიმანდრიტი ქრისტეფორე იყო კათალიკოსის სულიერი მოძღვარი (69; 169). 1784 წლიდან კათალიკოსმა მაქსიმემ დატოვა საქართველო. იგი აღესრულა 1795 წელს და დაკრძალეს კიევ-პეჩორის მონასტერში.

1776 წლიდან 1820 წლამდე ბოლო გაენათელი ეპისკოპოსია ექვთიმე შარვაშიძე, რომელიც ჯერ კიდევ ბავშვი მიიყვანეს გელათის მონასტერში და იქვე გაიზარდა. სამღვდლო ხარისხიც გელათში მიიღო. 1776 წელს გაენათელ ექვთიმეს დაუწერია ანდერძი იოსებ კათალიკოსისა, რომლითაც „მრავალი შეუწირავს გელათისთვის“ (ხელ. ინს. ექვ. თაყაიშვილის ფონდი №361). 1787 წელს მიტროპოლიტ ექვთიმეს საფუძვლიანად განუახლებია გელათში წმიდა ნიკოლოზის ეკლესია, რომელიც ქსნის ერისთავთა საგვარეულო სასაფლაოდ ითვლებოდა. მეუფე ექვთიმე საქართველოს გაერთიანების აქტიური მხარდამჭერი იყო. იგი 1790 წელს თბილისში იმყოფებოდა და

ცდილობდა როგორმე დარეჟხან დედოფალი საქართველოს გაერთიანების აუცილებლობაში დაერწმუნებინა, მაგრამ ეს მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა (72; 40). იგი გახლდათ იმერეთის მეფე სოლომონ II-ის თანამებრძოლი და ყოველთვის ერის სადარაჯოზე იდგა. XIX საუკუნის დასაწყისში გელათში იმყოფებოდა ბერი იონა ხელაშვილი, რომელიც განცვიფრებული დარჩა გელათის სიწმინდეებით: „ვითარცა მსმენია, იმაზედ გარდამეტებული ყოფილა ვითარცა შენობით, აგრეთვე სამკაულითა, და ესეც რომ ძველი სამღვდლო შესამოსელნიც გქონიათ, ეს სულ დიდება არის ამა ეკლესიისა და თქვენც, ვინაიდგან კეთილად დაგიცვამთ“ (5; 71). მე-19 საუკუნის დასაწყისამდე ყველა ხატი, შესამოსელი თუ სიწმინდე ჯერ კიდევ გელათში იყო შენახული და დაცული.

გელათის მონასტრის საკუთრება გახლდათ სოფელი კვანჭირი, რომელიც თავის დროზე სოლომონ I-მა შესწირა გელათს, სადაც ჩაასახლა სამეფო გლეხები კვანჭირის შემოსავლებით. გელათი გაუმშვენებია მეფე სოლომონ II-ს. თუმცა 1816 წელს ზამთარში გამოჩენილა ქუთაისელი სომეხი, ბაინდურაშვილი რომელიც აღნიშნულ მიწებზე პრეტენზიას აცხადებდა. მიტროპოლიტი ექვთიმე სთხოვს მთავარმართებელს დახმარებას: „ესოდენ დიდი ხნის შეწირულობასა მართლმადიდებელთა მეფეთასა, რომელნიცა გაცემასა საეკლესიოს მამულისასა სხვათა კაცდამი და უფროისლა უცხოისა სარწმუნოებისა და ღვთის წინააღმდეგ საქმედ“ (ქიმ; 703).

სოლომონ II-ის იმერეთიდან წასვლის შემდეგ მეუფე ექვთიმეს მარტო უხდებოდა ბრძოლა გელათის მიწების დასაცავად.

1817 წლის 22 აპრილს გაენათელი მიტროპოლიტი ყმებს უბრუნებს და სწირავს გელათის მონასტერს. იმერელ მეფეთა სოლომონ I-ისა და სოლომონ II-ის ღვაწლით გელათი XIX საუკუნის დასაწყისისათვის საკმაოდ დიდ ქონებას ფლობდა: 42 სოფელს 395 კომლით და 2038 მანეთს ფულადი შემოსავლით (44; 26).

1819 წელს მიტროპოლიტი ექვთიმე საეკლესიო აჯანყების

მთავარ მონაწილედ მიიჩნიეს, ვინაიდან იგი იმერეთში მეფობის კანდიდატად სოლომონ I-ის შვილიშვილს, დარეჯან ბატონიშვილის ვაჟს, თავად ივანე აბაშიძეს უჭერდა მხარს. 1819 წლის 19 ივლისს გიორგი ავალიშვილი თავის მეგობარ პეტრე ლარაძესთან ერთად ნახულობს მიტროპოლიტ ექვთიმეს ქუთაისში, გაენათელების რეზიდენციაში - მწვანეყვავილაზე: „არგანსა ზედა ყრდნობით მომავალსა, ხმელსა, სუსტსა, 80 წლამდე მიწვენულსა, გარნა მხნედ და მკვირცხლად მქცევსა. მივეთაყვანებით რა ამბორს - ყოფად მარჯვენასა ხელსა, ამან გამომსახველმან ჩვენ ზედა ხელითა თვისითა ჯუარისა, ხმაჰყო ჩვენდა და სთქვა: იკურთხენით თქვენ, სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა“.

შემდგომ გიორგი ავალიშვილი გელათს ესტუმრა და აღწერა გელათის სიწმიდეები. „კანკელი დახატვულ მოსკოვსა შინა ბერძულითა მხატვრობითა ტილოსა ზედა, ...ყოველთა წმიდანი ხატნი გენათისა და ხახულისა ღმრთისმშობელისანი, იტყვიან, მით რამეთუ უკანასკნელი ესე იყოს დახატვულ წმიდისა მოციქულისა და მახარებელისა ლუკას მიერ რძებითა ყოველად-უბიწოისა დედისათა გარნა ორნივე ესე კმად დიდნი, შემკულნი წმინდითა ოქროითა და უძვირფასესითა ქვებითა, და კუალად მიერ დავით აღმაშენებლისა და თამარისათა. არს აქა ესრე თუ ვარძიის ჯუარი ფრიად დიდი, განშვენებული ოქროითა და სპეკალითა, გუმბათის სამხრეებითურ მისით როსიით მოტანილსა რვალისა თხელითა ფურცელთა გამო დახურვითა ანუ გარდაჭედილთა და მწუანე ფერად შეღებითა“ (1; 19-20). 1820 წლის ივლისში გელათში იმყოფებოდა ჟაკ-ფრანსუა გამბა, რომელსაც ასევე საინტერესო ჩანაწერები აქვს გელათზე. „ქუთაისიდან ორ ლიეზე აგებულია გელათის მონასტერი. მონასტრის ტერიტორიაზე აგებულია წმიდა გიორგის სახელზე ნაკურთხი პატარა ეკლესია, რომელიც რვა-ასი წლისაა. მის გვერდით შედარებით ახალი და გაცილებით დიდი ეკლესიაა... მათ ირგვლივ ცხოვრობენ ბერძნული წესის მიმდევარი იმერელი ბერები, სახლები მიდგმულია ქონგურე-

ზიან და სათოფურებიან საკმარად სქელ გალავანზე. ეკლესიიდან ხელმარჯვნივ ქვის შენობაა წამოწეული. აქ ცხოვრობს არქიეპისკოპოსი, რომელიც ამავე დროს მონასტრის წინამძღვარია“ (12; 186-188).

1820 წლის 4 მარტის საღამოს მიტროპოლიტი ექვთიმე შეიპყრეს გელათში. „თუმცა მან შეინარჩუნა სრული სიმშვიდე და გამოხატა მხოლოდ დიდი გაოცება, თუ რატომ იჭერენ მას ძალით“. მიტროპოლიტი ექვთიმესთან ერთად შეიპყრეს ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოსი. თავზე ტომრები ჩამოაცვეს და ცემა-ცემით წაიყვანეს რუსეთს. მიტროპოლიტი დოსითეოსი გზაში გარდაიცვალა, ხოლო გაენათელი ექვთიმე პეტერბურგში ჩაიყვანეს, სადაც იმპერატორ ალექსანდრეს შეხვდა: „იმპერატორმა დიდი ზემოთ და პატივით მიიღო, მაგრამ ამისთვის არ მოერიდა ემხილებინა საქართველოს ეკლესიისა და ერის თავისუფლების წარმევისათვის, სამშობლოს დამცველების წამებისათვის, მას უწოდა ახალი ნერონი“. მის გამო გაენათელი ექვთიმე გააგზავნეს სვირის მონასტერში, სადაც აღესრულა 1822 წლის 21 აპრილს, 76 წლის ასაკში და დაკრძალეს იქვე. მისი დაკრძალვის დღეს აღესრულა დიდი სასწაულიც - „შემდგომად შესრულებისა ანდერძის აგებისა, მღვდელმთავარი ექვთიმე წარმოდგა თავის კუბოში და აკურთხა მარჯვენითა ხელითა მუნ მყოფნი ხალხნი“ (72; 54).

მიტროპოლიტი ექვთიმეს გარდაცვალებით დასრულდა გელათის მონასტრის ისტორიაში კიდევ ერთი დიდი ეპოქა. ქართული სახელმწიფოებრიობისა და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ მკვეთრად შეიცვალა დამოკიდებულება ქართველთა უძველესი სამეფო მონასტრის მიმართ. ამიერიდან გელათს ვეღარ მიაქცევდნენ შესაბამის ყურადღებას ქართველი მეფე-დიდებულნი, გელათში აღარ იჯდა აფხაზეთის კათალიკოსი, გაუქმდა გაენათელი ეპისკოპოსის კათედრა, ამას გარდა მოიშალა საუკუნეების განმავლობაში გელათში დამკვიდრებული ქართული ბერ-მონაზვნური, მთარგმნელობითი, საოქრომჭედლო ხელოვნების, გალობისა და მრავ-

ვალი სხვა მიღწევა-მონაპოვარი, რომლის მსგავსი ქრისტიანულ სამყაროში ძნელად მოიძებნება.


ამიერიდან შეწყდა გელათში ქართველ მეფე-დედოფალთა სულის მოსახსენიებელი წირვა, ლოცვა, უმოწყალოდ დაიწყო ქართველ მეფეთა საუკუნეების განმავლობაში შეწირული სიწმინდეების და ძვირფასეულობის დატაცება, გაქურდვა, შეურაცხყოფა. წმიდა მეფე დაფით აღმაშენებლის მიერ დაარსებულმა ქართული სულიერებისა და განათლების ცენტრმა შეწყვიტა არსებობა. საქვეყნოდ განთქმულმა ქართულმა ბერ-მონაზვნურმა ინსტიტუტმა დასუსტება დაიწყო. იმპერიაში მოქმედ ათასობით მონასტრის ფონზე გელათი გადაიქცა რიგით მონასტრად, რომლის მდგომარეობაც დამოკიდებული იყო იმაზე, თუ „რამდენ კაპიკს გაიმეტებდა“ რუსული ხელისუფლება ამ უძველესი მონასტრისათვის. ყოველივე ამან გამოუსწორებელი შედეგები მოუტანა გელათს. პერიოდი, რომელიც თითქმის ასი წელი გაგრძელდა, ურთულესი იყო გელათის მონასტრის ისტორიაში.





წმინდა საბას  
სახელობის  
ეკლესია


დავითის კოშკი



მთავარანგელოზთა  
სახელობის ეკლესია



ჯვრის სტელა  
ელის ეკლესიაში




წმინდა ელის სახელობის ეკლესია


უცნობი  
ეკლესია  
ელის ქედზე



წმინდა ნინოს  
სახელობის  
ეკლესიის  
ნაშთები



ბერის ციხის ნაშთი



წყლის სათავეს ბერებისათვის

სოხასტროს  
მაცხოვრის  
სახელობის  
ეკლესია



ღვთისმშობლის  
წყარო-ცხოვრების  
სახელობის  
ეკლესია



ხახულის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი



ანყურის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი



ბიჭვინთის ღვთისმშობლის  
სასწაულმოქმედი ხატი



წმინდა მეფე დავით  
აღმაშენებლის ჯვარი



გელათის ღვთისმშობლის სას-  
წაულმოქმედი ხატი




ბიჭვინთის ღვთისმშობლის  
სასწაულმოქმედი ხატი



გელათის ღვთისმშობლის მოზაიკა




კათალიკოს ზაქარია ქვარიანის გარდამოხსნა 1657-1660 წ.წ.




გიორგი ბრწყინვალე თავის მეუღლით ?  
ჩრდილოეთის კარიბჭე



როსტომ I. 1605 წ.  
მაცხოვრის ეკვდერი.




ალექსანდრე II 1510 წ. ოჯახით.  
წმ. მარინეს ეკვდერი.



ალექსანდრე III და დედოფალი  
ნესტან დარეჯანი დასავლეთის  
მინაშენი



გიორგი VI თავის ოჯახთან.  
მაცხოვრის ეკვდერი.




გიორგი II 1586 წ. გელათის  
წმ. გიორგის ტაძარი.




ნმ. მეფე თამარი 1213 წ. ნმ. ანდრიას  
ეკვდერი



იმერეთის უცნობი მეფე  
ოჯახთან ერთად. ნმ.  
მარინეს ეკვდერი




მეფე დავით ნარინი ბერობაში



მეფე დავითი ნარინი.  
ნმ. ანდრიას ეკვდერი.




უცნობი მეფე სამხრეთის  
კარიბჭე.



ბაგრატ VI. 1478 წ. სამხრეთის  
კარიბჭე.





ნმ. მეფე დავით აღმაშენებელი, კათალიკოსი ევდემონ ჩხეტიძე-  
ბაგრატი III, თავისი მეუღლით, გიორგი II, მეუღლით და შვილით.



უცნობი მეფე დედოფალი.  
ნმ. მარინეს აკადემიკოსი



უცნობი მეფე დედოფალი.  
ნმ. მარინეს აკადემიკოსი



უცნობი მეფე დედოფალი.  
ნმ. მარინეს აკადემიკოსი



კათალიკოს იაკობის საფლავის ქვა



ბაგრატ III იმერეთის  
მეფე 1565 წ.  
გელათის წმინდა  
გიორგის ტაძარი

იოსები ბაგრატიონი  
აფხაზეთის  
კათალიკოსი  
1776 წ.  
ღვთისმშობლის  
ტაძარი.



ზაქარია ქვარიანი  
აფხაზეთის  
კათალიკოსი  
1660 წ. ღვთისმშობლის  
ტაძარი.



გელათი 2006 წ.




გელათის  
დიდი  
სანაწილე



გელათის საეკლესიო კრება 1921 წელი





გელათის მონასტრის კანკელი 1920 წელი  
ხელნაწერთა ინსტიტუტი, ექვთიმეს არქივი, საქმე №334



წმინდა მღვდელთმთავარი  
გიორგი ჭყონდიდელი



წმინდა მეფე  
სოლომონ მეორე



წმინდა მღვდელთმთავარი  
დოსითეოს ქუთათელი



წმინდა მღვდელთმთავარი  
ექვთიმე გაენათელი

კათოლიკოს-  
პატრიარქი  
ილია II,  
რუსეთის  
პატრიარქი  
ალექსი II და  
მიტროპოლიტი  
კალისტრატე.  
გელათი 1996 წ.



კათოლიკოს-  
პატრიარქი  
ილია II,  
მსოფლიო  
პატრიარქი  
ბართლომეოს I და  
მიტროპოლიტი  
კალისტრატე.  
გელათი 2003 წ.

კათოლიკოს-  
პატრიარქი  
ილია II,  
მიტროპოლიტი  
კალისტრატე.  
გელათი 2006 წ.



გელათის

სახელობა

აკადემიის

ქარდათაპრობუნა



1994წ.



1994წ.





სრულიად საქართველოს  
კათოლიკოს-პატრიარქი



CATHOLICOS-PATRIARCH  
OF ALL GEORGIA

380005, თბილისი-5, სიონის 4, ტელ. 99-69-30 • 4, SIONI STR. TBILISI-5, USSR. 380005. TEL. 99-69-30

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N439

სრულიად საქართველოს საპატრიარქოსადმი

1990 წლის 21 სექტემბერი

საქართველოში სასულიერო განაღების მრავალსაკუნოვანი  
ტრადიციის თანახმად გუდათის მონასტერში აღგეს კუდათის აკადემია,  
სადაც მიიღებინ უმაღლესი განათლების მკონე ვაჟები 30 წლამდე  
ასაკისანი, და აკადემიის რეჟორად დაინიშნის მისი მაღალყოლად-  
უსამღვდლოუნობა, ქუთათელ-გენათელი მათვარეპისკოპოსი კაიისგრაგე  
(მარგალიტამვილი).



ჩილია

სრულიად საქართველოს  
კათოლიკოს-პატრიარქი



1820 წლიდან საეკლესიო რეფორმის შემდეგ საერთოდ შეიცვალა გელათის მონასტრის მართვა-გამგეობა, სტრუქტურა და მნიშვნელობა. თუკი ძველად გელათის წინამძღვრად გაენათელი ეპისკოპოსი ითვლებოდა, რომელსაც საკმაოდ ბევრი უფლება ჰქონდა, 1821 წლიდან გელათი გადაიქცა შტატის დაწესებულებად. მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა არქიმანდრიტი ნიკოლოზი (ჩხეიძე). იგი თერამეტი წელი (1820-1838 წ.წ.) განაგებდა გელათის მონასტერს. 1822 წლის 6 სექტემბერს საქართველოს ეგზარქოსი, მთავარეპისკოპოსი იონა, იმერეთის ეპისკოპოს სოფრონ წულუკიძეს ატყობინებს, რომ სინოდის კანტორამ აგვისტოს თვეში მიიღო განჩინება: „გაენათის მონასტერი და ჭელიშის უდაბნო მიმატებითა მათდამი სხვათ ყოველთა მონასტერთა და უდაბნოთა დაინიშნენ შტატისად და შეირაცხოს პირველი ვითარ უძველესი იმერეთს შინა პირველკლასოვანთა როსიის მონასტერთა თანა და უკანასკნელი მეორე კლასოვანთა თანა... ნულარ აკურთხებთ მონაზონთა მღვდლად ანუ დიაკონად თვით წარმოდგინებისა სინოდის კანტორისა“ (ქ.ც.სა ფონდი 21, საქ. 52). პირველი კლასის მონასტერი, როგორც უძველესი, იგი გაუთანაბრეს მთელს რუსეთის იმპერიაში არსებულ პირველი კლასის მონასტრებს, მხოლოდ სიტყვივით, თუმცა განსაკუთრებული მზრუნველობა, რომელიც გააჩნდა პირველი კლასის მონასტრებს, არ გამოუჩენიათ სამეფო მონასტრისადმი. კიდევ ერთი საკითხი, ამიერიდან ვერ მოხდებოდა დიაკვნისა და მღვდლის კურთხევა სინოდის კანტორასთან შეუთანხმებლად. 1821 წლის 19 ნოემბერს იმპერატორის მიერ დამტკიცებული სინოდის მოხსენებით ბარათის მეექვსე პუნქტი ითვალისწინებდა გელათისა (რომელზედაც ორი უდაბნო - მოწამეთისა და გოგნის იყო მიწერილი) და ჯრუჭის მონასტერში შტატის დაწესებას. ქვათახევის მონასტრის მსგავსად გელათს წელიწადში არსებობისათვის უნდა დანიშნოდა 1700 მანეთი (36; 39).

არქიმანდრიტი ნიკოლოზი 1823 წლიდან განწესებული იყო

სინოდის კანტორის წევრად, იგი უნდა ჩასულიყო თბილისში და დაფიცების შემდეგ გახდებოდა სინოდის კანტორის წევრი. ეგზარქოსობის პერიოდში თითქმის ორი ათეული წელი „პირველი კლასის მონასტრისათვის“ რუსულ მმართველობას თითქმის არავითარი თანხა არ გამოუყვია, მონასტრის სახურავს „არცა ჯანგარი, არცა ზეთი არ წასმია და წვიმისაგან არის სრულიად დახვრეტილი“, არც ერთ შენობაზე არ ჩატარებულა აღდგენითი სამუშაოები, ამ პერიოდში დაზიანდა აკადემიის შენობაც. თუმცა რუსული მმართველობა „განსაკუთრებით ზრუნავდა“ გელათში დაბრძანებული სიწმინდეების ადგილმდებარეობის აღწერა-დაფიქსირებაზე. 1820 წლის 11 მარტს მოხდა გელათის მონასტრის საეკლესიო შესამოსელთა და სიწმინდეთა აღწერა, რომელსაც მაიორი ოსტროუხოვი, გადაგვარებული რუსი სამხედრო, დაესწრო. მან განსაკუთრებული როლი ითამაშა მღვდელმთაფრეების დოსითეოსისა და ექვთიმეს შეპყრობაში. აღნიშნული აღწერილობა საკმაოდ საინტერესოა. სულ რამდენჯერმე მოხდა ეგზარქოსობის პერიოდში გელათის სიწმინდეთა აღწერა, სამწუხაროდ, ყოველი აღწერილობის შემდეგ იგრძნობოდა დანაკლისი. გელათის კანკელის მარჯვნივ დაბრძანებული ყოფილა გელათის ღვთისმშობლის ხატი წმიდა ნაწილებით. კანკელის მარცხნივ კი დაბრძანებული გახლდათ ხახულის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი „ბუდე ამისა ხატისა და კარი შეჭედილი ოქროთი ფრიად მდიდრად შემკული სხვათა და სხვათა ძვირფასთა დიდთა, სამკაულთა და მცირეთა ქვათაგან, ხუთს ადგილსა ბუდისასა ასვენია წმიდათა ნაწილები, ორი დიდი ოქრო და ცხრა უმცროსი, ექვსი ბეჭედი, საყურე სამი, კანდელი წმინდისაგან ოქროსა, შემკული იაგუნდის თვლებით“ (59; 115). აქვე ბრძანდებოდა აწყურის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი შეჭედილი ოქროთი - „შემკული ქვათაგან იაგუნდითა და ზუმუხტითა და ფირუზითა“.

საკურთხეველში იყო ოთხი ბარძიმი, თავისი ფეშხუმებით, ვარსკვლავით და კოვზით, სანაწილე ვერცხლის მოოქროვილი

საშუალო ზომისა და კუბო ვერცხლისა სანაწილე. აღნიშნული სანაწილე გახლავთ წმიდა მეფე დავით აღმაშენებლის შეწირული, რომელიც სავსე გახლდათ წმიდა ნაწილებით. საკურთხეველში იყო ასევე ოქროსა და ვერცხლის ყდიანი სახარებები, სამღვდელმთაფრო შესამოსელები, ძვირფასი ჯვრები და მრავალი სხვა. უძვირფასესი შესამოსელები, მიტრები და საეკლესიო ინვენტარი იყო დაბრძანებული წმიდა გიორგის სახელობის ტაძარში. მოგეხსენებათ, ეს ტაძარი საკათალიკოსო გახლდათ და იქ უმეტესად ძვირფასი საკათალიკოსო შესამოსელები იყო დაბრძანებული.

უდიდესი ტრადიციების მქონე მონასტერი უკვე 1828 წლისათვის უკიდურეს უსახსრობასა და სიღარიბეს განიცდის. 1828 წლის 6 მაისს არქიმანდრიტი ნიკოლოზი იმერეთის ეპისკოპოს სოფრონს დახმარებას სთხოვს: „1822 წლიდან ივლისის თვითგან არცერთი ფული სინათლის, საკმეველისა და სანთლის ფულისა, არავის მოგვცემია, მონასტრის კრებულმა უწყის, ჩემი საკუთარი ხარჯით და ყოველსა ლოცვაზედ და წირვაზედ ინთება ათ-ათი სანთელი და გარდა ამისა თქვენმა ყოველადუსამღვდელოესობამაც უმჯობესად უწყის თუ რა შენობა აქვს გაენათის მონასტერშიდ და სულ ერთიანად ესაჭიროება დახურვა, რომელისაც ერთი მხარე დიდისა პალატის კიდეც ჩამოქცეულა და გარდა ამათის გენათლის წაყვანის შემდეგ არც ზეთი და არც ჯანგარი საყდარსა არ წასმია“ (ქ.ც.სა.ფ. 21. ს. 440). ამ დროს ჩაქცეულა აკადემიის შენობის სახურავი, რამდენიმე წელი სახურავს ზეთი არ წასმია, ხოლო გელათში მსახურებაზე წინამძღვარი თავისი ხელფასიდან შეძენილ სანთლებს ანთებდა. ამის გარდა მოიშალა გელათში წესრიგი და დაეცა სულიერება. 1834 წელს არქიმანდრიტი ნიკოლოზი მთაწარეისკოპოს სოფრონს წერს: „გაენათს იმყოფება განსვენებულის არხიმანდრიტის ზაქარიას ძმა გიორგი გურგენიძე, იმ დროიდან როცა გაყვანილი იქნა აწ მიცვალებული არხიმანდრიტი ზაქარია რუსეთად და არის იმავე ადგილსავე და მოხუცებულობისა და ლოთობისაგან არათუ ერთგზის

მისცა აოხრებას გაენათის მონასტერი ცეცხლითა და ეს მეოთხედ არის“ (ქ.ც.სა.ფ. 21. ს. 1084). არქიმანდრიტი ზაქარია გახლდათ წმიდა გიორგის ტაძრის ბოლოს წინამძღვარი, რომელიც რუსეთში გარდაიცვალა. რაც შეეხება მის ძმას, იგი გალოთებულა და გელათის წინამძღვრის არაერთგზის ბრძანების მიუხედავად, ვერ გამოუყვანია მონასტრიდან, რისთვისაც დახმარებას მღვდელმთავრისგან ითხოვს.

საინტერესო გახლავთ 1826 წელს მოსკოვში გამოცემული წიგნი „История Грузинской Иерархии“, სადაც გელათის მონასტერზეც არის საუბარი. „ტაძარში ტილოს კანკელია. კანკელზე 47 ხატია, მათ შორის ბევრი ძვირფასი ქვებით, მარგალიტებით და წმიდა ნაწილებითაა შემკული და ოქროთი და ვერცხლითაა მოჭედილი. ღვთისმშობლის შობის ტაძარს 5 ეკვდერი აქვს“ (147; 30).

საკათედრო ტაძრის ჩრდილოეთით, 11 საუენის დაშორებით, მღვდელმთავრებს ჰქონდათ ორი სახლი: ერთი საგაზაფხულო, მეორე - საზამთრო. პირველი სახლი ამალღებულ საძირკველზე დგას და ერთი პატარა, ერთი დიდი და საკმაოდ ვრცელი დერეფნისაგან შედგება. მეორე სახლში ერთი დიდი და ორი პატარა ოთახია. აღნიშნული სახლების ნაშთები გელათში დღესაც არის, ამ სახლებზე დააშენეს შემდგომ პერიოდში გრძელი შენობა, დღესდღეობით აკადემიის დარბაზი.

იქვე საუბარია წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიაზეც, ძველად საკათალიკოსო მონასტერზე. მისგან ჩრდილოეთით, 6 საუენის დაშორებით, დგას პატარა, 6-ოთახიანი სახლი, იქვე - ორი თითოოთახიანი სახლი. ამ სახლებთან ახლოს მდგარა 1819 წელს არქიმანდრიტ ნიკოლოზის ხარჯით აგებული სადგომი მინის სამი სარკმლით.

წმიდა გიორგის მონასტერზე მიწერილი ყოფილა „თაბორის უდაბნო“, რომელიც 1815 წელს დააარსა არქიმანდრიტმა ზაქარიამ. უდაბნო მდებარეობს იმერეთის ყველაზე მაღალ მთაზე, გელათიდან 30 ვერსის დაშორებით (147; 33).

1833 წელს გელათში იმყოფებოდა ცნობილი მოგზაური და

მეცნიერი ფრედერიკ დიუბუა დე მონპერე. მან ძალზე საინტერესო ცნობები შემოგვინახა გელათის მონასტერზე. იგი აღნიშნავს, რომ, როდესაც ბიჭვინთის პატრიარქები თავიანთი ახსრებული მიტროპოლიიდან წამოსულან, თან წამოუღიათ წიგნები და განძეულობა. იგი გაოცებული იყო გელათში ნახული სიწმინდეებით. მონასტრის სამი ეკლესიიდან ყველაზე ძველია წმიდა გიორგის ეკლესია, რომელიც ბაგრატ IV-ს აუგია. დიუბუა დე მონპერე ბერებს აუყვანიათ სოხასტერში, სადაც მას უხილავს თორმეტი მონაზონი მანდილოსანი, რომლებიც საშინელ სიღარიბეში ცხოვრობდნენ და დაკავებულნი იყვნენ ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულისათვის ძველმანების კემსვით. „მათი ეკლესია, რომელიც ხეობის ზემოთ პლატოზე, უზარმაზარი ცაცხვის ჩრდილქვეშ დგას, ბევრად უფრო ძველია, ვიდრე გელათის ყველა დანარჩენი ეკლესია. მღვდელი, რომელმაც ეკლესია გაგვიღო, გვარწმუნებდა, რომ იგი დაახლოებით 1000 წლით თარიღდება“ (145; 84). მონასტრის იქეთ მეცნიერს უნახავს ქვის ლამაზი კედლებით შემოსაზღვრული ადგილი, განკუთვნილი განკიცხულთათვის, რომლებსაც დროდადრო იქ ცოდვების მოსანანიებლად აგზავნიდნენ. მასვე უხილავს მთის წვერზე მდებარე ქვის ეკლესია, რომელიც ჯერ კიდევ მოქმედი ყოფილა, ხოლო მის ირგვლივ სასაფლაო ყოფილა განლაგებული. ალბათ, მეცნიერს საუბარი აქვს ელიას სახელობის ეკლესიაზე. მეორე ეკლესიას იგი სამგლოვიარო ეკედერს უწოდებს, რომელიც გალაენით ყოფილა შემოსაზღვრული, ირგვლივ კი სახლების ნანგრევები და საფლავები ყოფილა მოფენილი. „ისინი სულ კლდეებშია გამოკვეთილი და დაფარულია უბრალო ქვის ფილებით, რომელთა ქვეშ ჭუჭრუტანებიდან მიცვალებულები ჩანან“ (145; 84). ამ შემთხვევაში იგი საუბრობს საბას სახელობის ეკლესიაზე. მესამე ეკლესია კი მას კლდის კიდეზე უნახავს, სადაც არის მდინარის მოჩუხჩუხე სათავე, რომელიც კირქვებით დაკბილული კალაპოტით მოედინება.

აღნიშნული ცნობები ძალზე მნიშვნელოვანია მთლიანად

გელათის სამონასტრო კომპლექსის შესწავლისათვის. მეცნიერს აღწერილი აქვს არა მარტო გელათის გალავანს შიგნით მდებარე ეკლესიები, არამედ მისი მიმდებარე ტერიტორია, წყალწითელას ხეობაც შემოუვლია და მოგვაწოდა უმნიშვნელოვანესი ცნობები გელათის ზემოთ მდებარე უძველესი ეკლესიების შესახებ.

1837 წელს გელათის წმ. გიორგის მონასტერში მცირედი სარემონტო სამუშაოები ჩატარდა, საქართველოში რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ I-ის ჩამოსვლასთან დაკავშირებით, რომელიც გელათსაც უნდა წვევოდა. წმ. გიორგის ეკლესიის დასაველეთი მინაშენი გადაიხურა კრამიტით, კარიბჭე და თვით ეკლესია შიგნიდან შეთეთრდა კაცის სიმაღლეზე და ქვის ახალი იატაკი დაიგო (36; 122). დაახლოებით 1829 წელს წმიდა მეფე დავით აღმაშენებლის სანაწილედან წმ. გიორგის თხემის ნაწილი ჩამოტყეს. ბატონმა გ. ტყეშელაშვილმა დაწვრილებით შეისწავლა ეს საკითხი. აღნიშნული ქურდობის შემდეგ, 1833 წელს, არქიეპისკოპოს სოფრონ წულუკიძის კურთხევით დამზადდა მუხის ახალი სანაწილე, ვერცხლის სანაწილედან მასში გადააბრძანეს წმინდანთა ნაწილები. მღვდელ-მონაზონმა ისაკ დოლონაძემ სინოდის კანტორაში იჩივლა და დამნაშავეების დასჯა მოითხოვა. როგორც შემდეგ გაირკვა, წმიდა გიორგის თხემისგან მოტყეხილი საკმაოდ დიდი ნაწილი არქიმანდრიტ ნიკოლოზს გადაუცია თავისი ძმის „ნადვორნი სოვეტნიკ“ დავით ჩხეიძისათვის, რასაც ამოწმებენ გელათელი მღვდელი სვიმონ ჭირაქაძე და მღვდელ-მონაზონი ნიკიფორე გვეტაძე. თუმცა დავით ჩხეიძე კატეგორიულად უარყოფდა დანაშაულს: „ბრძანებითა განსვენებულისა ძმისა ჩემის გაენათის მონასტრის არხიმანდრიტის ნიკოლაოსის მიერ ერთბამ დიაკვნის იოვანე წივწივაძეთურთ თხემსა ზედა წმიდისა გიორგისა მოტყეს მათ და მიართუეს არხიმანდრიტს და მან მე მიბოძა, რომლისთვისაც ვაცხადებ, რომ ვითარცა ნაწილი წმიდისა გიორგის თხემისაგან მოტყეხილი. არცა სხვისა რომლისაჲ წმიდათგანის ნაწილი განსვენებულ ნიკალაოს არხიმან-



დრიტს ჩემთვის არ უბოძებია და არც მე მისთვის ესე ვითარ არ მითხოვნია“ (ქ.ც.სა.ფ. 21 ს. 1615). 1838 წელს არქიეპისკოპოსმა სოფრონმა არქიმანდრიტი ნიკოლოზი გელათის წინამძღვრობიდან გადააყენა. იგი გარდაიცვალა 1841 წელს, დაკრძალულია გელათის მონასტრის ეზოში. საფლავის ქვაზე შემდეგი წარწერაა: „მომცა წარსულმა სიკვდილმან, საფლავსა ამას შთაეაბნიე მტვერი - მტვერისა თავადის ტომით არხიმანდრიტი მონასტრის გენათის და წინამძღვარი ნიკოლოზ. აღვესრულე ჩყნ.გ. წელსა შობიდან მ.ზ წელსა, ხოლო ძმისწულმან ჩმნ. ასულმან დავით ჩხეიძისგან კნეინა ლევან წულუკიძისაგან ეკატერინემ ლოდით დამფარა და მხილველთაგან ვითხოვ შენდობას“ (36; 143). აღსანიშნავია, რომ ბატონმა მერაბ კეჭევაძემ თავის ნაშრომში „გელათი ეგზარქოსობის დროს“ ძალზე დაწვრილებით გადმოგვცა ეგზარქოსობის დროს გელათში მომხდარი მრავალი ფაქტი, ამ პერიოდის გელათის წინამძღვრების ღვაწლი და მანამდე უცნობი მრავალი საინტერესო მასალა გაგვაცნო.

1838-1841 წლებში გელათის წინამძღვრის მოვალეობას ასრულებდა ვანის მონასტრის ილუმენი სვიმეონ ლორთქიფანიძე. რაც დრო გადიოდა, გელათის მონასტერი მით უფრო ჩქარა საჭიროებდა აღდგენა-შეკეთებას, მონაზვნები კი სასტიკ სიღარიბეში იმყოფებოდნენ. 1840 წლის 6 ივლისს სოხასტერის დედათა მონასტრის უფროსი მონაზონი მარიამ წერეთელი არქიეპისკოპოს სოფრონს სთხოვს დახმარებას: „სადგომნი არიან ძლიერ გაფუჭებულნი და დანგრეულნი და ესლა ვმეცადინეობთ შეკეთებას“. მარიამი მღვდელმთავრისაგან ითხოვს ძველ ყავარს, ვინაიდან იმჟამად ახალი ყავარით გადახურეს წმ. გიორგის ეკლესია და რამდენიმე სახლი. (ქ.ც.სა.ფ. 21; ს. 1265).

1839 წლის ზაფხულში ილუმენ სვიმეონს პირადი თხოვნის საფუძველზე მოუმატეს ჯამაგირი და იმდენივე გადაუხადეს, რასაც იმერეთის სხვა მონასტრის წინამძღვრები იღებდნენ (ქ.ც.სა.ფ. 21; ს. 1204).

1837 წლის 17 სექტემბერს საქართველო-იმერეთის სინოდა-

ლური კანტორის გადაწყვეტილებით გაუქმდა საქართველოში ერთ-ერთი უძველესი გოგნის უდაბნო. 1839 წლის 15 თებერვალს ილუმენ სვიმეონს ავალებენ, რომ გააუქმოს გოგნის უდაბნოს მონასტერი, ხოლო ეკლესიის ნივთ-სამკაულნი და მღვდელ-მონაზონი იოსებ ბაქრაძე მონასტრის ძმებთან ერთად გელათში გადაიყვანეს. გოგნის ეკლესიაში წირვა-ლოცვა დღესასწაულებზე ტარდებოდა. მაშინ „რომელთა შინაც აქვნდეს ხალხთ მუნ შეკრების ჩვეულება, თვითონ უდაბნო დაცული იქმნეს, მთლიანად დაბეჭდვისა იქაურისა უდაბნოსა ეკლესიისა ბეჭდითა“ (ქიმ. №8).

იმავე წლის იანვარში ილუმენი სვიმეონი დახმარებას ითხოვს არქიეპისკოპოს სოფრონისაგან. იქვე მცხოვრები მოსახლეობა ქურდობდა: „შევნიშნე, რომელ მცხოვრებნი მახლობლად მონასტრისა და გალაგნისა, შიგნითაც მდგომარენი შერებიან ავაზაკურის სახით ქურდობას... მოიპარეს სპილენძის იარაღნი, აგრეთვე დარღვეულთა საეკლესიოთა პალატთა და სახლთაგან სახმარნი ფიცარნი და კარნი, ფანჯრები, წინამძღვარსა გრიგოლს გაუტეხეს სახლი და გლახაკთ მოპარეს ფული“ (ქ.ც.სა.ფ. 21; ს. 1759). ილუმენი სვიმეონი სთხოვს მღვდელმთავარს, რომ გაჩხრიკოს მათი სახლები, მონასტრისათვის მავნებელი ადამიანები გაიწმინდონ, ასევე სოფლის დედაკაცებმა არ უნდა იარონ მონასტერში წყალზე, ვინაიდან მამათა მონასტრისათვის ასეთი რამ შეუფერებელია.

იმავე წლის სექტემბრის 23-ში საქართველოს ეგზარქოსი ევგენი არქიეპისკოპოს სოფრონს ატყობინებს და ითხოვს პასუხს, თუ რისთვის არ ჩატარდა წირვა გელათის მონასტერში მისი იმპერატორობის დაგვირგვინების დღეს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ილუმენი სვიმეონი ატყობინებს სოფრონს, რომ „იმ დღეს მართლაც არ ყოფილა წირვა გელათში, რადგან „მესებისკვერე გამხდარიყო ავად, ხოლო გაკეთებულნი სხვის მიერ სებისკვერნი უცოდინარობისაგან ანუ დამკავებისაგან აღმოჩენილან ცომნი ესრეთ, რომელ კრებულთა ვერ გაბედეს მონაზონთა წირვა“ (ქ.ც.სა.ფ. 21; ს. 1757). თუმცა

მონაზვნებს აღუეღენიათ სამადლობელი ლოცვა მთელი დღე ზარის რეკვით. თუმცა 1839 წლის 4 ნოემბრის მოწერილობით ეგ ზარქოსი ევგენი სოფრონისგან მკაცრად ითხოვს დამნაშაის დასჯას და ჯარიმის გადახდას, ასევე მომავალში აღარ უნდა განმეორებულყო დიდ დღესასწაულებზე წირვის გაცდენა. საბოლოოდ ამ საქმეში „დამნაშავედ სცნეს“ მონაზონი მარინე გურული, რომელმაც ავადმყოფობის გამო ვერ დაამზადა სებისიკვერი.

1842-1844 წლებში გელათის წინამძღვარია არქიმანდრიტი ექვთიმე წულუკიძე. ყოველი ახალი წინამძღვარი მონასტრის საძმოს თანდასწრებით გადაიბარებდა ხოლმე გელათის ძვირფასეულობასა და სიწმინდეებს. ამჯერად ამ საქმეში კვლავ ეგ ზარქოსი აქტიურობს. იგი 1841 წ. 12 დეკემბერს არქიეპისკოპოს სოფრონს ატყობინებს, რომ მის მიერ გაიხსნა გაენათის მონასტრის წინამძღვრის ადგილი, სადაც გადმოყვანილი იქნებოდა კაცხის მონასტრის ილუმენი ექვთიმე და აყვანილი იქნებოდა არქიმანდრიტის ხარისხში. ამასთანავე, მას უნდა შეემოწმებინა და თავის დაცვის ქვეშ მიეღო ყოველი საეკლესიო და სამონასტრო ქონება. საეკლესიო ქონებათა აღწერილობის დროს, სამწუხაროდ, აღმოჩნდა დანაკლისი: 1. გელათის ღვთისმშობლის ხატი, რომელიც საესე იყო წმიდა ნაწილებით, გაძარცვული აღმოჩნდა: „გარნა ერთ უჯრაში არ არის სრულად ნაწილები. ორში არა საესებით არის. №13, სადაც წერია ოქროს (ბუდე) სანაწილე მაცხოვრისა და ნათლისმცემლის ნაწილთა, შენიშნულ არს, რომელ იმ ბუდეში არის რალაც ტილოსა და შალის მსგავსი ნაჭერი. ივ პუნქტში, სადაც ჩვენებულ არს სარტყელი ნაკერი მარგალიტითა ანგარიშითა ვზ-67 - მარგალიტი გარნა შემდეგ განხილვისა არა აღმოჩენილ არს ღილებიცა, რომელიც უნდა ესხდნენ ერთს საბუხარს, №14 აკლია ოქროს რგოლი, ენქერს №18 აკლია - ძაფი წვრილი მარგალიტისა და ორი პატარა ღილი“ (ქ. ცსა. ფ. 21; ს. 1958).

1838 წლის 13 დეკემბერს მონასტრის ქონება შემოწმებული იქნა 1820 და 1827 წლების აღწერილობათა სიების საფუძ-

ველზე, რასაც დაესწრნენ არქიმანდრიტი სვიმეონი, ილუმენი სვიმეონი, პოლიციის ჩინოვნიკი გიორგი წულუკიძე, მღვდელი სიმონ კანდელაკი და სიმონ ჭირაქაძე, თუმცა მათ აღწერილობაში ზემოხსენებული ნაკლოვანებები აღმოჩენილი არ იყო. ამის გამო დაუყოვნებლივ მოითხოვეს, რომ მომხდარიყო ფიცხელი გამოძიება აღნიშნული ნაკლოვანებებისა. გელათელ მღვდელ სიმონ კანდელაკს, ბერ-მონაზონ ისააკის დასმენით, ბრალი არა მართლ წმ. გიორგის თხემის ნაწილის მოტყუებაში მიუძღვოდა, არამედ სხვა სიწმინდეების დაკარგვაშიც: „შესმენილობითა მისისა მღვდელს სიმონ კანდელაკზე დაკარგვისათვის მისგან წმიდა ნაწილთა და სხვათა საეკლესიო ნივთთა გაენათის მონასტრისათა“ (70; 133). სამწუხაროდ, ზოგიერთი სასულიერო, რომელსაც არ გააჩნდა ღვთისმომშიშება და ეკლესიის ერთგულება, უჩუმრად ძარცვავდა საუკუნეების განმავლობაში გელათში დაცულ სიწმინდეებს. ამ აღწერის დროს დაფიქსირდა ოქროს გულსაკიდი სანაწილე, რომელიც დაკარგულად ითვლებოდა იმერეთიდან მიტროპოლიტ დოსითეოს წერეთლის წაყვანის დროს. აღნიშნულ სანაწილეში ჩაბრძანებული იყო წმიდა ნაწილები და სამჭვალის ნაწილი, სახურავზე გამოსატული ყოფილა ჯვარცმა, მეორე გვერდზე კი - სამი ანგელოზი და იოანე ნათლისმცემელი.

1842 წელს მოხდა აღწერა გელათის უმნიშვნელოვანეს სიწმიდეთა. გამორჩეულია ხახულის ღვთისმშობლის ხატის აღწერილობა. იგი დაბრძანებული გახლდათ მარცხენით კერძო კანკელისა. „ხატი ხახულისა ღვთისმშობლისა დახატული ლუკა მახარებლისაგან ფიცარსა ზ-ა ბაგისასა, რომელსა შინა მწოლარე იყო პირველ საუკუნო ყრმა, ხუთს ადგილსა ბუდისასა ასვენია წმიდათ ნაწილები“ (ქ.ც.სა.ფ.21; ს.1958). ასეთი უდიდესი სიწმინდის მფლობელი იყო ქართველი ერი, თუმცა მომავალში გადაგვარებულის ხელი ამ უდიდეს სიწმინდესაც შეეხო.

ღვთისმშობლის სახელობის მთავარ ტაძარში სოლომონ I-ის მიერ გადახურულ რკინის ფურცლებში წყალი ჩადიოდა. 1843

წლის აგვისტოში გარკვეულწილად შეაკეთეს ჭერი და გუმბათის ჯვრის ფეხი, თუმცა ერთი წლის შემდეგ მთავარ ტაძარში წყალი მაინც ჩაეიდა (36; 124). 1844 წლის 29 ივნისს გელათის წინამძღვარი არქიმანდრიტი ექვთიმე აყვანილი იქნა ეპისკოპოსის ხარისხში და დაინიშნა გურიის ეპარქიის მმართველად (1844-1853 წ.წ.), ხოლო 1853-1856 წლებში გარდაცვალებამდე იმერეთის ეპისკოპოსი იყო (112; 72).

1845 წლიდან გელათის მონასტრის წინამძღვარი გახდა არქიმანდრიტი სვიმონი (წერეთელი). მისი წინამძღვრობის პერიოდშიც ძალიან უჭირდა გელათის მონასტერს. 1850 წელს არქიმანდრიტი სვიმეონი იმერეთის მიტროპოლიტ დავით წერეთელს სთხოვს: „რათა მოუმატონ თანხა, რადგან გამოყოფილია, სანთლისთვის 25 მანეთი, ხოლო სეფისკვერისა და ზედაშესათვის 15 მანეთი ვერცხლისა ამა ორივე საგნების ფული არა საკმაო არს, მოელის თქვენს მწყემსთაფრულ მოწყალებას, რათა განწესებული ყოველი დღე ლიტურგიის მსახურება არღა მოიშალოს“ (ქ.ც.ს.ა.ფ.21; ს.4558). მომატებული თანხა უნდა გამოსულიყო ბერების დანაზოგის ჯამაგირებიდან. 1851 წელს არქიმანდრიტი სვიმეონი თხოვს მიტროპოლიტ დავითს, რომ შეიცვალოს გელათის მონასტრის კლიტემპყრობელი მღვდელი სიმონ ჭირაქაძე, რომელიც ძალზე მოხუცებულია და თავის დროზე ეკლესიის კარის გაღებაც კი არ შეძლებია. წინამძღვარი ითხოვდა, რომ ადგილზე დანიშნულიყო „კარგი ყოფაქცევის მექონი სიყრმითგან აღზრდილი ამ დიდებულს მონასტერშიდ ნიკოლოზ ივანეს ძე ჭირაქაძე“ (ქ.ც.ს.ა.ფ.21; ს.4920). ამ პიროვნებას ჯამაგირი უნდა მისცემოდა გარდაცვლილი ბერების დარჩენილი ჯამაგირიდან. ეს თხოვნა არ დააკმაყოფილეს, თორემ, შესაძლოა, მომავალში აღარ მომხდარიყო გელათის მონასტრის დიდი ძარცვა.

1846-1849 წლებში გელათის მონასტერში ჩატარდა დიდი სარემონტო სამუშაოები, რომელზეც 5102 მანეთი დაიხარჯა. გადაიხურა წმ. გიორგის და წმ. ნიკოლოზის ეკლესიები, სამრეკლო, შეიღება წმ. გიორგის ეკლესიისა და სამრეკლოს ჯვრები,

წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში გაკეთდა მოაჯირი და ფანჯრები, დიდ ტაძარში გადაღებეს კანკელის კარები, შეაკეთეს დავით აღმაშენებლის საფლავის სამლოცველო, მონასტრის გალავანი და სხვ. (36; 68).

გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე არქიმანდრიტი სვიმეონი მღვდელმთავრისაგან ითხოვს, რომ გელათის მონასტერს დაეხმარონ: „დიდი ტანის ეკლესიის ფანჯრები და ეკვდერებისაც წაახდინა დიდმა ქარმა, რომელიმე სულ გარდამოაგდო ან რომელიმე შიდ ჩატეხა დიდის სიძველისამ, ავდართ და ქარით შესხმული იქნება წვიმა, ჩარეცხავს კედლებსა და ნახატებს წაახდენს“ (ქ.ც.სა.ფ.21; ს.5122). აპრილის თვეში არქიმანდრიტ სვიმეონს სთხოვენ წარმოადგინოს ხარჯთაღრიცხვა, თუ რა დაჯდება ფანჯრების შეკეთება, მაგრამ უკვე 1852 წლის 26 აგვისტოს არქიმანდრიტი სვიმეონი გარდაიცვალა, იგი დაკრძალეს ღვთისმშობლის შობის ტაძარში, საფლავის ქვაზე კი შემდეგი წარწერაა: „აქა განისვენებს მალაღლირსი არქიმანდრიტი და კავალერი სვიმონ. ტომით თავადი წულუკიძე 68 წლის, 8 წელს გამგებელი დიდის მონასტრის გელათის. გარდაიცვალა 1852 წელსა 26 აგვისტოს, ხოლო ფიქალი ესე დაესდეთ სახსოვრად მეგობრობისა მისისა მეგრელიის თავადმა დადიანმა დავით“.

1852 წლიდან 1853 წლის აგვისტომდე გელათის მონასტრის წინამძღვარია არქიმანდრიტი იოანე იოსელიანი, 1853 წელს იგი აიყვანეს ეპისკოპოსის ხარისხში და დანიშნეს გურიის ეპარქიის მმართველად 1853-1858 წლებში. 1867 წელს იგი გარდაიცვალა და დაკრძალეს გელათის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარში.

1857 წლის 22 ივლისს გურიის ეპისკოპოსი იოანე მთავრობის ნებართვით ითხოვს იმერეთის ეპისკოპოს გერმანესაგან, რათა ის სამკურნალოდ და ჰაერის გამოსაცვლელად დაუშვან გელათის მონასტერში. „ჩემს წინამძღვრობაში შეჩვეული მისი ჰაერი, რომელიც ჩემთვის არის ფრიად სასარგებლო, მაქვს განზრახვა გავაკეთო ხსენებულ მონასტერში სენაკი და

მით ვიქონიო საკუთარი ჩემთვის ჟამით-ჟამად, მახლობლად წმიდის გიორგის ეკლესიისა... სენაკი შემდგომ ჩემსა დაშთეს გაენათის მონასტერს“ (ქ.ც.სა.ფ.21; ს.6581). მომდევნო წლის ნოემბერში ეპისკოპოს იოანეს თხოვნა დააკმაყოფილეს და სინოდის კანტორის დადგენილებით მას დაუნიშნეს პენსია 1000 მანეთის ოდენობით.

1853 წლის ნოემბრამდე გელათის მონასტრის წინამძღვრის მოვალეობას ასრულებდა ილუმენი იოსაფეტი.

1853 წლის 27 ოქტომბერს გაენათის მონასტრის წინამძღვარი იოსაფეტი იმერეთის ეპისკოპოს ექვთიმესაგან ითხოვს დახმარებას. სინოდალურ კანტორას მიუღია გადაწყვეტილება, რომ კანდელაკების ოჯახი გადასახლებულიყო მონასტრიდან 45 ვერსზე. ისინი თავიანთი მოსამსახურეებით მონასტრის გალავანში ყოფილან დასახლებული, სინოდის ბრძანება კი შეუსრულებელი დარჩენილა: „ისინი დიდ მწუხარებას აძლევენ მონასტერს და მონასტრის ძმებს. ქურდობენ წინეთ, მათმა ბავშვმა ეკლესიაში შენახული ნაწილი მოიპარა, განსვენებულ არქიმანდრიტს ოქროშიდ დაფერილი კოვზები მოპარეს, მათი მოსამსახურე გოგოები შემომდგარი ყოველ დღე მონასტრის გალავანზედ მღერიან და ცეკვავენ განსაქიქებლად ძმათა მონასტრისათა“ (ქ.ც.სა.ფ.21; ს. 5407).

1853 წლის ნოემბრიდან კი გელათის მონასტრის წინამძღვარია არქიმანდრიტი თეოფანე (გაბუნია). იგი კვლავ ითხოვს გელათის მონასტრის შეკეთებას, ვინაიდან „ეკლესიაში ჩიტები დადიან და ქარიან წვიმაში წვეთები ჩადის და ახდენს წმიდათა ხატთა“. იგი აღნიშნავს, რომ უცოდინარობისაგან ვერვის შეედგინა ხარჯთაღრიცხვა. 1854 წლის ივლისში იმერეთის ეპისკოპოსი ექვთიმე სთხოვს არქიმანდრიტ თეოფანეს: „გთხოვთ, შეადგინოთ დაახლოებითი სმეტა შესაკეთებლად თქვენს მიერ სიძველეთა ეკლესიისათა“.

1854 წლის მარტში არქიმანდრიტი თეოფანე აიყვანეს ეპისკოპოსის ხარისხში და დანიშნეს სამეგრელოს ეპისკოპოსად. იგი გარდაიცვალა 1859 წელს (36; 70). 1854 წლის მარტიდან

გელათის მონასტრის წინამძღვარი გახდა არქიმანდრიტი გაბრიელი (ტუსკია), რომელიც 1859 წლის 25 მარტს გადაიყვანეს გურიის ეპარქიის მმართველად.

XIX საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში გელათის მონასტერს ეწვია ცნობილი მეცნიერი პლატონ იოსელიანი. იგი განცვიფრებაში მოუყვანია გელათის სიწმინდეებს, განსაკუთრებით ძვირფას გვირგვინს, რომელიც მორთული იყო თვლებით, ზემოდან კი ძვირფასი თვლისგან გამოკვეთილი ჯვრით. სხვათაშორის სწორედ თბილისში, წმიდა გიორგის ეკლესიის მღვდელ ეგნატე იოსელიანთან წაუღიათ მიტროპოლიტების ექვთიმესა და დოსითეოსის ხელნაწერები. ამ ხელნაწერებში აღწერილი ყოფილა თუ რა ქონებას ფლობდა ეკლესია 1689 წლიდან. ეგნატე იოსელიანი გახლდათ პლატონ იოსელიანის მამა.

1854-1856 წლებში გელათში ჩატარდა სარემონტო სამუშაოები. მთლიანად გადაიღება მონასტრის ეკლესია-ნაგებობათა სახურავები (36; 70). 1859 წლის 15 აპრილიდან 1860 წლის 31 ივნისამდე გელათის წინამძღვარი გახლდათ არქიმანდრიტი ნიკოლოზ ნიჟარაძე, რომელმაც 1859 წლის აგვისტოში შეადგინა გელათის ღვთისმშობლის ტაძრის, წმ. გიორგის და წმ. ნიკოლოზის ეკლესიათა ფანჯრების დასამზადებლად ხარჯთაღრიცხვა, მიუხედავად ამისა 1860 წლის თებერვალში არქიმანდრიტი ნიკოლოზი ეპისკოპოს გერმანეს ატყობინებს, რომ დამტვრეული ფანჯრებიდან კვლავ ჩადის წყალი და რეცხავს წმიდა ხატებს (ქ.ც.სა.ფ.21; ს.5116). ეს საკითხი არც ამჯერად გადაწყდა. ამ პერიოდში ძალზე ცუდი სავალი და მოუხერხებელი იყო გელათის მონასტერში მისასვლელი გზა, რომელიც სამხრეთიდან ელის ქედზე გადადიოდა და დიდი აღმართის გამო მონასტრის ძმებს ძალიან უჭირდათ მოძრაობა. სწორედ ამის გამო არქიმანდრიტი ნიკოლოზი ითხოვს დახმარებას ეპისკოპოს გერმანესაგან. მოსაძებნი იყო ოსტატები კლდის სამტვრევად და ერთი ფუთა წამალი კლდის ასაფეთქებლად, ვინაიდან ამ გზიდან ეზიდებოდნენ ბერები შეშას,



იატაკზე დასაფენ ქვას და განსაკუთრებით წვიმიანში შეუძლებელი იყო მოძრაობა (ქ.ც.სა.ფ.21; ს.7271).

1860 წელს გელათში დიდ ტაძარში დაიგო ახალი ქვის იატაკი. მომდევნო წელს კი გადაიღება ეკლესია-მონასტრის სახურავები. 1859 წლის 19 მაისს ღამით გელათის მონასტერი გაძარცვეს. აღნიშნული ძარცვის ძირითადი საარქივო მასალა გამოქვეყნებულია ბატონების მ. კეზევაძისა და გ. ტყეშელაშვილის ნაშრომებში. ძალზე მოკლედ მოგახსენებთ ამ შემზარავი ქურდობის ისტორიას, რომლის დროსაც გაიძარცვა ხახულის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი. ტრადიციულად აღნიშნული ძარცვა ბრალდებოდა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორ ლევაშოვს. ეს საკითხი თავის დროზე შესწავლილი აქვთ აკადემიკოს შ. ამირანაშვილს და პროფესორ რ. ყენიას. მკვლევარმა თ. აღდამიძემ ხელნაწერთა ინსტიტუტის მასალებზე დაყრდნობით ცხადად წარმოგვიდგინა ხატის გაძარცვის ისტორია. დღესდღეობით ფაქტებზე დაყრდნობით მიიჩნევენ, რომ ვ. ლევაშოვის უდანაშაულობა გელათის მონასტრის გაძარცვის საქმეში საეჭვო არაა. 1859 წელს ის საერთოდ არ იმყოფებოდა საქართველოში (36; 173).

გაძარცვის ღამეს წინამძღვარი არქიმანდრიტი ნიკოლოზი გელათის მონასტერში არ იყო, იგი ქუთაისში იმყოფებოდა საჭირო საქმისათვის. მას ძარცვის ამბავი მხოლოდ მეორე დღეს შეატყობინეს მღვდელმონაზონმა ვენედიქტემ და ევსტატე ჯიშკარიანმა, ამის შემდეგ ძარცვის ამბავი მან ეპისკოპოს გერმანეს შეატყობინა. გატაცებული ნივთების სია შემდეგი გახლდათ: „ხახულისა ღვთისმშობლის გული თავისი შემკობილის თვლებით, მარგარიტით, ოქროებითა და ძვირფასის ოთხის ქვებით ლალისა. ქრისტეს დაბადების დროს შეწირული მოგუებთაგან ოთხ კუთხიანი ოქრო თვალით და მარგალიტებით შემკობილი. ქრისტეს სუდარი თავისი ხატით და ძეწკვი ვერცხლისა ოქროშიდ დაფერილი. პატარა ვეცხლის ხატი ღვთისმშობლის. გელათის ღვთისმშობლის წინ დიდი კანდელი ვეცხლის, ბარძიმი ფეხშუმი, კოვზი და კამარა ოქროსი. ორი

ვეცხლის სურა. სამი ლანგარი ვეცხლის დიდი და პატარანი სებისკვერის გასაჭრელი. ერთი ვეცხლის შანდალი. ერთი დიდი შანდლის თავი ნაკლადნის ვეცხლისა. თერთმეტი ოქროს შარნები და ორი ამათგან დიდროანი. ცამეტი ბეჭედი და სამი საყურე ვეცხლისა. სამი ოქროს ხუთმანეთიანი. ორი ვეცხლის ტაკუკი“ (ქ.ც.სა.ფ.21; ფ.17-19).

უდიდესი იყო დანაკარგი, გაიტაცეს უდიდესი ქრისტიანული სიწმინდეები და დააზიანეს ხახულის სასწაულმოქმედი ხატი. „ხახულისა ღვთისმშობელი გაძარცვული და ორათ განეთქილი, რომელზედაც არის კიდე აუგლეჯელი თექვსმეტი თვლები და ცხრა მარგარიტი... ამოცვენილის ერთის დიდით ქვით და სამის პატარით - ნახულ არს დიდს კარს ზევით ყორის ძირშიდ“ (70; 216). გელათის სიწმინდეების დიდი დამცველი და გულშემატკივარი მღვდელ-მონაზონი ისააკი ამ გაძარცვის მომსწრე, ასე გადმოგვცემს აღნიშნულ ფაქტს: „ხატი ყოვლადწმიდისა ხახულისა მლთის მშობლისა თვისით სამკაულითურთ. ესე მრავალთა სმენილ არს, ხატი დახატულ არს ლუკა მახარებლისა მიერ, ფიცარსა ზედა მას, რომელსაც ზედა იშვა თანადაუსაბამი მამისა ხორცითა იესუ, ძე მლთისა. ხოლო თვით მხატვრობისა, სამკაული მას ზედა დიდი მეფის დავით აღმაშენებლის მიერ, რომელიც კეისრისაგან მოეძღვნა მარგალიტითა თლვითა და ანთრაკთა, რომელ ვერცა რიტორთა და ფილოსოფოსთა შესაძლებელი არს ნივთთა ფასდადებად“ (36; 174). მართლაც რომ წარმოუდგენელია, აღნიშნულ სიწმინდეს ვინმემ ფასი დაადოს.

შემდგომში საგამომძიებლო კომისია დაინტერესდა, თუ რატომ არ იცავდნენ გელათის მონასტერს გაძარცვისას დარაჯები. როგორც ეპისკოპოსი გერმანე წერდა, მონასტერში მუდმივად დარაჯების ყოფნაზე არსებობდა ქუთაისის მაზრის უფროსის 1858 წლის 30 ივნისის განკარგულება (36; 179).

1859 წლის დეკემბერში ეპისკოპოს გერმანეს წინადადებით დაპატიმრებული იქნენ მამა-შვილი სვიმონ და ბენედიქტე ჭირაქაძეები. შემდეგ მმართველმა სენატმა განიხილა მოცემული

საქმე და მიიჩნია, რომ ბენედიქტეს მიმართ აღძრულიყო საქმე გელათის მონასტრიდან სხვადასხვა წმინდა ნივთის მოპარვის ბრალდებით. მიექცა ყურადღება შემდეგ ფაქტებს:

1. ეჭვიმიტანილ ბენედიქტეს უწესო და დაუდევარ საქციელს,  
2. გელათის მონასტრის წინამძღვრის მიერ მის არაკეთილსაიმედო დახასიათებას, ასევე ბერების მიერ საერთო დადანაშაულებას ძარცვაში,

3. თავად ბენედიქტეს ჩვენებას იმის შესახებ, რომ არავის შეუძლია ხახულის ღვთისმშობლის ხატის ამოღება თავისი საცავიდან მისი დაზიანების გარეშე,

4. ბრალდებულის მამის ჩვენებას იმის შესახებ, რომ აღნიშნული ხატის საცავის გასაღები ინახებოდა მასთან, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში გადასცემდა შვილს,

5. თავად ბენედიქტეს მიერ საგუბერნიო პროკურორისა და გამოძიებლის თანდასწრებით წარმოთქმულ სიტყვებს: „მონასტრის ძარცვას ვთქვათ საკუთარ თავზე ვიღებ, მაგრამ მოპარული ნივთების შესახებ არაფრის თქმა არ შემიძლია“ (70; 225).

75 წლის სვიმონ ჭირაქაძე, რომელმაც არ აღიარა დანაშაული, არ მიეცა სისხლის სამართლის პასუხისგებაში, ასაკის გამო კი გათავისუფლდა მეკლიტურის თანამდებობიდან.

1863 წლის 5 აპრილს სანოტალურო ბიუროს დადგენილებით ბენედიქტე ჭირაქაძე გაგზავნეს შორეულ მონასტერში წინამძღვრის მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ, მას აეკრძალა ღვთისმსახურება.

1860 წლის ივნისიდან ეგზარქოსის წარდგინებით სინოდმა იმერეთის ეპარქიაში შეცვალა მონასტრების წინამძღვრები. გელათის მონასტრის წინამძღვარი ნიკოლოზი გადაიყვანეს კაცხის მონასტერში, ხოლო კაცხის მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი ონიფანტე ნადირაძე დაინიშნა გელათის წინამძღვრად (ქ.ც.სა.ფ.21; ს.7677). 1864 წლის იანვარში იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელს დახმარებას თხოვს ცნობილ საქმეზე „გაენათის დიდის ეკლესიის სიძველის გამო ისევ წაუხდა ფან-

ჯრები და წვიმიან ამინდში შემოდის წვიმა და თოვლი ოთხი-  
ვე მხრიდან“ (ქ.ც.სა.ფ.21; ს.8931). იგი ითხოვს, მონასტრის  
მამულიდან შემოსული 5 ათასი მანეთიდან, რომელიც საზო-  
გადო საეკლესიო ხაზინაში მიდიოდა, მომხდარიყო დაფინან-  
სება. მას შეუდგენია ხარჯთაღრიცხვა. თუკი ეს არ მოხდებო-  
და, მაშინ გაეყიდათ საკათალიკოსო მიტრა გელათის მონას-  
ტრისა და ეს საქმე აუცილებლად გაკეთებულიყო. XIX საუკუ-  
ნის 40-იანი წლების ბოლოდან გელათის მთავარ ღვთის-  
მშობლის ტაძარში თითქმის სისტემატურად ჩადიოდა წვიმის  
წყალი, მიუხედავად იმისა, რომ მონასტერს პირადი შემოსავ-  
ლებით შეეძლო სახურავისა და ფანჯრების შეკეთება, მას ამ  
თანხის გამოყენების საშუალება არ ჰქონდა. ამის გამო დაზი-  
ანდა გელათის უნიკალური მხატვრობა.

შემდგომ შეუთანხმდნენ ოსტატ ბერეკაშვილებს, რომელთაც  
722 მანეთად უნდა ჩაესვათ აღნიშნული ფანჯრები.

1862 წელს ეპისკოპოსი იოანე, რომელიც იმჟამად გელათში  
ცხოვრობდა, ეპისკოპოს გაბრიელისაგან ითხოვდა ნებართვას,  
რომ გელათში გაკეთებულიყო კანკელი, რომელიც არქიტექ-  
ტორს უნდა შეედგინა. ოსტატი ხარიტონ ხუციბერაძე თანახ-  
მა იყო აღნიშნული საქმე 1200 მანეთად შეესრულებინათ.  
უნდა გაკეთებულიყო ჩარჩოები ხახულის ღვთისმშობლისა და  
ვედრების ღვთისმშობლის ხატებისათვის. ამ თანხის ნახევარს  
იხდიდა ეპისკოპოსი იოანე (ქ.ი.მ. №151). მომდევნო წელს კან-  
კელის ნახაზი არქიტექტორ ვასილიევს შეუდგენია, რომლის-  
თვისაც 35 მანეთი ვერცხლით გაბრიელ ეპისკოპოსს გადაუ-  
ცია. ის ითხოვს თანხის დაბრუნებას, იმ თანხის ზემოთ, რო-  
მელი 26 თებერვლის რაპორტით იყო წარმოდგენილი (ქ.ი.მ.  
170). კანკელი დამზადდა 1863-1864 წლებში, ხატები მხატვარ  
ანფიმოვს დაუწერია.

1864-1865 წლებში ოსტატებმა ფილიპე, იოსებ და კიკოლა  
ბერეკაშვილებმა დიდ ტაძარში გააკეთეს ახალი ფანჯრები  
(43 ცალი, აქედან 11 გუმბათში) და ჩასვეს მინები (36; 129).

1865 წელს გარდაიცვალა გელათის წინამძღვარი არქიმან-

დრიტი ონიფანტე ნადირაძე. იგი დაკრძალეს მთავარი ტაძრის ჩრდილოეთ მხარეს ეზოში. მის საფლავზე შემდეგი წარწერაა: „ესე არს განსასვენებელი ჩემი. ამას დავემკვიდრო უკუნისამდე. ჩ.ყ.დ.ე. წელსა სექტემბრისა მიიცვალა მალალ ღირსი არხიმანდრიტი ონიფანტე ტომით ნადირაძე, მკითხველო, გთხოვთ შენდობას“.

1865 წლის დეკემბრიდან 1875 წლის ჩათვლით გელათის წინამძღვარი გახდა არქიმანდრიტი ბესარიონ დადიანი, შემდგომში სამეგრელოს, ალავერდისა და ბოლოს იმერეთის ეპისკოპოსი.

1875 წელს გაბრიელ ეპისკოპოსს უსამართლოდ ბრალი დასდეს გელათის მონასტრის გაძარცვაში, თითქოს დაიკარგა „პარიზში მოხვედრილი, ძვირფასი ქვებით შემკული საპატრიარქო მიტრა, მარგალიტებისაგან განძარცული, მეფის ქოშები, ღვთისმშობლის ხატი“. ეგზარქოსის გამოყოფილმა კომისიამ დაათვალიერა გელათისა და ქუთაისის ტაძრები. ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი მას ადგილზე დახვდა. რაც შეეხება გაბრიელ ეპისკოპოსს, მან მართლაც გაატანინა ის ნივთები გასაახლებლად, რომლებიც არალირებულად ჩათვალა. გელათის იმდროინდელმა წინამძღვარმა, შემდგომში სამეგრელოს ეპისკოპოსმა ბესარიონმა აღასრულა გაბრიელ ეპისკოპოსის ნება, სახარება ყდის გასაახლებლად პანინს გადასცა ისე, რომ ეპისკოპოსისათვის გადასაცემი სახარება პირადად არ უჩვენებია. მოხდა გაუგებრობა. ყოველდღიურად ხმარებული გაცვეთილყდიანი სახარების ნაცვლად მან პანინს გადასცა მინანქრიანი სახარება. შემდგომში გაბრიელ ეპისკოპოსმა ახსნა-განმარტებითი ბარათით მიმართა ეგზარქოსს: „არავითარი, გელათის ღვთისმშობლის ხატი არ გადაუცია მას არავისთვის, ძველი ძვირფასი მიტრები, კათალიკოსის გვირგვინები, შესამოსელი, შემკობილი ძვირფასი ქვებით ხელუხლებელი იყო“. გაბრიელ ეპისკოპოსის მრავალი ცდის მიუხედავად აღნიშნული სახარების მედალიონები ვერ დაბრუნდა.

1874 წელს არქიმანდრიტი ბესარიონი გადაიყვანეს სამეგრელოს ეპარქიის მმართველად.

1875 წლის მაისიდან ჯრუჭის მონასტრის წინამძღვარი არქი-

მანდრიტი სერაპიონი (ახვლედიანი) გადმოიყვანეს გელათში და იგი 1904 წლის აგვისტომდე გელათის მონასტრის წინამძღვარი გახლდათ (ქ.ც.სა.ფ.21; ს.13104). ის იყო გაბრიელ ეპისკოპოსის მამიდაშვილი და მოძღვარი.

XIX საუკუნის 70-იან წლებშიც გელათში მოღვაწე ბერები კვლავ უკიდურეს გაჭირვებას და ხელფასის სიმცირეს განიცდიდნენ. ამას მოწმობს 1870 წლის 25 აპრილს გელათის მონასტრის ძმათა მიერ გაბრიელ ეპისკოპოსისადმი გაგზავნილი თხოვნა: „ჩვენი ცხოვრება არის გაჭირვებული როდესაც არსებობს ჩვენს ქვეყანაში სიუხვე და იეფობა ხორაგთა, როდესაც სწოხს ჩვენი მხარე სიძვირის გამო ხორაგთა, ვართ შთაფარდნილი თვით უკიდურეს მდგომარეობაში. ჩვენი ჯამაგირი კნინდა ხმელის საჭმელისათვის და სხვა ნუგეშნი“ (ქ.ც.სა.ფ.21; ს.11422). ბერები გაბრიელ ეპისკოპოსს სთხოვენ, რომ ისინი ნახევარი წლის ჯამაგირით დაასაჩუქრონ. სამწუხაროდ გაბრიელ ეპისკოპოსმა ვერ შეძლო ბერების დახმარება, ვინაიდან ამის საშუალებას კანონი არ იძლეოდა. ამ დროისათვის გელათში სულ 7 მღვდელმონაზონი, სამი ბერ-დიაკონი და სამი მორჩილია. 1871 წლის 1 ნოემბრიდან 1872 წლის 14 ივნისამდე გელათის მონასტრის წინამძღვრის თანამდებობას ასრულებდა მღვდელ-მონაზონი ნიკიფორე (კანდელაკი), რომელიც მანამდე წმიდა გიორგის ეკლესიის წინამძღვარი იყო გელათში (ქ.ც.სა.ფ.21; ს.11822). 1877 წლის აპრილში არქიმანდრიტი სერაპიონი მღვდელმთავრისაგან თანხების გამოყოფას ითხოვს, რადგან დიდი ეკლესიის, ასევე წმ. გიორგის, წმ. ნიკოლოზის, სამრეკლო, მაცხოვრის კარი, პალატის კარიბჭის სახურავის თუნუქი სასწრაფოდ საჭიროებდა შეღებვას, „ერთი წლის გადაცილება შეიძლება რამდენიმე მათგანს ჟანგი გასჭრის და შემდეგ სულ შესაცვლელი შეიქნება და დიდი ზარალი შეექნება ეკლესიას“ (ქ.ც.სა.ფ.21; ს.14211). სერაპიონი ოსტატის გამოგზავნას და ხარჯთაღრიცხვის შედგენას ითხოვდა. აგვისტოში უკვე არქიმანდრიტი სერაპიონი სენაკების დაზიანებული სახურავების შეკეთებას ითხოვს, ამისთვის

ხარჯთაღრიცხვის შედგენა იყო საჭირო. 1822 წლის დეკემბერში არქიმანდრიტი სერაპიონი ატყობინებს გაბრიელ ეპისკოპოსს, რომ გელათის მონასტრის სახურავები და დიდი კარები შეღებილია, ასევე შეკეთებულა სენაკები. ყველაფერში სულ დახარჯულა 2600 მანეთი.

აღსანიშნავია, რომ გოგნის გაუქმებული მონასტრის ნიეთები: ბარძიმი, ფეხშუმი, კამარა, კოვზი და საცეცხლური წმიდა ვერცხლისანი, გაბრიელ ეპისკოპოსის განკარგულებით სოფელ სოჩხეთის ეკლესიაში ყოფილა დროებით. მღვდელ-მონაზონი დანიელი ითხოვდა, რომ აღნიშნული ნიეთები ან გელათის მონასტერს დაუბრუნდებოდა, ან მონასტრის სასარგებლოდ ყოფილიყო შესყიდული. საბოლოოდ აღნიშნული ნიეთები შესყიდულა 120 მან. ვერცხლის ფულად და ამ ფულით გელათში ბერების სენაკები შეკეთებულა (ქ.ც.სა.ფ.21; ს.12550).

1882 წელს გაბრიელ ეპისკოპოსის კურთხევით აგებულ სახლში ოსტატმა გიგო ლობჯანიძემ გააკეთა ფანჯრები, კარები და ერთი სვეტი. დახარჯული 28 მანეთი და 68 კაპიკი გაბრიელ ეპისკოპოსმა დაფარა (ქ.ც.სა.ფ.21; ს.15795). 1885 წლის 28 თებერვალს გაბრიელ ეპისკოპოსი გელათის წინამძღვარ არქიმანდრიტ სერაპიონს ავალებს, რომ გელათის მონასტრის შემოსავლიდან გამოყოფილიყო 25 მანეთი, რომელიც უნდა მოხმარებოდა ქართული საეკლესიო გალობის აღმდგენელ კომიტეტს, კონკრეტულად კი გამოჩენილ მგალობელს ფილიმონ ქორიძეს, რათა ნოტებზე გადაეღო საგალობლები (ქ.ი.მ. 773).

1886 წლის იანვარში საქართველოს ეგზარქოსს პავლე ლეხევეს აინტერესებდა ინახებოდა თუ არა გელათის მონასტერში უძველესი XI და XIV საუკუნის სახარებები. თავის მხრივ გაბრიელ ეპისკოპოსი არქიმანდრიტ სერაპიონს სთხოვს, დააზუსტოს მართლაც არის თუ არა ეს სახარებები გელათის მონასტერში (ქ.ი.მ. 808). არქიმანდრიტი სერაპიონი გაბრიელ ეპისკოპოსს პასუხობს, რომ გელათში მართლაც ინახება რამდენიმე ხელნაწერი სახარება ტყავზე, თუმცა არც ერთს არ ეწერა თუ როდის დაიწერა, გარნა ერთი სახარებისა, რომელ-

საც ყოველ გვერდზე ჰქონია მინიატურები. ეს სახარება ერთხელ კიდევაც მოუთხოვიათ ხელმწიფე იმპერატორიკას დროს გასასინჯავად და იმავე წელსვე გამოუგზავნიათ (ქ.ი.მ. 804). აღნიშნულ სახარებაზე ერთ მხარეზე ჯვარცმა, ხოლო მეორეზე აღდგომა ყოფილა გამოხატული, ასევე ოთხი მახარებელი. იგი ორმოცდაოთხი სხვადასხვა ძვირფასი ქვით ყოფილა მოჭედილი. როგორც აღნიშნულიდან ჩანს, გელათის სიწმინდეებით თვით ხელმწიფე იმპერატორებიც კი იყვნენ დაინტერესებულნი.

როცა გელათის მონასტრის ბერის კურთხევა უნდა მომხდარიყო, თავდაპირველად მას გაბრიელ ეპისკოპოსი გამოსაცდელად აგზავნიდა ტიპიკონის უბადლო მცოდნე რაჟდენ ხუნდაძესთან. ასე იყო 1886 წელს, როცა გაენათის ბერი ეპიფანე დიაკონმა რაჟდენ ხუნდაძემ და იპოდიაჩოქმა ლაზარე ფხაკაძემ გამოსცადეს. შემდეგ ისინი გაბრიელ ეპისკოპოსს ატყობინებდნენ: „ჩვენ გამოვსცადეთ გაენათის მოჩრილი ეპიფანე, მან იცის კითხვა ჟამნის. დავითნის და პარაკლიტონის კარგად, სხვა წიგნების კითხვა იცის წესიერად, იცის გალობა და ტიპიკონი“ (ქ.ც.სა.ფ.21; ს.17053). ამგვარი შემოწმების შემდეგ აკურთხებდა ხოლმე დიაკვნად გაბრიელ ეპისკოპოსი პიროვნებას.

1886 წლის 21 აგვისტოს გაბრიელ ეპისკოპოსის კურთხევით მოწამეთის არქიმანდრიტმა ბესარიონმა გაენათის ბერების თანდასწრებით გელათის ქონება შეამოწმა 1878 წლის კომისიის აღწერილობის მიხედვით. როგორც დიდი მონასტრის, ასევე ეკვდერების ყოველივე ქონება აღწერილობის მიხედვით თავის ადგილზე აღმოჩნდა. მხოლოდ წმიდა გიორგის ეკლესიაში აღმოჩნდა მოკლებული აღწერილობაზე სამი ქვა. არსებული კიდევ ძველი სია აღწერილობისა, ამ სიასაც ჰქონია შენიშვნა, „რომ ამ ხატს აკლია ერთი მარგალიტი და ხუთი თვალი“ (ქ.ც.სა.ფ.21; ს.17031). რაც დრო გადიოდა, გელათის წმიდა ხატებს ნელ-ნელა აკლდებოდა საუკუნეების გამწვანობაში ქარ-



თველ მეფეთა მიერ შენაწირი ძვირფასი თვლები და მარგალიტები.

1888 წლის 13 ოქტომბერს გელათს ეწვია რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე და დიდი მთავარი გიორგი ალექსანდრეს ძე. გელათში ისინი შუადღის 2 საათზე მისულან, სადაც დიდძალი ხალხი მიგებებია. ტაძარში ისინი გაბრიელ ეპისკოპოსმა მიიღო, მცირე პარაკლისის გადახდის შემდეგ მათ დაწვრილებით დაუთვალაიერებიათ გელათის ძველი განძეულობა და სიწმინდეები. ისინი ასულან წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში და შემდეგ წმიდა მეფე დავით აღმაშენებლის საფლავზე. სტუმრებს ჩაი და ხილი მიართვეს გაბრიელ ეპისკოპოსის სახლში, საიდანაც ისინი ინტერესით გადასცქეროდნენ წყალწითელას ხეობას (128; №218). გელათიდან იმპერატორი მოწამეთაში წაბრძანებულა. ხელმწიფე იმპერატორმა გელათის მონასტერს 1000 მანეთი შესწირა, რომელიც გაბრიელ ეპისკოპოსის კურთხევით გაიგზავნა ბანკში, ამ თანხის ნახევარი მონასტრის ბერებს უნდა მიეღოთ, ნახევარი კი მონასტრის საჭიროებისათვის უნდა გამოეყენებინათ. იმავე წლის 22 ოქტომბერს აღნიშნული თანხა არქიმანდრიტ სერაპიონს ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკში შეუტანია (ქ.ც.სა.ფ.21; ს.17819). 1889 წლის 28 ივლისს გაბრიელ ეპისკოპოსი გელათის წინამძღვარ არქიმანდრიტ სერაპიონს ატყობინებს, რომ: „კეთილმშენებლებითა შეწირულებათა შეკრება კონდაკის ჩამოტარებით აღსაშენებლად მეფის დავით აღმაშენებლის საფლავზე ეკლესიისა და დავით და კონსტანტინეს გვამთა სადგურის გასაკეთებლად მოწამეთის მონასტერში, მე მივანდე გაენათის მღვდელ-მონაზონს მაკარის და ქვაციხის ეკლესიის მედავითნეს გიორგი ვახტანგაძეს“. აღნიშნულ პირებს უნდა მოეტანათ გაბრიელ ეპისკოპოსთან წიგნი დასამოწმებლად და „ჩამოტარებაზედ ნების აღსანიშნულად“ (ქ.იმ. 863).

1889 წლის აგვისტოში გელათში იმყოფებოდნენ რუსეთის არქეოლოგიური კომისიის წევრები პროფესორი კონდაკოვი და დ. ბაქრაძე, „რათა მათ აღეწერათ შესანიშნავი ნივთნი

ძველი დროისა“. გაბრიელ ეპისკოპოსი არქიმანდრიტ სერაპიონს აუწყებს, რომ ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს მეცნიერებს (ქ.იმ. 888).

1891 წლის მარტის თვეში სალამოს 9 საათზე გაურკვეველ ვითარებაში დავით აღმაშენებლის განსასვენებლის ზემო სართულზე უეცრად გაჩენილა ცეცხლი, რომელსაც დაუზიანებია სახურავის ნახევარი. არქიმანდრიტი სერაპიონი მღვდელმთავრისაგან ნებართვას ითხოვს, რომ დაზიანებული სახურავი შეაკეთოს. გაბრიელ ეპისკოპოსისაგან სერაპიონმა მიიღო ნებართვა სახურავის აღდგენისა, თუმცა პრესაში აღნიშნული ფაქტი მაინც გაშუქდა, სინოდის კანტორაში კი დაიწყეს მსჯელობა, დაეტოვებინათ თუ არა წინამძღვრის თანამდებობაზე არქიმანდრიტი სერაპიონი (ქ.ც.სა.ფ.21; ს.18658).

ამ დროისათვის არქიმანდრიტი სერაპიონი 70 წლის გახლდათ. იგი იყო აზნაური სამეგრელოდან, რომელიც ჯრუჭის მონასტერში აღუკვეციათ ბერად, 1847 წელს კი - მღვდელმონაზვნად. გაბრიელ ეპისკოპოსმა 1862 წლიდან სერაპიონი მოწამეთას მონასტრის წინამძღვრად დანიშნა. 1864 წელს აიყვანეს ილუმენის ხარისხში. 1866 წელს იგი კვლავ ჯრუჭის მონასტერში გადაიყვანეს და არქიმანდრიტის ხარისხში აიყვანეს. გაბრიელ ეპისკოპოსის განკარგულებით სერაპიონი დაჯილდოებული იყო წმიდა ანას მესამე ხარისხის ჯვრით, უწმიდესი სინოდის მიერ - წმიდა ანას მეორე ხარისხის ჯვრით, 1875 წელს კი - მოციქულთა სწორი ვლადიმირის მეოთხე ხარისხის ჯვრით. იყო იმერეთის ეპარქიის მონასტრების ბლალოჩინი (ქ.ც.სა.ფ.21; ს.18809). ასეთი ღვაწლმოსილი სასულიერო პირის მიმართ ააგორეს ცრუ კამპანია, ყოველივე ამის მიზეზი კი გახლდათ ის, რომ იგი გაბრიელ ეპისკოპოსის მამიდაშვილი იყო. 1893 წლის 6 სექტემბერს გაბრიელ ეპისკოპოსი თავის მამიდაშვილს შემდეგ კურთხევას აძლევს: „გაძლევ შენდობას აკურთხო სრულითა კურთხევითა ტრაპეზი და ეკლესია წმინდა წინასწარმეტყველი ილიას ეკლესია“ (ქ.იმ.1012). პოსრედნიკს მერაბ ლორთქიფანიძეს სთხოვს, მცველად იქნეს

განწესებული გელათში მცხოვრები გლეხი სიმონ დადუნაშვილი გელათის კუთვნილ მიწებზე ეწერსა და დოხორაში, რომელთა ფართობი ასორმოცდაათ დესეტინას შეადგენდა (ქ.ი.მ. 1035). იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა გასცა კურთხევა, რომ დავით აღმაშენებლის საფლავზე აგებულიყო სამლოცველო. ამ საქმეს სათავეში დეკანოზი დავით ლაბაშიძე ჩაუდგა, რომელმაც შემოწირულობების შეგროვება დაიწყო (ქ.ი.მ. 1078). 1895 წლის მარტში არქიმანდრიტ სერაპიონის ბრძანებით აღიწერა გელათის მთავარი ტაძრის ჩრდილოეთ მხარეს მდებარე წმიდა მარინეს სახელობის ეკვდერი ეკონომოსის თანდასწრებით. ტაძარს ჰქონია ხის კანკელი ძველი. პატარა ღვთისმშობლის ხატი მოჭედილი ყოფილა სულ ორმოცდათორმეტი სხვადასხვა წვრილი თვლებით, ბარძიმი, ფეშხუმი, კამარა, კოვზი და საცეცხლური წმიდა ვერცხლის ორი ლახვარი და დაფარნები, ტრაპეზზე ძველი, ვახტანგის სახარება, ორი ჯვარი, ერთი ხის და მეორე თითბრის სანაწილე. ორი სამღვდლო შესამოსელი, ჟამნი, სამოციქულო, მარხვანი, პარაკლიტონი, კონდაკი და კურთხევანი. ერთ დროს ძვირფასად მორთული და ძვირფასი საეკლესიო ნივთებით აღკაზმული ეკვდერი XIX საუკუნის ბოლოს სავალალო მდგომარეობაშია (ქ.ი.მ. 1079).

თავისი ცხოვრების უკანასკნელ ხანებში იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი ავადმყოფობდა. პაერის გამოსაცვლელად ბორჯომში წაიყვანეს, სადაც ძალზე ენატრებოდა გელათი. „მრკოზ, მიუბრუნდი ერთხელ მესენაკეს, გელათში წამიყვანე, მე ბერი ვარ და ბერებთან ცხოვრება მინდა, აქ სულის საზრდო მომაკლდა და ის მაწუხებს. ხომ იცი არქიმანდრიტი სერაპიონი ჩემი რა არის: ჯერ ნათესავია ჩემი და მერე მოძღვარი, მენატრება მისი ნახვა“ - იხსენებს გაბრიელ ეპისკოპოსი. გულის მოსაკლავ სურათს წარმოადგენდა ის წუთი, როცა ჯანგამოლეული მღვდელმთავარი თავისი საფასით აგებულ ახალ სახლში შევიდა. ველარც კი სცნობდა მას (34; 207). აღნიშნული სახლი კურსებში მცხოვრებმა ისიდორე ფილიმონის ძე ბერეკაშვილმა ააგო. ეს სახლი უნდა ყოფილიყო გელათში

გაბრიელ ეპისკოპოსის რეზიდენცია. მისი აგება დაახლოებით 5000 მანეთი დამჯდარა. დღესდღეობით აღნიშნულ სახლს გაბრიელ ეპისკოპოსის სახლი ეწოდება (ქ.ც.სა.ფ.21; ს.18950).

გულში ჩამწვდომი იყო 1896 წლის მარტის თვე - გაბრიელ ეპისკოპოსის დაკრძალვის დღე გელათში, სადაც უამრავი ქართველი იყო შეკრებილი. დიდმა ილიამ ბრწყინვალედ შეაფასა გაბრიელის ღვაწლი: „დღეს აქ, გელათის ტაძარში, სადაც ჩვენი ძვირფასნი წინაპარნი განისვენებენ, ქართველი ერი მიაცილებს დიდებული მწყემსთავრის ნეშტს“ (მწყემსი, 1896). უამრავი ცრემლი დაიღვარა იმ დღეს გელათის მონასტერში. უდიდესი მადლიერების ნიშნად ღვაწლმოსილი მღვდელმთავარი დაკრძალეს მთავარ ტაძარში კანკელის მარჯვენა მხარეს. შემდგომში გელათში ასევე დაიკრძალა გაბრიელ ეპისკოპოსის ძმა, მღვდელი იოანე. განსვენებულმა მღვდელმთავარმა გელათის მონასტერს უანდერძა ასი თუმანი ფული, რომლის სარგებლით ყოველ წელს, მისი მიცვალების დღეს გელათის ყველა ეკლესიაში უნდა აღესრულებინათ წირვა და პანაშვიდი მისი სულისთვის, სარგებელი ფული ანდერძისამებრ უნდა მისცემოდა ასევე მონასტრის საძმოს (ქ.ც.სა.ფ.21; ს.19493).

1896 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ოსტატმა ისიდორე ბერეკაშვილმა შეაკეთა გელათის მონასტრის გალავანი, რომელიც დაზიანებული ყოფილა (ქ.ი.მ. 1107). იმავე წლის ნოემბერში იმერეთის ეპისკოპოსი ბესარიონი არქიმანდრიტ სერაპიონს ატყობინებს შემდეგს: „მღვდელმთავრის ლოცვა-კურთხევით მოგიკითხავ, მამა არხიმანდრიტო, საჭიროებამ მოითხოვა, რომ ეკლესია მაქვს საკურთხი, ამის გამო საჭიროა ნაწილი ეკლესიისათვის, ნაწილი გთხოვ გამომიგზავნო გრიგოლი ბერის ხელით“ (ქ.ი.მ. 1155). ტრადიციულად მართლმადიდებელ ეკლესიაში ახალი ტრაპეზის კურთხევისას აუცილებელია წმინდანის ნაწილი, რაც შეეხება გელათს, იქ ძველთაგანვე უამრავ წმინდანთა, ღირსთა და მოწამეთა ნაწილები ინახებოდა.

1900 წლის 13 ივლისიდან გელათის მონასტერს დაუნიშნეს

დაცვა. სოფელ დაბაძველის მცხოვრებნი: ონისიმე გვენეტაძე, ფილიპე დადუნაშვილი, ნიკო მაწკეპლაძე და დიმიტრი ტყაბლაძე ერთი წლის ვადით დაიცავდნენ გელათის მონასტერს. ყოველ საღამოს ორ კაცს მზის ჩასვლამდე უნდა დაეკეტა მონასტრის ყველა კარები და გათენებამდის უნდა დაეცვათ მონასტერი, მათი მთავარი მოვალეობა იყო ის, რომ „მტერმა ვერ შეძლოს მონასტრის კლიტეებთან მიახლება და გატეხა“. ამ საქმისთვის თითოეული მათგანი ოთხ თვეში მიიღებდა ორმოცდაათ მანეთს. ხელშეკრულებაში, რომელიც არქიმანდრიტმა სერაპიონმა დადო დარაჯებთან, ეწერა, რომ ორივე დარაჯი შეიარაღებული და დილამდე მღვიძარე უნდა ყოფილიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში პირობის დამრღვევი სასტიკად დაისჯებოდა (ქ.ი.მ. 1353).

1900 წლის ნოემბრის „მწყემსში“ გამოქვეყნებულ წერილში ერთ-ერთ შეგნებულ მამულიშვილს ძალზე შესტკივა გული გელათზე - „ის არის ჩვენი დამაკავშირებელი მამა-პაპებთან, მათ აგვიშენეს იგი, შეგვიძკეს და გადმოგვცეს, ისინი მასში ლოცულობდნენ, ავედრებდნენ უფალსა თავის თავთა და მოძმეთა. ის არის წმიდა ადგილი. იქ აფხაზეთ-იმერეთის კათალიკოსი და გაენათელი ტრაპეზის წინაშე ალაპყრობდნენ თვისსა ხელსა მაცხოვრისადმი და გამოითხოვდნენ ბედნიერებას ერისათვის. იქ იღწვოდნენ მრავალნი წმიდანი მონაზონნი. ის არის წმიდათა წმიდა მთელი საქართველოსი და ასეთი დიდი საგანი დღეს ჩვენგან მივიწყებულია. ის იქცევა, წვეთები ჩამოდის, კედლები ინგრევა“ (135). ეს პიროვნება ითხოვს, რომ მღვდლებმა იქადაგონ და ყველა ოჯახმა გაიღოს თითო მანეთი, ასევე თბილისისა და ქუთაისის ბანკებსაც უნდა გაეღოთ თანხები გელათის შესაკეთებლად.

„ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნებული წერილითაც იგივეს ითხოვდნენ: „გელათის შიგნით ისტორიული მხატვრობანი დაზიანებულია, თათრებს ზოგიერთი მხატვრობისათვის თვალი ამოუთხრიათ. მხატვრობის ხელის ხლება შესაკეთებლად ნეტარხსენებულის გაბრიელ ეპისკოპოსისაგან სასტიკად აკრძა-

ლულია“ (139). 1901 წელს გაენათის წინამძღვარს არქიმანდრიტ სერაპიონს გაზეთებიდან შეუტყვია, რომ გელათში საცხოვრებლად გადადიოდა ეპისკოპოსი გრიგოლი. იგი ეპისკოპოსს ლეონიდეს ატყობინებდა, რომ მღვდელმთავარს გელათში არ ექნებოდა საცხოვრებელი ადგილი: „გაბრიელ ეპისკოპოსის სახლში გამართულია სკოლა, რომელშიც 70 მოწაფე იზრდება, სხვა სენაკებში ცხოვრობენ ბერები. არის ერთი სასტუმრო მაღალი სახლი - გარნა იმაში ხშირად მოდიან პატივსადები პირები; ექსარხოსი, მინისტრები, გუბერნატორი და სხვა უცხო ქვეყნიდან მოსრული ხალხი ხშირათ ნადირობენ ღამე გათევით“ (ქ.ც.სა.ფ.21; ს.21969).

1901 წლის 25 მარტს ყოვლადსამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის ლეონიდეს (ოქროპირიძე) განკარგულებით, გელათის მონასტრის წინამძღვრის არქიმანდრიტ სერაპიონისაგან თედო ჟორდანიამ მიიღო თვრამეტი ხელნაწერი წიგნი გელათის მონასტრიდან, რომლებიც მას კირიონ ეპისკოპოსთან (საძაგლიშვილი) უნდა წარედგინა.

ეს გახლდათ გელათში დაცული ძველი ხელნაწერი წიგნები: ძველი აღთქმის ისტორია 424 ფ., სახარება ბერძნული ტყავზე 247 ფ., მეტაფრასი ხელით ნაწერი 639 ფ., მეტაფრასი და საკითხავი მარხვისათვის 100 ფ., ძველი აღთქმის ისტორია 276 ფ., სადღესასწაულო 395 ფ., იოანე ღვთისმეტყველის წიგნი 303 ფ., ტიბიკონი 126 ფ., ეფრემის სწავლა 214 ფ., ღვთისმშობლის საგალობელი 212 ფ., სამთვენი ხელთნაწერი 143 ფ., ნაწყვეტი სახარების 19 ფ., სახარება ხელთნაწერი 313 ფ., ორი სამოციქულო 249 ფ., 326 ფ., ლექსიკონი 293 ფ., მეტაფრასი 330 ფ. (ქ.ი.მ. 1481). ეპისკოპოს კირიონს ეს წიგნები საარქეოლოგიო გამოფენისთვის ესაჭიროებოდა, რომელიც თბილისში იმართებოდა. გამოფენის შემდეგ ყველა წიგნი გელათში უნდა დაბრუნებულიყო. 1902 წლის აგვისტოში აღნიშნული წიგნები არ იყო დაბრუნებული გელათის მონასტერში. ამ წიგნებს მონასტრის ძმები ხშირად კითხულობდნენ. არქიმანდრიტი სერაპიონი ეპისკოპოსს ლეონიდეს სთხოვს დახ-

მარებას, რათა წიგნები მონასტერს დაუბრუნდეს (ქ.ს.ც.ა.ფ.21; ს.21136).

საინტერესოა 1903 წლის 7 დეკემბრის გელათის მაცხოვრის სახელობის ეკვდერის აღწერილობა, რომელიც გელათის მღვდელ-მონაზონმა სილოვანემ ჩაიბარა: „კანკელი, ოთხი კანდელი, ქვის ტრაპეზზე იქონების ორი ჯვარი, ერთი ვერცხლით მოჭედული 26 წითელი და მწვანე იაგუნდით. ბარძიმი, ფეშხუმი, კამარა, კოვზი და ტაკუკი ვერცხლის და დაფარნები. საცეცხლური ვერცხლის, გადმოტანილი იოაკიმე და ანას ეკვდერიდან. საიაზმე პატარა, პარაკლიტონი, კონდაკი, მარხვანი“ (ქ.ი.მ. 1688). იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდე განსაკუთრებით ზრუნავს გელათისთვის. იგი 1903 წლის 26 აგვისტოს გელათის მონასტრის წინამძღვარს აფრთხილებს: „გაენათის მონასტრის ტყე, როგორც ადგილობრივ დავრწმუნდი ძმათა დაუდევრობისა და უზრუნველობის გამო იჩეხება იმ რიგად, რომ მოკლე დროში სრულებით მოისპობა ტყე. დღეიდან სამონასტრო ტყეზე ზრუნვას ვავალე მღვდელ-მონაზონ სილოვანეს, არაფითარ კრებულთაგან არა აქვს უფლება ტყეში შეშის მოჭრისა“ (ქ.ს.ც.ა.ფ.21; ს.21885).

1904 წლის 19 ივლისს გელათის მონასტერი დააყაჩაღეს. არქიმანდრიტი სერაპიონი იმერეთის ეპისკოპოს ლეონიდეს ატყობინებდა: „დღეს მწუხრის ლოცვის დროს ექვს საათზე მონასტერს თავს დაესხა 7 შეიარაღებული ავაზაკი“ (ქ.ს.ც.ა.ფ.21; ს.21969). უფრო კონკრეტულად: „შუა ლოცვა ყოფილა, როდესაც ეკლესიაში შემოსულა პალტოიანი ყმაწვილი, მისულა ბერებთან და ორი შაურის სანთელი უყიდნია და ხატებისთვის აუნთია“, შემდეგ გარეთ გასულა და დაუძახნია: „მზად არის“. „არ გასულა ორი წუთი, რომ ეს ყმაწვილი, რომელიც წინათ ხატის წინ გულმოდგინედ ლოცულობდა, ამოღებულის ხანჯლით ხელში და ექვსი ჩაქურათ ჩაცმული, ბერდენკებით შეიარაღებული ყაჩაღები დასავლეთის კარებიდან შემოცვივნულან და ერთხმად დაუძახიათ: „დაწვეით ყველანი იატაკზე, თორემ დაგხოცავთო“ (35; 196). შემდეგ პალტოიანი ყმაწვი-

ლი მისულა ბერთან, მონასტრის ეკონომოსს ანთიმოსთან, რომელსაც ძვირფასი ნივთები ებარა, და სალარო გააღებინა. ავაზაკებმა გელათის მონასტრიდან გაიტაცეს შემდეგი სიწმინდეები:

1. მღვდელმთავრის მოსართავი ქამარი ძვირფასი თვლებით,
2. ოქროს ბარძიმი, იაკინთისა და ფირუზის თვლებით, ოთხი მარგალიტის ქვით,
3. წმიდა მეფე დავით აღმაშენებლის ბეჭედი, რომელზეც ზემოდან გამოსახული იყო წმიდა გიორგი და ჰქონდა ხუფი წმიდა ნაწილების შესანახად,
4. მცირე ოქროს პანაღა,
5. ორი ვერცხლის ბარძიმი,
6. ვერცხლის ჭიქა და ფული 252 მანეთი.

ეს ფაქტი მოწმობს, თუ რაოდენ დაკნინებული და დაცემული იყო ქრისტიანული ზნეობა, იმდროინდელი ქართველი საზოგადოების ნაწილში, რომელმაც გაბედა და კიდევ ერთხელ შეეხო გელათის მონასტრის უდიდეს სიწმინდეებს.

თავდასხმის დროს მღვდელ-მონაზონ მათე ბერეკაშვილს მოუხერხებია გარეთ გამოსვლა და ზარის რამდენჯერმე დარეკვა, თუმცა ერთ-ერთ ყაჩაღს თოკი ხანჯლით გადაუჭრია. ამ დროს ერთ-ერთი ბერის მოსამსახურე 14-15 წლის სვანის ბიჭს დაუწყია ზარების რეკვა, იქვე მომუშავე გლეხებს დაუელიათ ხელი თოფებისთვის და მონასტერს მოშველებიან, ყაჩაღებს კი საჩქაროდ დაუტოვებიათ მონასტერი და ტყეში მიმალულან“ (35; 198). მეორე დღეს გელათს ეწვია ეპისკოპოსი ლეონიდე, რომელმაც აღნიშნული ფაქტი ეგზარქოსს შეატყობინა. დაიწყეს საქმის გამოძიება. მალევე გაზეთი „ივერია“ იუწყებოდა, რომ სვირის სადგურზე შეუპყრიათ სამი კაცი: ალექსი ჩხეიძე, სილიბისტრო სვანიძე და გიორგი კანდელაკი, რომელთაც 19 ივლისს გელათის მონასტრის გაძარცვა ბრალდებოდათ (138). თუმცა ეჭვმიტანილები მალევე გაუთავისუფლებიათ. აღნიშნული საქმე არ გაიხსნა და 1908 წლის დეკემბერში ძიება შეწყდა. არც იყო გასაკვირი, რადგან 1908 წლის



27 ნოემბერს იმერეთის ეპისკოპოსს გიორგის ქუთაისის პროკურორი ეკითხებოდა, „თუ სად მდებარეობდა გელათის მონასტერი“. ასეთი ადამიანები, რა თქმა უნდა, დამნაშავეებს ვერ მოძებნიდნენ.

გელათის მონასტრის კრებულმა 1904 წლის 21 ივლისს ეპისკოპოსს ლეონიდეს სთხოვა მონასტრისათვის დაენიშნათ დაცვა. „ლოცვის დროს თავდასხმამ, ჩვენს სასიქადულო დიდებული მონასტრის გაძარცვამ იმდენად შეგვაძრწუნა, რომ გვიჭირს და ვშიშობთ ჩვეულებრივად ლოცვას მონასტერში. მისთვის კი არა, რომ ჩვენ ამოგვწყვეტენ, არამედ შეიძლება კიდევ განმეორდეს, - ვთხოვთ თქვენს მეუფებას მონასტერს დაენიშნოს სტრაჟნიკების დაცვა“ (ქ.ც.სა.ფ.21, ს.21969). გელათის მონასტრის გაძარცვის ფაქტს გამოეხმაურა დიდი აკაკი გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე. „არ დავფიცავ, ბევრი რამ მამა-პაპათა ნაანდერძევი, დღეს დაკარგულ-დავიწყებული მიგლოვია, მაგრამ არც ერთის ისე არ დამსობია გულზე, როგორც ეს უკანასკნელი უკულმართობა. ბევრი აღარა დაგვრჩენია რა თანამედროვე ეროვნული წმინდა-წმიდათგანი. ერთილა გელათი იყო. თანამედროვე ქართველის გული კუჭმა ჩაყლაპა და არ გემართებს მოთქმა ტირილი?“ (132; №182). აკაკი წერეთელმა ამ ფაქტს ბრწყინვალე ლექსი მიუძღვნა. გთავაზობთ ნაწყვეტს:

„და ის საცერე დიდი ბეჭედი,  
აღმაშენებელს რომ თითზე ეცვა  
და კურთხეულმა მისმა მარჯვენამ,  
საქრესტეანო რითაც დაიცვა,  
სხვა სიმდიდრესთან ბოროტ განძრახველს  
გაუტაცია ისინიც ერთად,  
აღარ უცვნია გადარჯულებულს  
ტაძარი ტაძრად და ღმერთი ღმერთად“.

გელათის მონასტრის გაძარცვამდე ცოტა ხნით ადრე იმავე წლის 24 მაისს საქართველოს ეგზარქოსი მიიჩნევდა: „ყოველად მისაღები იქნება მოეწყოს თბილისის სასულიერო სასწავლებლის მღვდელ-მონაზონი რომელიმე მონასტრის წი-

ნამძღვრად“. შემდეგ კი იგი უფრო უკონკრეტებს ეპისკოპოს ლეონიდეს - „არ თვლით თქვენ გელათის მონასტრის სტარეცმა დატოვოს თანამდებობა სიბერის გამო. ნიკოლოზი კი შეიძლება დანიშნოთ გელათის მონასტრის წინამძღვრად“. 29 მაისს კი არქიმანდრიტი სერაპიონი წერილს უგზავნის ეპისკოპოს ლეონიდეს და პასუხობს ეგზარქოსის წერილს: „მე ვმსახურებ ამ დიდებულს მონასტერს ოცდაათი წლის განმავლობაში. ამ წინადადებით მე ვითხოვ არ ვიქნე მოკლებული მოხუცებულობის დროში, როგორც საცხოვრებელ, ეგრეთვე დღიურ სარჩოს. მომეცეს დღეს დადებული ჯამაგირის მაგიერი წლიურათ ექვსასი მანეთი და ერთი მოსამსახურე საცხოვრებელი სახლით და იმ შემთხვევაში გადავდგე და თუ არა, არ შემიძლია გადავდგე ჩემი ადგილიდან“ (ქ.ც.სა.ფ.21; ს.22005). თუმცა 1904 წლის სექტემბრიდან არქიმანდრიტი სერაპიონი მაინც გაუშვეს პენსიაზე. 1905 წლის 1 იანვრიდან მას დაუნიშნეს პენსია 180 მანეთი, ხოლო 1908 წლიდან - 299 მანეთი და 68 კაპიკი.

არქიმანდრიტ სერაპიონის შემდეგ გელათის მონასტრის წინამძღვარი გახდა მღვდელ-მონაზონი ნიკოლოზი (ნამორაძე), როგორც ეგზარქოსს სურდა. 1905 წლის აპრილში გელათში ჩამოდის მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების წევრი სერგეი ნიკოლოზის ძე პოლტარაცკი. ეპისკოპოსი ლეონიდე გაენათის წინამძღვარ ნიკოლოზს სთხოვს აღმოუჩინოს ყოველგვარი დახმარება სტუმარს, რომელსაც ფირებზე უნდა გადაელო „ხახულის ღვთისმშობლის“ მინანქრიანი ხატი და ასევე სახარების მინიატურები. არქიმანდრიტმა ნიკოლოზმა თავის მხრივ მონასტრის ეკონომოსს უბრძანა, რომ მას ყოველ დღით მონასტერი 7 საათზე გაელო და მხატვართან ორ-ორი მღვდელ-მონაზონი დაეყენებინა მუშაობის მთელი ხნის განმავლობაში (ქ.ი.მ. 1848). იმავე წლის ივლისის თვეში ეპისკოპოსი ლეონიდე გელათის წინამძღვრისაგან ითხოვს, რომ „ხახულის ღვთისმშობლის“ სასწაულმოქმედი ხატის მინანქრის გადაღება ძალზე დიდხანს გაგრძელდა, რამაც გამოიწვია სა-

სულიერო მმართველობის უკმაყოფილება, ამის გამო იგი ბრძანებდა დაებრუნებინათ ხატი თავის კუთვნილ ადგილზე და აღარ გადაეღოთ მისთვის სურათები (ქ.ი.მ. 1868).

1905 წლის 5 ნოემბერს ღამით გელათის მონასტერს კვლავ დაეცნენ ავაზაკები და დაიწყეს სროლა სამი მხრიდან. „განსვენებული გაბრიელ ეპისკოპოსის სახლის ქვედან, ტყიანი ქედიდან, ძველი ეკლესია რომ არის. სროლაზე პირველად უპასუხა მონასტრის დარაჯმა არსენ კეზევაძემ და მერმე შიგ მდგომმა სტრაჟნიკებმა, რომელთაც მეტად დიდი სამსახური გაუწიეს მონასტერს და გადაარჩინეს უეჭველ უბედურებას.“ – წერდა ეპისკოპოსს ლეონიდეს არქიმანდრიტი ნიკოლოზი. სროლა გაიგო მთელმა სოფელმა და ნახევარ საათში შეგროვდნენ მონასტრის ეზოში, 11 საათზე კი სტრაჟნიკებიც მოსულან ქუთაისიდან. ყაჩაღების განზრახვა შემდეგი იყო: მათ უნდოდათ სროლით გარეთ გაეტყუებინათ სტრაჟნიკები, ჭიშკართან დაეხოცათ ისინი და თვითონ მონასტერში შესულიყვნენ. თავდასხმის დროს ძალზე ფხიზლად ყოფილან მონასტერში მყოფი ბერებიც. „ზოგი ეკლესიას ურბენდა და ზოგიც მე დამდევა და ყველა განკარგულებას ფიცხლავ ასრულებდა – მღვდელმონაზონი მათე და მიხეილი და მორჩილი დავით გიორგაძე, იკონომოსი ანთიმოსი ფხიზლად იყვნენ. უმორჩილესად ვთხოვთ თქვენს მეუფებას, აქ აღნიშნულ პირთაგან მღვდელმთავრული მადლობა გამოუცხადოთ“ (ქ.ც.სა.ფ.21; ს.22443). ამჯერად მონასტრის მცველებისა და ბერების თავგანწირვის შედეგად დიდ უბედურებას გადაარჩა გელათის მონასტერი.

1906 წელს რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის გელათის მონასტრის წინამძღვრობიდან გადააყენეს არქიმანდრიტი ნიკოლოზი, რომელსაც რუსეთში გადასახლება მიუსაჯეს, მაგრამ მან თურქეთს შეაფარა თავი და 1917 წელს საქართველოში დაბრუნდა. 1906 წლის 12 დეკემბერს ჯრუჭის მონასტრის არქიმანდრიტი ნიკიფორე კანდელაკი გადმოჰყავთ გელათის მონასტრის წინამძღვრად. 1907 წლის 8 იანვარს მონასტრის ეკონომოსის მღვდელ-მონაზვნის ანთიმოზისაგან

არქიმანდრიტმა ნიკიფორემ ჩაიბარა მონასტრის ქონება.

1906 წლის 27 დეკემბერს კვლავ მოხდა გელათის მონასტრის ქონებისა და სიწმინდეების აღწერა (ქ.ც.სა.ფ.21; ს.22510).

ამ პერიოდში კვლავ დიდ გასაჭირს განიცდის გელათის მონასტერი. ეს კარგად ჩანს არქიმანდრიტ ნიკიფორეს მოხსენებიდან. 1909 წელს იგი დახმარებას სთხოვს ეპისკოპოს გიორგის (ალადაშვილი): „პატივი მაქვს მოვახსენო თქვენს მეუფეებს, რომ გელათის მონასტერს აქვს მოცემული ერთი დესეტი-ნა ვენახი, ორი დესეტი-ნა სახნავი, ორი დესეტი-ნა ტყე და ორმოცი დესეტი-ნა ჩიგვანარი“. ეს მიწები გელათში ჰქონდა მონასტერს და ამ მიწებიდან არაერთად შემოსავალს არ იღებდა. ამის გარდა გელათის მონასტერს მიწა სოფელ კვახჭირში, მდინარე ყვირილას ნაპირებთან ჰქონდა. ყოველივე ამის გამო მონასტერს 21 მანეთი და 19 კაპიკი ედებოდა გადასახადი. „ამისათვის უმორჩილესად ვთხოვ თქვენს ყოვლადუსამღვდელოესობას ამ გადასახადისათვის იშუამდგომლოთ ვიდამიც ჯერ არს და იქმნეს მონასტერი თავისუფალი“ (ქ.ც.სა.ფ.21; ს.23772). 1909 წლის დეკემბერში იმერეთის ეპისკოპოსის გიორგის შუამდგომლობით გელათის და მოწამეთას მონასტრები გათავისუფლებული იქნა გადასახადებისაგან. აღნიშნული მიწების გარდა გელათის მონასტერს ეკუთვნოდა ასევე: „საბალახო და სახნავი სახელწოდებით საკობრია ორმოცდაცხრა დესეტი-ნა, მონასტერს კისორეთში ჰქონდა დაწერილი ნადელით ასი დესეტი-ნა ადგილი, ამის გარდა სადუქნე ადგილი აქვს მონასტერს სახელწოდებით ჭალა ნახევარი ქცევა, ასევე საწისქვილე ადგილი მდინარე ჭიშურაზე. ზემოთ 290 კვადრატული საჟენი ჭალის თავის დაჩაზე“ (ქ.ი.მ. 6861).

1910 წლის სექტემბრის 10-ში არქიმანდრიტი ნიკიფორე იმერეთის მონასტრების ბლალოჩინს არქიმანდრიტ ნესტორს წერს: „აფხაზეთის მცხოვრებთ კითხვა აღუძრავთს იმაზედ, რომ დაბრუნებულ იქნეს აფხაზეთში რწმუნებულის ჩემდამი მონასტერში გადმოსვენებული ღვთისშობლის ხატი ბიჭვინტისა“ (ქ.ი.მ. 2551). ეს სიწმინდე მეჩვიდმეტე საუკუნეში კათა-

ლიკოსმა ზაქარია ქვარიანმა გადმოუსვენებია და ანდერძით მას ხატი გელათის მონასტრისთვის შეუწირავს, ეს ანდერძი დიდი ხნის გასვლის გამო სხვადასხვა წიგნებთან ერთად გაყოლია ხელნაწერებს და დაკარგულა. მაგრამ ანდერძის ზეპირი გადმოცემა სცოდნია არქიმანდრიტ სერაპიონს, რომელიც აცხადებდა, რომ ზაქარია კათალიკოსის სურვილი იყო: „სადაც თითონ დასაფლავებულა, იქ უნდა ყოფილიყო ხატიც და ამის გამო დღემდის აქ იმყოფება. იმედია მთავრობა არ შეურაცხყოფს მის სურვილს“. ცოტა ადრე, 6-7 ივლისს, ამ საქმეში ეგზარქოსის კანცლერიც და მეფისნაცვალის ვორონცოვ-დაშკოვიც ჩაერთო. ისინი ითხოვდნენ, რომ დაბრუნებულყო კათალიკოს ზაქარია ქვარიანის მიერ გატანილი ბიჭვინთის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი აფხაზეთში (ქ.ც.სა.ფ.21; ს.24559).

საბოლოოდ ეპისკოპოს გიორგისა და თავად წერეთლის წერილებმა აიძულეს ეგზარქოსი, რომ 1911 წლის 15 თებერვალს მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვისთვის მოეხსენებინა: „ბიჭვინთის ხატი აფხაზეთა ხალხის კუთვნილებად არ დასტურდება, პირიქით, ამ ხატზე წარწერები ადასტურებს, რომ ეს ხატი კათალიკოსმა ევდემონ ჩხეტიძემ ბიჭვინთაში მიიტანა სალოცავად და მასზე ამ უფლებას ინარჩუნებდაო“ (35; 210).

1910 წლის 26 ოქტომბერს სინოდის კანტორის დადგენილებით აფხაზეტს უარი ეთქვათ მათ მოთხოვნაზე. ეს მოთხოვნა ხელოვნურად იყო შექმნილი და სოხუმის ოკრუგის უფროსს პოლკოვნიკ კროპაჩევს დაუყენებია მეფისნაცვლის წინაშე და არავითარ ხალხის მოთხოვნას არ წარმოადგენდა. 1881 წელს არქეოლოგიურ ყრილობაზე მეფისნაცვლის საბჭოს წევრმა დ. ფურცელაძემ წაიკითხა რეფერატი, რომელშიც ეწერა: „თუ ეს ხატი დაბრუნდება ბიჭვინთაში, მაშინ ყველა მოითხოვს თავიანთ ძველ ადგილზე იქნეს დაბრუნებული საეკლესიო სიწმინდეები“ (35; 209).

1910 წლის 19 დეკემბერს გელათის მონასტრის წინამძღვარს იმერეთის ეპისკოპოსი გიორგი სინოდის ბრძანების საფუძ-

ველზე აფრთხილებს: „საჭიროა მიიღოთ ყოველი შესაფერისი ზომები, რომ მონასტერი დაიცვათ ავაზაკთა გაცარცვისა და გატყევისაგან: ა) ეკლესიების ყოველ ფანჯარას უნდა ჰქონდეს მსხვილი რკინის ბადე, რომელსაც არა აქვს საჩქაროდ გააკეთებინეთ; ბ) უნდა იყოლიოთ კეთილ საიმედო ყარაულები და ეკლესიაში მოსამსახურენი; გ) ღვთის მსახურების შემდგომ ყოველთვის უნდა დაათვალიეროთ ეკლესია, რომ ცუდი კაცი არ მიიმალოს სადმე და არ გაძარცვოს ეკლესია“ (ქ.ი.მ. 2586).

1911 წლის 28 აპრილს შუადღის ოთხ საათზე გარდაიცვალა ღრმად მოხუცებული არქიმანდრიტი სერაპიონი (ახვლედიანი), არქიმანდრიტი ნიკიფორე, ეპისკოპოს გიორგის იმავე დღეს ატყობინებს ამ ფაქტს და ელოდება მის განკარგულებას (ქ.ი.მ. 2643). არქიმანდრიტი სერაპიონი დაკრძალეს მთავარი ტაძრის დასავლეთ მინაშენში, საფლავის ქვაზე კი შემდეგი წარწერაა: „ამასა ლოდსა ქვეშე განისვენებს გაენათის მონასტრის არქიმანდრიტი და მოძღვარი ნეტარხსენებულის ეპისკოპოსის გაბრიელისა სერაფიონი ტომით ახვლედიანი შობიდან 101 წ. ემსახურა ამა დიდებულს მონასტერს წინამძღვრად 40წ. გარდაიცვალა 1911 წ. 28 აპრილს“.

არქიმანდრიტი სერაპიონი გელათში წინამძღვრის სახლში ცხოვრობდა. მისი გარდაცვალების შემდეგ არქიმანდრიტი ნიკიფორე ეპისკოპოს გიორგის სთხოვს 200 მანეთის გამოყოფას, რათა აღნიშნული სახლის ჭერი, იატაკი და ფანჯრები შეკეთებულიყო და გადაეღებათ (ქ.ც.სა.ფ.21; ს.24655).

1911 წლის 13 დეკემბერს, დღის ორ საათზე, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ მ. თურქიას სახლში გარდაიცვალა გაენათის მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი ნიკიფორე. გაენათის მონასტრის ეკონომოსი მღვდელ-მონაზონი ზენონი ნებას ითხოვს ეპისკოპოს გიორგისაგან, რომ მიცვალებული გელათის მონასტერში გადაასვენონ. არქიმანდრიტი ნიკიფორე გელათის მონასტრის ეზოში დაკრძალეს. 1912 წლის 11 აპრილიდან რუსეთის წმიდა სინოდმა გაითვალისწინა, რომ ძველად აქ ბრძანდებოდნენ კათოლიკოსები, რუსეთთან შეერ-

თების შემდეგ აქ ცხოვრობდნენ მიტროპოლიტები და ეპისკოპოსები, მაგრამ გარდაცვალებულმა იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა უარყო ეს და თვითონ დანიშნა წინამძღვარი“. ამის გათვალისწინებით გაენათის მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა იმერეთის ეპისკოპოსი გიორგი (ალადაშვილი), რომელიც გელათის მონასტრის წინამძღვარი 1917 წლამდე, ავტოკეფალიის აღდგენამდე იყო. მას უფლება ეძლეოდა გელათში მოადგილე (ნამესტნიკი) დაენიშნა (ქ.ც.სა.ფ.21; ს.24814).

1912 წელს ჩატარდა გელათის მონასტრის აღწერილობა და შედგა იქ ნამსახური ბერების სია. იგი ძალზე საინტერესო გახლავთ. „გელათის მონასტერი დაარსებულია XII საუკუნის დასაწყისში წმიდა მეფე დავით აღმაშენებლის მიერ. სიტყვა გაენათი წარმოიშვა ბერძნული სიტყვიდან და ნიშნავს შობას, რადგან მთავარი ტაძარი გახლავთ ღვთისმშობლის შობის სახელობის, რომელიც იყო მრავალტრაპეზიანი. მონასტერი საჭიროებდა კაპიტალურ შეკეთებას. მონასტრის მფლობელობაში იყო 172 დესეტინა მიწა“ (ქ.ც.სა.ფ.21; ს.25114).

მონასტერში არსებობდა შემდეგი შტატები: წინამძღვარი, რომელსაც წელიწადში 800 მანეთი ჰქონდა ხელფასი, სამი ილუმენის, ოთხი მღვდელ-მონაზონის, ორი ბერდიაკვნის და ოთხი მორჩილის შემადგენლობით. მონასტერთან არსებობდა ერთკლასიანი საეკლესიო სკოლა. მონასტერში იყო დაბრძანებული სასწავლმოქმედი ხატები, წმიდა ნაწილები და ხელნაწერები დაახლოებით 300 ეგზემპლარი. 1912 წლისათვის გელათის მონასტერში მოღვაწეობდა 3 ილუმენი, შვიდი მღვდელ-მონაზონი, ორი ბერ-დიაკონი და ორი სქემონაზონი. ამ დროიდან გელათში მოღვაწეობდა ექვთიმე კერესელიძე. გელათში მოღვაწე ბერების ნამსახურთა სიაში მის შესახებ ნათქვამია: „სქემონაზონმა ექვთიმე კერესელიძემ ისწავლა სადმელის ერთ კლასიან სასწავლებელში წმიდა წერილი და საეკლესიო გალობა. ერისკაცობაში ევსტაფი სოლომონის ძე კერესელიძე - უცოლო. 1912 წლის 31 ოქტომბრიდან მორჩილი გელათის მონასტერში, აღკვეცილი ბერად 1912 წლის 23 დეკემბერს.

„უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ექვთიმე კერესელიძეს ქართული საეკლესიო გალობის აღდგენისა და შენარჩუნების საქმეში, რაზეც ქვემოთ ვისაუბრებთ.

1914 წლის დეკემბერში ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი გელათის მონასტრის წინამძღვრის მოადგილეს ავალებს მონასტერში დაცული წმიდა ნაწილებისათვის, სასწაულმოქმედი ხატებისთვის, ძვირფასი მორთულობების, საეკლესიო ნივთებისათვის ისტორიული და ხელოვნების განსაკუთრებული ნიმუშებისათვის დაამზადონ მგზავრობისათვის მოსახერხებელი ყუთები. საჭიროების შემთხვევაში სიწმინდეები ჩაბრძანებული უნდა ყოფილიყო ყუთებში და შეკრული თოკებით, რომელზეც იქნებოდა მონასტრის ბეჭედი. ამ სიწმინდეებს გაიტანდნენ უსაფრთხო ადგილზე (მოგეხსენებათ, 1914 წელს დაიწყო პირველი მსოფლიო ომი). მთელი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა მონასტრის წინამძღვარს (ქ.ი.მ. 3015). 1916 წლის 4 ნოემბერს ბერ-დიაკონი ექვთიმე კერესელიძე ულამაზესი ხელით ნაწერ თხოვნას უგზავნის იმერეთის ეპისკოპოსს გიორგის: „აგეროთხი წელიწადი შესრულდა და მეხუთე დაიწყო, რაც მე თქვენი მეუფების წყალობით გელათის მონასტერში ვცხოვრობ. თქვენ მიერ ხელ-დასხმული იერო-დიაკვნად, ახლა ვთხოვ თქვენ მეუფებას, როგორც რომ თქვენ მიერ კურთხევით ხელ-დასხმულნი კაცნი ას-ასობით დადიან და სულიერს და ხორციელს ბედნიერ ცხოვრებას პპოობენ და დაუვიწყრად დიდად მმადლობელნი არიან თქვენის მეუფების, ეგრეთ მეც მომიხსენეთ, მაკმარეთ ჩემი წარსული ირო-დიაკვნის სამსახური და მაკურთხეთ მღვდელ-მონაზვნად ჩემსავე შტატში და ამით მიმანწვეიეთ ჩემ კეთილ-სასურველ მიზანს, რომლითაც შემეძლოს ახლო სამსახური ღვთისა და თქვენის მეუფების სამარადისოდ“ (ქ.ი.მ. 3136). 1917 წელს ბერ-დიაკონი ექვთიმე ხელ-დასხმულ იქნა მღვდელ-მონაზვნად იმერეთის ეპისკოპოს გიორგის მიერ.

ასე განვითარდა მოვლენები გელათის მონასტერში ეგზარქოსობის პერიოდში - 1820-1917 წლებში. ამ დროს გელათის



მონასტერმა გადაიტანა მრავალი ძარცვა, უსახსრობა, ყოველთვის ჭირდა მისი შეკეთება-აღდგენა, შეღებვა და სათანადო ყურადღების მიგება. ეს ძირითადად გამოწვეული იყო იმით, რომ გელათი წარმოადგენდა ჩვეულებრივ, პირველი კლასის საშტატო მონასტერს, ხოლო ვისაც ხელეწიფებოდა მონასტრისადმი მზრუნველობა, მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში გაცემდა გარკვეულ თანხას მონასტრის შესაკეთებლად. განსაკუთრებით დასანანია გელათის ფრესკების დაზიანება XIX საუკუნეში, ვინაიდან მთელი ორი ათეული წლის განმავლობაში მთავარ ტაძარში წვიმა ჩადიოდა.

1917 წლიდან გელათის მონასტერში ახალი პერიოდი დაიწყო, რომელიც ძალზე მცირე ხანს გაგრძელდა, მაგრამ სავსე იყო ქარტახილებითა და მოულოდნელობებით. ეს პერიოდი იმით დასრულდა, რომ დაიხურა ეს უძველესი სამეფო სამონასტრო კომპლექსი.

1917 წლის 12(25) მარტს აღდგა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალია. 14 მარტს საქართველოს ეკლესიის დროებითმა აღმასრულებელმა კომიტეტმა შეიტყო, რომ ყოფილი ეგზარქოსის თათბირებში იმერეთის ეპისკოპოსი გიორგი ალადაშვილი მონაწილეობდა და მიიღო გადაწყვეტილება ეპისკოპოს გიორგის იმერეთის ეპარქიის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ. შესაბამისად ეპისკოპოსი გიორგი გათავისუფლებული იქნა გელათის მონასტრის წინამძღვრის თანამდებობიდან. 1917 წლის 5 მაისამდე გელათის მონასტრის დროებითი მმართველი გახლდათ არქიმანდრიტი ანთიმოზი. თუმცა შემდეგ რამდენიმე თვის განმავლობაში, ვერ მოხერხდა გელათის მონასტრის წინამძღვრის დანიშვნა.

1917 წლის 17 აპრილს შედგა სრულიად საქართველოს საკათალიკოსო ეკლესიის მმართველობის იმერეთის განყოფილების და იმერეთის ეპარქიის საოლქო საბჭოების წარმომადგენელთა შეერთებული კრება. კრებამ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება: „გელათის მონასტრის წინამძღვრის ჯამაგირი არ გაეგზავნოს ეპისკოპოს გიორგის, ეთხოვოს მამა ამბროსის, რომ დროებით დაიკავოს წინამძღვრის ადგილი გაენათის მონასტერში, ხოლო საკათალიკოსო მმართველობას ეთხოვოს, რომ ის აიყვანოს მღვდელმთავრის ხარისხში“. გაენათის მონასტრის საძმომ იმავე წლის 19 აპრილს იმერეთის ეპარქიის დროებით აღმასრულებელ კომიტეტს გაუგზავნა თხოვნა. თხოვნაში აღნიშნული იყო, რომ გელათის მონასტერს არ ჰყავდა წინამძღვარი, გელათის საძმომ კი წინამძღვრად გელათის მონასტრისათვის წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი ნაზარი ამოირჩია. „უმორჩილესად გთხოვთ, კომიტეტს ინებოთ განკარგულება რომ იქნეს წინამძღვრად მოწვეული არქიმანდრიტი ნაზარი, რომელიც ყველა საქმეში საიმედო პირი გახლავთ“ (ქ.ც.სა. ფ.21, ს.26529). თხოვნაზე ხელს აწერდა არქიმანდრიტი ანთიმოზი, ილუმენი სოფ-

რონი, ილუმენი დოროთე, მღვდელ-მონაზონი მათე, მღვდელ-მონაზონი ზენონი, მღვდელ-მონაზონი დოდო, ბერ-დიაკონი ექვთიმე კერესელიძე, მორჩილი ტერენტი ობოლაძე.

საქართველოს ეკლესიის დროებითმა მმართველობამ 1917 წლის 5 მაისიდან გაენათის მონასტრის წინამძღვრად დაამტკიცა არქიმანდრიტი ნაზარი, გელათის საძმოს თხოვნის საფუძველზე. თუმცა არქიმანდრიტი ნაზარი გელათში არ ჩამობრძანებულა. ამის მიზეზზე საუბარია 1917 წლის 17 მაისის იმერეთის განყოფილების სხდომის ოქმში:

„პირადად იმერეთის განყოფილებას არქიმანდრიტ ნაზარის გელათის მონასტრის წინამძღვრად დანიშვნის შესახებ წინააღმდეგი არაფერი არა აქვს, მაგრამ მისი დანიშნით უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა იმერეთის განყოფილება და შეურაცხყოფილ იქმნა არქიმანდრიტი ამბროსი, რომლის კანდიდატურა წამოყენებულია იმერეთის სამმართველოსაგან“. იმერეთის განყოფილება ითხოვს საკათალიკოსო საბჭოსაგან, რომ ის გამოიყვანოს ამ უხერხული მდგომარეობიდან.

1917 წლის 20 მაისის იმერეთის საეპარქიო კანცელარია გაენათის მონასტრის დროებით მმართველს არქიმანდრიტ ანთიმოზს ატყობინებს, რომ გელათის წინამძღვრად დანიშნულია არქიმანდრიტი ნაზარი და ითხოვს მისგან არქიმანდრიტ ნაზარის ჩააბარონ მონასტერი მთელი თავისი ქონებით (ქიმ. 3188). ამ ბრძანების შემდეგ გელათში ჩამოდის არქიმანდრიტი ნაზარი ლეჟავა, რომელმაც 22 მაისს შეკრიბა მონასტრის საძმო და დაადგინა შემდეგი:

1. გაენათის მონასტერში გაჩაღდეს მწყობრი ტკბილი სამხმოვანი ეკლესიური გალობა.

2. სანთლის ქარხანაში მომუშავე ნიკოლოზ ჯანგავაძეს დაენიშნოს თვეში 45 მანეთი.

3. ვიყიდოთ მლოცველთა გელათის სადგურიდან მონასტერში მისვლა-მოსვლის გასაადვილებლად ერთი სრული ლინეიკა და ერთი კარგი ცხენი.

1917 წლის სექტემბერში არქიმანდრიტი ნაზარი გელათის

მონასტერში აღარ იმყოფებოდა. ეს იქიდან ჩანს, რომ 29 სექტემბერს გელათის მონასტრის საძმო კვლავ ითხოვდა გელათში მოწვეული ყოფილიყო წინამძღვრად არქიმანდრიტი ნაზარი.

სოფელ გელათის მცხოვრებნი იმავე პერიოდში ითხოვდნენ, რომ გელათის მონასტრის წინამძღვრად არქიმანდრიტი ნიკოლოზ ნამორაძე დანიშნულიყო, რომელიც 1905 წელს ცილისწამების გამო იძულებული გახდა გადახვეწილიყო. 1917 წლის 14 აგვისტოს გელათის მონასტრის წინამძღვრის მოადგილე არქიმანდრიტი ანთიმოზი ითხოვს ამ თანამდებობიდან გათავისუფლებას: „აგერ ექვსი წელიწადი სრულდება, დღეს აღარ ძალმიძს სამსახური, როგორც მოხუცებულობით, აგრეთვე სნეულებით შეპყრობილით, ამაზედ ვთხოვ აღმასრულებელ კომიტეტს, რომ დანიშნოს სხვა ძმათაგანი ჩემს სამსახურზედ“.

19 აგვისტოს მამა ანთიმოზის თხოვნა დაკმაყოფილებული იქნა, ეს საქმე დროებით დაევალა მღვდელ-მონაზონ დოროთეს და მღვდელ იასონ აბესაძეს (ქ.ც.სა. ფ.21, ს.26608).

1917 წლის 13 ოქტომბერს გაენათის მონასტრის წინამძღვრის მოადგილე ილუმენი დოროთე მიტროპოლიტ ანტონის ატყობინებს, რომ 13 ოქტომბერს გაენათის მონასტრის წინამძღვრად აირჩიეს არქიმანდრიტი ნიკოლოზ ნამორაძე. ოქმში გელათის მონასტრის საძმო ხელს აწერს ზემოაღნიშნულს და აღნიშნავს: „ვინაიდან სამგზის ვითხოვეთ სათანადო მთაწარის წინაშე, რომ გაენათის მონასტრის არქიმანდრიტად ყოფილიყო ნაზარი ლეჟავა, მაგრამ დღემდის ვერავითარი პასუხი ვერ მივიღეთ, ვინაიდან დღეს გამოცხადდა ამავე მონასტრის ყოფილი არქიმანდრიტი ნიკოლოზი, რომელიც 11 წელიწადი დასჯილი იყო პოლიტიკური საქმისათვის, ამიტომ ხალხის დადგენილებით და ჩვენი თანხმობით ავიყვანეთ თავის ძველ ადგილზე“ (ქ.ც.სა. ფ.21, ს.26529).

ამ პერიოდში გელათის მონასტერში ერთი წიგნის მკითხველის მეტი არ ჰყავდათ და მონასტრის ბერები დიდ გაჭირვე-

ბაში იმყოფებოდნენ. არქიმანდრიტი ნიკოლოზი მიტროპოლიტ ანტონს სთხოვს თავისუფალ ბერ-დიაკვნის ადგილზე გაემწესებინა მღვდელ-მონაზონი დომენტი, რომელიც დაესმარებოდა მოხუც ბერებს ღვთისმსახურების დროს (ქ.ც.სა. ფ.21, ს.26646).

1918 წლის 3 აპრილს გელათში ჩატარდა კრება. კრებაზე მთავარი საკითხი იყო გელათის სიწმინდეების დაცვა და შენახვა. კრების თავმჯდომარე იყო თომა ტყაბლაძე და მდივანი აფთონ ჭირაქაძე. გელათელები თავიანთ უპირველეს მოვალეობად გელათის მონასტრის დაცვას მიიჩნევდნენ. კრებაზე აირჩიეს სამი სანდო პირი, რომლებიც სამიტროპოლიტო საბჭოში უნდა წასულიყვნენ მოსალაპარაკებლად. 1918 წლის 15 სექტემბერს სამიტროპოლიტო საბჭომ, მიტროპოლიტ ანტონ გიორგაძის თავმჯდომარეობით დაადგინა: „გელათის ტაძრის დღესასწაული, ვინაიდან შიშიანობას ჯერ არ გაუვლია და მონასტრის ძვირფასი ნივთების უზრუნველყოფა სახიფათოა, ამისთვის მღვდელმოქმედება ამ დღეს შესრულდეს, წმ. გიორგის ტაძარში, ხოლო დიდი ტაძარი ისევ დაკეტილი იყოს როგორც დღემდის“ (ქ.ც.სა. ფ.21, ს.27374). როგორც ჩანს გელათის მთავარი ტაძარი რამდენიმე თვის განმავლობაში დაკეტილი იყო. აღნიშნული შიში გამოიწვია ივლისის პირველ რიცხვებში ოკრიბაში ბოლშევიკების გადმოსვლამ. გელათის მონასტრის დარაჯმა, ერმილე გელაძემ, ეს ფაქტი შეატყობინა არქიმანდრიტ ნიკოლოზს, რომელმაც ვარლამ მორჩილი გაგზავნა ქუთაისში და შეატყობინა გუბერნიის კომისარს. ამასობაში ერმილე გელაძემ სოფელში ხალხი შეკრიბა, რომლებიც შეიარაღებულნი იცავდნენ მონასტერს. შემდგომში ბოლშევიკები ტყიბულის სადგურზე მართლაც დაიჭირეს. არქიმანდრიტმა ნიკოლოზმა მღვდელმთავარს სთხოვა, რომ ერმილე გელაძეს გამოცხადებოდა მღვდელმთავრული მადლობა და წარდგენილიყო სათანადო ჯილდოზე მთავრობაშიც, მონასტრიდან მისთვის მიეცათ საჩუქრად ათი თუმანი, ხოლო მის თანაშემწეებს არსენ და მარკოზ კეხევაძეებს სამ-სამი თუმანი. მიტროპოლიტმა ანტონმა არიმანდრიტ ნიკოლოზის თხოვნა დააკმაყოფილა (ქ.ც.სა. ფ.21, ს.27150).

1918 წლის 15 ნოემბერს საეპარქიო საბჭოში გაენათის მონასტრის ძმათაგან მონასტრის ეკონომოსის მღვდელ-მონაზონ ზენონის საჩივარი შევიდა არქიმანდრიტ ნიკოლოზის წინააღმდეგ. 1. მონასტრის ძმები უკანონოდ თვლიდნენ მოქმედებას, რომლის დროსაც გელათში ძვირფასი ნივთების გადაძალვას არ დაასწრეს მღვდელ-მონაზონი ზენონი, სალაროს და ტაძრის გასაღებები კი არქიმანტრიტმა ნიკოლოზმა წაიღო.

2. 1918 წლის 29 სექტემბერს არქიმანდრიტ ნიკოლოზს წაუღია გელათის მონასტრიდან 25 000 მანეთი ბითუმად ცვილის შესაძენად, თუმცა უკან ცარიელი დაბრუნებულია, აღნიშნული თანხა კი მონასტრისათვის არ დაუბრუნებია.

3. მონასტრის სამშო მიიჩნეოდა, რომ არქიმანდრიტი ნიკოლოზი შეუფერებელი იყო მონასტრის წინამძღვრის თანამდებობისათვის და ისინი მის შეცვლას ითხოვდნენ. საჩივარს ხელს აწერდა - ეკონომოსი მღვდელ-მონაზონი ზენონი, ილუმენი დოროთე და მათე, მღვდელ-მონაზვნები: ეპიფანე, დოდო, ექვთიმე კერესელიძე, სილოვანე, სვიმონი (ქ.ც.სა. ფ.21, ს.28187).

1918 წლის 18 ნოემბერს კვირა საღამოს გარდაიცვალა გაენათის მონასტრის არქიმანდრიტი ანთიმოზი, რომელიც 21 ნოემბერს წირვის შემდეგ მონასტრის გალაფანში დაასაფლავეს (ქ.ც.სა. ფ.21, ს.27224).

არქიმანდრიტი ნიკოლოზი გელათის მონასტრის წინამძღვრად 1918 წლის ბოლოდღე დარჩა. შემდეგ იგი მოწამეთის მონასტრის წინამძღვრად გადაიყვანეს. 1919 წლის იანვრიდან აგვისტომდე გელათის მონასტრის დროებითი მმართველია მღვდელ-მონაზონი ზენონი.

1919 წლის 22 იანვარს მღვდელ-მონაზონი ზენონი მიტროპოლიტ ნაზარს სთხოვს, რომ გაენათის მონასტრის სანთლის ქარხნის ოსტატს კოდრატე კილაძეს და ნიკოლოზ ჯანგავაძეს მოემატოს ჯამაგირი (ქ.ც.სა. ფ.21, ს.28305). 1919 წლიდან 1923 წლამდე გელათის მონასტრის ბოლო წინამძღვარია არქიმანდრიტი ნესტორ ყუბანეიშვილი.

იმავე წლის 3 სექტემბერს არქიმანდრიტ ნესტორს სამიტროპოლიტო საბჭო ატყობინებს, რომ ენქერის ტარების უფლება აქვს იმ დეკანოზებსაც, რომლებიც აყვანილი იყვნენ ამ ხარისხში საკათალიკოზო საბჭოს 30 იანვრის განჩინების გამოქვეყნებამდე, კამილავეკის და ყვითელი ჯვრის ტარების უფლება - ყველა მღვდელს, მიტრის ტარების უფლება ეკრძალებოდა ყველას, გარდა ეპისკოპოსისა (ქ.ი.მ.3288).

გელათის მონასტერი 1919 წლის შემოდგომაზეც საფრთხის ქვეშ ყოფილა. 18 ოქტომბერს არქიმანდრიტი ნესტორი მიტროპოლიტ ნაზარის დახმარებას სთხოვდა. ღამით ვიღაც შეპარულა მონასტერში ცხენის მოსაპარად, თუმცა დარაჯებს გაუგიათ და სროლა აუტეხიათ. ამის გამო მონასტერმა მესამე დარაჯი დაიჭირავა. თითოეულ დარაჯს მონასტერი 500 მანეთს უხდიდა, თუმცა არქიმანდრიტი ნესტორი ითხოვდა, ორი დარაჯი მთავრობის ხარჯით ყოფილიყო დაჭირავებული, მაგრამ ამასე მთავრობამ უარი განაცხადა. ისედაც მცირე შემოსავლების მქონე მონასტერმა თავად დაიჭირავა დარაჯები (ქ.ც.სა. ფ.21, ს.27731).

1919 წლის 1 მაისს გარდაიცვალა გაენათის მონასტრის მორჩილი მწირ-მონაზონი ანტონი, რომელიც 3 მაისს დაასაფლავეს. მწირ-მონაზონი ანტონი გახლდათ ბოლო მწირი ბერი, რომელიც გელათში მოღვაწეობდა. მწირი ბერები გელათში საუკუნეების განმავლობაში მოღვაწეობდნენ. ჯერ კიდევ დავითის დროიდან.

1919 წელს მთავრობამ გელათის მონასტერს კუთვნილი მამულები, ტყე, საყანე ადგილები და წისქვილი ჩამოართვა. მონასტერს მხოლოდ ერთი ნორმა მიწა დაუტოვეს, რომელშიც შედიოდა მონასტრის ეზო, გზა და მცირე ადგილი. ამის გამო მთავრობას მონასტრისათვის არაავითარი სუბსიდია არ გამოუყვია. არქიმანდრიტი დახმარებას ითხოვს მიტროპოლიტ ნაზარისაგან, ვინაიდან მონასტრის კრებულს ძალზე მცირე ჯამაგირი ჰქონდა დანიშნული, თითოეულ მღვდელ-მონაზონს 14 თუმანი წელიწადში; „დაგვიბრუნოს ჩვენდამი რწმუნებუ-

ლი მონასტრის მთელი მამული, რადგან გაენათის მონასტერს ჰყავს ერთი წინამძღვარი, 7 მღვდელ-მონაზონი, ორი დიაკონი და ოთხი მორჩილი, მონასტერში დაცულია ჩვენ წინაპართაგან შეწირული აურაცხელი ძვირფასი ნივთები: საეკლესიო ჭურჭელი, ხატები, ჯვრები, თვალ-მარგალიტი, რომელთა დასაცავად მონასტერს თავისი ხარჯით დაქირავებული ჰყოლია ორი დარაჯი თვეში ათ მანეთად“ (ქ.ც.სა. ფ.21, ს.27826).

ამ პერიოდში მონასტრის შემოსავალი ძალზე მცირე, თვეში 100 მანეთი ყოფილა. მონასტერში ამ დროს იმყოფებოდა ექვთიმე თაყაიშვილი, მისი მომსახურებისათვის 300 მანეთი დაუხარჯავთ. არქიმანდრიტი ნესტორი ითხოვდა, რომ მონასტერს კუთვნილი მიწები დაბრუნებოდა, რადგან ასეთი გამორჩეული ადამიანების სტუმრობისას ბევრი ეხარჯებოდათ.

დემოკრატიულმა მთავრობამ საშინელ მდგომარეობაში ჩააგდო ქართული ეკლესია, ერთ დროს მთელ ქრისტიანულ სამყაროში უმდიდრესი გელათის მონასტერი ძალზე ცუდ დღეში აღმოჩნდა.

1919 წლის 29 დეკემბერს მიტროპოლიტმა ნაზარიმ გელათისა და მოწამეთის მღვდელ-მონაზვნებს ილარიონსა და სიმონს ნება დართო, რომ კახეთში სიმინდისა და პურის შესაგროვებლად წასულიყვნენ. არქიმანდრიტი ნესტორი მთავრობისაგან ითხოვდა ბერებისათვის შეგროვებული პროდუქტის გადმოსატანად ბილეთი მიეცათ (ქ.ც.სა. ფ.21, ს.27448).

1920 წლის 14 აპრილს არქიმანდრიტი ნესტორი წერილს უგზავნის მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას: „ბ-ნო ნოე! უმორჩილესად გთხოვთ ეს მოხსენება დამშვიდებით წაიკითხოთ, თუ რამე ჰპოვოთ შიგ თქვენი შესხედულებით შეუსაბამო, არ გამირისხდეთ... რათ სჯიან ასე სამღვდელოებს? რათ ტანჯავენ? რა დააშავა? რა ბრალი მიუძღვის?! ის ბრალი მიუძღვის ჩვენ სამღვდელოებს, რომ თუ არის დაცული ჩვენში სარწმუნოება, თუ არის ჩვენში ძველი მწერლობა და მწიგნობრობა და მით განათლება, ეს თითქმის ყველა სამღვდელოების მოღვაწეობა არის, დღევანდელი სამღვდელოე-



ბაც გარემოების და შეძლებისდაგვარად იმ ძველი სამღვდელოების გზას ადგას და მოღვაწეობს... სასულიერო სასწავლებელი და სემინარები დასახურავი კი არ იყო, არამედ გასაწმენდი ძველი რეჟიმის ჟანგისაგან, რომ საქართველოს გამოზრდოდა კარგი მიმართულების განათლებული სამღვდელოება... კეთილ ინებოთ და მიაქციოთ ჯეროვანი ყურადღება გელათის და მის კრებულის ეგეთ გაჭირვებულ მდგომარეობას... მთავრობამ კეთილ ინებოს და გელათის მონასტერს დაუბრუნოს მისი ადგილი მამული, ტყე და წისქვილი და დაენიშნოს მონასტერს დასაცველად და მონასტერში მომსვლელ უცხოელთა პატივსაცემად სუბსიდია. მოევიწიეთ გელათის მონასტერს და მის კრებულს მოწყალე სამართლებლად“ (70; 253-255).

1920 წლის 20 ნოემბერს არქიმანდრიტი ნესტორი მოხსენებას უკეთებს მიტროპოლიტ ნაზარის. მას ქუთაისში ყოფნის დროს გაზეთში გამოქვეყნებული წერილი უნახავს გელათის გაძარცვის შესახებ. არქიმანდრიტი ნესტორი აღნიშნავს, რომ ეს იყო საზიზღარი სიცრუე და ცილისწამება, გაზეთში იყო ნათქვამი თითქოს გელათში არსებული აურაცხელი ოქროვერცხლის ნივთები გაიყიდა ვაჭრებს. იგი აღნიშნავს, რომ სამშაბათს დილით ადრე ჩამოსულა მონასტრიდან ბერი, რომელმაც შეატყობინა მას, რომ თბილისიდან ჩამოსულა მთავრობის წარმომადგენელი, რომელიც არქიმანდრიტს გელათში იბარებდა. ნესტორმა ეს ამბავი შეატყობინა მიტროპოლიტ ნაზარის, შემდეგ კი ისევ დაბრუნდა გელათში. მთავრობის წარმომადგენლებს მისთვის უჩვენებია მანდატი, რომელშიც მათ ჰქონდათ მინდობილობა, რომ დაეთვალთმეობინათ გელათის ძვირფასი ნივთები და მათი შეხედულებისამებრ, როგორც აჯობებდა ისე მოქცეულიყვნენ, შესაძლოა ნივთები გადაეტანათ საიმედო ადგილას. მთავრობის წარმომადგენლებს მოყვანილი ჰყოლიათ დროგი და ბრეზენტები, მათ გადაწყვეტილი ჰქონიათ, ძვირფასი ნივთები ქუთაისის საზინაში გადაეტანათ. ეს ამბავი მიტროპოლიტ ნაზარისთან არ იყო შეთანხმებული. საბოლოოდ ძვირფასი ნივთების ნაწილი მაინც გა-

დაიტანეს ქუთაისის საგუბერნიო ხაზინაში (ქ.ი.მ.3368).

გელათის მონასტერი კვლავ დიდ გასაჭირს განიცდის 1920 წლის 26 აგვისტოს. არქიმანდრიტი ნესტორი მიტროპოლიტ ნაზარის სთხოვს, ნება დართოს ეკონომოსს, გაყიდოს მონასტრის საჭიროებისათვის ის ოქრო-ვერცხლის შემოწირული ნივთები, რომლებიც საეკლესიო მსახურებაში არ გამოიყენება, მაგალითად საყურეები, ბროშეები, ბეჭდები და ამგვარი წვრილმანი ნივთები. სწორედ ამის გამო დაიწერა სტატია გაზეთში და ატყდა ხმაური გელათის გაძარცვის შესახებ (ქ.ი.მ.3320).

29 ნოემბრის მიწერილობაში არქიმანდრიტი ნესტორი მიტროპოლიტს აუწყებს, რომ „ჩემი აზრით, ამ საქმეში არც ზენონი, არც მე და არც თქვენი მეუფება არ მოქცეულან უკანონოდ, რადგანაც ამ ნივთებს არ ჰქონდათ მნიშვნელობა არც არქეოლოგიური, არც ისტორიული და არც იყვნენ ეკლესიაში სახმარნი“ (ქ.ი.მ.3428).

1920 წლის 24 ოქტომბერს მიტროპოლიტ ნაზარის განკარგულებით გელათის ეკონომოსი ილუმენი ზენონი გადაიყვანეს ჯრუჭის მონასტრის წინამძღვრად, გელათის მონასტრის სამომ კი მონასტრის ეკონომოსად მღვდელ-მონაზონი ექვთიმე კერესელიძე აირჩია. ილუმენ ზენონისაგან ექვთიმე კერესელიძემ ჩაიბარა მონასტრის ქონება-სამკაულები, შესავალ-გასავლის წიგნები, ბილეთები, ნაღდი ფული და ყოველივე, რაც მონასტრის საკუთრება გახლდათ (ქ.ი.მ.3384).

არქიმანდრიტი ნესტორი მიტროპოლიტ ნაზარის სთხოვს ნებართვას შემდეგ საკითხზე: გაენათის მონასტრის ეკონომოსს მღვდელ-მონაზონ ექვთიმე კერესელიძეს განუცხადებია, რომ, ვინაიდან მთავრობამ ჩამოართვა მონასტერს მიწები, ტყე, წისქვილი და ამის გამო მონასტერს ძალიან უჭირდა, თუკი სასულიერო მთავრობა ინებებდა და ნებას მისცემდა მას, ჩამოივლიდა იმერეთის ეპარქიას და შეაგროვებდა შეწირულობას გელათის მონასტრისა და მის მკვიდრთა სასარგებლოდ სურსათით (ქ.ც.სა. ფ.21, ს.28036).

მღვდელ-მონაზონი ექვთიმე მონასტრის სიწმინდეების მოვლა-პატრონობის გარდა, ზრუნავდა ასევე, რომ სილარიბის ზღვარზე მისული მონასტრის საძმო გამოეკევა, ამისათვის იგი სოფელ-სოფელ სიარულსაც არ თაკილობდა. მისთვის უმთავრესი კი დღე და ღამე საგალობლებზე მუშაობა გახლდათ. მას ხშირად ეუბნებოდნენ ბერები: „როცა შემოვდივართ დღე და ღამე, სულ დაყრდნობილი ხარ მაგიდაზე, სულ სწერ და სწერ, ნეტავი რა სარგებლობა გაქვს?“ მამა ექვთიმე მიუგებდა: „მე ამაში ვპოულობ დიდ სიმდიდრეს, ეს ოქრო-ვერცხლზე და თვალ-მარგალიტზე უძვირფასესი საუკუნო საუნჯეა, მე წარმოდგენილი მაქვს ჩემი თავი, როგორც ოქრომჭედელი და თვალ-მარგალიტის დამლაგებელი! მე ხანდახან გაკვირვებაში მოვდივარ: ვინ მოუშვა ჩემამდე ეს ძვირფასი სიმდიდრე, რომ მე უღირსი ამაში ხელს ურევ!“ (73;15).

1921 წლის 1 სექტემბერს გელათში გაიმართა საქართველოს ეკლესიის მე-3 კრება. მიტროპოლიტმა ნაზარიმ საეკლესიო კრების მომწყობ კომიტეტის წევრად მოიწვია მოწამეთის მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი ნიკოლოზი, რომელსაც გელათის ეკონომოს ეპიფანესთან ერთად დაევალა, მონასტერი საეკლესიო კრების ჩასატარებლად მოემზადებინათ. თავიდან განსაზღვრული იყო გელათში კრების მონაწილე 170 წევრის დაბინავება (ქ.ი.მ.3419). ქუთაისის საეპარქიო მმართველობის კანცელარიამ 1921 წლის 1 აგვისტოს გაენათის მონასტრის წინამძღვარს არქიმანდრიტ ნესტორს აუწყა, რომ საქართველოს ეკლესიის კრება დანიშნულია 1 სექტემბერს, იგი უნდა დაკავშირებოდა ყველა მამათა მონასტერს, რომლებიც აირჩევიდნენ თითო წარმომადგენელს კრებაზე დასასწრებად, ისინი მიიღებდნენ კრებაზე დასასწრებ მანდატს. 8 აგვისტოს არქიმანდრიტმა ნესტორმა მოითხოვა საეკლესიო კრების გელათიდან სხვაგან გადატანა, რატომ იყო იგი წინააღმდეგი საეკლესიო კრების გელათში ჩატარებისა, უცნობია (ქ.ი.მ.3407).

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მესამე საეკლესიო კრება გელათში 1-5 სექტემბერს გაიმართა. კრებაზე

არჩეული იყო 212 დელეგატი ხმის უფლებით. კრების პრეზი-  
დიუმი განისაზღვრა შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე  
სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მოსაყდრე  
მიტროპოლიტი ამბროსი, მიტროპოლიტი ნაზარი, ეპისკოპო-  
სი პიროსი, მოქალაქენი დავით ნიჟარაძე, რაფიელ ივანიცკი.  
საეკლესიო კრებაზე დაისვა საკითხი სასულიერო წოდების  
ნიეთიერად უზრუნველყოფის, საკათალიკოსო საბჭოს დაწე-  
სებულებათა მოსამსახურეების ფინანსური უზრუნველყოფის  
შესახებ. მადლობა გამოეცხადა იმ სასულიერო პირებს, რო-  
მელთაც წინააღმდეგობა გაუწიეს და არ გაატანეს საეკლესიო  
განძი მენშევიკურ მთავრობას. კრებაზე აღდგენილი იქნა ბა-  
თუმ-შემოქმედის კათედრა. მიღებული იქნა გადაწყვეტილება  
თბილისში სამოძღვრო სემინარიის გახსნის, ბავშვებისათვის  
საღვთო სჯულის სწავლების შესახებ. კრებაზე მიიღეს გადა-  
წყვეტილება სასულიერო პირთა დაჯილდოების აღდგენის, ჩხა-  
რისა და ლელვანის სამრეკლოს შექმნის, გრიგოლ ფერაძის  
უცხოეთში სასწრაფოდ გაგზავნის შესახებ, ასევე დაადგინა  
„მიღებულ იქნას სავალდებულოდ მუდმივი მღვდლისაგან ანა-  
ფორის ტარება, უღირს სასულიერო პირთა ეკლესიიდან გა-  
ძევება და სხვა. (6;61-62)

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის არჩევნებზე კენჭს  
იყრიდა ორი კანდიდატი ჭყონდიდელი მიტროპოლიტი ამბროსი  
(ხელაია) და ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ნაზარი  
(ლექავა) არჩევნებში გაიმარჯვა ჭყონდიდელმა მიტროპოლიტმა  
ამბროსი ხელაიამ.

1922 წელს ძლიერ გავრცელებული ძარცვა-ყაჩაღობის გამო  
გელათის მონასტრის კრებულმა მიიღო გადაწყვეტილება მთა-  
ვარი ტაძრის დაკეტვისა, ღვთისმსახურება ტარებოდა წმიდა  
გიორგის სახელობის ტაძარში. ყაჩაღების შიშით ბერებმა მო-  
ისურვეს „დიდი ეკლესიის ყველა გასაღები შეინახოთ თქვენ  
მალალ მუუფეობასთან დასაცველად, რომ ვინცობაა ავაზაკებ-  
მა აქაც არ მოიტანონ და ძალდატანებით არ გაგვადებინონ  
დიდი ეკლესიის კარი და თუ რამე წაუღებელი დატოვა მენ-

შევიკურმა მთავრობამ, არ გაიტაცონ ავაზაკებმა“ (ქ.ი.მ.3451).

ეს აუცილებელი ყოფილა, ვინაიდან მთავრობას მეორე დარაჯი მოუხსნია გელათის მონასტრიდან.

იმავე წლის 1 თებერვალს არქიმანდრიტი ნესტორი მთავრობისაგან გელათის ეკლესიებისა და შენობების სახურავების შეკეთებას ითხოვს, ვინაიდან დიდი ქარის გამო სახურავები დაზიანებული ყოფილა (70;271). შემდგომში მართლაც მუილიათ 30 მილიონი, მაგრამ ეტყობა ეს თანხა გამოჰყო მიტროპოლიტმა ნაზარმა. სახურავის შესაკეთებლად შედგა კომიტეტი, რომელშიც შევიდნენ მღვდელ-მონაზვნები ეპიტანე, დოდო და ათანასე. ზაფხულში შეკეთდა სახურავები (ქ.ი.მ.3494).

1923 წლის 19 აპრილს არქიმანდრიტ ნესტორს ტრიფონ ჯაფრიძე ატყობინებდა, რომ ქუთაისის ყოველგვარი საისტორიო და საარქეოლოგიო ნაშთის დაცვა მას ევალებოდა, იგი აფრთხილებდა გელათის წინამძღვარს არავინ შეხებოდა გელათში ან შენობას ან გალავანს ან ნივთებს“. ნებისმიერ შემთხვევაში დაუყოვნებლივ ეცნობებინა მისთვის ზომების მისაღებად (ქ.ი.მ.3518).

1923 წლის 5-6 ივნისს გელათის ისტორიაში მოხდა დაუჯერებელი ფაქტი, მონასტერში მივიდა მთავრობის კომისია, ეკლესიების კარები დაკეტა და დალუქა, იქ მოღვაწე ბერებს კი გამოუცხადეს, რომ ერთი კვირის განმავლობაში დაეტოვებინათ მონასტერი. მონასტრის საძმომ აღმასრულებელ კომიტეტს მიმართა, რომ ბერებს არსად წასასვლელი არ ჰქონდათ, ამის გარდა მათ არანაირი ჯამაგირი არ გააჩნდათ არც სასულიერო და არც საერო მთავრობისაგან. ბერებს მონასტრის კუთვნილ მამულში დათესილი ჰქონდათ ყანები და ბოსტანი. მონასტრის საძმომ ითხოვა: „უმორჩილესად ვთხოვთ აღმასრულებელ კომიტეტს, შემოდგომამდე დაგვეტოვონ ჩვენ ყველანი მონასტერში და რაკი მოსავალს მოვათავებთ, ჩვენ დავეტოვებთ მონასტერს და სადმე მოვიძებნით თავშესაფარ ადგილს“ (ქ.ი.მ.3396).

1923 წლის 5 ივნისს გელათის მონასტრის ლიკვიდაციის კომისიის თავმჯდომარე პ. ქუთათელაძე აღნიშნავს: „მივიღე გელათის მონასტრის გალავანში მყოფი მთავარი ტაძრის, წმიდა გიორგის და წმიდა ნიკოლოზის ეკლესიების გასაღები, რომელნიც დღეის რიცხვით დახურული იქნება და ლუქდასმული“ (ქ.ი.მ.3516). ღვთისმებრძოლმა ხელისუფლებამ დახურა უძველესი სამონასტრო კომპლექსი, ქართველ მეფეთა საძვალეში აღარ ტარდებოდა ღვთისმსახურება, უფრო მეტიც, მონასტერში აღარ დაედგომებოდა ბერ-მონაზვნებს.

1923 წლის 21-25 აგვისტოს მოხდა გელათის მონასტრის ქონების დეტალური აღწერა მუზეუმის მცველის მ. კოკოჩაშვილის ხელმძღვანელობით. შემდგომ აღწერილი ხატები, ჯვრები და საეკლესიო ინვენტარი გადაიტანეს ქუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმში.

სიწმინდეების ნაწილი გელათის მონასტრიდან მუზეუმში 1924 წლის 22 ნოემბერს გადაიტანეს.

ამრიგად, გელათის სიწმინდეების ერთი ნაწილი საზღვარგარეთ მენშევიკურმა მთავრობამ გაიტანა, უმეტესი ნაწილი კი ქუთაისის მუზეუმში მოათავსეს.

დასრულდა კიდევ ერთი ეპოქა გელათის მონასტერში. გელათში 1988 წლამდე შეწყდა ღვთისმსახურება.

საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულმა გელათის ბრწყინვალე სამონასტრო სკოლამ შეწყვიტა არსებობა. ქართველ მეფეთა შეწირული უნიკალური ძვირფასეულობის და სიწმინდეების ნაწილი მენშევიკურმა მთავრობამ უცხოეთში გაიტანა, დიდი ნაწილი კი ქუთაისის მუზეუმში შეინახეს.

XX საუკუნის 20-იანი წლებიდან გელათში წყდება ღვთისმსახურება. 1923 წლიდან გელათს ტოვებენ ბერები.

გელათის ბოლო დაყუდებული ბერი, შიო ნაფეტვარიძე, 20-იან წლებში ბერისციხეზე ნახეს აღსრულებული.

1935 წლამდე მოქმედი იყო წმიდა ილიას სახელობის ეკლესია. ამ ეკლესიაში ღვთისმსახურები იყვნენ მღვდელი იპოლიტე ჭირაქაძე და დიაკონი მეთოდე ჯანგავაძე.

1952 წელს გელათის მონასტერში იმყოფებოდა იოსებ სტალინი. მან რამდენიმე წუთი დაჰყო ღვთისმშობლის ტაძარში და მოინახულა დავითის საფლავი.

მე-20 საუკუნეში ბოლშევიკებმა გელათის მონასტერი ქუთაისის მუზეუმის ფილიალად გადააქციეს. მონასტერში ისვენებდნენ ჩვეულებრივი მოქალაქეები.

ათეიზმის ხანაშიც მრავალი მეცნიერი ჩამოდიოდა გელათში და განცვიფრებული რჩებოდნენ მისი სილამაზით. 50-იან წლებში გელათი ინახულა ჩეხმა ქართველოლოგმა იარომირ იედლიჩკამ. ხელოვნებათმცოდნეობის პროფესორი მარვინ როსი წერდა: „მე დავათვალიერე მსოფლიოში ცნობილი მშვენიერი გელათი“. „ვეფხისტყაოსნის“ რუმინელი მთარგმნელი ვიქტორ კერნზახი აღიარებს გელათის განუმეორებლობას და ამბობს: „გელათში მე პირველ რიგში მალეღვებს მოზაიკა, ხოლო ძველი ოსტატების ხელოვნებით აღელვებული, ჩუმი სმით გამოეთქვამ ჩემს გრძნობებს“.

1966 წლის 29 სექტემბეროს გელათში დიდი ზარ-ზეიმით აღინიშნა რუსთაველის დაბადების 800 წლისადმი მიძღვნილი იუბილე. გელათში შეკრებილი იყო უამრავი ახალგაზრდა.

იმავე წლის ოქტომბერში ინჟინერ ხარებავას თაოსნობით გელათის ზემოთ არსებული უძველესი ეკლესიები ეკალბარდისაგან გაუწმენდიათ. ისტორიკოსი მ. ასათიანი მიიჩნევდა, რომ ძველ დროში გელათი ქუთაისის ერთ ფრთას წარმოადგენდა, მეორეს კი - გეგუთი. XX საუკუნის 70-იანი წლების მიწურულიდან გელათის მახლობლად, მოწამეთის კარიერებზე გამუდმებულმა აფეთქებებმა სერიოზული საფრთხე შეუქ-

მნა მთლიანად გელათის მონასტერს და მის მოზაიკას. სპეციალისტების რეაქციის გამო დროებით შეწყდა აფეთქებები. უმაღლესი კატეგორიის მხატვარ-რესტავრატორმა კარლო ბაკურაძემ ატეხა განგაში. მან დროულად შენიშნა, რომ მოზაიკის „მთელი ზედაპირის, თხუთმეტი პროცენტის გარდა, მოზაიკა თითქმის მოცილებული იყო კედელს... ალაგ-ალაგ ჩამოცვენილი იყო მოზაიკური კენჭები“. 1984 წელს მუშაობას შეუდგა სპეციალისტთა ჯგუფი კარლო ბაკურაძის ხელმძღვანელობით. მოზაიკის გასამაგრებლად კარლო ბაკურაძემ მიმართა ფართოდ გავრცელებულ მეთოდს, ე.წ. კლამერების გამოყენებას. კლამერი წარმოადგენს თითბრის ღერძს, რომელიც დაბოლოებულია ჯვრული ფორმის სპილენძის ფირფიტით. მოზაიკის ზემოდან ხრახნით დამაგრებული კლამერის დეტალი შეფერილია და ისეა მისადაგებული მოზაიკის ზედაპირს, რომ ახლოდანაც კი არ განირჩევა საერთო ფონისაგან. გელათის მოზაიკის რესტავრაცია 1990 წელს დასრულდა. რესტავრაციის შედეგად გადარჩა განადგურებას უნიკალური და უძველესი გელათის მოზაიკა, რომელიც მეფე დემეტრე I-ის დროს იყო შესრულებული.

1988 წლის 20 სექტემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, ქუთათელ-გაენათელმა მიტროპოლიტმა კალისტრატემ აკურთხა გელათის მონასტერი, 65 წლის შემდეგ ქართველ მეფეთა საძვალეში კვლავ აღდგა ღვთისმსახურება. 1988 წლიდან გელათში მოღვაწეობდნენ დეკანოზი რევაზ მოსეშვილი, მღვდელ-მონაზონი აბრაამ გარმელია (ამჟამად მიტროპოლიტი აბრაამი), არქიმანდრიტი ნიკოლოზ პიტნავა. 1990 წელს გელათში ტრაპიზონიდან ჩამოასვენეს იმერეთის უკანასკნელი მეფე სოლომონ II. მეფის ჩამოსვენების საქმეს ხელმძღვანელობდა ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი კალისტრატე. მირონცხეული მეფე მთავარი ტაძრის სამხრეთ-დასავლეთის კედელთან დაკრძალეს.

1990 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესის და უნეტარესის ილია II-ის კურთხევით აღდგა გელათის სასულიერო აკადემია. რექტორად დაინიშნა მიტ-



როპოლიტი კალისტრატე. 500 წლის შემდეგ აღდგა გელათის სასულიერო აკადემია. სასულიერო აკადემიაში პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდნენ: მიტროპოლიტი გიორგი (შალამბერიძე), მიტროპოლიტი სერგი (ჩეკურიშვილი), მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი), დეკანოზი ანტონი (ხმელიძე), აკადემიკოსი როინ მეტრეველი, აკადემიკოსი დავითი (ბრეგაძე), აკადემიკოსი აეთანდილი (ნიკოლეიშვილი), პროფესორი არჩილი (კოსტავა), პროფესორი ლევანი (სევანაძე), მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ოთარი (შავეანიძე), ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი იაშა კუჭუხიძე, ბატონი ჯონდი ქართველიშვილი. დაარსების დღიდან სასულიერო აკადემია დაამთავრა 100-ზე მეტმა მამაკაცმა, რომლებიც ღვთისმსახურებას ეწევიან საქართველოს სხვადასხვა ეკლესია-მონასტერში, ნაწილი კი პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა.

გელათის სამონასტრო კომპლექსი ერთადერთი სამონასტრო ანსამბლია საქართველოში, სადაც რამდენიმე გუმბათოვანი ნაგებობაა თავმოყრილი. XIII-XV საუკუნეებში მონასტერს მინიჭებული ჰქონდა ავტონომია და უშუალოდ მეფეს ექვემდებარებოდა.

1996 წლის ოქტომბერში გელათს სტუმრად ეწვიენ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II და სრულიად რუსეთის პატრიარქი ალექსი II. პატრიარქებმა გელათში აღასრულეს პარაკლისი. 2003 წლის 21 სექტემბერს გელათს ეწვია ყოვლადუწმიდესი ბართოლომეოსი, კონსტანტინეპოლის მთავარეპისკოპოსი და მსოფლიო პატრიარქი და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II. აღინიშნებოდა ქუთაისის სიონის (ბაგრატიის) ტაძრის 1000 წლის იუბილე. პატრიარქებმა საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავრებთან ერთად საღვთისმშობლისადმი აღასრულეს.

2005 წლის აპრილში კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის კურთხევით, მიტროპოლიტ კალისტრატეს ძალისხმევით პეტერბურგიდან გელათში ჩამოასვენეს გაენათელი მიტროპოლიტი ექვთიმე (შარვაშიძე), რომელიც სამშობლოსა და ქართული ეკლესიის დაცვის გამო რუსეთში გადაასახლეს.

2006 წლის 21 სექტემბერს აღინიშნა გელათის სამონასტრო კომპლექსისა და სასულიერო აკადემიის 900 წლის იუბილე. გელათში წმიდა სინოდის მღვდელმთავრებთან და სამღვდელ-ლოებასთან ერთად სადღესასწაულო წირვა აღავლინა სრულ-ლიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ.

ამჟამად გელათის სამონასტრო კომპლექსში მთავარი ღვთის-მშობლის ტაძრის გარდა მოქმედია წმიდა გიორგის, წმიდა ნიკოლოზის, ილია წინასწარმეტყველის და ღვთისმშობლის წყაროცხოვრების სახელობის ეკლესიები.

დღეისათვის გელათის მონასტრის წინამძღვარია გელათის სასულიერო აკადემიის რექტორი, მიტროპოლიტი კალისტრატე, ხოლო მონასტერში მოღვაწეობს მღვდელ-მონაზონი იოსები (ბურჯანაძე), მღვდელი იოანე (იოსელიანი), დიაკონი იონა (ცომაია). 2007 წლის სექტემბერში გარდაიცვალა მღვდელი გიორგი (კუჭუხიძე), რომელიც გელათში მსახურობდა.

მიტროპოლიტ კალისტრატეს კურთხევით აღდგა გელათის უძველესი მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია. ამჟამად მიმდინარეობს გელათის ზემოთ წმიდა ნინოს სახელობის უძველესი მონასტრის აღდგენა, სადაც მოღვაწეობს მღვდელი ილია (კარკაძე) და ბერი ქრისტეფორე, ასევე საბერო მორჩილები. წარსულის საფუძველზე კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის და მიტროპოლიტ კალისტრატეს ძალისხმევით გელათში აღდგა ობსერვატორია, რომელსაც ხელმძღვანელობს პროფესორი თეიმურაზ ადეიშვილი. აღსანიშნავია, რომ მონასტრის ეზოში, აკადემიის შენობის გვერდით, დღესაც არსებობს ციურ სხეულებზე დასაკვირვებელი ორმო. საინტერესოა გამოჩენილი მეცნიერის, მსოფლიოში სახელგანთქმული ასტრონომის, აკადემიკოს ევგენი ხარაძის აზრი: „მე რომ ახალგაზრდა ვიყო და ობსერვატორიის ხელმეორედ აგებას ვფიქრობდე, უკეთეს ადგილს ვიდრე გელათია, ვერ ვინატრებდიო“.

მომავალში დაგეგმილია გელათში ყველა ეკვდერში აღდგეს ღვთისმსახურება და ასევე უძველესი ეკლესია-მონასტრები.

ქრისტიანულ ეკლესიაში ჯერ კიდევ დევნილობის პერიოდში დაიწყეს მაცხოვრისა და შემდეგ წმინდანების გამოსახვა. თანდათან უფრო დაიხვეწა, ხოლო მე-7 მსოფლიო საეკლესიო კრების შემდეგ განსაკუთრებული სახე მიიღო ქრისტიანულმა ფერწერამ.

ჩვენმა წინაპრებმა ტაძრის მოხატვისას ზუსტად იცოდნენ, ეკლესიის ამა თუ იმ ნაწილში რომელი წმინდანი გამოესახათ. ფრესკების გამოსახვას კონკრეტული დანიშნულება (დოგმატური, სულიერი, ისტორიული) ჰქონდა და ძირითადად წმიდა წერილთან და საეკლესიო ისტორიასთან იყო შეთანხმებული. საკურთხევის ფრესკები განსხვავდებოდა ტაძრის შუა ნაწილის ფრესკებისაგან, ასევე განსხვავებული ფრესკები იწერებოდა შესასვლელში (სტოაში). ამ მხრივ ქრისტიანულ სამყაროში თავისი უნიკალურობით ქართული კედლის მხატვრობა და მოზაიკა გამოირჩეულია. გელათის მთავარ ტაძარში წარმოდგენილია კედლის მხატვრობა XII საუკუნიდან XVIII საუკუნის ჩათვლით და უნიკალურია თავისი შესრულების დონით. აქ წარმოდგენილი ზოგიერთი ფრესკა ძალიან იშვიათია და მისი მსგავსი არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ ქრისტიანულ სამყაროშიც კი არ გვხვდება. გელათი გახლდათ ქართველ მეფეთა საძვალე და შესაბამისად ამ ტაძარში არის შემონახული ქართველ მეფე-დედოფალთა და ბატონიშვილთა ყველაზე მეტი ფრესკა, დაახლოებით 19. ძველად, რა თქმა უნდა, უფრო მეტი ფრესკა არსებობდა, მაგრამ მათი ნაწილი დაზიანდა, ნაწილი კი გვიანდელი პერიოდის, ძირითადად XVI-XVII საუკუნის ფრესკებმა დაფარეს. შესაძლებელია, ეს დაზიანებული და დაფარული ფრესკები ძალიან ბევრ საიდუმლოებას ფარავდეს.

სრული სახით ჯერჯერობით არ გამოცემულა გელათის ამონასტრო კომპლექსის კედლის მხატვრობა და მოზაიკა. რა თქმა უნდა, ეს დიდი საქმე ხელოვნებათმცოდნეებმა უნდა

შეასრულონ, სასურველია გამოიცეს სრული ნაშრომი, სადაც წარმოდგენილი იქნება გელათის ფრესკების სულიერი, კულტურული და ისტორიული მნიშვნელობა. მეცნიერებმა ი. მაიშივილიმა, ფ. დევდარიანმა, ლ. ხუსკივაძემ, ქ.მიქელაძემ და სხვებმა თანამედროვე ეტაპზე ძალზე საინტერესო გამოკვლევები მიუძღვნეს აღნიშნულ საკითხს. თავის დროზე უმნიშვნელოვანესი გამოკვლევები მიუძღვნეს გელათის ფრესკებს აწ განსვენებულმა ქალბატონებმა თინათინ ვირსალაძემ და რუსუდან მეფისაშვილმა.

1920 წელს გელათში იმყოფებოდა წმიდა ექვთიმე ღვთისკაცი (თაყაიშვილი), რომელმაც აღწერა გელათის ფრესკები. წინამდებარე ნაშრომში წარმოვადგინეთ მისი აღწერილობის ზოგიერთი ეპიზოდი. წმიდა ექვთიმე თაყაიშვილს ძალზე საინტერესოდ აქვს განხილული ქრისტიანულ ტაძარში სად, რომელი წმინდანი უნდა გამოისახოს: „საქრისტიანო მამების მოძღვრებით ეკლესია არის სახე მსოფლიოსი, რომელიც შედგება უხილავ და ხილულ არსებათაგან. საკურთხეველი მომასწავებელია, სიმბოლოა უხილავ არსებათა, შუა ნაწილი კი - ხილულ არსებათა, ხოლო ორივე ერთად განუყოფელს ერთეულს წარმოადგენს. ეკლესია არის მიწიერიც, რომელშიც ცხოვრობს და იმყოფება ზეციური ღმერთი. ეკლესია ჩვენ გვაგონებს ჯვარცმას, დაფლვას და აღდგომას იესო ქრისტესი. ეკლესია ნაწინასწარმეტყველეია წინასწარმეტყველთა მიერ, დამშვენებულია მოწესეთა მიერ, ნაკურთხია წამებულთა მიერ და ტრაპეზი მისი დამყარებულია მათ წმიდა ნაშთებზედ. ამის მიხედვით ჩვეულებად შემოვიდა განაწილება ეკლესიაში: საკურთხეველის კონქში ღვთისმშობელი ჩვილით ანუ მარტოდ. ზიარება იესო ქრისტეს მიერ მოწაფეთა, იქ ესწრებიან ანგელოზებიც... ეკლესიის თავია თვით უფალი, რომელიც ჩვეულებრივ არის გამოსახული საკურთხეველის თაღის თავში. ეს არის „ძველ დღეთა“.

შუა ნაწილში ეკლესიისა მიწიერია - ამა სოფლის ეკლესია არის. ამისთვის იესო ქრისტეს სახავენ გუმბათის ცაში. იესო

ქრისტეს მოძღვრება გავრცელდა ოთხივე მხარეში დედამიწისა მასხარებელთა მიერ, ამიტომაა გუმბათის ყურთა კამარებში ხატავენ მასხარებლებს. იესო ქრისტეს მოძღვრების გავრცელებას ხელი შეუწყვეს ღვაწლმოსილთა და წამებულთა, ამიტომ ეკლესიის კედლებზე და სვეტებზე ხატავენ წმინდანებს. იესო ქრისტეს მთავარი მცნება სახარებაშია გამოსატული, ამიტომაც ეკლესიის კედლებზე უნდა იყოს სახარების უმთავრესი სცენები“ (ექვთ.თაყაიშვილის არქ. №332).

## ბელათის ღვთისმშობლის ტაძრის მოხატულობა

გელათის ღვთისმშობლის მთავარ ტაძარში დღემდე შემონახულია მონუმენტური მხატვრობის მრავალი ძეგლი. ფრესკების უმრავლესობა XV-XVI-XVII საუკუნეებს მიეკუთვნება და უმეტესი ნაწილი პოსტბიზანტიურ ეპოქაშია შესრულებული.

ღვთისმშობლის ტაძრის დასავლეთ მკლავში სამი ქრონოლოგიური ფენა გაირჩევა. ზედა რეგისტრში ქრისტეს ვნებათა სცენები XVI ს-ს განეკუთვნება.

შემდეგ ორი რეგისტრი ღვთისმშობლის მიცვალების სცენა, ღვთისმშობლის დაუჯდომელი და წმინდანთა რიგი შესრულებულია იმერეთის მეფე გიორგი III-ის მეფობაში (1565-1578 წ.წ.), ხოლო ქვედა რეგისტრი ქრისტეს ვნებათა ილუსტრაციების, წმინდანების და ქტიტორის ზაქარია ქვარიანის პორტრეტი - XVII საუკუნეში (საქ-ოს სიძველენი, გვ. 4-5).

ქვედა რეგისტრში წარმოდგენილი ქრისტეს ვნებათა ილუსტრაციების შემკვეთნი არიან იმერეთის მეფე ალექსანდრე და დედოფალი ნესტან-დარეჯანი, რასაც გვამცნობს გუმბათქვეშა წარწერა. თვით მეფე-დედოფლის პორტრეტები წარმოდგენილია ნარტექსში - მათივე საფლავის თავზე აღმართულ სალხინებლის მხატვრობაში.

მაცხოვრის ვნებათა რვა სცენა მოთავსებულია ზედა რეგისტრში, თაღების თავზე და მათს ორსავე მხარეს, სადაც კედლის სიბრტყე შედარებით მოზრდილი ზომისაა. ქვემოთ კი

თაღების სოფიტებზე, ტიმპანებში, შესასვლელთა წირთხლებზე განლაგებულია ცალკეულ წმინდანთა ფიგურები (ხელოვნებათმცოდნეობა, 2002 წ. №2, გვ. 60).

ქრისტეს ვნებათა სცენის განლაგება მკლავის კედლებზე შემდეგნაირი თანმიმდევრობითაა მოცემული: სამხრეთის კედელზე „ეკლიანი გვირგვინის დადგმა“, „პეტრეს უარყოფა“, „მეწამული ქლამილით შემოსვა“, დასავლეთით „იუდას სიკვდილი“, „თვისსავე სამოსლით შემოსვა“, „პილატეს სამსჯავრო“, ჩრდილოეთით - „ქრისტეს გამოლტვა“, „ჯვრის ტვირთვა“.

საყურადღებოა, რომ სცენათა განაწილება არ იცავს იმ თანმიმდევრობას, რომლითაც ზემოჩამოთვლილი ეპიზოდები წარმოდგენილია სახარებათა ტექსტებში. გელათში ქრისტეს წამებათა ეპიზოდების განაწილება თავისებურია. ისინი ერთმანეთისაგან დაშორებული არიან, ხოლო მათ შორის ჩასმულია ორი კომპოზიცია - „პეტრეს უარყოფა“ და „იუდას სიკვდილი“ (იქვე, გვ. 61).

ამ ფრესკებზე წარმოდგენილი „ქრისტეს ვნებათა“ დედააზრი არის ადამიანის სულის ხსნასა და ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომასთან კავშირში. წმიდა წერილის ერთგვარი ფრესკული გამოხატულების მიზანია, რომ ქრისტიანმა გაიაზროს, თუ რაოდენ დიდი ტანჯვა-წამება დაითმინა მაცხოვარმა. მეცნიერთა ვარაუდით, ეს სცენები „თვით კათოლიკოს ზაქარია ქვარიანის მიერ იყო შედგენილი. მისი გამოსახულება, ხაზგასმული თავისი მდებარეობითაც, ამ მოხატულობის მნიშვნელოვან მხატვრულ მახვილს წარმოადგენს“ (იქვე, გვ.68). დასავლეთის მკლავის დასავლეთ კედელზე III რეგისტრში ღეთისმშობლის დაუჯდომელის ორი კომპოზიციაა გამოსახული და XVI საუკუნის სამი სხვადასხვა პერიოდის მხატვრობის ფენას წარმოადგენს, რომელიც XVI ს. ტაძრის მოხატვის II ეტაპს განეკუთვნება (1565-1583 წ.წ.). გელათის ღეთისმშობლის დაუჯდომელის ჰიმნის კომპოზიციები, რომლებიც ღეთისმშობლის ღიდებას გამოსხატავს, დაუჯდომლის ჰიმნის II ნაწილს უკავშირდება (დაუჯდომელში ორი სახის საგალობლები შე-

დის - 13 კონდაკი და 12 იკოსი) (ხელოვნებათმცოდნეობა, 2003 წ. №3, გვ. 57-58).

დაუჯდომელის პირველი კომპოზიციის ცენტრში წარმოდგენილია აღსაყდრებული ღვთისმშობლის დიდი ფიგურა მკერდის წინ მაკურთხეველი ყმა ქრისტეთი მთებისა და ვიწრო ნაგებობის ფონზე. მარჯვნივ ვედრებით მიმართული წმინდანებია გამოსახული. ლურჯ ფონზე თეთრით შესრულებული ბერძნული წარწერის ფრაგმენტებია შემორჩენილი. სცენა წარმოადგენს დაუჯდომელის ჰიმნის მე-14 მუხლის (VII იკოსის) ილუსტრაციას: „ახალი აგებული გუეჩვენა, გამოსჩნდა რა აღმგებელი ჩუენი მის მიერ ქმნელთა“.

გელათის დაუჯდომლის მეორე კომპოზიციაში ღვთისმშობელი წარმოდგენილია ფეხზე მდგომი, ორანტში, ქალწულთა მრავალფიგურიანი ჯგუფის წინ. უკან კოშკებიანი მაღალი კედელია ღვთისმშობლის გაშლილი ხელისგულებით. ზემოთ მიმართული ხელების ვედრებისა და მფარველობის გამომხატველ მოძრაობას ეხმიანება მისი გაშლილი მათარიუმი, რომელიც ზღუდის მსგავსად ეფარება ქალწულთა ფიგურებს (იქვე, გვ. 59). შემორჩენილია ბერძნული წარწერის ფრაგმენტი „ზღუდე“. სცენა წარმოადგენს დაუჯდომლის მე-19 სტროფს, მე-9 იკოსის ილუსტრაციას: „ზღუდე ხარ ქალწულთა ღვთისმშობელო ქალწული და ყოველთა შენდა მოლტოლვილთა“ (იქვე, გვ. 60).

გელათის ტაძრის დაუჯდომლის ორ კომპოზიციას შორის გამოსახულია მღვდელმთავარი სწორი სახის ნაკვეთებით, ხვეული თმით, ხელში უჭირავს გრაგნილი, რომელზეც გაირჩევა წარწერის ფრაგმენტი: „ყოვლადწმიდაო ღვთისმშობელო, შეიწყალე სული ფილი“... როგორც მიიჩნევენ, აქ წარმოდგენილი გახლავთ XIV საუკუნის II ნახევრის კონსტანტინეპოლელი მთავარეპისკოპოსი, ღვთისმშობლის დაუჯდომლის ერთერთი ავტორი ფილითეოს კოკინი (იქვე, გვ. 61). სამხრეთის კედელზე გამოსახულია ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი სცენები - „მარიამის ლოცვა ხატის წინაშე“, „ქალთა სერობა“,

„მარიამის მიერ ფერხთა ბანა“ და „მარიამის ზიარება“.

„ქალთა სერობაში“ ღვთისმშობელი გამოსახულია მაგიდასთან მჯდომარე სამ მოწაფესთან ერთად.

რადგან ზედა რეგისტრში „ფერხთა ბანა“ გამოსახული, მხატვარი კედლის ამ მონაკვეთში „მარიამის მიერ ფერხთა ბანას“ და „იაკობის მიერ მარიამის“ ზიარებას გამოსახავს. ფრესკებს აქვს თავისი წარწერები: „ფერხთა ბანა“ და „ზიარება იაკობ ძმა უფლისა“ (საქ-ოს სიძველენი, გვ. 232).

დასავლეთის მკლავის ჩრდილოეთ კედელზე ორი სცენაა წარწერებით: „ღრუბელთა შემოიკრიბნენ მოციქულნი“ და „ამალღება დედისა ღმრთისა“, ზედა რეგისტრში „იუდას ამბორი“, „ქრისტე კაიაფას და ანას წინაშე“. ფრესკების დამასრულებელი არის „ღვთისმშობლის ამალღების“ კომპოზიცია, მრგვალი მანდორიოლა, რომელიც მის ფიგურას აკრავს, ორ ანგელოზს უჭირავს. ზემოთ აფრიალებული ფრთები აღმასვლაზე მიუთითებს.

სამხრეთის კედელზე მიძინების პარალელურად ცენტრში გამოსახულია სარეცელზე მჯდომარე ღვთისმშობელი მკერდზე დაწყობილი ხელებით, მის ორივე მხარეს ფიგურათა ჯგუფები. მარჯვნივ მოციქულები და სამი ქალწული, მარცხნივ წარწერის მიხედვით. ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები - დავითი, აბრაამი, ისააკი, იაკობი, იოანე ნათლისმცემელი, სვიმეონ ღვთისმამრქმელი.

წარმოდგენილი ფრესკები ძალიან საინტერესოა, ვინაიდან ამ ფრესკებზე ხაზგასმულია კიდევ ერთხელ ღვთისმშობლისადმი, როგორც ღვთის დედისადმი, უდიდესი პატივისცემა, ამასთანავე აღნიშნული ფრესკები საკმაოდ მრავლისმთქმელია მასზე გამოსახული ანგელოზებით, ძველი და ახალი აღთქმის წმინდანებით.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გელათის გუმბათის მხატვრობა. გუმბათის მხატვრობაში დომინირებს ქრისტეს დიდების და მეორედ მოსვლის თემა, რაც გამოსახულია ქრისტე პანტოკრატორის, როგორც განკითხვის დღის მსაჯულის, გა-



მოსახულებით. მის ირგვლივ ოთხი აპოკალიფსური ცხოველი, სერაფიმები და ეზეკიელის „ფრთიანი ბორბლები“ საღმრთო ლიტურგიის სერაფიმთა ტრიუმფალურ ჰიმნს, ლიტურგიკულ დიდებას უკავშირდება.

საღმრთო ლიტურგიის დიდი გამოსვლის ილუსტრაციას წარმოადგენს გუმბათის მომდევნო სარტყელში მოთავსებული „საღმრთო ლიტურგია“, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელობა განკითხვის დღეს უკავშირდება (ხელოვნებათმცოდნეობა, 2002 №4, გვ. 71). სარკმლებს შორის განლაგებული, წინასწარმეტყველებათა გაშლილ გრაგნილებზე შემორჩენილი ბერძნული ტექსტები მაცხოვრის დიდებისა და მეორედ მოსვლის მაუწყებელია.

სტილური ნიშნების მიხედვით რიგი მეცნიერები გუმბათის ძირითად მოხატულობას მე-15 საუკუნის II ნახევრით ათარიღებენ, სამეცნიერო ლიტერატურაში კი აღნიშნული მხატვრობა მე-17 ს-ით იყო დათარიღებული. გუმბათის ქვეშ ოთხ სიმეტრიულად განლაგებულ ნაკვეთზე 4 მახარებლის ხატია - მათ შორის სახე და წარწერა ორზეა შერჩენილი, ლუკა და იოანე ბერძნული წარწერებით, ლუკა მოციქულს ხელში წიგნი უჭირავს, რომელშიც იწერს სხვა წიგნიდან, „საიდანაც იწერს ის ბერძნულია და სწერია „ვინაითგან უკუე მრავალთა ხელჰყუეს...“ (თ. ყაუხჩიშვილი, ბერძ. წ., გვ. 131) გუმბათის 16 ფანჯრის შუალედებში, როგორც ავღნიშნეთ, არის ძვ. აღთქმის წინასწარმეტყველთა ფრესკები, რომელთაც ხელში გრაგნილები უჭირავთ ბერძნული წარწერებით.

მარჯვნიდან მარცხნივ საკურთხეველის ცენტრალური ფანჯრიდან ვკითხულობთ:

1. დაფიდ (აღბათ, დავით) გრაგნილზე იკითხება („ამაღლდა ღმერთი ღალადებითა“ (ფს. 46.6).

2. დანიელ (გრაგნილზე - „ვხედვედ, ვითარმედ საყდარნი დაიდგნეს“... (დან. 7,9).

3. მესამეს და მეოთხეს არა აქვთ გრაგნილები - მესამე - არ ჩანს ვინ არის.

4. არის „მიქეა“ წინასწარმეტყველი -
5. არ ჩანს სახელი, სავარაუდოდ ანგია (ტექსტის მიხედვით) „მე შეეძრა ცაი“ (ანგ. 2,21).
6. ნაუმ -
7. ამბაქომ - გრაგნილზე „უფალო, მესმა სასმენელი შენი (და შემეშინა) (ამბაკ. 3,1).
8. ფრესკაც წაშლილია და წარწერაც.
9. იონა - გრაგნილზე იკითხება: „ღალად ვყავ (ჭირსა შინა ჩემსა უფლისა მიმართ) (იონა 2,3).
10. იეზექიელ -
11. სოფონია - გრაგნილზე „ხმა დღისა უფლისა მწარედ (და ფიცხლად).
12. ამოს -
13. ზახარია -
14. აარონ
15. მოისის
16. სოლომონ (თ. ყაუხჩიშვილი, გვ. 132).

გუმბათის ყელში, წინასწარმეტყველთა ფიგურების ქვემოთ, რამდენიმე ასომთავრული წარწერაა. სოლომონის ქვემოთ იკითხება: „სიმეონ გამდელი ესე“. წარწერა გრძელდება დავითის ფიგურასთან - „და შრომა: სიმდაბლე თეოდორო ხელწერა ესე“. გუმბათის ყელის დასავლეთ ნაწილში, იონას ქვემოთ წერია: „სიმეონ საქმე აქა“. გვერდით კიდევ ერთი წარწერაა, ძალიან დაზიანებული, შესაძლებელია აქ კიდევ ერთი მხატვრის სახელი ყოფილიყო მოხსენიებული. პირველი წარწერის მიხედვით ჩანს, რომ სიმეონი - თეოდორეს გამზრდელი, ანუ მთავარი მხატვარია (ხელოვნებათმცოდნეობა, 04. №4, გვ. 77).

გელათის გუმბათის ყელის წარწერებში წინადადებები არ არის გამართული, სახელებში ბერძნული ფორმებია - „თეოდოსი“, არასწორია წინასწარმეტყველი დავითის წარწერაც „დაფითი“. როგორც მიიჩნევენ, მხატვრები ეროვნებით ქართველები არ არიან. შესაძლოა, ისინი იმ ბერძენ მხატვართა რიცხვს ეკუთვნოდნენ, რომლებიც თურქეთის მოძალების

ხანაში გაიფანტნენ მართლმადიდებლურ ქვეყნებში. თუმცა არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომ ისინი ქართველები იყვნენ.

საკურთხეველის მარცხენა მხარეს, კანკელსა და სამსხვერპლოში, შესასვლელ კარებს შორის მოთავსებულ კედელზე ზემოთა ნაწილის ფრესკები დაზიანებულია, ქვემო ნაწილში შენარჩუნებულია მოციქულთა სწორ კონსტანტინესა და ელენეს გამოსახულება, რომელთაც ჯვარი უჭირავთ ბერძნული წარწერებით I-C X-C. მის მარჯვნივ არის წითელი საღებავით ჯვარცმის სიმბოლური გამოსახულება ბერძნული წარწერით: „იესუ ქრისტე, ძლევა, ქრისტეს ნათელი ანათებს ყველას. ელენემ მოიპოვა მოსაპოვებელი. ქრისტე ქრისტიანებს ანიჭებს მადლს“ (თ. ყაუხჩიშვილი, გვ. 126).

მათ ზემოთ - „ჯოჯოხეთის წარტყვენა“, უფრო ზემოთ - „ჯვარცმა ქრისტესი“. ჩრდილოეთის ეკლესიის ჯვრის ფრთის მარჯვნივ - „ლაზარეს აღდგინება“. თალის შუაში - „სული წმიდა მტრედის სახით ტახტზედ“. მის ქვემოთ, ფანჯრებს ზემოთ, ჩრდილოეთის კედელზე - ქრისტეს მოციქულები.

დაბლა კამარაში ბერძნული წარწერა O'KOC MOC - სამყარო. ფანჯრების ქვემოთ - „იერუსალიმში შესვლა დიდებით“. ფანჯრებს შორის - დიდმოწამე თეოდორე ტირონი და თეოდორე სტრატელატი ქართული წარწერით.

ქვემოთ, კარის თალში - წმ. კვირიკესა და ივლიტეს გამოსახულება ბერძნული წარწერით. შემოსასვლელის ჩრდილოეთის ნაწილის აღმოსავლეთ კედელზე, სარკმლის ქვემოთ - კარების მარჯვნივ და მარცხნივ - კოზმა და დამიანე ბერძნული წარწერებით.

კარის კედლის სისქეზე სრული ტანით მარჯვნივ პეტრე მოციქული, მარცხნივ კი პავლე მოციქულია გამოსახული.

საკურთხეველის მარჯვნივ და საფილონის კარებს შორის მოთავსებულ კედელზე არის ჯვარი ბერძნული წარწერით: „იესუ ნაზარეველი მეუფე ჰურიათა“. 2 ფრესკაზე დახატულ ჯვარს აწერია - „იესუ ნაზარეველი მეფე ჰურიათა“. ამის ქვემოთ წითელი საღებავით დახატულია სიმბოლური გამოსა-

სულემა ჯვარცმისა, რომელზეც მონოგრამები ასე აიხსნება: „იესუ ნაზარეველი მეუფე ჰურიათა, იესუ ქრისტე, ძლევა ნათელი ქრისტესი. დასაბამი რწმენისა მოსეს ჯვარი. ელენემ მოიპოვა მოსაპოვებელი. ქრისტე ქრისტიანებს მადლს ანიჭებს. ადგილი თხემისა სამოთხე ყოფილა“. აქვე არის ქრისტეს ფრესკა - ბერძნული წარწერებით - I-C X-C და შარავანდში არსი (თ. ყაუხჩიშვილი, გვ. 127-128). კანკელის მარჯვენა და მარცხენა მხარეს გამოსახული ჯვრები, მასზე წარმოდგენილი წარწერებით თითქოს ერთმანეთის მსგავსია, მაგრამ მათ შორის არის გარკვეული სხვაობა. მთავარი დედააზრი აღნიშნული წარწერებისა გახლავთ ქრისტეს ჯვარცმა, რომ უფალმა თავისი ჯვარცმით სიკვდილი დასთრგუნა და ქრისტიანებს მადლი მიანიჭა, რომ ელენე დედოფლის ღვაწლით მოპოვებული იქნა IV საუკუნეში ჯვარი, რომელზეც უფალი ევნო. სიმბოლურად ჯერ კიდევ ძველ აღთქმაში იყო მინიშნება, რომ ჯვრით მოხდებოდა გამოხსნა.

სამხრეთის ფანჯრებს შორის წმიდა დიდმოწამე გიორგი და დიმიტრი თესალონიკელი არიან გამოსახული. აღსანიშნავია, რომ სამხრეთ და ჩრდილოეთის ფანჯრებს შორის გამოსახული ოთხი დიდმოწამის წმინდა ნაწილები გელათში გახლდათ დაბრძანებული, დიდ სანაწილეში. მათ ზემოთ - „ქრისტეს შობა“, ფანჯრებს ქვემოთ - „ღვთისმშობლის დიდება“, სამხრეთის ფრთის თაღში გამოსახულია „ქრისტე“ ქართული წარწერით (ევმანოელ). ქრისტეს გამოსახულება 4 მახარებელს უჭირავს ხელში. მახარებლებს ბერძნული წარწერები აქვთ: მათე, მარკოზი, ლუკა, იოანე. მაცხოვარის გადაშლილ ბერძნულ წარწერიან წიგნში წერია: „იხილეთ იხილეთ რამეთუ მე ვარ ღმერთი (თქვენნი)“. ჰგავს მეორე შჯულს 3299 და ფს. 2,39 (თ. ყაუხჩიშვილი, გვ. 128). მის ქვემოთ თაღზე, მარჯვნივ არის - „ნათლისღება ქრისტესი“, მარცხნივ - „ტაძრად მიყვანება ყოვლადწმიდისა“.

სალაროს კარის თავზე ქრისტე აკურთხებს ევდემონ ჩხეტიძეს, აქვეა წარწერა ევდემონისა. მის ზემოთ „შემურვა ქრის-

ტესი“, უფრო ზევით „გარდამოხსნა“. „გარდამოხსნის“ პირდაპირ - „აღდგომა ქრისტესი“, საფლავთან ანგელოზი აუწყებს მენელსაცხებლედ დედებს, რომ ქრისტე აღდგა (ექვთ. არქივი №311). ქვემოთ, ფანჯრის სარკმლის ორივე მხარეს არის ფრესკები. სარკმლის მარცხნივ გამოსახულია საერო პირი, ქალი ქვემოთ შემორჩენილი სამსტრიქონიანი ბერძნული წარწერით: „...ჩემგან“, სარკმლის მარჯვნივ არის მეფის გამოსახულება, შემორჩენილია ასოები „მეფე ბაგრატი“. ქვემოთ კი - სამსტრიქონიანი ბერძნული წარწერა „მოიხატა გელათის უწმიდესი ღვთისმშობლის ყოვლად პატივცემული და წმიდა ტაძარი იმერეთის მეფის ბაგრატის შეწევნით“ (თ. ყაუხჩიშვილი, გვ. 130).

სამხრეთის კარის თავში გამოსახულია იესო ქრისტეს პირი (ხელთუქმნელი ხატი), კარის კედლის სისქეზე მთავარანგელოზები, მარჯვნივ გაბრიელი, მარცხნივ მიქაელი, ორივე ბერძნული წარწერით. შუა ნაოსში საყდრისა, თალის ცაში განცხოველებული ჯვარი - ჯ - ი - ქ - ი, მარჯვნივ სამხრეთის თალზე - სერობა.

## შრესკები დასავლეთის მინაშენში

გელათის სამონასტრო კომპლექსში ყველაზე უძველესი ფრესკები გამოსახულია მთავარი ტაძრის დასავლეთის მინაშენში. როგორც მიიჩნევენ, იგი ააგო დემეტრე I-მა და დაახლოებით 1125-1130 წლებში მოახატვინა. ნარტექსი წარმოადგენს წაგრძელებულ, კამარით გადახურულ სათაესს, რომელიც ტაძარს აკრავს დასავლეთიდან. გარდა სცენისა „ჯვრის ამადლება ანგელოზებით“, მისი მოხატულობა მოიცავდა შეიდ მსოფლიო საეკლესიო კრებას და მასთან დაკავშირებულ სცენას „წმინდა ეფემიას სასწაული“ (სარკმელში) (რ. მეფისაშვილი, თ. ვირსალაძე, გელათი, თბ. 1982 წ., გვ. 12).

აღნიშნული ფრესკები უნიკალურია მთელს მართლმადიდებლურ სამყაროში, ვინაიდან დღესდღეობით ასეთი უძველე-

სი და თან შვიდივე საეკლესიო კრება არსად არ არის შემორჩენილი. „იგი ბევრად უსწრებს ბიზანტიურ სამყაროს პირველ კრებათა შემორჩენილ ციკლს სერბიაში, სოპოჩანის წმ. სამების ტაძარში დაცულს - XII ს-ის მეორე ნახევარი, კიევში მხოლოდ ეფესოს კრებაა დახატული“ (ჯვარი ვაზისა, 1991 წ., №1, გვ. 49).

ამ მოხატულობის შემქმნელები ძალიან კარგად ერკვეოდნენ მსოფლიოს საეკლესიო კრებების ისტორიის საკითხებში, ხოლო ნარტექსის მოხატულობაში დართული იშვიათი სცენა „წმიდა ეფემიას სასწაული ქალკედონის ტაძარში“ აშკარად მიუთითებს ამ მოხატულობის იდეურ მიმართულებაზე.

ფრესკებზე წარმოდგენილი კრებების მთავარი დედააზრი გახლდათ ქართული ეკლესიის მიერ მართლმადიდებლობის დაცვისა და „ორთოდოქსალობის“ საქვეყნოდ აღიარება. სწორედ აღნიშნულ კრებებზე იქნა მიღებული მართლმადიდებლური სარწმუნოების სიმბოლო (მრწამსი), უმთავრესი დოგმატები და საეკლესიო დადგენილებანი. ამ კრებების გამოსახვა ქართველ მეფეთა მიერ ჭეშმარიტი სარწმუნოების კიდევ ერთხელ აღიარება იყო. დასავლეთის მინაშენში, შესასვლელიდან შუა ნაწილში, ზემოთ წარმოდგენილია ჯვარი მედალიონში, რომელსაც ორი ანგელოზი ზემოთ ამალღებს, დასავლეთის კარის ზემოთ გამოსახულია „მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი“. შესასვლელთან დიდი კარის თავზე - „ღვთისმშობელი ჩვილით“, ტახტზე მჯდომარე მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზები.

მსოფლიო საეკლესიო კრებები წარმოდგენილია ორი ნაწილით. ზემოთ გამოსახულია მეფე და ეკლესიის მამები ტახტზე მჯდომარენი, ქვემოთ - ორი ჯგუფი სასულიეროთა. კომპოზიციებს შორის არის წარწერები. ფრესკის ცენტრალურ ნაწილში, ზემოთ გამოსახულია მსცოვანი სახით მეფე დავით წინასწარმეტყველი წვერით და თმებით. მხოლოდ ერთ შემთხვევაში არის ახალგაზრდა მეფე გამოსახული, წვერ-ულვაშის გარეშე. თავზე მეფეებს ახურავთ ძვირფასი თვლებით

მორთული გვირგვინები, სამოსელი ცისფერი ან წითელი აცვიათ, სხედან სამეფო ტახტზე, რომელსაც კვადრატის ფორმის სა-  
ზურგე აქვს და შემკულია ძვირფასი ქვებით. სამეფო ტახტის  
ორივე მხარეს დგას ორი უფრო დაბალი, მაგრამ ფართე ტახ-  
ტი, რომელზეც დამსხდარნი არიან მამები (თ. ვირსალაძე,  
რჩეული შრომები (რუსულად), თბ. 2007, გვ. 99-101). ჩრდი-  
ლოეთის ნაწილის დასავლეთის გადახურვის დახრილობაზე,  
უახლოეს კართან გამოსახულ კრების ფრესკაზე ვკითხულობთ  
- გ. კრება, ოდნავ ქვემოთ იკითხება თეოდოს მცირე. წმინდა-  
ნების თავზე იკითხება (მარცხნიდან მარჯვნივ) პირველ მღვდელ-  
მთავარზე - ალი (იობენალი) ძველი წარწერით, ახალი წარ-  
წერით (იობ)ენალი ირ(უსა)ლიმელი), შემდეგ მეორეზე ძველი  
შრიფტით - კელეს(ტინე), ახალი შრიფტით - კელესტინე პაპი  
რომისა, მესამე, ახალი შრიფტით - კირილე ალექსანდრიელი,  
მეოთხეზე - ახალი შრიფტით კირილე ან(ტიოქიელი).

მესამე მსოფლიო საეკლესიო კრება ჩატარდა 431 წ. ეფესო-  
ში - იმპერატორ თეოდოსი II-ის დროს და დაიგმო ნესტორი-  
ანელობა. იერუსალიმის ეკლესიას ამ კრებაზე წარმოადგენდა  
ეპისკოპოსი იუბენალი, რომის ეკლესიას - პაპი ცელესტინე,  
ალექსანდრიის ეკლესიას - კირილე, ანტიოქიის ეკლესიას -  
იოანე. ნესტორი ფრესკაზე არ არის გამოსახული (კონსტან-  
ტინეპოლის ეკლესიას წარმოადგენდა თავად ნესტორი). იმავე  
მიზეზის გამო იოანე ანტიოქიელი, რომელმაც დაიცვა ნეს-  
ტორის მოძღვრება და ამის გამო გაასამართლეს ქალკედონის  
კრებაზე, არ არის გამოსახული ფრესკაზე. მისი გამოსახულე-  
ბა შეცვლილია კირილე ანტიოქიელის გამოსახულებით. პაპი,  
როგორც სხვა ფრესკებზე, გამოსახულია იმპერატორის გვერ-  
დით, მარჯვნივ. ამ ფრესკის გვერდით, ჩრდილოეთის კედელ-  
თან ახლოს წერია - დ. კრება - მეფის თავის გასწვრივ -  
მარ(კია)ნე ი(მპერა)ტორი.

მარცხნიდან პირველი წარწერა მღვდელმთავარზე ძველი  
შრიფტითაა - იობენალი იერუსალიმელი. ახალი შრიფტით  
იგივე. მეორეზე - ძველი შრიფტით - ლეონ პაპად პრომისა,

ახალი შრიფტით - ლეონ (პაპაძე) რომ(ისა), მესამეზე ძვ. შრიფტით - ანატო(ლი კ)ონსტანტინეპოლელი, ახალი შრიფტით - ა(ნატოლი კ)ონსტანტინეპოლელი. მეოთხეზე შენარჩუნებულია მხოლოდ ერთი ასო მ(აქსიმე ანტი)ოქიელი. ერეტიკოსთა ჯგუფის წარწერებში განირჩევა მხოლოდ: (მ)წვალ(ებე)ლ(ნი).

მეოთხე მსოფლიო საეკლესიო კრება ჩატარდა ქალკედონში 451 წელს იმპერატორ მარკიანეს მიერ. ამ კრებამ დაგმო ევტიხის მონოფიზიტური ერესი და განამტკიცა დიოფიზიტობის დოგმატი. ამ კრებაზე იერუსალიმის ეკლესიას წარმოადგენდა იგივე ეპისკოპოსი იუბენალი, რომის ეკლესიას - პაპი ლეონ I, კონსტანტინეპოლისას - ანატოლი, ანტიოქიის ეკლესიას - მაქსიმე, ალექსანდრიის ეკლესიას - ეპისკოპოსი დიოსკორე, რომელმაც მხარი დაუჭირა ევტიხის მწვალებლობას, დაექვემდებარა განკიცხვას, ამიტომ იგი არ გამოსახეს ფრესკაზე.

დანარჩენი კრებების ფრესკები ძლიერ დაზიანებულია, ძალიან ძნელად, მაგრამ მაინც მოხერხდა მათი იდენტიფიკაცია. მეორე მსოფლიო კრების ფრესკა ეფესოს კრების გვერდით, ე.ი. სამხრეთის ნაწილში შეიძლება ყოფილიყო. დასავლეთის გადახურვის დახრილობაზე კამარაზე არ შენარჩუნებულია კომპოზიციის წარწერა, გარდა სიტყვისა „დიდი“ მეფის თავის პირდაპირ. ალბათ, აქ იყო კონსტანტინეპოლის II მსოფლიო კრების გამოსახულება.

ქალკედონის კრების შემდეგ, ჩრდილოეთის კედელზე შენარჩუნებულია კონსტანტინეპოლის V მსოფლიო კრების მხოლოდ ერთი წარწერა, დასავლეთის მხარეზე - აპოლონარი ალექსანდრიელი. აღნიშნული მღვდელმთავარი სწორედ V კრებაში მონაწილეობდა.

შემდეგი კომპოზიცია წარმოადგენს VI კრებას, რომელიც 681 წელს კონსტანტინეპოლში იმპერატორ კონსტანტინე პოგონატის მიერ ჩატარდა. შენარჩუნებულია წარწერათა ნაწილი. მე-3 კრების მეფის ნიშნის მარცხნივ განირჩევა ასოები:



კოს(ტანტინე), ასევე წარწერა უკიდურეს მარცხენა ნაწილში - თეოფანე ა(ნტიოქიელი), რომელმაც მიიღო მონაწილეობა ამ კრებაზე.

შემდეგი კომპოზიცია განლაგებულია სამხრეთის ნაწილის აღმოსავლეთის გადახურვის დახრილობაზე. ამ ფრესკაზე საერთოდ არ არის შენარჩუნებული წარწერები. მაგრამ ერთი იკონოგრაფიული დეტალი ადასტურებს, რომ აქ გამოსახულია VII კრება. სხვა ფრესკებისაგან განსხვავებით აქ მეფე გამოსახულია ძალზე ახალგაზრდა, უწვერულვაშო, გრძელი, წაბლისფერი თმებით. VII კრება მოწვეული იქნა 787 წელს ნიკეაში დედოფალ ირინას და მისი 16 წლის ვაჟის კონსტანტინეს მმართველობისას.

დანარჩენი განუხილავი კრების ფრესკა წარმოდგენილია სამხრეთის კედელზე. მასზე არ არის შენარჩუნებული წარწერები, გარდა სიტყვისა - ალექსანდრიელი (გვ. 105). გადარჩენილი დასავლეთის კედლის თალის დახრილობაზე გასაგებია, რომ გამოსახული იყო ნიკეას I მსოფლიო კრება (325 წ.).

ასეთ შემთხვევაში საშუალება გვეძლევა დადგინდეს, რომ გელათის ფრესკებზე, როგორც წესი, მსოფლიო კრებები გამოსახული იყო ისტორიული თანმიმდევრობით. ციკლი იწყება სამხრეთის კარგად გამოსაჩენი, განათებული კედლიდან და გადადის დასავლეთის გადახურვის დახრილობაზე, შემოუვლის რა შენობას, მთავრდება აღმოსავლეთის გადახურვის კედელზე.

წარწერები მიუთითებენ მხოლოდ იმპერატორებსა და კრების მონაწილე უმთავრესი მღვდელმთავრების სახელებს. დღევანდელ დღეს ფრესკებზე შემორჩენილი მრავალსტრიქონიანი წარწერები შემორჩა მხოლოდ IV და VII მსოფლიო კრებებს. საფიქრებელია, რომ ასეთივე წარწერები ჰქონდა სხვა კრებებსაც. VII კრების წარწერა არ იკითხება, მაშინ, როცა IV კრების ექვსტრიქონიანი წარწერა განირჩევა. ადგილ-ადგილ - ძველი და ახალი წარწერების ასოები ემთხვევა ერთმანეთს, ზოგან მთლიანად წაშლილია.

...მოციქულთა /კრება იქმნა/ ქალკიდონს შინა მეფობასა მარკიანესსა ლეონ რომთა /პა/პისა, ანატოლი /კონსტანტინეპოლელისა, იობენალი /იერუსალიმელისა, მაქსიმე ანტიოქიელისა/... რომელნი ესე შეკ/რბეს ...ერის ჩუენმან. ...დ მსოფლიო მეოთხე კრებაჲ ქმნა მარკიანე. ...მართალი ...ევტიქი...

ჯერის ამალლებისაგან განსხვავებით შვიდი მსოფლიო საეკლესიო კრება ქართულ ფერწერაში საერთოდ არ გვხვდება - არც ძველში და არც ახალში. ამ კრებებმა მთავარი როლი შეასრულეს ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი ქალწულისათვის დედა ღვთისას და „ღვთისმშობლის“ წოდების დამკვიდრებაში. ორივე კომპოზიცია - ჯერის ამალლება და 7 კრება შინაარსობრივად ეთანხმება ერთმანეთს.

## გელათის ღვთისმშობლის შობის ტაძრის საკურთხევლის მოხატულობა

ღვთისმშობლის შობის ტაძრის მოხატულობაში მონუმენტური ფერწერის ორი სახეა მოცემული - მოზაიკა და ფრესკა. თავდაპირველად განვიხილავთ გელათის მოზაიკას, რომელიც მართლაც რომ უნიკალურია არა მარტო საქართველოში, არამედ მართლმადიდებლურ სამყაროში. მოზაიკით მოხატვა ჯერ კიდევ დავით მეფის სიცოცხლეში დაწყებულია. საოცრად შთაბეჭდავია ტაძრის შიდა სივრცე, დიდებული, უხვად განათებული, განსაკუთრებით კი აფსიდის კონქის შემამკობელი მოზაიკის ბრწყინვალეობა (ლ. ხუსკივაძე, გვ. 5).

მოზაიკაზე გამოსახულია ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი ყრმითურთ და მათ წინმდგომი მთავარანგელოზები - მიქაელი და გაბრიელი. ღვთისმშობელი გამოსახულია „ნიკოპეის“ ტიპში. ის დგას კვარცხლბეკზე, ორივე ხელით უჭირავს ყრმა, რომელიც მარჯვენა ხელით აკურთხებს, მარცხენაში კი დახვეული გრაგნილი უჭირავს. მოზაიკა ნათელს ჰფენს მთელს ინტერიერს. ეს განპირობებულია როგორც კომპოზიციის მონუმენტურობით და მისი ცენტრალური ადგილით ტაძარში, ასევე

მოზაიკის სპეციფიკური მანათობელი ფერებითაც (სამეც. შრომების კრებული, 2001, გვ. 106). მოზაიკით არის შესრულებული ასევე ბერძნული წარწერები M-P Q ც და დედა ღვთისა, მარჯვნივ გაბრიელ მთავარანგელოზი, მარცხნივ მიქაელ მთავარანგელოზი. ღვთისმშობელი მუქ ლურჯ სამოსშია, იასამნისფერ-ლურჯი მოფირი შუბლსა და მხრებზე დამშვენებულია ოქროს არშიით, ფოჩითა და ოქროს ჯვრებით. ხელში უჭირავს თეთრი ცხვირსახოცი, აცვია წითელი ფეხსაცმელი. ქრისტე ოქროსფერ სამოსშია გამოწყობილი. ღვთისმშობელს აქეთ-იქეთ მთავარანგელოზები ამოსდგომიან, მათ ფრთები ფართოდ გაუშლიათ და ხელში სფეროები და ლაბარუმები უჭირავთ. მიქაელ მთავარანგელოზს ზურმუხტისფერი-მწვანე მეფური სამოსი აცვია, ხოლო გაბრიელს კი - მოვერცხლისფრო-იასამნისფერი. მთავარანგელოზების წითურ თმის ხვეულებს სამკაულები ამშვენებს. ფეხზე მარგალიტებით ამოქარგული წითელი ფეხსამცელები აცვიათ (ბ. ლომინაძე, გელათი, თბ., გვ. 9).

მოზაიკის ქვედა ნაწილი (ფიგურების შუა თეძოდან) ჩამომლილია და აღდგენილია ფრესკით (როგორც ჩანს XVI საუკუნეში). მოზაიკა იკრიბებოდა ცალკეულ ნაჭრებად და შემდეგ მომზადებულ საფუძველზე გადაჰქონდათ. თითოეული ფიგურა აწყობილია ცალ-ცალკე: ფონი იკრიბებოდა კვადრატებით. მოზაიკის მასალად გამოყენებულია ძალზე მცირე ზომის მდიდრული ელფერის სმალტის კუბურები, გარდა ამისა ადგილობრივი წარმოშობის მოვარდისფრო ქვიშაქვის კუბურები (სახისა და ხელებისათვის ასევე გიშერი ნახატისათვის) (ლ. ხუსკივაძე, გვ. 10).

მოზაიკის ფონი ჰონიზონტალურ რიგებად დაწყობილი არაერთგვაროვანი კენჭებითაა შექმნილი. ისინი ხან მოზრდილია, ხან - პატარ-პატარა, ნახევრადგამჭირვალე და გაუმჭვირი, სწორკუთხა, კვადრატული, უსწორო მოყვანილობისა, ზოგან სამკუთხედად, იშვიათად რომბებად ჩადგმული.

კუბიკები უმეტესად ოქროსია, ხან მუქი, ხანაც ბაცი, ალაგ-

ალაგ ჩასმულია თეთრი ქვები, სალათისფერი და ვერცხლის კუბიკები, კიდევში მუქი, შუაში კი - ღია ფერისა. მოზაიკური კუბიკების (მეტადრე ოქროვანის) მოლივლივე გამა, გათვლილია დღისა თუ ხელოვნური განათებისათვის. ოქროს, ამ შუქმფენი მასალის, ციაგი კი ოქროს ზედაპირს სინათლის წყაროდ აქცევს (ლ. ხუსკივაძე, გვ. 14). ამასთანავე ამას ყველაფერს თან აქვს სულიერი დატვირთვა.

ამ მოზაიკის შემქმნელებმა კარგად იცოდნენ, თითოეულ ფიგურას, ფერს თუ სამოსს რა დანიშნულება ჰქონდა. უშუალოდ მოზაიკის მხილველი ალტაცებაში მოდის ასეთი გრანდიოზული მხატვრობის ხილვისას, თუკი კონსტანტინეპოლის წმინდა სოფიას ტაძრის სამხრეთ ნაწილში (1118 წ.) წარმოდგენილ მოზაიკაზე ვხვდებით დედა ღვთისას გვერდით ტაძრის ქტიტორთა პორტრეტებს, გელათში წარმოდგენილ მოზაიკაზე პირიქით, ღვთისშობლის გვერდით ზეციური მთავარანგელოზები არიან წარმოდგენილნი. თუკი აღნიშნული მოზაიკის მოხატვა ჯერ კიდევ დავითის სიცოცხლეში დაიწყო, არ არის გამორიცხული, რომ წმიდა მეფემ, რომელსაც უდიდესი თავმდაბლობა გააჩნდა, თვითონ არ ისურვა, ამ მოზაიკაზე გამოესახათ. საკურთხეველის მხატვრობის ქვედა II რიგში არის ანგელოზთა წირვა. მესამე რიგში წარმოდგენილია მოციქულთა ზიარება ორ რიგად. მარჯვნივ ქრისტე აზიარებს ექვს მოციქულს ღვინით. ბერძნულად აწერია: „ჰსუთ ამისგან ყოველთა, ესე არს სისხლი ჩემი“ (მათ. 26, 28). მარცხნივ აზიარებს ექვს მოციქულს პურით. ამ ფრესკის წარწერაა: „მიიღეთ და ჰსჭამეთ, ესე არს ხორცი ჩემი“ (მათე, 26, 26).

ქვედა რიგში წარმოდგენილია ტრაპეზი, რომელზეც არის იესოს გარდამოხსნა (იესო შეხვეულია სუდარაში, აქეთ-იქეთ ანგელოზები დგანან. მაცხოვარს აქვს ბერძნული წარწერა  $I-C X-C$ ). მათ შემდეგ ორი წმიდა მამაა გამოსახული, მათ არა აქვთ ვინაობის აღმნიშვნელი წარწერები, შესაძლოა ერთ-ერთი იყოს ბასილი დიდი. ამათ შემდეგ არის: წი პე ალექსანდრიელი. მათ ხელში აქვთ გაშლილი გრაგნილები, რომლებ-

ზედაც წერია ბერძნულად: „არავინ არის შეკრულთაგან ხორციელი სიტკბოებით და სიამოვნებით, რომ მოვიდეს ან მოგიასლოვდეს ან გემსახუროს შენ. მეუფეო დიდებისაო“. მეორეზე ასევე ბერძნულად წერია: „უფალო, ღმერთო ჩვენი რომელი სუფევ უმაღლესთა შინა“. პირი ვინაა არაა აღნიშნული. ასეთივე ტექსტი ვარძიის ღვთისმშობლის ტაძარში უჭირავს წმ. ათანასეს (თ. ყაუხჩიშვილი, გვ. 121-122). წმ. სტეფანე პირველმოწამეს გინგილაზე აწერია ბერძნულად: „წმიდა არს, წმიდა არს“. ქვედა რიგში, მარცხნივ ანგელოზთა შემდეგ ოთხი ახალი ფრესკაა ქართული წარწერით - წმ. იოანე ოქროპირი, წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი, წმ. კირილე ალექსანდრიელი და წმ. გრიგოლ აკრაკანტელი.

ზემო ნაწილში არის წმ. ანას ფრესკა. მის პირდაპირ, მარცხენა მხარეს იყო მარტო იოაკიმე. შემდეგ - მუხლებზე დაშვებული ზაქარია (ბერძნული წარწერით. ზაქარიას მიბმა ხელით).

საკურთხევლის ფრესკების ზემოთ ნაწილში გამოსახულია მარიამი ყრმით, რომელსაც ბანაობას უპირებს, ხოლო მარცხნივ ზის თეთრში ჩაცმული შარავანდედიანი პირი წარწერით: ანნა, რომელსაც ორი მსახური ადგას თავზე. ეს უფრო ძველი ფენა ყოფილა, დაახლოებით XIV საუკუნის. შემდგომ არის ქრისტეს ამალლების სცენა ბერძნული წარწერით - ამალლება (იქვე, გვ. 123).

აფსიდის კონქის ქვედა შემომსაზღვრელი ფართო რეგისტრის ზოლზე ვრცელი ბერძნული წარწერაა საღმრთო ლიტურგიის დიდი გამოსვლის ქერუბიმთა ჰიმნიდან: „ჩვენ, რომლებიც წმიდა შესაწირავის გადატანისას საიდუმლოდ ვემსგავსებით ქერუბიმებს, მათთან ერთად ვგალობთ სამწმიდა გალობას წმიდა სამებისას, ყოველგვარი ქვეყნიური ზრუნვა დავთმოთ, განვახლდეთ, განვიწმინდეთ, რომ ვატაროთ მეუფე დიდებისა, რომელსაც ესლა ემსახურება ანგელოზთა სიმრავლე“ (ხელოვნებათმცოდნეობა, 2001, №2, გვ. 110). საკურთხევლის კონქში არის 2 პარალელური კარნიზი, რომელთაგან

უფრო დიდზე არის ძალიან დაზიანებული ბერძნული წარწერა: „მოსავთა შენთა დამამტკიცებლო უფალო, დაამტკიცე ეკლესია შენი, რომელი მოიყიდე სისხლითა შენითა წმიდითა“.

წმ. ექვთიმე თაყაიშვილი აღნიშნავს, რომ ქვედა რიგის ფრესკების ბოლოს წარწერა ასომთავრულია, რომელიც მოიხსენიებს ბაგრატს და ელენეს. ქვემოთ დიდი შავი ასოებით ყვითელ ფონზე ნაწერი შეგლესილი იყო, „ეს უბრალო ნაგლესი ჩვენ მოეშალეთ და გამოვაჩინეთ შემდეგი წარწერა: „ქ: დაამყარე უფალო სახლი, ესე: კლდე: ზდ: სარწმუნოებისა: ამინ“.

მარჯვნივ მაღალდასაჯდომელისა ძველი ფრესკის ქვეშ დაცულია წარწერა. ის, რაც ნაგლესით დამალულია, ახალი ფრესკების ქვეშ ადვილი აღსადგენია აზრით. „წ. აღიდნეს: წნ მეფეთ: მეფობა: ბაგრატისა და მეცხედრისა მათისა დედოფლისა ელენესი და: ძეთა: მათთა: ორთავე ცხოვრებასა შინა: ამინ“ (ექვ. ფონ. №311).

სამღვდელმთავრო საჯდომს შვიდი საფეხური აქვს ასასვლელად და მეორეზე ზევიდან მოჩანს წარწერის ნაწყვეტები თეთრი ასოებით. „ქ. საყდრისა ამის მალრდლით მთავარეპისკოპოსი მელქისედეკ საყვარელიძეს შეუდ (ს ღნ)“. საკურთხევლის დიდ კამარაზე, შუაში, ოვალურ მედალიონში წარმოდგენილია „ძველ დღეთა“ უფალი, რომელსაც ხელში აქვს გრაგნილი ძალიან წვრილი ბერძნული ორსტრიქონიანი წარწერით. წარწერა ძნელი გასარჩევია, მაგრამ მოსალოდნელია, რომ იყოს: „დაჯედ მარჯუენით ჩემსა“ (ფს. 109,1) ან „საშოფთ მთიებისა წინა გშევ შენ“ (109,3) (თ. ყაუხჩიშვილი, გვ. 126).

მოზაიკის შემდეგ პირველ კამარაზე წერია: „სახლსა შენსა შეენის სიწმინდე უფალო სიგრძესა შა ჟამთასა“. „წი შურისძიებათა“, ქვემოთ კამარაზე ბერძნული წარწერაა.

სამკვეთლოში გასასვლელ კარში მარჯვნივ ღვთისმშობელია ჩვილით, ბერძნული წარწერით მარცხნივ - მელქისედეკ საყვარელიძე. საკურთხეველში განლაგებული ფრესკა - „საღმრთო ლიტურგიის“ კომპოზიცია, მჭიდრო კავშირშია „მოციქულთა

ზიარების“ სცენასთან. მღვდელმთავრის ადგილს, რომელიც ატარებს ღვთისმსახურებას მოციქულთა ზიარებისას, იჭერს იესო ქრისტე, დიდი მღვდელმთავარი, მღვდლები და დიაკვნები შეცვლილია ანგელოზებით, ქერუბიმებით და სერაფიმებით. მოქმედება გადატანილია ცაში. „საღმრთო ლიტურგიის“ კომპოზიციაში ქრისტე მღვდელმთავარიცაა და მსხვერპლიც. იგი ზეციური ძალების ანგელოზების მონაწილეობით ახორციელებს წმიდა ზიარების საიდუმლოებას“ (ხელოვნებათმცოდნეობა, გვ. 111).

საღმრთო ლიტურგიის დიდი გამოსვლის მომდევნო რიტუალს - წმიდა ძღვენის კურთხევას, უკავშირდება ქვედა რეგისტრში წმიდა მამათა ღვთისმსახურების ცენტრში გამოსახულ ტრაპეზზე დასვენებული შეგრაგნილი ქრისტე, ორივე მხრიდან მისკენ სამწერლობლებით დახრილი ანგელოზებით. ტრაპეზი, რომელზეც დასვენებულია ქრისტე, ამავე ღერძზე მდგარი რეალური ქვის ტრაპეზის გამეორებას წარმოადგენს. მასზე საღმრთო ლიტურგიის დროს დასვენებულია წმიდა ძღვენი კურთხევისათვის. შემდეგ კი იწყება წმიდა საიდუმლოების შესრულება, პური და ღვინო გარდაიქმნება მაცხოვრის ჭეშმარიტ ხორცად და სისხლად (იქვე, გვ. 112).

როგორც ვხედავთ, საკურთხეველში წარმოდგენილი მოზაიკური მხატვრობა - ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი ყრმით და მის ქვემოთ წარმოდგენილი II და III რიგის ფრესკები ერთმანეთთან სიღრმისეულად არიან დაკავშირებულნი. მთავარი დედააზრი ამ ფრესკებისა გახლავთ წმიდა ზიარების მაცხოვრებელი და ღმრთაებრივი დანიშნულება: რომ „საღმრთო ლიტურგიაში თავად „უფალი მონაწილეობს ანგელოზთა დასებთან ერთად“, რომ უფლის უდიდეს საიდუმლოებაში „არავინ არის ღირსი შეკრულთაგან ხორციელი სიტკბოებით და სიამოვნებით, რომ მოვიდეს ან მოგიახლოვდეს, ან გემსახუროს შენ, მეუფე დიდებისაო“.

მთავარი ტაძრის საკურთხეველში XVI საუკუნის ფრესკების შიგნით ჩანს ძველი ფრესკების ნაწილი. ძალიან საინტერესოა, რომ ძველი მოხატულობის ფრესკების განლაგება გარ-

კვეულწილად ემთხვევა გვიანდელს. ქვედა რიგში სამხრეთ მხარეს შეიმჩნევა ოთხი ფრესკის ქვედა ნაწილი (მუხლებს ქვემოთ). სავარაუდოდ ამ ფრესკებზე გამოსახული იყვნენ მღვდელმთავრები, ვინაიდან ფრესკაზე ჩანს ოლარის ბოლო ნაწილი.

მათ ზემოთ, ზედა რიგში, წმიდა ანას და ზაქარიას ქვემოთ, სამი ფრესკის შარავანდელის ნაწილია (თავის ზემო ნაწილი)  
1. სავარაუდოდ დ-მრე 2. აგე? 3. რ?

შესაძლოა, ამ რიგშიც მღვდელმთავრები იყვნენ წარმოდგენილნი მოციქულთა ზიარების (ღვინით) ფრესკის შიგნით. ჩანს ერთი ფრესკის თავის ნაწილი. ჩრდილოეთით ზორციით ზიარების შიგნით ჩანს სამი ფრესკის თავის ნაწილი წარწერების გარეშე. სარკმლებს შორის წარმოდგენილი გახლავთ ორი ძველი ფრესკა (ტანს ზემოთ) თეოდორე ტირონი და თეოდორე სტრატილატი. სწორედ ამ დიდმოწამეთა რიგზე არის განლაგებული ეს ოთხი ფრესკა. ალბათ, მათ გვერდით იქნებოდა წმ. გიორგისა და წმ. დიმიტრის ფრესკები განლაგებული. ვინაიდან ეს ოთხი დიდმოწამე მთელს ქრისტიანულ სამყაროში განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობდა.

საღმრთო ლიტურგიის უმთავრესი ნაწილი - დიდი გამოსვლა - ილუსტრირებულია მეორე რეგისტრში ბერძნული წარწერით განსაზღვრული სცენით „საღმრთო ლიტურგია“.

თუმცა ყველა აქ გამოსახული ფრესკა დაკავშირებული იყო კონკრეტულად რაღაც მნიშვნელოვან საკითხთან ან საეკლესიო კრებასთან, ან კიდევ ტაძარში დაბრძანებული იყო ამ წმინდანის წმიდა ნაწილი და შესაძლოა საკურთხეველში ფრესკებს შიგნით ძველ ფრესკებზე დიდი საიდუმლოებაც იფარებოდა. საღმრთო ლიტურგიის უმთავრესი ნაწილი - დიდი გამოსვლა, ილუსტრირებულია II რეგისტრში, ბერძნული წარწერით განსაზღვრული სცენით „საღმრთო ლიტურგია“.

დიდი გამოსვლის რიტუალის დროს იხსნება აღსაველის კარი და მღვდელმსახურებს ძღვენი გადააქვთ სამკვეთლოდან ტრაპეზზე აღსაველის კარის გავლით.

სულ საკურთხეველში შეიმჩნევა 11 ძველი ფრესკის ნაწილი, რომლებიც საკმაოდ კარგად არიან შენახულნი.



# გელათის მონასტრის აღწერილობა

ექვთიმე თაყაიშვილის პირადი საარქივო ფონდი №24  
საქმე №303 უთარილო-სავარაუდოდ  
იგი შედგენილია 1920 წელს

შესასვლელი ახლა, ეკლესიას სამი აქვს - ერთი დასავლეთიდან, ერთი სამხრეთით, სამხრეთის ეკვდერიდან, ერთი ჩრდილოეთით, ჩრდილოეთის ეკვდერთან.

სახურავე წინათ ქვის ყოფილა. ახლა ქვას ზემოთ თუნუქია გადაფარებული. გუმბათის ყელი განიერია, მრგვალი ზომიერი სიმაღლის, გუმბათში 16 მოგრძო ზემოთ მომრგვალებული ფანჯარაა. ამათში ხუთი დასავლეთისაკენ, საიდანაც ძლიერი ქარი ხვდება, დახშულია, ამოშენებულია. მიუხედავად ამისა ეკლესია ძლიერ ნათელია. დახშულია კიდევ ორ-ორი ფანჯარა ჩრდილოეთისა და სამხრეთის ნაოსებში, რადგანაც ამ მხარეებიდან ახლა ეკვდერებია მიშენებული. სულ მთელ ეკლესიას ჰქონია 36 ფანჯარა.

წმიდა მარინეს ეკვდერი ჩრდილოეთის მხარისა, ისე როგორც ჩრდილო-დასავლეთის კარიბჭეც, შემკობილია გარეთ კამარებით.

## წმიდა გიორგის ეკლესია

წმ. გიორგის ეკლესია გარედან წარმოადგენს ჯვარს, ჩრდილოეთის და სამხრეთის ფრთის ფრონტონები შემკობილია, ფანჯრები ორ-ორი თითო კედლით დიდია და მაღალი ზემოთ, უფრო მოკლე - ქვემოთ. ახლა ზემოთ ფანჯრები ამოშენებული არიან კედლით და სულ დახშულია ქვემო ფანჯარა სამხრეთ ფრონტონისა.

დასავლეთით ეკლესიას აქვს ერთადერთი შესასვლელი, ირგვლივ შემკობილი მდიდრული ჩუქურთმებით. გუმბათის ყელში 8 ფანჯარა არის, ამათში სამი დასავლეთის მხრით

ამოშენებულია. ამოყვანილია თითო მაღალი კამარით აღმოსავლეთით და დასავლეთით ორი დაბალი კამარა. ორი დაბალი კამარა სამხრეთით და ჩრდილოეთით. ამ გაშლილ კამარებზე თაღებია და თაღის ზემოთ იატაკი და ამაზედ აშენებულია პატარა ეკლესია ჯვრის ფორმისა.

დასავლეთით, ჩრდილოეთით და სამხრეთით ფრონტონებში თითო მომრგვალებული ფანჯარაა. გუმბათის ყელი მომრგვალებულია მ ფანჯრით.

## საოსტიბნე (აკადემიის შენობა)

დასავლეთის კედელში მრგვალი კარები და ფანჯრები მოჩანს, ახლა ზოგი ამოშენებულია. აქეთ ალბათ, ბანი იყო გასასვლელი და დაყურებდა წყალწითელის მშვენიერ ხეობას. შემოსასვლელი კქონია ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით. ამ უკანასკნელს შესანიშნავი კარიბჭე აქვს პორტიკის მსგავსი. აქ ოთხი ირიბი კამარა თლილი ქვისა დამყარებულია ოთხ დაბალ ბურჯზედ სხვადასხვა რიგისა. უკან სამხრეთ დასავლეთის ბურჯი წახნაგოვანი, რვა წახნაგი აქვს. სამხრეთ-ჩრდილოეთით, დასავლეთის ბურჯი მრგვალია, ჩრდილო-აღმოსავლეთის ოთხი შეერთებულის მრგვალი ბურჯისაგან შესდგება, ხოლო აღმოსავლეთ-სამხრეთის ბურჯი იყოფა ოთხ შეერთებულს მრავალწახნაგოვან ბურჯად თითოეულ ნაწილს ხუთი წახნაგი აქვს. ჩრდილო აღმოსავლეთისაზე ლომია გამოქანდაკებული.

### საქმე №306 სამხრეთი კარიბჭე

კარიბჭის მარჯვნივ წმიდა ანდრიას ეკვდერია, მარცხნივ წმიდა მარინესი. კარიბჭე მოუხატავთ ალბათ, ბაგრატის დროს დასავლეთ კედელზე ბაგრატის წინ კუთხესთან ღვთისმშობლის ხატია ჩვილით. ბაგრატს ხელში გრავნილი აქვს, რო-

მელსაც ღვთისმშობელს მიართმევს და ღვთისმშობლის ხელი გამოწვდილია მისაღებად. ბაგრატს ბიზანტიური სამეფო ტანისამოსი აცვია. მანიაკი კარგად ჩანს და აგრეთვე სიგელი მარჯვენა ხელში.

აწერია ასომთავრულად  
ადიდე - ნ - მეფთა  
ღნ ღთვ მეფე  
გრგნსნი ბაგრატ

ღვთისმშობელს აწერია M-P

ღვთისმშობლის მარჯვნივ ქვემოთ დიდი წარწერა ყოფილა. ასომთავრული წარწერა სულ მოშლილია, მოსჩანს მხოლოდ ცალკე ასოები.

კამარაზე წარმოდგენილია თეოდორე ტირონი, მარჯვნივ იმავე კამარაზე მეორე მხედარია მხოლოდ ქვემო ნაწილით შენახული. შიგნით შესასვლელი კარის ზემოთ მარცხნივ წმიდა ირინე, მარჯვნივ წმიდა ეკატერინე.

### წმიდა ანდრიას ეკვდერი

წმიდა ანდრიას ეკვდერი სამხრეთ აღმოსავლეთის მხით არის. ეს ეკვდერი მოხატული ყოფილა ორჯერ მაინც. საკურთხეველში კონქში კარგად ჩანს ქრისტე ტახტზე მჯდომარე, მარჯვენა ხელით აკურთხებს, მარცხნივ დედაღვთისა, მარჯვნივ იოანე ნათლისმცემელი. ამის ქვემოთ მეორე წრეში სარკმელის ორივე მხარეს დახატულია მოციქულები, წელს ზევით ფიგურები წაშლილა. მხოლოდ ორი ფიგურა მოჩანს მესამის შარავანდედი შენახულია, მხოლოდ მარჯვნივ სამი სურათი და მარცხნივ მოჩანს შარავანდედი იოანე ოქროპირისა.

სარკმლის მარცხნივ აწერია წმიდა დე, მეორე წარწერა არ მოჩანს, უნდა იყოს წმ. გიორგი. ზემოთ სამხრეთის ნაწილზედ

თალისა ოთხი სურათი მოჩანს წინასწარმეტყველისა.

დასავლეთის კედელზე კარის თავზე ქრისტეა წელს ზევით, რომელიც ორივე ხელებით აკურთხებს, ალბათ, კარების გვერდით დახატულ მეფე-დედოფალს, მაგრამ მხატვრობა კარის მარჯვნივ სულ მოშლილია, მაგრამ კიდევ მოჩანს მეფის სახე წელს ზევით ბიზანტიის სამეფო ტანისამოსით და შარავანდედით და წარწერაც ნაწილად შენახულია. მარცხნივ თავისი მარჯვენა მხრით კარის ახალ ნაგლეს ქვეშ მოჩანს თავი ძველი მხატვრობისა, თავი ერისკაცისა უნდა იყოს. ამას იქით მარჯვნივ დასავლეთის კედელზე ემჩნევა კიდევ ფიგურა მთელი ტანით და გულზე სამლოცველოდ მიღებულს ხელებით ვკონებ მეფისა. ამ ფიგურას ქვემოთ საფლაფია, რომელსაც თამარის საფლაფეს უწოდებენ. ჩრდილოეთის თაღზე ეკვდერი-სა დასავლეთისაკენ მეფის სურათი ყოფილა მთელის ტანით, ბიზანტიური სამეფო ტანისამოსით. მოჩანს კიდევ ზემოთ ასომთავრული წარწერა მეფე-თამეფე მეფის სურათი დაყურებს საფლაფეს, რომელსაც თამარის საფლაფეს უწოდებენ, მაგრამ რომელიც კომისიის შემოწმებით არ აღმოჩნდა თამარის საფლაფი, არამედ საოჯახო სასაფლაოა, რომელშიც ოთხი მიცვალებულის ჩონჩხი იყო, მათ შორის ერთი კუბოთი ზემოთ და სხვები კუბოს ქვეშ. მეორე სასაფლაო არის სამხრეთ აღმოსავლეთი მხრით კედლის ძირში კანკელის მახლობლად, კანკელი ეკუთრისა უბრალო ხისაა.

## წმიდა მარინეს ეკვდერი

მარჯვნივ ჩრდილოეთის კარიბჭისა - ეს კარიბჭე მოხატული ყოფილა. ამ კარიბჭეში დასავლეთ ეკუთერში შესასვლელთან გედონ ლორთქიფანიძის საფლაფია წარწერით. ჩრდილოეთის კედელზე ფანჯრის მარჯვნივ დახატულია ზაქარია ქვარიანი. ეს ზაქარია ქვარიანი არ ჰგავს იმ სურათს, რომელიც თავად ეკლესიაშია დახატული. აქ მას წვერი თეთრი არა აქვს. თავზე მიტრა არ ახურავს. საკურთხეველის კონქში მა-

ცხოვარი აქეთ-იქით მთავარანგელოზები, ქვემო რიგზე ოთხი მღვდელმთავარი - წმიდა ათანასე, წმ. გრიგოლი, მეოთხე ალბათ, ოქროპირი წარწერა გადასულია.

ეკვდერის ცაში - 16 წინასწარმეტყველი.

## წმიდა მარინეს ეკვდერი სამხრეთი ტაძარი

ტრაპეზზე მიდგმულ კედელზე დასავლეთის კედლის ზემოთ დერი შეურჭვიათ კედელში, რომელზედაც მეფის ფრესკაა. ჩრდილოეთის კედელზე წარმოდგენილი არიან: შუაში მეფე შავი წვერ-ულვაშით და გვირგვინით და მეფის წინ პატარა უფლისწული.

ჩრდილოეთ კედელზე ფართე განჯინაში წარმოდგენილია მეფე-დედოფალი ბიზანტიური სამეფო ტანისამოსით და გვირგვინებით. თეთრ ფონზე წვერი და ულვაში მეფეს მოწითალო აქვს. ამათ მახლობლად დასავლეთ კედელზე აგრეთვე ორი პატარა ქალია ამგვარივე ტანისამოსით და გვირგვინებით.

წარწერები - ასულნი მათნი თინათინ: და ვი  
სი

ამ სურათებს ქვემოთ სასაფლაოა და ალბათ, მეფის სახლობა აქ არის დამარხული.

ექვთიმეს პირადი ფონდი საქმე №308

მაცხოვრის ეკვდერი. ფრესკები

ბატონიშვილი სვიმონი გაენათელი მიტროპოლიტია. იგი იყო შვილი ბაგრატ III-ის შვილის კონსტანტინესი.

ჩრდილოეთ ფანჯრის მარცხნივ წარმოდგენილია ჯვრით და მანტიით მოკლე თეთრი წვერით წარწერა: პატრონი სვიმონი - ამას გვირგვინი არა აქვს თავზე, არამედ უბრალო ქუდი, მეფე არ უნდა იყოს.

მის გვერდით ხატია ქალი ჯვრით ხელში უგვირგვინოთ. პირველი ნახევარი იკითხება: პატრონი - ეს სვიმონ შეიძლება იყოს იგივე სვიმონ გაენათელი ერისკაცობაში. ქალი მისი

ცოლი უნდა იყოს. დასავლეთის კედელზე შესასვლელის მარცხნივ დახატულია მეფე ბიზანტიური ტანისამოსით და ჯვრით ახალგაზრდა მეფე - როსტომ წარწერით:

მეფეთ-მეფე - რო სტომ

მეფეს საყურეები აქვს. იგი ბაგრატ III-ის შვილის კოსტანტინეს შვილი დაიბადა 1571 წელს, მეფედ აკურთხეს 1590 წელს - გარდაიცვალა 1605 წელს.

სამხრეთის კედელზე მეფე-დედოფალი. მეფის წარწერა ძლიერ გაფუჭებულია

მეფეთ-მეფე -

დამხატველი წმიდისა ამის ეკვდერისა...

დედოფალთა

დედ-ფლი - თამარ

შვილი

და ძე მათი ალექსანდრე

ჩვენის აზრით, ამ ეკვდერის სამხრეთის ორ განჯინაში - ჩვენ გვაქვს სურათები იმერეთის მეფე ბაგრატ IV-ისა და მისი მეუღლე თამარისა და მათი შვილის ალექსანდრესი და ქალეზისა - მარიამის-თინათინის და დარეჯანის. ეკვდერი მოუნატყინებინა ბაგრატ IV-ს.

ამბობენ ეს ეკვდერი იყო დანიშნული სოლომონ II-ის და მისი ცოლის მარიამის დასამარხველად. მაგრამ სოლომონი გარდაიცვალა ტრაპიზონში, ხოლო მარიამი პეტერბურგში.

მაცხოვრის ეკვდერის მარცხნივ კარს ზემოთ მეფეთ-მეფე თამარია.

ჩრდილოეთის კამარის - ჩრდილო კამარაზე ასომთავრული წარწერა - ასულო სიონისაო ნაყოფო იოაკიმისაო - ...შეიწყალე სული ანტონის გაენათელი მღვდელმთავარეპისკოპოსის. კარიბჭის შესასვლელთან ჩრდილოეთით. ქე-ლ-ო. შ-ე-ფ-დ ტ-დ ანტონი. უფალო ღმერთო - ჩვენო მფარველ და მეოხ ექმენ წე ლ დ: გაენათელ მღვდელმთავარეპისკოპოსს - მელქისედეკს.

ექვთიმეს პირადი არქივი საქმე №307

დასავლეთის ეკვდერი

დასავლეთის ფანჯრის კედელზე სამხრეთისკენ იკითხება - ხმა ყო ადგა ზეცით მოსულიყო ი-ო წრათლისმცემელი მოვიდა. მაშინ აბრაამ, ისაკ, იაკობ, სიმონ მოვიდეს.

იოაკიმე და ანას ეკვდერში დაკრძალულია ალექსანდრე III და თეიმურაზის ქალიშვილი დარეჯან. ეკვდერი მოხატულია-შესასვლელთან დიდი კარის თავზე ღვთისმშობელი ჩვილედით. ტახტზე მჯდომარე. მიქაელ-გაბრიელით აქეთ-იქეთ. ქვემოთ მარჯვნივ კარისა წმიდა გიორგი ფეხზე მდგომი. ასევე წმიდა დიმიტრისა და წმიდა დიმიტრის. თაღებზე ორივე მხარეს წარმოდგენილი მსოფლიო კრებები - ერთი სცენა ღვთისმშობლის მიძინებას უნდა ეკუთვნოდეს.

წარწერა - მეფეთ-მეფე - ალექსანდრე

დედოფალი ნესტან - დარეჯანი

ეს ნიში აშენებულია და მოხატულია მათ მიერ.

ექვთიმეს პირადი არქივი საქმე №311

მთავარი ეკლესიის ფრესკები

საკურთხეველის კონქში მომრგვალებული ნაწილის პირველ რიგში აია სოფიას კენჭით გამოსახული ღვთისმშობელი ჩვილელი წარწერით M-P Q-ს მარჯვნივ გაბრიელ მთავარანგელოზი OAPX ΓAB, მარცხნივ მიქაელ მთავარანგელოზი OAPX M-HX მთავარანგელოზები ფრთოსანი არიან ბურთებით ხელში, ბურთებზე ჯვარია გამოსახული, მეორე ხელში ლაბარუმები აქეთ ზედწარწერით: OAGIOC-ფონი ოქროს ფერია, აგრეთვე შარავანდედები ყველა ფიგურებისა, ტანისამოსი ღვთისმშობლისა ლურჯია, ზოლო ყრმისა ოქროს ფერი. ქვემო ნაწილი მთელი მოზაიკისა გაფუჭებული ყოფილა. შემდეგ როგორც ეტყობა, XVI საუკუნეში ბაგრატ III-ის დროს დაუმთავრებიათ.

ძალიან ხელოვნური ფერებია კონქის კამარაზე ასომთავრული წარწერა - „სახსა შენსა შეენის სიწმინდე, უფალო სიგრძესა შა ჟამთასა, წ-ი, შურისძიებათა, მეორე კამარაზე ბერძნული წარწერაა.

საკურთხეველის მხატვრობის მეორე რიგში არის ანგელოზთა წირვა. შუა კივორის ქვეშ ქრისტეა, აქეთ-იქეთ ანგელოზები ლაბარუმიტა და ბურთით. მარჯვნივ ოთხი ანგელოზი, ორ მათგანს შუაში გარდამოხსნა გამოაქვთ მხრებზე გადებული. ერთი ანგელოზი წინ მიუყვება ორი კელაპტრით, ერთი უკან მიჰყვება ორი კელაპტრით. მარჯვნივ სამი ანგელოზია, პირველი წინ უძღვება ორი კელაპტრით, ორს სიწმინდენი მოაქვთ.

მესამე რიგში წარმოდგენილია ზიარება ქრისტეს მიერ მოციქულებისა ორი რიგით, მარჯვნივ ქრისტე აზიარებს ექვს მოციქულს ღვინით. მარცხნივ ამდენსავე პურით. ფანჯრებს შუა ორ მოგრძო კედელზე ორ-ორი სურაბიძია წარწერით: OARΓOC მრავალჯერ განმეორებით. მეოთხე რიგში ფანჯრის ქვემოთ კივორის ქვეშ არის გარდამოხსნა შესუდვრილი ქრისტეს სურათით და წარწერით I-C X-C აქეთ-იქეთ ანგელოზებია სამწერობლებით. შემდეგ ორივე მხრით მღვდელთ-მოწესენი მარჯვნივ სულ სამია მეოთხე წმიდა სტეფანეა, შემდეგ წმ. პე-ალექსანდრიელი. მარცხნივ ანგელოზების უკან ოთხი ახალი ფრესკაა ქართული წარწერით: წმიდა იოანე ოქროპირი, წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი, წმიდა კირილე ალექსანდრიელი და წმიდა გრიგოლ აკრაკანტელი. ამ რიგში ძველი ფრესკაა. მხოლოდ კივორიუმი ორი ანგელოზით მარჯვნივ და მარცხნივ და ორი მღვდელ-მოწესენი მარჯვნივ. ეს ნათლად ჩანს როგორც სტილით და ბერძნული წარწერით, ისე კიდევ უფრო მეტად დიდი ასომთავრული წარწერით, რომელიც ყოფილა ამ რიგის ფრესკების ბოლოს და რომელიც მოიხსენებს ბაგრატსა და ელენეს. ქვემოთ დიდი შავი ასოებით ყვითელ ფონზე ნაწერი იყო შეგლესილი, ეს უბრალო ნაგლესი ჩვენ მოვშალეთ და გამოვაჩინეთ - შემდეგი



წარწერა - „ქ: დაამყარე: უფლო: სხლი: ესე: კლდეს: ზდ: სარწმუნოებისა: ამინ“.

მარჯვნივ საჯდომისა ძველი ფრესკების ქვეშ წარწერა დაცულია და ის, რაც ნაგლესით დამალულია ახალი ფრესკების ქვეშ ადვილი აღსადგენია აზრით „წ. ადიდნეს: წმ. მეფეთ: მეფობა: ბაგრატიისა და მეცხედრისა მათისა დედოფლის ელენესი და: ძეთა: მათთა: ორთავე ცხოვრების შინა: ამინ“. სამღვდელმთავრო საჯდომს შვიდი საფეხური აქვს ასასვლელად და მეორეზე ზევით მოჩანან წარწერის ნაწყვეტები თეთრი ასოებით „ქ. საყდრისა ამის მღვდელთაგარეპისკოპოსი მელკი-სადეკ საყვარელიძეს შე-უდს ღ“.

საკურთხეველის დიდ კამარაზე შუაში ოვალურ მედალიონში წარმოდგენილია „ძველ დღეთა“ ტახტისანი, მედალიონი მიაქვთ ცაში ანგელოზს ბერძნული წარწერით „პო აგიოს“.

ამის ქვემოთ სწორ კედელზე მარცხნივ საკურთხეველისა წარმოდგეილია ქართული წარწერით: „ტაძრად მიყვანიება, ქვემოთ განბანა ყრმა ქრისტესი, ბერძნული წარწერით-ქვე-მოთ იოაკიმ და ანა ფანჯრის მარცხნივ და მარტო იოაკიმ ფანჯრის მარჯვნივ.

ქვემოთ პურის მიცემა მარიამისთვის მარჯვენა სწორ კედელზე საკურთხეველისა: ანგელოზთა გუნდის ქვემოთ ამაღლება ქრისტესი, ზაქარია და ანა, ქვემოთ ხარება და ტაძრად მიყვანიება მარიამისა. კარის კედლის სისქეზედ, რომელსაც გავყვართ საკურთხეველიდან სამკვეთლოში მარჯვნივ ღვთისმშობელი ჩვილედი წარწერით M·P Q·C·I·C X·C სამკვეთლოში და სადიაკვნეში ახლა ფრესკები არ მოჩანს.

ეკლესიაში კანკელის მარცხნივ და მარჯვნივ დახატულია კამარა ჯვრებით და ჯვრების ემბლემებით, რომელიც გამოცემულია გ. წერეთლის სტატიაში. ამის იქით სამკვეთლოს კარის თავზე კონსტანტინე და ელენე ქართული წარწერებით. ამას ზემოთ ჯოჯოხეთის წარტყვენა. ამას ზემოთ ჯვარცმა. უფრო ზევით ჩრდილოეთის ეკლესიის ჯვრის ფრთის მარჯვნივ ლაზარეს აღდგენა, თაღის შუაში სული წმიდა მტრე-

დის მსგავსად ტახტზედ. და მის ქვემოთ ფანჯრების ზემოთ ჩრდილოეთის კედელზედ რგოლზე მჯდომი მოციქულები კოსმოსის ემბლემით. დაბლა კამარაში ბერძნული წარწერა „ო კოსმოს“. ფანჯრების ქვემოთ ჩრდილოეთის კედელზე იერუსალიმს შესვლა, ფანჯრებს შუა კედელზე თეოდორე სტრატოლატი და თეოდორე ტირონი ქართული წარწერებით. ამის პირდაპირ სამხრეთ ფანჯრებს შუა წმიდა გიორგი და წმიდა დიმიტრი. ამათ ზემოთ შობა ქრისტესი და ფანჯრებს ქვემოთ ღვთისმშობლის მიძინება, ქვემოთ ღვთისმშობლის დიდება, სამხრეთის ფრთის თაღში ქრისტე ემანიიელი ნუშის მსგავს მუდალიონში, რომელიც მიაქვთ ანგელოზებს, მის ქვემოთ თაღზე მარჯვნივ ნათლისღება, მარცხნივ ტაძრად მიყვანება ყოვლად წმიდისა. სალაროს კარის თავზე ქრისტე აკურთხებს ევდემონ ჩხეტიძეს, აქვეა წარწერა ევდემონისა. ამის ზევით შემურვა ქრისტესი, უფრო ზევით გარდამოხსნა, გარდამოხსნის პირდაპირ სამხრეთის ნაოსის აღმოსავლეთის კედელზე აღდგომა ქრისტესი, საფლავთან ანგელოზი ზის და აუწყებს მოსულ დედაკაცს, რომ ქრისტე აღდგა. ამის ქვემოთ ფანჯრის ორივე მხარეს თითო წმინდანი მანდილოსანი, წარწერა გადასულია. ამ წმინდანების ქვემოთ ბერძნული წარწერები ოთხკუთხედში, დიდი მარჯვნივ და უფრო პატარა მარცხნივ.

ჩრდილოეთის ნაოსის აღმოსავლეთის კედელზედ ფანჯრის ზემოთ ფერისცვალება, ფანჯრის მარჯვნივ და მარცხნივ ორი წმიდა მანდილოსანი, მათ ქვემოთ ქართული მხედრული წარწერა, მარჯვენა პატარა წარწერა გადასულია, მარცხენა გადმოვიღეთ - იკთხება ასე: მეფეთა: მეფეს პაგრატს

შეუნდოს ღ-ნ

ეჭვს გარეშეა, რომ დამწერი ბერძენია და იმიტომ ხმარობს პაგრატს, ბაგრატის მაგიერ, ამითვე უნდა აიხსნას აგრეთვე ორიგინალობა მხედრული ასოების ხასიათისა, რომელიც უფრო XIII-XIV საუკუნეებს მოგვაგონებს, ვიდრე XV-ს. ამ ორი წმიდა ქალის ქვემოთ კამარის მარჯვნივ და მარცხნივ წმიდა კოზმა და დამიანია წელს ზევით, ქართული და ბერძნული

წარწერებით. ჩრდილოეთის კარის თავში წმიდა კვირიკე და წმიდა ივლიტა. აგრეთვე ბერძნული და ქართული წარწერებით. კარის კედლის სისქეზე სრული ტანით მარჯვნივ პეტრე, მარცხნივ პავლე მოციქული. სამხრეთის კარის თავში იესო ქრისტეს პირი. კარის კედლის სისქეზე მთავარანგელოზები, მარჯვნივ გაბრიელი, მარცხნივ მიხაილი, ორივე ბერძნული წარწერით. შუა ნაოსში საყდრისა თაღის ცაში განცხოველებული ჯვარი - ჯ-ი ქი მარჯვნივ სამხრეთის თაღზედ სერობა. ამის გვერდით იმავე რიგში აღმოსავლეთისკენ ფერხთა ბანა. ეს ორი სურათი მათ ქვემოთ განმეორებულია იმ განსხვავებით, რომ ქრისტეს როლს ასრულებს ღვთისმშობელი. წარწერები აქაც ფერხთა ბანა, ზიარება, აღმოსავლეთის ნაწილში ფანჯრების წინ აქ დიდი ფრესკაა იოანე ნათლისმცემლისა. მარცხენა თაღზედ შუა ნაოსისა ამბორის ყოფა იუდას მიერ. ქრისტესა და ლაზარეს აღდგინება. ამის ქვემოთ ამაღლება დედისა ღვთისა. ამის დასავლეთით ამისავე ნაპირზე მოციქულნი ღრუბლებში ტოლ-ტოლად ორ-ორი წარწერით: ღრუბელთა შემოკრბეს მოციქულნი. ფანჯრები წინ იოანე ნათლისმცემლის პირდაპირ წმიდა ანტონი დიდი ქარტით ხელში. ფანჯრების თავზე წელს ზევით წმინდანები. წ-ღ პატაპი, მესვეტე, წ-ღ ანნა, წ-ღ ანტონი მესვეტე, წინასწარმეტყველი ისაია?

იოანე ნათლისმცემლის ხაზზე სამხრეთი ნაოსის ფანჯრის თავებზე წინასწარმეტყველი ზაქარია, წ-ა სიმონ მესვეტე, წ-ა ელისაბედი, წ-ა ალეიპი მესვეტე.

დასავლეთ კედელზე ფანჯრების ზემოთ დიდი სურათი, ლოცვა უნდა იყოს გეთსამანიის ბაღში, ქრისტე ლოცულობს მუხლმოდრეკით.

ზემოთ და ციდან მოდის სხივი კუთხეში მარცხნივ მიყრილია მოწაფეები - მარჯვნივ კუთხეში ქრისტე პეტრეს ესაუბრება - ზემოთ წარწერა:

ქე შწყლ: სული  
ელიასი

ამას ქვემოთ ფანჯრების შუა კედლებზე ხარება მიცვალები-  
ბისა ღვთისმშობლისა წარწერით: ხარება მიცვალებისა. შუა  
ფანჯრის მარცხნივ ანგელოზია მახარობელი, მარჯვნივ ღვთის-  
მშობელი.

ფრესკები შუა ნაოსის ჩრდილოეთ და სამხრეთ ფანჯრებს  
ქვემოთ და პატრონიკეზე დასავლეთის ფანჯრებს ქვემოთ ყოვ-  
ლად მახინჯი და ბოლო დროს უნდა ეკუთვნოდეს. ამ ადგი-  
ლებში არიან წარმოდგენილნი: ქრისტე პილატეს წინ, ფარი-  
სეველებთან, წაყვანა გოლგოთაზედ, ჯვრის წინ წაძლოლა წარ-  
წერით: იქციეს წინა, ტანჯვა ქრისტესი, უარყოფა პეტრეს  
მიერ და სხვა.

დასავლეთის კარის თავზე ქრისტეა წელამდე საფლავში და  
მრავალი ქალთა და კაცთა სურათები უწარწერონი.

გუმბათში ქრისტეა დახატული სიმრგვალებში, რომელიც ზე-  
ვით მიაქვთ სერაბიმ-ქერუბიმებს, ქვემო ფანჯრებამდის საყ-  
დარია და მთელი გუნდი მწირველ ანგელოზთა. საკურთხე-  
ველში მოჩანს ქრისტე, ორ ანგელოზს მოაქვთ გრძელი გარ-  
დამოხსნა. ფანჯრებს შუა კედლებზე წინასწარმეტყველებია  
დახატული და ყველას ჯერ ბერძნულად აწერია სოლომონ,  
დავით, დანიელ, ოსიას, მიქას არ აწერია სახელი, ნაომ, აბა-  
ქომ, იონა, ეზექიელ, სოფონია, ამოს, ზაქარია ახალი, აარონ.  
მოსეს, სოლომონის და დავითის ქვემოთ წარწერებია, რომლე-  
ბიც ერთი მეორის გაგრძელებას უნდა წარმოადგენდეს: სიმე-  
ონ: გამ დელი: ესე

და შრომა: სიმდაბლე: თეოდორო

ხელი წესი ესე

იონა წინასწარმეტყველის ქვემოთ: სიმეონ საქმ აქა

სულ 16 ფანჯარაა და მათ შორის 16 კედელი, რომლებზე-  
დაც ეს წინასწარმეტყველებია დახატული. გუმბათის ყელის  
ყურეებში მახარობლებია ქართულის და ბერძნულის წარწე-  
რებით. მათ შორის კარგად შენახულია მხოლოდ ლუკა. ჩრდი-  
ლოეთის თაღზედ ყოფილა ქართული წარწერა და ახლა გა-  
ნირჩევა მხოლოდ: ... და ღივ: ბრწნვალე: საიდუმლო: ესე: რ

ლი: სლი:წ-ღ გარმსდა: სიო:  
ჩრდილოეთის კედელზე დავით აღმაშენებელი XVI საუკუ-  
ნის: დიდი მე-თა  
შს წრჩ ინბლი  
აღმშნ ბლ საუკენდ  
მცა არს სსნბა  
ღთ შს ამინ

ეს ფრესკა ერთადერთი ფრესკაა XII საუკუნიდან დარჩენი-  
ლი, რომელნიც წაუშლიათ და ზედ დაუხატავეთ XVI საუკუ-  
ნის კათალიკოსი და მეფენი. გულდასმით დაკვირვების შედე-  
გად შეიძლება შეინიშნოს ნაშთები ძველი ფეხებისა ძველი  
ფრესკებიდან, რომელთაც დავეითის სიგრძის ხაზი სჭერიათ.  
ახლანდელი ფრესკები უფრო მოკლე არის.

შემდეგ დავეითისა, აფხაზეთის კათალიკოსი ევდემონი თეთ-  
რი წვერით

აფხაზეთის: კ-ზი

ევდემონ

შემდეგ ხატია ბაგრატ III მფ ეთ შემდეგ დედოფ ლთა

მე ფე დედოფ ლი

ბ-გრტ ე-ლნე

შემდეგ - მფეთ გი მფე შემდეგ - დედოფალი

გიორგი და რუსუდანის შუა ქვემოთ - ძე ამთი ბ-გრტ

სამხრეთის ბურჯზე ეკლესიისა დახატულია კათალიკოსი  
ზაქარია ქვარიანი სამღვდელმთავრო მიტრით და 2-სტრი-  
ქონრიანი წარწერით:

ლო: შე დიდისა: საყდრისა: გაენათისა მიტროპოლიტი: და  
აწ აფხაზეთისა: და საქართველოს: დიდისა: ბიჭვინტისა: კ-ზი:  
ზაქარია: ქვარიანი: ამინ.

გარეჯის გულანში - 1656 ქრონიკონის ქვეშ სწერია აკურ-  
თხა მიტროპოლიტად გაენათელი ზაქარია ქვარიანი ღირსმან  
და ლის მოყვარემან აფხაზეთის კათალიკოსმან მაქსიმე მაჭ-  
ვტაძემ თვესა ივნისსა.

სამკვეთლოში გასასვლელ კართან დახატულია მთავარე-  
პისკოპოსი მელქისედეკ საყვარელიძე. წარწერა 3 სტრიქონი:  
ქ. საყდრისა: ამის მღრდელთ: მთვარების: კოპსსა: მელქისე-  
დეკს:საყვარელიძესა: შეუნდს: ღ-ნ: ან:

კათალიკოსის საჯდომის გაკეთებამდის იმავე ბურჯის წინა  
კედელზე ყოფილა დახატული მღვდელმთავარი, რომელსაც  
გრძელი წითელი წვერი აქვს წარწერა ასე აღვადგინეთ: დი-  
დისა საყდრის: მღრდელ-მთავარ-ეპისკოპოსი

მაწყვერელი - მარჯვნივ - და გაენათელ.

მღვდელ-მთავარ ეპისკოპოსი ანტონ /მოიხსენე უფალო/  
დასავლეთის ეკვდერში, მარცხნივ შესავლის კარისა დაბ-  
ლად კედელზედ დახატულის სამღვდელმთავრო თეთრი ფი-  
ლონიით და სახარებით მარცხენა ხელში, მარჯვენთ აკურ-  
თხებს - 3 სტრიქონიანი წარწერა:

მონა: ღ-ისა დიდისა: საყდრის: კი დიმიტრი

და ვინც შენდობა უბრძანოთ:ღნ

თქვენცა: შეგინდოს: ან

სამხრეთი ნაოსის ფრთებს შუა პირველ კამარაზე ფანჯრის  
შუა ნაოს ეკლესიისა ასომთავრული წარწერა: ქ-წ-ო მფარ-  
ველ: და: მეოხ: ექმენ:

წ-ე ღ-ჯ გენათელ მღვდელ: მთავარეპისკოპოს დომენტი  
ჩხეტაძისა კარის თავზე სალაროს შესასვლელში დახატულია  
მღვდელმთავარი - თეთრი ფილონიით და ომფორით მას აკურ-  
თხებს ქრისტე: ქ. გ-ნთლ მღდლთ

მთავრ ეპისკოპოსი

დომენტი ჩხეტიძე

საუკნდმც არს.ხ

ბაჯ მის ან

ჩრდილოეთის ეკვდერში ეკლესიის კარის ზემოთ: ქ. მა-  
წყერელმან: და აწ:გენათლ: მღრდელ: მთავარ: ეპისკოპოსმან:  
ანტონი: დხ-ტენ: კ-რის ბრჭყე:ესე: ჩემდა: სულს: საოხად:მფთ:  
მფის გგს: სადიდებლად:ან:

სამკვეთლოში ფანჯრის წინ კედელთან ერთ დიდ მრგვალ

სვეტზე არის ოთხკუთხედი ქვა ტრაპეზის ასომთავრული წარწერი: ქ. აღიდნეს ღმერთმან მეფეთ-მეფე ბაგრატ და დედოფალი ელენე, ამინ დიდისა საყდრისა გენათელი მთავარეპისკოპოსმან საყვარელიძემან: მელქისედეკ აღვაშენე კანკელი და ტრაპეზი ესე

შ-ნს ღ-ნ

აღწერილობა - მოცემულია შემოკლებით

## გელათის წმიდა გიორგის სახელობის ტაძარი

გელათის წმიდა გიორგის სახელობის ტაძრის აგების პერიოდს მრავალი გამოჩენილი მეცნიერი შეეხო. თუმცა ეს საკითხი დღესაც სადავო ხდება. მართებულად უთითებს აწ განსვენებული ქალბატონი ბალილონა ლომინაძე, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში ძველი ავტორები: დიებუა და მონაპერე, გ. წერეთელი, თ. ჟორდანიას წმიდა გიორგის ტაძრის აგებას XI საუკუნეში გულისხმობენ, მაგრამ ეკლესიის არქიტექტურული ანალიზი - ამის საშუალებას არ იძლევა. ხელოვნებათმცოდნეების მიერ მიჩნეულია, რომ წმიდა გიორგის ეკლესია აგებულია XIII საუკუნის შუა წლებში. წმიდა გიორგის ეკლესიას აქვს მაღალი პროპორციები, რომელსაც აგვირგვინებს ვიწრო გუმბათი. ეკლესია ჯერის ფორმისაა, დასავლეთიდან გრძელი მინაშენით.

რაც შეეხება იმ მოსაზრებას, რომ ეკლესია XI საუკუნეში არის აგებული, ძირითადად დამყარებულია გელათის გულანის ხელნაწერ ტექსტში მოცემულ ორ ცნობაზე: 1. „წისა ამის (გელათის) უდაბნოისა აღმაშენებლისა ბაგრატ მეფისა საუკუნომცა არის სახსენებელი“.

2. „და მეორედ აღმაშენებლისა ამის მონასტრისა ბაგრატ მეფისა და ძისა მათისა გიორგი მეფისა, ფოტინა და თამარ დედისა მათისა საუკუნომცა არს სახსენებელი“ (54; 144).

- ამ მოსახსენებელში, როგორც მიიჩნევენ, მოხსენიებულია ერთიანი საქართველოს მეფენი ბაგრატ III და ბაგრატ IV

თავისი ოჯახით. ამ მეფეებს რომ არ აუგიათ გელათში წმიდა გიორგის ტაძარი, დასტურდება იმით, რომ წმიდა გიორგის ტაძრის არქიტექტურული სტილი XIII საუკუნეს მიეკუთვნება. თუმცა ეს არ არის სარწმუნო მტკიცებულება. 1894 წელს თ. ჟორდანიას მიიჩნევდა, რომ წმიდა გიორგის ეკლესია აღუშენებია ბაგრატ IV-ს 1057 წელს და, ალბათ, მეფეთა მეფეთ სამარხავი ყოფილა: აქ უნდა იყოს დამარხული გიორგი II და ბაგრატ IV. ამ ფაქტს ადასტურებს შემდეგი ცნობა: „ვარდანი იტყვის რომ გელათში დამარხულნი არიანო დავითის წინაპარნი“. ჟორდანიას აზრით ბაგრატ IV-ს წმიდა გიორგის ეკლესიის აგება დაუწყია 1057 წელს „სამადლობლად ღვთისა იმ გამარჯვებისათვის, რომელიც მიეცა მას 1056 წელს ლიპარიტ ერისთავ-ერისთავზე“.\*

XIX საუკუნის ფერად მინრიატურებიან ავეგაროზში წმიდა დიდმოწამე გიორგის ევედრებიან „წმიდაო გიორგი კაბადოკიისაო, წ-ო გ-ი ლუდიისაო, პალესტინისაო, იერუსალიმისაო, ტრაპიზონისაო, მთაწმინდისაო, სინას მთისაო, კოსტანტინეპოლისაო, თესალონიკისაო, ბეთლემისაო, წმიდაო გიორგი გელათისაო, წო გი ხონისაო, წო გი ჩხარისაო, წ-ო გ-ი ჭოლქვისაო, წ-ო გ-ი ილორისაო, სუჯუნისაო, ხვამლისაო“ (92; 217). არსებობს მეორე XVIII-XIX საუკუნის ავეგაროზი, სადაც ასევე ჩამოთვლილია წმიდა გიორგის სასწაულმოქმედი სალოცაეები: წმ. გიორგი კაბადოკიისაო, იერუსალიმისაო, ბეთლემისაო, გელათისაო, ატოცისაო, სურამისაო, შინდიშისაო (93; 116).

---

\* გელათში დაბრძანებული იყო სახარება, რომელიც შეუწირავს ლიპარიტ ერისთავ-ერისთავს: „ღირს ვიქმენ: მე ლიპარიტ ერისთავთა-ერისთავი, სულკურთხეული-სა სალოცველად და სადიდებლად თავის ჩემისა და ძეთა ჩემთათვის:რატისათვის: ივანესათვის და ნიანისათვის: სახელითა ღვთისათა მე ანტონი: ლიპარიტ ყოფილმან დავწერე და შევწირენ კაცხს საქვალესა ჩემსა“ - აქცია (ევეთიმეს არქივი საქმე №321). საინტერესოა ბროსეს ერთი ცნობა „სამ ღიდ და ლამაზ ეტრატზე დაწერილი ხელნაწერი გელათის მონასტრის შესახებ გადაწერილი იქნა მანგლისში 1047-1048 წლებში ან აწყურში 1053 წელს ლიპარიტის ბრძანებით. უფრო საინტერესოა მეორე ცნობა ბროსესი, რომ კაცხის მონასტრიდან თითქოს დავით აღმაშენებლის დროს ამ დიდი ოჯახის მემკვიდრეობითი საფლავი გადატანილი იქნა გელათში. (120:178)



ორივე შემთხვევაში, საქართველოს დასავლეთში თუ აღმოსავლეთში არსებულ წმიდა გიორგის სასწაულთმოქმედ სალოცავებს შორის გელათის წმიდა გიორგი მოხსენიებულია პირველად, უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის ყველა ჩამოთვლილ სალოცავში დაბრძანებული იყო წმიდა გიორგის რამდენიმე წმიდა ნაწილი. გელათშიც იყო წმინდა გიორგის რამდენიმე წმინდა ნაწილი.

უდავოა, რომ გელათში დავითის პერიოდამდე არსებობდა წმიდა გიორგის სახელობის ეკლესია, ვინაიდან, იქ არსებულ უძველეს ეკლესიათა შორის (მთავარანგელოზი, ელია, სოხასტერი, წმ. ნინო, საბა) წმიდა გიორგის ეკლესიაც იქნებოდა. მაგრამ აქამდე ამ საკითხს არავინ მიაქცია ყურადღება. შესაძლოა, გელათის წმიდა გიორგის ეკლესია XIII საუკუნეში ააგეს ძველ მანამდე აგებულ XI ს-ის ან უფრო ადრინდელი ეკლესიის საფუძველზე, რასაც, ალბათ, არქეოლოგიური კვლევა დაადგენს, მაგრამ თუკი ეკლესიის საძირკველში არ აღმოჩნდა ძველი ეკლესიის ნაშთები, მაშინ ადვილი შესაძლებელია, რომ გელათში მანამდე არსებული წმიდა გიორგი ეკლესია სულ სხვა ადგილზე, უფრო ზემოთ, მდებარეობდა.

გელათის წმიდა გიორგის ტაძარი ძლიერ დაზიანდა 1510 წელს, როცა მონასტერს ოსმალები დაესხნენ თავს. მათ დაუწვევთ ტაძარი, რომლის კვალი საკურთხეველში, XVI საუკუნის ფრესკის შიგნით შეინიშნება. იმერეთის მეფე ბაგრატ III-მ აღადგინა და მოხატა წმიდა გიორგის ტაძარი და ის თავის საძვალედ აქცია, რასაც ადასტურებს გუმბათის თაღის შუბლზე არსებული წარწერა: „ქრისტე ადიდე სულითა მეფეთმეფე ბაგრატ და დედოფალთ - დედოფალი: ელენე: რ: ესე: რმთუ: ამას: დავემკვიდრო“. წმიდა გიორგის ეკლესიაში სულ ორი მეფე დედოფლის, ერთი კათალიკოსის და ბატონიშვილთა ფრესკებია წარმოდგენილი. სამხრეთის კედელზე გამოხატულია იმერეთის მეფე ბაგრატ III მეუღლით. მათ გვერდით აფხაზეთის კათალიკოს ვედემონის ფრესკაა.

ჩრდილოეთის კედელზე, კანკელთან ახლოს წარმოდგენილია

მეფე გიორგი ბაგრატიის ძე (1665-1684 წ.წ.). ფრესკა დაზიანებულია, აცვია შინდისფერი სამეფო სამოელი, წელზე სარტყლით.

მის გვერდით, სარკმლის მარჯვნივ წარმოდგენილია მისი მეუღლე დედოფალი თამარი. ფრესკა დაზიანებულია, აცვია ძვირფასი მწვანე სამოსელი, ხელები ვედრების მდგომარეობაში აქვს. ჩრდილოეთის მხარეს მათ შემდეგ წარმოდგენილია მათი შვილის ალექსანდრე ბატონიშვილის ფრესკა, ბატონიშვილს აცვია ძვირფასი ოქროსფერი სამოსელი, ხელები ვედრების მდგომარეობაში აქვს. ამ ფრესკაზე წარწერები თითქმის აღარ იკითხება, მაგრამ მათ თავზე თაღში არის შემდეგი წარწერა: „ორსთავეს ცხრბსა: მფეთ: მფე: გი: და დედოფალთა: დედოფალი: თმრ და ძე: მათი: ალექსანდრე: გაზარდე: ღმერთო“.(18;58)

უნდა აღნიშნოს, რომ წმიდა გიორგის ტაძრის მხატვრობა მეფის სიცოცხლეშია შესრულებული, ამ ტაძარში გიორგი წარმოდგენილია მის პირველ მეუღლესთან და შვილთან ერთად, ხოლო მთავარ ტაძარში გიორგი მეფე წარმოდგენილია მის მეორე მეუღლესთან და შვილთან - ბაგრატთან ერთად.

ჩრდილოეთის თაღის ქვეშ, დასავლეთის სარკმელთან წარმოდგენილია ბაგრატი მეფის ვაჟი ბატონიშვილი თეიმურაზი, რომელსაც ძვირფასი შინდისფერი შესამოსელი აცვია, წელზე სარტყლით, იკითხება: „მეფეთ-მეფის ბაგრატის ძე თმრზ. „გაბრიელ“ (44; 50).

სამხრეთის კედელზე დასავლეთის სარკმლის გვერდით გამოსახულია კიდევ ერთი ბატონიშვილის ფრესკა ოქროსფერი შესამოსლით, ხელები ვედრების მდგომარეობაში აქვს, თუმცა წარწერა ძლიერ გადაშლილია, იკითხება დაახლოებით: „მეფის ძე დემეტრე“.

გელათის წმიდა გიორგის ტაძრის მნიშვნელობა განსაკუთრებით XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან გაიზარდა, როდესაც ტაძარი დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსთა რეზიდენცია გახდა. პირველი კათოლიკოსი, ვინც გელათში მოღვაწე-

ობდა, გახლდათ ევდემონ ჩხეტიძე, სწორედ მის მიერ იქნა მოხატული წმიდა გიორგის ტაძარი, საკურთხეველის პირდაპირ, დასავლეთის თაღის ქვეშ წარწერაა: „იკურთხოს აფხაზეთისა კთლიკოსი: ევდ/მონ/... რ: მან: დაახატვინა: (18; 56). კათალიკოსი ევდემონი წმიდა გიორგის ტაძარში დაკრძალეს. საგარაუდოდ იმერეთის მეფე გიორგი I-ისა და ევდემონ კათალიკოსის ნებართვით ლამაზი ხუცურით არის გადაწერილი გელათის წმიდა გიორგის ეკლესიის გულანი, რომელიც მანუელ ნანიკაშვილმა და ზებედეგ გადაწერეს. ხელნაწერებზე მიწერილი იყო კინკლოსები, რომლებშიც წარმოდგენილია იმერეთის ისტორია (116; 17-25).\*

იქვეა მიწერილი სასულიეროთა სახელები. როგორც თ. ჟორდანიას მიიჩნევს, ეს სახელები, ალბათ, გელათის წმიდა გიორგის ტაძრის წინამძღვრებისაა, ვინაიდან ეს ტაძარი მთავარი ტაძრიდან დამოუკიდებლად ითვლებოდა.

წმიდა გიორგის ტაძრის წინამძღვრები

1740 წ. - ეგნატე

1743 წ. - ეპიფანე

1749 წ. - ანანია

1774 წ. - დავით

XVII საუკუნის აფხაზეთის საკათალიკოსო გლეხების დიდ დავთარში მოცემულია წმიდა გიორგის ეკლესიის კუთვნილი მამულები და გლეხები.

„არის გელათის თავეს სადედოფლო საყდარი წმიდის გიორგის. მეტოქედ მისით შემავალითა რვა კვამლი კაცი სორმონითნ, რიონს 2, ნაბოსლევს 8, ბუეთს 6, საწირეთს. მეფის ხელი შუვა არის ბარს სასახლე მისის ეკლესიათა 28 კვამლი, ქუთაისის სოფია წმიდა სასახლე აზნაურის შეილიანად, 6 კუამლი

---

\* გიორგი მეფის პირველი ცოლი იყო თამარი, რომლისგანაც ალექსანდრე შექმნა. თუმცა 1557 წელს ალექსანდრე ბატონიშვილი გარდაიცვალა, შემდეგ კი - დედოფალი თამარი. გიორგის მეორის მეუღლე გახლდათ დედოფალი რუსუდანი, რომელთანაც ეყოლა ძე ბაგრატი. იგი აღრევე დაქორწინდა, თუმცა 1578 წლის 22 მაისს ჯერ ბაგრატი გარდაიცვალა, 4 აგვისტოს კი - დედოფალი რუსუდანი.

ჯიმასტაროს, ბაკისუბანს“.

გელათის წმიდა გიორგის ეკლესიაში დაბრძანებული იყო ბიჭვინთის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი.

წმიდა გიორგის ეკლესიის ძირითადი ნაწილი მოხატულია XVI საუკუნეში. საკურთხევლის კონქში ღვთისმშობელი ნიკოპეა. ყმა მაცხოვრით. მარჯვნივ და მარცხნივ პეტრე და პავლე მოციქულები. ღვთისმშობლის ფრესკის ქვემოთ ძველი აღქმის წმინდანები, სარკმლებს ზემოთ სამი ყრმა: ანანია, აზარია და მიხაილი, ჩრდილოეთ მხარეს წმიდა აარონი, სამხრეთით წმიდა სამოელი.

საკურთხეველში 3 სარკმელია, ქვედა რეგისტრში ჩრდილოეთით ოთხი მღვდელმთავარია, გაირჩევა ერთი წარწერა - გრიგოლ ღვთისმეტყველი.

სამხრეთის მხარეზეც ოთხი მღვდელმთავარია წარმოდგენილი: იოანე ოქროპირი, კირილე ალექსანდრიელი, ალექსანდრე ალექსანდრიელი. ერთი არ იკითხება, შესაძლოა იყოს ბასილი დიდი.

ტრაპეზი ქვისაა, ქვისაა ასევე მღვდელმთავრის დასაჯდომელიც.

ტაძარში წმიდა წერილის მიხედვით წარმოდგენილია 12 საუფლო დღესასწაული, რომელიც იწყება ხარების სცენით და მთავრდება ქრისტეს აღდგომისა და ამაღლების სცენებით. სამხრეთის და ჩრდილოეთის თალებზე წარმოდგენილია წმიდა გიორგის წამების სცენები: მეფესთან წარდგომა და კერპების შემუსვრა, ბორბალზე წამება და თავის კვეთა.

## მეფეთა საფლავები და ფრესკები გელათში

გელათი - ქართველ მეფეთა საძვალე, ერთადერთი მონასტერია საქართველოში, სადაც ქართველ მეფეთა, დედოფალთა, კათალიკოსთა და ეპისკოპოსთა ყველაზე მეტი ფრესკაა შემორჩენილი.

ეს საეკლესიო ბუნებრივია, რადგან გელათი ქართველ მეფეთა საძვალე გახლდათ და ყველაზე დაცულ მონასტრად ითვლება საქართველოში. ამჟამად გელათში სულ 19 მეფის ფრესკაა შემორჩენილი, 3 მეფის ფრესკა მეორდება, მთავარ ტაძარში 15 მეფის ფრესკაა, 2 მეფის ფრესკა წმიდა გიორგის ტაძარშია შემორჩენილი, ხოლო ერთი მეფე-დედოფლის ფრესკა, რომელიც XX საუკუნის შუახანებში ხელოვნებამცოდნე შალვა აბრამიშვილის მიერ იქნა ჩრდილოეთ კარიბჭეში აღებული, ამჟამად სასულიერო აკადემიის დარბაზშია დაბრძანებული. სამხრეთის კარიბჭეში შეიმჩნევა კიდევ ერთი მეფის ფრესკა. ძველად გელათში გაცილებით მეტი მეფის ფრესკა იყო, მაგრამ დროთა განმავლობაში ზოგი დაზიანდა და წაიშალა, ზოგი კი გვიანდელი პერიოდის ფრესკებმა გადაფარა. ამის დამადასტურებელია ზემოაღნიშნული ფაქტი - შალვა აბრამიშვილის მიერ აღებული XVI საუკუნის ფრესკის ქვემოთ აღმოჩენილი უფრო ძველი ახალგაზრდა მეფე-დედოფლის ფრესკა. ეს ფრესკა ძალზე გამორჩეულია. მას ხელოვნებამცოდნეებმა „მეფე-დედოფლის კურთხევის კომპოზიცია“ უწოდეს. თ. ვირსალაძის აზრით, ფრესკაზე გამოსახულია იმერეთის მეფე ბაგრატ II ან მისი შვილიშვილი ბაგრატ III, მეცნიერთა ნაწილი კი მიიჩნევს, რომ ამ ფრესკაზე ახალგაზრდა მეფე გიორგი ბრწყინვალეა თავისი მეუღლით. საეჭვოა, რომ ამ ფრესკაზე გამოსახული იყოს ბაგრატ II ან ბაგრატ III, რადგან ბაგრატ II-ის ფრესკა დაზიანებული სახით შემორჩენილია სამხრეთის კარიბჭეში, ხოლო ბაგრატ III-ის სამი ფრესკაა გელათში.

რაც შეეხება მეფეთა საფლავებს გელათში, დღესდღეობით მრავალი მეფის საფლავი დაფარულია XIX საუკუნეში დაგე-

ბული ახალი ქვის იატაკით, შესაძლოა იატაკი გელათში XVI საუკუნეშიც გამოიცვალა და მტრის შიშის გამო განგებ დაიფარა მეფეთა საფლავის ქვები. რაც შეეხება წმიდა მეფეთა ნაწილებს, ისინი, ალბათ, საკურთხეველშია გადასვენებული.

სულ გელათში წარმოდგენილია დასავლეთ საქართველოს, აფხაზეთის 5 კათალიკოსის ფრესკა, ევდემონ ჩხეტიძის 2 ფრესკა, ზაქარია ქვარიანის, იოსებ კათალიკოსის და დასავლეთის მინაშენში გამოსახული უცნობი კათალიკოსის - დიმიტრის ფრესკები. ბაბილინა ლომინაძე მიიჩნევს, რომ ამ ფრესკაზე გამოსახულია გელათის ტაძრის კანდელაკი, თუმცა ეს, შესაძლოა, საეჭვო იყოს, ვინაიდან სამეფო ტაძარში ნაკლებ სავარაუდოა, რომ კანდელაკის ფრესკა დაეხატოთ. გელათის ეზოში არის კიდევ ერთი, აფხაზეთის უცნობი კათალიკოსის იაკობის საფლავის ქვა. სამწუხაროდ ამ კათალიკოსის შესახებ ცნობები არ არსებობს. გელათში არის 4 გაენათელი ეპისკოპოსის ფრესკა: მაცხოვრის ეკვდერში - ბატონიშვილ სვიმონ გაენათელის, წმიდა მარინეს ეკვდერში - გაენათელი ზაქარია ქვარიანის, მთავარ ტაძარში კი ორი გაენათელი მღვდელმთავრის ფრესკაა წარმოდგენილი. კათალიკოსის ტახტის უკან კედელზე გამოსახულია ანტონ მაწყვერელის, შემდგომში გაენათელის ფრესკა, სალაროს კარის თავზე კი გაენათელი დომენტი ჩხეტიძის ფრესკაა. გ. წერეთელმა და ექთაყაიშვილმა ეს ფრესკა ასე ამოიკითხეს. დღესდღეობით კი მიიჩნევენ, რომ სალაროს კარის თავზე ევდემონ ჩხეტიძეა გამოსახული.

## გელათში დაკრძალული პროტიანი საქართველოს მეფეები

1. წმიდა მეფე დავით აღმაშენებელი - აღესრულა 1125 წლის 24 იანვარს. მის საფლავზე შემდეგი წარწერაა: „ესე არს განსასვენებელი ჩემი, უკუნითი უკუნისამდე. ესე მონაჲს: აქა დავემკვიდრო მე“. წმინდანად შერაცხვის შემდეგ მისი წმიდა

ნაწილები საკურთხეველში გადაასვენეს. წმიდა მეფე დავითის ფრესკა გამოსახულია მთავარ ტაძარში ჩრდილოეთის კედელზე.

2. ღირსი დამიანე (დემეტრეოფილი) 1156 წელს აღესრულა. გელათში ძველად აუცილებლად იქნებოდა გამოსახული დემეტრეს ფრესკა, შესაძლოა მამის გვერდით, ან სხვაგან.

3. დავით V დემეტრეს ძე - გარდაიცვალა 1155 წელს.

4. გიორგი III გარდაიცვალა 1184 წელს, იგი დაკრძალული უნდა იყოს წმიდა ანდრიას ეკვდერში. XIX საკუნის 30-იან წლებში დიუბუა დე მონპერემ გიორგი III-ისა და მისი მეუღლის ფრესკა იხილა ანდრიას ეკვდერში.

5. წმიდა კეთილმსახური მეფე თამარი აღესრულა 1213 წელს. იგი დაკრძალეს წმიდა ანდრიას ეკვდერში, შესაძლოა წმინდანად შერაცხვის შემდეგ იგი საკურთხეველში გადაასვენეს. წმიდა ანდრიას ეკვდერში შემორჩენილია თამარ მეფის ფრესკის ნაწილი.

6. გიორგი IV ლაშა 1223 წლის 18 იანვარს გარდაიცვალა, „წაიყვანეს მაშინვე გელათს, დამარხეს საფლავსა მამისა მისისასა“.

7. მეფე რუსუდანი 1245 წელს გარდაიცვალა, დაკრძალეს „სამარხოსა მამათა მათთას მონასტერსა გელათს“.

8. დავით VI ნარინი გარდაიცვალა 1293 წელს, დაკრძალეს წმიდა ანდრიას სახელობის ეკვდერში.

9. ვახტანგ II დავით ნარინის ძე გარდაიცვალა 1292 წელს, „იგლოვა წესისამებრ და ფრიად პატივ სცა და წარგზავნა გელათს სამარხოსა მეფეთასა“. სავარაუდოდ ისიც დაკრძალულია წმიდა ანდრიას ეკვდერში.

10. გიორგი V ბრწყინვალე გარდაიცვალა 1346 წელს. გელათში დამკვიდრებული ტრადიციით იგი დაკრძალულია მაცხოვრის სახელობის ეკვდერში.

11. დავით IX გარდაიცვალა 1360 წელს. შესაძლოა დავით მეფე მამასთან, მაცხოვრის სახელობის ეკვდერში დაკრძალეს.

12. ბაგრატ VI (იმერეთში ბაგრატ II) გარდაიცვალა 1478

წელს. ბაგრატ მეფე, შესაძლოა, სამხრეთ კარიბჭეში იყოს დაკრძალული. მისი ფრესკა გამოსახულია სამხრეთ კარიბჭეში წარწერით.

## იმპერიის მეფეები

13. ალექსანდრე II 1510 წელს გარდაიცვალა. დღესდღეობით მიიჩნევენ, რომ იგი დაკრძალულია მთავარი ტაძრის სამხრეთით მდებარე წმიდა მარინეს სახელობის ეკვდერში. იქვეა ჩრდილოეთის კედელზე მეფე-დედოფლის ფრესკა.

14. ბაგრატ III გარდაიცვალა 1565 წელს. იგი დაკრძალეს მის მიერ განახლებულ წმიდა გიორგის სახელობის ტაძარში. სამხრეთის კედელზე წარმოდგენილია მეფე-დედოფლის ფრესკა.

15. გიორგი II გარდაიცვალა 1586 წელს. გიორგი II თავის მეუღლესთან ერთად წმიდა გიორგის ტაძარში უნდა იყოს დაკრძალული.

16. როსტომ I გარდაიცვალა 1605 წელს. დაკრძალულია მაცხოვრის ეკვდერში. იქვეა მისი ფრესკაც.

17. გიორგი III გარდაიცვალა 1639 წელს. დაკრძალულია მაცხოვრის ეკვდერში.

18. ალექსანდრე III გარდაიცვალა 1660 წელს. თავის მეუღლე ნესტან-დარეჯანთან ერთად დაკრძალულია დასავლეთ მინაშენში, იქვეა მათი ფრესკებიც.

19. ბაგრატ IV გარდაიცვალა 1681 წელს.

20. გიორგი VI გარდაიცვალა 1720 წელს. იგი დაკრძალეს მაცხოვრის სახელობის ეკვდერში. იქვეა მეფე-დედოფლისა და მათი მემკვიდრეების ფრესკაც.

21. ალექსანდრე V გარდაიცვალა 1752 წელს. ის და მისი მეუღლე დაკრძალულია წმიდა ანდრია პირველწოდებულის ეკვდერში.

22. თეიმურაზ მამუკას ძე ბატონიშვილი გარდაიცვალა 1772 წელს.

23. სოლომონ I გარდაიცვალა 1784 წელს, იგი დაკრძალეს მთავარი ტაძრის ჩრდილოეთ კედელთან.



24. წმიდა მეფე სოლომონ II აღესრულა 1815 წელს. გადმოსვენებულია ტრაპიზონიდან 1990 წელს, იგი დაკრძალეს მთავარი ტაძრის სამხრეთ კედელთან. 2005 წელს წმიდა სინოდის გადაწყვეტილებით შეირაცხა წმინდანთა დასში. მისი საფლავის ქვაზე ისეთივე წარწერაა, როგორიც ჰქონდა ტრაპიზონში. „განმეძარცვა მე პირველ ქმნილი სიკეთე და მშვენიერება და მდებარე ვარ შიშველ და კლდებული საფლავსა ამას შინა ტომისაგან დავითისა შთამოსრული ბაგრატიონი ძე არჩილისა, სრულიად იმერთა მეფე სოლომონ, რომლისთვისაც ვითხოვ შენდობას. თებერვალს ზ. ქრონიკონსა ქრისტეს აქეთ ჩყიე გადმოსვენებულია 1990 წლის ნოემბერში“.

## გელათის დიდი სანაწილე

საუკუნეების განმავლობაში გელათის მონასტერში უდიდესი სიწმინდეები იყო დაბრძანებული. მათ შორის გამორჩეული განსვლდა წმიდა მეფე დავით აღმაშენებლის მიერ შეწირული ვერცხლის მოოქროვილი სანაწილე, რომელიც წმინდანთა და წმიდა მოწამეთა ნაწილებით იყო საესე. აღნიშნული სანაწილე იხილეს რუსმა ელჩებმა 1651 წელს იმერეთში ყოფნისას. „ხატის წინ ვერცხლით მოჭედილი პატარა სკივრი დვას, სიგრძით არშინის სამი მეოთხედი იქნება, სიგანით ექვსი ვერშოკი. სკივრი მეფის ბეჭდით არის დაბეჭდილი“. 1820 წელს აღნიშნული სანაწილე კვლავ გელათშია. 1833 წლისათვის მთავარეპისკოპოს სოფრონის კურთხევით დამზადდა ახალი ხის სანაწილე, ვერცხლის სანაწილე კი სად გაქრა არავინ იცის.

ხის სანაწილე (1,52X76 სმ) მოხატულია იმ წმინდანების ხატებით, რომელთა წმიდა ნაწილებიც მოთავსებული იყო სანაწილეში. ბუდეებს ქვემოთ წარწერებია, საიდანაც ვიგებთ, თუ რომელ წმინდანს ეკუთვნის წმიდა ნაწილები. სანაწილეში დაცულია შემდეგი წმიდა ნაწილები: თავის ქალა წმიდა დიდმოწამე დიმიტრისა, ნაწილი თავის ქალისა წმიდა დიდმო-

წამე გიორგისა, პირსახის ნაწილი წმიდა დიდმოწამე თეოდორე ტირონისა, ნაწილი წმიდა დიდმოწამე თეოდორე სტრატელატისა, ნაწილი წმიდა თომა მოციქულისა, ნაწილი წმიდა თეოქტიტესი. არის ასევე სამი წმიდა ნაწილი, რომელთაც არა აქვთ წარწერები.

1878 წელს ახალი ათონიდან ლტოლვილმა რუსმა ბერებმა საკუთარი სახსრებით დაამზადეს ახალი კიდობანი წმიდა ნაწილებისთვის, კიდობანს შიგნით გამოკრული ჰქონდა ვერცხლის ფურცელი, რომელზეც ჩამოთვლილი წმინდანების სახელებია ამოტვიფრული.

ამჟამად აღნიშნული ლუსკუმა დაზიანებულია და მისი ერთი ნაწილი ვერცხლის ბუდით ქუთაისის მუზეუმშია დაცული. XX საუკუნის მეორე ნახევარში ორივე ეს სანაწილე წმიდა ნაწილებით გადატანილი იქნა ქუთაისის მუზეუმში.

2005 წლის 14 ნოემბერს ბატონების ნუკრი კვარაცხელიასა და გივი ტყეშელაშვილის დახმარებით საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ გელათის მონასტერს გადასცა მუზეუმში დაცული კუთვნილი სიწმინდეები.

2007 წლის 17-18 ივნისს ქუთათელ-გაენათელმა მიტროპოლიტმა კალისტრატემ ქუთაისის საზოგადოებასთან ერთად თბილისში სამების საპატრიარქო ტაძარში ჩააბრძანა გელათის დიდი სანაწილე. წირვის შემდეგ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ თავის ქადაგებაში ხაზგასმით აღნიშნა: „დღეს ჩვენ განსაკუთრებული სიხარული მოგვანიჭა ქუთათელ-გაენათელმა მიტროპოლიტმა, მეუფე კალისტრატემ. მან გელათის საგანძურიდან ჩამოაბრძანა წმიდა ნაწილები, რომელიც ახლა შუა ტაძარში ანალოლიაზეა დაბრძანებული და თქვენ საშუალება გეძლევათ თაყვანი სცეთ მათ და შესთხოვოთ თქვენი სათხოვარი. უნდა იცოდეთ, რომ მრავალი სასწაული აღსრულებულა უკვე მათგან და დარწმუნებული ვარ, რომ ყველა, ვინც მათ რწმენით, სიყვარულით და სასოებით მიეახლება, აუცი-

ლებლად მიიღებს ნუგეშს. ამ ხატზე არის დამაგრებული წმიდა ნაწილები წმიდა მოციქულ თომასი, წმინდა დიმიტრი თესალონიკელისა, წმიდა თეოდორე ტირონისა, წმიდა გიორგისა, წმიდა მღვლედმთავრისა ნიკოლოზისა, მირონ-ლუკიის მთავარეპისკოპოსისა, წმიდა იოანე ოქროპირისა, წმინდანთა სამსონისა, ბენედიქტესი, თეოქტისტესი, ემელიანესი და მრავალი სხვა. მადლობა ღმერთს, რომ საშულება გვეძლევა, თავი ვცეთ ამ სიწმინდეებს“.

ღვთის მადლით, დღესდღეობით ქართული ეკლესია ფლობს ქრისტიანულ სამყაროში უდიდეს სიწმინდეებს, რომელიც ქართველ ერს უდიდესმა მეფემ დავით აღმაშენებელმა გვიანდერა.

## ბელათის მონასტრის წყალმომარაგების სისტემა

ბელათის წყაროს შესახებ დაწერილებით ცნობებს რუსი ელჩები გვაწვდიან 1651 წელს. ისინი აღნიშნავენ, რომ წყაროს გარეთ ჰქონია სათავე ნაგებობა, რომლიდანაც მიწისქვეშა სისტემით ბერების სადგომებში და სამეურნეო დანიშნულების ყველა შენობაში წყალი შედიოდა.

თანამედროვე ეტაპზე ბატონმა მირიან სტეფანიამ გამოიკვლია წყალსადენის სათავე ნაგებობა, რომელიც თავისი შედგენილობით ძალზე საინტერესოა. მონასტრის წყალსადენის სათავე ნაგებობა წარმოადგენს ქვით ნაშენ დიდი მოცულობის მიწისქვეშა დარბაზს, რომლის კედლებად ალაგ-ალაგ გამოყენებულია მთის კალთები. დარბაზს აქვს წაგრძელებული ტრაპეციის ფორმა. მისი სიგრძე 11 მეტრს აღწევს. შესასვლელში დარბაზის სიგანე უფრო ვიწრო 1,5 მეტრია, ხოლო დარბაზის II და III ნაწილის სიგანე 3 მეტრს აღწევს. თაღებით დარბაზი 3 ნაწილადაა დაყოფილი. მის ჩრდილო-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ კედლებში ოთხი სარკმელია დატოვებული იატაკის დონიდან 35-50 სმ სიმაღლეზე. მათში ჩანს ქანები, რომლებიდანაც თვალისათვის შეუმჩნევლად ჟონავეს წყალი. წყლის

ქანებიდან გამოსული წყალი მოედინება დარბაზის გასასვლელისკენ, სადაც ის შედის ორ რკინის მილში (100 და 200 მმ). 100 მმ-იანი მილით წყაროს წყალი მიედინება გვირაბისაკენ, მეორე 200 მმ-იან მკლავი დარბაზიდან მარჯვნივ არის გაყვანილი, რომელსაც მოსახლეობა ხმარობს.

დარბაზიდან 100 მმ-იანი მილით გამოყვანილი წყალი 12 მ-ის შემდგომ უკავშირდება გვირაბში თიხის მილებისაგან შედგენილ წყალსადენის მაგისტრალს და მოედინება მონასტერში.

შესასვლელთან გვირაბის სიმაღლე 130 სმ, სიგანე 93 სანტიმეტრია. მაგისტრალის სიმაღლე სხვადასხვა მონაკვეთზე მერყეობს 130-156 სმ, სიგანე კი - 75-95-სმ-ის ფარგლებში. გვირაბის საერთო სიგრძე შეადგენს 180 მეტრს. დღე-ღამეში მონასტერში სულ 57000 ლიტრი წყალი მოედინება, რომელიც მესამედია იმ წყლისა, რომელიც წყაროს სათავიდან მოედინება, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გელათის მონასტრის წყალსადენის დებიტი თავდაპირველად უნდა ყოფილიყო 172800 ლიტრი წყალი დღე-ღამეში. გელათის მონასტრის წყალსადენი უზრუნველყოფდა რამდენიმე ათას კაცს.

1903 წელს გელათის მონასტრის წყალსადენი შეუკეთებიათ და თიხის ადგილობრივი მილები შეუცვლიათ უცხოეთიდან ჩამოტანილი მოჭიქული თიხის მილებით (86; 110-111).

აღსანიშნავია, რომ რუსმა ელჩებმა მე-17 საუკუნეში გელათის მახლობლად ნახეს ქვის სვეტი, რომლიდანაც, თუ ონკანს გააღებთ, წყალი ამოასხამს, ზემოთ ერთ და განზე ორ საყენზე. აღნიშნული შადრევანი მე-18 საუკუნის მიწურულამდე მოქმედი ყოფილა.

მე-19 საუკუნის ბოლოს გელათში მოღვაწე ბერების თქმით, გელათის წყაროს წყალი გამოირჩეოდა სამკურნალო თვისებებით, ეს თვისებები გელათის წყაროს წყალს დღესაც გააჩნია.

ამრიგად, გელათის მონასტერში ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის პერიოდიდან, შესაძლოა, უფრო ადრეც, მოწყობილი იყო უნიკალური და ურთულესი წყალმომარაგების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფდა სამონასტრო კომპლექსს სასმელი და სამეურნეო წყლით.

გელათში მთავარი ტაძრის სამხრეთით, წმიდა მარინეს სახელობის ეკვდერზე გარეთა მხრიდან მოთავსებულია მზის საათი. სავარაუდოდ, იგი გაკეთებულია დემეტრე I-ის დროს, ან ცოტა მოგვიანებით.

ქვა ადამიანის სიმაღლეზე ამოღარულია ციფერბლატით და მისი სიმეტრიის ცენტრში ჩასმულია ისარი. ამოღარული ნაწილი წარმოადგენს ნახევარწრიულ სეგმენტს, რომელიც დაყოფილია სეგმენტებად. თითოეული დანაყოფის მნიშვნელობა შეესაბამება 1 საათს. ამონაღარის სიღრმე საშუალოდ 0,5 სმ-ია, ისრის სიგრძე - 22 სმ, დიამეტრი კი - 2 სმ. ისრის წაკონუსების სიმაღლე 4 სმ-ია. ისარი ვერტიკალური სიბრტყის მიმართ ერთ-ერთ მართობულ სიბრტყეში დაახლოებით 70 კუთხური გრადუსითაა დახრილი. ასეთ მდგომარეობაში საათი საკმაო სიზუსტით აჩვენებს დროს მზიან ამინდში.

ამ საათის მიხედვით განისაზღვრებოდა სამხრეთი, ხოლო შემდეგ - ჰორიზონტის დანარჩენი მხარეები. ამასთან, მზის დახრის კუთხის ცვლილება დედამიწის ზედაპირის მიმართ გაზაფხულიდან შემოდგომამდე.

დახრის კუთხის განსაზღვრისას საჭირო იყო ტრიგონომეტრიის ცოდნა, ანუ გეომეტრიული ოპტიკის ერთ-ერთი მთავარი კანონის ერთგვაროვან გარემოში სინათლის სხივის სწორხაზოვნად გავრცელების შესახებ, რაც უთუოდ ცნობილი იქნებოდა ჩვენი წინაპრებისათვის (125; 42).

იმდროინდელ სასულიერო აკადემიაში მსგავსი საკითხები, ალბათ, საკმაოდ მაღალ დონეზე ისწავლებოდა.

## გელათის მოქალაქეთმოქალაქეები

1. იოანე პეტრიწი
2. ანტონი - XIII საუკუნე
3. საბა - XIV საუკუნე
4. მანასე - დაახლოებით 1470-1505 წ.წ.
5. ილარიონი - 1505-1519 წ.წ.

## ბელატიელი ეპისკოპოსები

1. მელქისედეკ საყვარელიძე - 1529-1543 წ.წ.
  2. ევდემონ ჩხეტიძე - 1543-1557 წ.წ.
  3. ანტონ გაენათელი წმინა მაწყვერელი - 1557-1588 წ.წ.
  4. სვიმონ ბატონიშვილი - 1591-1603 წ.წ.
  5. დომენტი ჩხეტიძე - 1603-1630-იანი წლები.
  6. ზაქარია ქვარიანი - 1637-1658 წ.წ.
  7. გრიგოლი - 1657-1664 წ.წ.
  8. გედეონ ლორთქიფანიძე - 1664-1682 წ.წ.
  9. აბრაამი - 1664 წლამდე. დამსწრე არჩილის მეფედ კურთხევისა ქუთაისში.
  10. მარკოზ ლაშხიშვილი - 1682-
  11. სვიმონი - 1692-1701 წ.წ.
  12. ნიკოლოზ ლორთქიფანიძე - 1701-1720 წ.წ.
  13. გედეონ II - 1720-1720 წლების ბოლო.
  14. გაბრიელ დადიანი, წინათ ჯუმათელი, შემდეგ ჭყონდიდელი - 1726-1737 წ.წ.
  15. ექვთიმე - 1737-1744 წ.წ.
  16. იოსებ ბაგრატიონი - 1745-1776 წ.წ.
  17. ექვთიმე შარვაშიძე - 1776-1820 წ.წ.
- გაენათელი დომენტი ჩხეტიძის მოღვაწეობის წლები ზუსტად არ არის ცნობილი. გაენათელი აბრაამი, შესაძლოა, გედეონ გაენათელის რუსეთში ყოფნის დროს განაგებდა გელათის კათედრას. რამდენიმე გაენათელი მღვდელმთავრის მოღვაწეობის თარიღი მიახლოებითია.

## ბელატიის წინამძღვრები ეგზარქოსოების დროს

1. არქიმანდრიტი ნიკოლოზ ჩხეიძე - 1820-1838 წ.წ.
2. ილუმენი სვიმონ ლორთქიფანიძე, წინამძღვრის მოვალეობის შემსრულებელი, 1838-1841 წ.წ.
3. არქიმანდრიტი ექვთიმე წულუკიძე - 1842-1844 წლის

იენისამდე, შემდგომში გურიის ეპისკოპოსი, 1853-1856 წლებში იმერეთის ეპისკოპოსი.

4. მღვდელ-მონაზონი ნიკოლოზი, მოვალეობის შემსრულებელი 1844 წლის იენის-დეკემბერში.

5. არქიმანდრიტი სვიმონ წულუკიძე - 1845-1852 წლის აგვისტომდე.

6. არქიმანდრიტი იოანე იოსელიანი 1852-1853 წლის აგვისტომდე - 1853-1858 წლებში გურიის ეპისკოპოსი.

7. ილუმენი იოსაფეტი მოვალეობის შემსრულებელი 1853 წლის აგვისტოდან ნოემბრამდე.

8. არქიმანდრიტი თეოფანე გაბუნია - 1853-1859 წ.წ., შემდგომში გურიის ეპისკოპოსი.

9. არქიმანდრიტი ნიკოლოზ ნიჟარაძე - 1859 წლის 15 აპრილიდან 1860 წლის 31 იენისამდე.

10. არქიმანდრიტი ონიფანტე ნადირაძე - 1860-1865 წ.წ.

11. არქიმანდრიტი ბესარიონ დადიანი - 1865-1874 წლებში, შემდგომში სამეგრელოს ეპისკოპოსი.

12. მღვდელ-მონაზონი ნიკიფორე კანდელაკი, წინამძღვრის მოვალეობის შემსრულებელი 1871-1872 წლის 14 იენისამდე.

13. არქიმანდრიტი სერაპიონ ახვლედიანი - 1875-1904 წ.წ., დაკრძალულია გელათის მთავარ ტაძარში.

14. მღვდელ-მონაზონი ნიკოლოზ ნამორაძე - 1904-1906 წ.წ.

15. არქიმანდრიტი ნიკიფორე კანდელაკი - 1906-1911 წ.წ.

16. იმერეთის ეპისკოპოსი გიორგი ალადაშვილი - 1912 წლის 11 აპრილიდან 1917 წლამდე. გელათის მონასტრის წინამძღვარი.

## გელათის წინამძღვრები 1917-1923 წლებში

1. არქიმანდრიტი ანთიმოზი - მოვალეობის შემსრულებელი

2. არქიმანდრიტი ნაზარი ლეჟავა - 1917 წლის ოქტომბრამდე

3. არქიმანდრიტი ნიკოლოზ ნამორაძე - 1917 წლის 13 ოქტომბრიდან 1918 წლამდე

4. ილუმენი ზენონი - მოვალეობის შემსრულებელი 1919 წლის იანვრიდან აგვისტომდე

5. არქიმანდრიტი ნესტორ ყუბანეიშვილი - 1919-1923 წ.წ.

1912 წლიდან 1923 წლამდე გელათის მონასტერში მოღვაწეობდა წმიდა ექვთიმე კერესელიძე

### გელათში დაბრკალული წმინდანები

1. წმიდა მეფე დავით აღმაშენებელი - 1125 წ.
2. ღირსი დამიანე (დემეტრეყოფილი) - 1156 წ.
3. წმიდა კეთილმსახური მეფე თამარი - 1213 წ.
4. წმიდა მეფე სოლომონ II - სამშობლოსათვის თავდადებული - 1815 წ.
5. ღირსი მამა გიორგი ჭყონდიდელი - 1118 წ.
6. ღირსი მამა იოანე შავთელი გაენათელი - XIII საუკუნე
7. წმიდა მიტროპოლიტი ექვთიმე შარვაშიძე - 1822 წ.
8. წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი (ქიქოძე) - 1896 წ.

### გელათში მღვდარე ტაძრები და შენობები

1. ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარი - XII საუკუნე
2. წმიდა გიორგის ტაძარი - XIII საუკუნე
3. წმიდა ნიკოლოზის ეკლესია - XIII საუკუნე
4. წმიდა საბას სახელობის ეკლესია - XIII საუკუნე
5. წმიდა ელიას სახელობის ეკლესია - VII-VIII საუკუნე
6. წმიდა მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესია - VII-VIII საუკუნე
7. სოხასტერი, მაცხოვრის სახელობის ეკლესია - VIII საუკუნე
8. წყაროცხოვრების სახელობის ეკლესია, აგების თარიღი უცნობია, შეკეთდა 1903 წელს
9. ელიისქედის საყდარი (დოხორა)



10. ნაეკლესიარი ლალისეულში დარბაზით
11. წმიდა ნინოს ნაეკლესიარი მთაზე
12. უცნობი ეკლესია გელათის თაფზე
13. ნაეკლესიარი (ამბროსი არაბიძის) ეზოში
14. ბერის ციხე საყდრით
15. სასულიერო აკადემიის შენობა - XII საუკუნე
16. სამხრეთის კარიბჭე - დაეით აღმაშენებლის საფლავი
17. აღმოსავლეთის კარიბჭე
18. სამრეკლო
19. სანთლის სახარში სამრეკლოსთან
20. XVIII საუკუნის ხის სახლი
21. გაბრელ ეპისკოპოსის სახლი - XIX საუკუნე
22. აკადემიის დარბაზის ქვემოთ მღვდელმთაფრის სახლის ნაშთები
23. დაეითის კონცხი - კოშკი

## გელათის მონასტრის ქონების 1842 წლის აღწერილობა

გაენათის მონასტრის ნივთთა და სამკაულთა შემოწმებითურთ იმა სიისამებრ რომლისამებრც იღუმენ სიმეონს პოლიციის ჩინოვნიკის თანდასწრებით მიუღია ჩვენებითა შესწავებაში ნაკლულევანებისაიცა პირისპირ იმა სიისა აღმოსჩნდა.

ქმნილი ჩყმბ-სა წელსა იანვრის იე-სა დღესა.

წოდება ნივთთა და სამკაულთა სიისამებრ იღუმენის სიმეონისაგან მიღებულთა პოლიციის ჩინოვნიკისა თანა

მარჯვნივთ კერძო კანკელისა არიან დასვენებულნი ხატნი

1. ხატი ერთი გელათის ღუთისმშობლისა სიმაღლით ათსა, და სიფართოვით რვა გრედმდე ბუდესა შინა კარებიანსა, ხატი სრულიად აღსაესე არს წ-თა ნაწილებთა რომელნიცა ასვენნიან ბუდეთა შინა, ზევითი ფიცარი რომელიცა წარმოადგენს ხატსა, არს ოქროსი, ხოლო ძირის ფიცარი და ყდები არიან ვერცხლისა, ბუდე და კარები არის ვერცხლით შეჭედილი, რომელიცა არს მოოქროვილი გარდა ბუდის ქვეით ნაწილისა ბუდე არის სიმაღლით ორი ადლი, წინაშე მისსა არის მომცრო ვეცხლის კანდელი სამის სასანთლის ადგილით.

2. ხატი მაცხოვრისა სიმაღლით ორი ადლი, შეჭედილი გარემოით ვეცხლითა მოოქროვილი, გვირგვინში უსხედს სამი უბრალო ქვა.

3. ხატი ღუთისმშობლისა ყოველთა სნეულთა მკურნალისა, სიმაღლით ორი ადლი და სამი ჩარეჟი შეჭედილი გარემომო მოოქროვილი ვეცხლით, გვირგვინები ღუთისმშობლისა და ძირი ორს რიგად და შესამოსელი ერთს რიგად არის შემოვლებული წვრილის მარგალიტით, რომლისაგანაც მრავალი დასცვენია, გვირგვინს ქვეშ ღუთისმშობლისა შუბლზედ წითელი იაგუნდი არა მცირე სხვათა და სხვათა ადგილთა ზედა არის ცხრა არა ძვირფასი ქვა.

## მარცხენით კერძო კანკლისა

4. ხატი ხახულისა ლუთისმშობლისა დახატული ლუკა მახარებლისაგან ფიცარსა ზ-ა ბაგისასა, რომელსა შინა მწოლარე იყო პირველ საუკუნო ყრმა, სიმაღლით არის ათი და სივრცით რვა გრედმდე, ასვენია ბუდესა შ-ა კარებიანსა, სრულიად ხატის ბუდე და კარები არის შეჭედილი ოქროთი ფრიად მდიდრად შემკული სხუა და სხუა ადგილთა ზ-ა ძვირფასის დიდრონის მხვილითა და საშვალითა ხუთს ადგილსა ბუდისასა ასვენია წმინდათ ნაწილები რომელთა ზ-ა არს ოქროსი ვარდები, ბუდე სიმაღლით არს ორს ადღამდე, მას წინაშე არის ოთხკუთხიანი ოქროს ფიცარი სიმაღლით და სივრცით სამ გრე ნახევარი, მას ზ-ა არის გამოხატული ოთხი ხატი, მაცხოვრისა, ლუთისმშობლისა, ნათლისმცემელისა და მთავარანგელოსისა, რომელიცა არის შემკული სხუა და სხუა ძვირფასის ქვებითა და მარგარიტითა ხატსა ზედა არის დამოკიდებული ოქროს შარნა ორი დიდი და მცირე ცხრა, ექვსი ბეჭედი, სამი საყურე, ხატის წინაშე არის დამოკიდებული კანდელი ოქროსი, ექვსის არა დიდროვანის მოხრილის სანთლებითა, ზევით თავზე რგოლს ქვეშე უზის ერთი იაგუნდი მოწითლო ლურჯი და ერთი ზურმუხტი ოთხკუთხიანები, კიდევ მის წინაშე არის კანდელი არა დიდი ვეცხლისა.

5. ხატი აწყურისღვთისმშობლისა, კნინლა იმ სიდიდევე და კარებიანს ბუდეშივე რომელსაცა თავი აქუს მომრგვალებული ხატი არის შეჭედილი ოქროთი შემკული იაგუნდებით ზურმუხტებით და ფირუზებით ბუდე და კარები არის შეჭედილი მოოქროვილის ვეცხლით, ბუდის თავში უსხედს ფირუზები.

6. ხატი მაცხოვრისა, სიმაღლით ორს ადღამდე შეჭედილი ვეცხლითა, მოოქროვილი, გვირგვინში ხუთი ქვა უზის უბრალო მის წინაშე მდგომარეობს ხატი ღირსისა გერასიმესი ლომზედ მჯდომარესი, მრგვალს ვეცხლის ფიცარზედ, რომელიც იქმნება ხუთს გრედმდე.

7. ხატი ლუთისმშობლისა სიმაღლით ხუთს გრედმდე და სივ-

რცით ოთხს გრედმდე შეჭედილი ოქროთი, გვირგვინში უსხედს ექვსი არა დიდი იაგუნდი და შვიდი ფირუზი, უკანა მხარეზე და ყდებზედ არის შეჭედილი ვეცხლით.

8. ხატი ლეთისმშობლისა სიმაღლით ოთხს გრედზედ ცოტა მეტი და სივრცით სამი გრე, ვეცხლით შეჭედილი ზედა მხარე არს მოოქროვილი, უსხედს რაოდენიმე სხუა და სხუა ქვები და ერთი დიდი მარგალიტი.

9. ხატი ლეთისმშობლისა ამაზედ მცირე ეგრეთვე ვეცხლით შეჭედილი, გვირგვინში უსხედს სამი ქვა ვგონებ უბრალოები და ერთი არა დიდი მარგალიტი.

10. ხატი წმიდის გიორგის უნეზედ მჯდომარე სიმაღლით რვა და სივრცით ექვსი გრე, ვეცხლით შეჭედილი, რომელსაც უსხენან ადგილ-ადგილ ქვები ვგონებ არა ძვირფასი.

11. ხატი მაცხოვრისა სიმაღლით რვა გრედზედ ცოტად მეტი და სივრცით ექვსი გრე, ოქროთი შეჭედილი და დაძველებული.

12. ჯვარი დროშის მსგავსი ვეცხლისა მოოქროვილი რომელიცა წარისვენების წინაშე მღვდელმთავრისა ჟამსა ეპარხიის მიმოვლისასა, ხელსაჭერი აქუს ხისა სამ მუხლიანი ვეცხლით შეჭედილი.

13. ხომლი ჩამოსაშვები საშუალო ეკლესიისა, ცხრას მოხრისის სასანთლით ვეცხლისა.

14. კანკელს წინ არა დიდი ვეცხლის კანდელი, სამის სანთლის ადგილით.

15. სააიაზე თავისის თავსახურავით ვეცხლისა, არა დიდი რომელიცა კანკელისა წინაშე სდგას ნაკურთხის წყლით.

### საპურთხეველის შინა

16. მაღალსა ადგილს წინაშე ვეცხლის ხომლი, რვას მოხრისის სანთლებით.

17. ბარძიმი, ფეშხუმი, ვარსკვლავი და კოვზი საშუალოს სიდიდისა ოქროსი და მღვდლარების მცირე ჭურჭელი ოქროსივე, რომლისათვის პირზე ჩამოუჭრიათ და ორი მომცრო

თებში ვეცხლისა, რომელთა აქუსთ პირზე მოოჭვილი და მო-  
ოქროვილი.

18. ორი ბარძიმნი, ფეშხუმნი კამარა და კოვზი ერთი რუსუ-  
ლი და მეორე იმერული ოქროთი დაფერილი და მესამე ბარ-  
ძიმი ვეცხლისა და სასებისკვერე ჯამი.

19. ორი ჭურჭელი ანუ სურა საზედაზე სირმისა ვეცხლის  
ძირებით და მალლის ხელითა.

20. კიდევ ორი ჭურჭელი იმაზე უმცირესი ვეცხლისა ხელის  
მოსაკიდებით, რომელიცა ქონდა ყ-დ სამღვდელს და ვგონებ  
ერთი კიდევ დაკარგულ არს ქურდისაგან.

21. ორი ტაკუკი ვეცხლისა.

22. ორი ჯვარი ტრაბეზისა მოჭედილი და მოოქროვილი  
ვეცხლისა ტარებიანი.

23. სანაწილე ვეცხლისა საშუალო სიდიდისა მოოქროვილი.

24. სახარება ორი ეტრატისა გარეთ ყდები მოჭედილი ვე-  
ცხლით და დაფერილი ოქროთი.

25. ოთხი სერაბინ ქერაბიმი ვეცხლისა ხის ტარიანი.

26. ორი საცეცხლური და ერთი სასაკმეველე ვეცხლისანი.

27. ორი შანდალი ვეცხლისანი.

28. ჯვარის სასანთლეები ვეცხლისა მომცრო.

29. სამღვდელმთავრო მიტრა სულ ერთიან ნაკრი მარგარი-  
ტით წვრილით და საშუალოთი, რომელშიაც გარემემო უსხედს  
ხატი რვა მოგრძო და ზევით რვა ხატი მრგვალი იმაზედ  
მომცროები პქროს ფინიკტისა დიახ ბევრი სხუა დასხუა და  
მათ შორის მსხვილი ძვირფასი ქვები უსხედს და ორი აღმასი  
ერთი მაცხოვრის ხატს ზეით და მეორე ღუთისმშობლის ხატს  
ზეით და ოცდაოთხი წვრილი ოქროს სერაფიმები, მიტრა ესე  
ვგონებ იყოს ჩინებული ფასისა, მაგრამ არის შეკერილი კუნ-  
კულის მსგავსად.

30. სამღვდელმთავრო ჯოხი ხისა ბალადი და სადაფი შეწე-  
ბული თავი და ბუშტები აქვს ძელისა, რომელიც ყ-დ სამ-  
ღვდელს აქუს.

31. ბისონები ოთხი, და ომფორი ერთი, რომელიც დაურღვე-

ვია ნიკოლოზ არხიმანდრიტს, რომლისაგან გაუკეთებია ორი ფილონი და ორი სტიხარი ხოლო ამა ზემო აღწერილთა ბისონთა ქონებია თოთხმეტი ოქროს ღილი, ორი მარგალიტის ღილი და ექვსი ვეცხლისა და ფერილი, მესამე ბისონის ნაქონი ღილი თოთხმეტი ვეცხლისა დაფერილი.

32. საბუხრეები მარგალიტით ნაკერი შავს ხავერდზედ, დიად კარგები, რომელიც ყ-დ სამღვდელს აქუს.

33. სარტყელი ოქრომკედით და აბრეშუმით ნაკერი ბალთები აქუს ვერცხლისა მოოქროვილი, შუაზედ არის ხატი პეტრე მოციქულისა, ოქროს ფინიკდით, დიად ბევრი ქვები უსხედს რომელნიცა ზოგნი არიან ძვირფასი და ზოგნი უბრალოები, რომელიც ყ-დ სამღვდელს აქუს.

34. ომფორი დიდი ბადრიჯანის ფერისა ატლასის გახუნებული მას ზედა ჯვრები და სერაბიმები, არის ნაკერი წვრილის მარგალიტითა, რომელთა შორის ზოგს უსხედს ქვებიცა.

35. ოლარი ყვითლის და თეთრის ოქრომკედით ნაკერი ენქერი ყვითლით და თეთრით ოქრომკედით ნაკერი და აბრეშუმით.

37. მანტია მწვანის ჩიჩილაგისა ზევით ტერფებზედ აქუს ოქრომკედით ნაკერი ჯვრები ოთხი ვეცხლისა ღილი აკერია, რომელიც ყ-დ სამღვდელს აქუს.

ამ ზემო აღწერილს სიებს ბარდა ჩყ-ის ფლის შამდგომად შამატაგულნი და შაფირულნი ჭრისტიანეთა კაცთა მიერ ნიშთნი

1. ერთი ჯვარი დიდი კვიპროსისა ტრაპეზის, მოჭედილი ფრიად კარგის ხელოვნებითა და მოჭედილი ვეცხლითა, რომლისათვის დაურღვევია მამა არხიმანდრიტს ნიკოლოზს კანდელი და იმა ვეცხლითა მოუჭედია, რომელსაც აქუს შვიდი ოქროს ღილი დაჭრილის ბისონისა უსხედს მასვე ჯვარსა ოცდათორმეტი თვლები, რომელიმე მცირე და რომელიმე დიდი, იაგუნდისა ზურმუხტისა და ლალისა.

2. სახარება ეტრატზედ დაწერილი და ყოველს ფურცელში ყოველივე მოქმედება ოქროს ვარაყით დახატული ჩყკ-ში მო-

ჭედილ არს სრულიად ფიცრები, რომელსა ზ-ა არს ოცდახუთი თვეები, იაგუნდისა ზურმუხტისა და ფირუზისა და ერთი დიდის მარგალიტისა, ეკლესიის კუთვნილით თვეებითა და ვეცხლითა.

3. ორი ოქროს ბეჭედი, ერთი გელათის ღუთისმშობელს კი-დია და მეორე ხახულის ღუთისმშობლისა.

4. ერთი დიდი ოქროს ხახულისა ღუთისმშობელს კი-დია მარგარიტის ჯაჭვითა.

5. ორი სტოფის ფილონი დაძველებული შეწირული რუსისა მიერ.

6. ერთი კრეტსაბმელი სტოფისა.

7. ხის სანაწილე მოჭრილი და მოხატული, რომელსა შინა არის ნაწილნი მრავალნი.

8. გარდამოხსნა პატარა ტილოსი.

9. ერთი ქართული თვენი ჟაფნი.

10. ერთი წყვილი დაფარნები ფარჩისა.

11. ერთი სარტყელი შეკერილი ოქროსმკედითა, თავებში მოჭედილი ვეცხლით და მოოქროვილი და თვეებით შემკული და ერთი დიდი მარგარიტი ვეცხლის ჯაჭვით კი-დია.

12. ერთი ოქროს სანაწილე რომელშიდაც არის ქრისტეს სუდრის ნაჭერი და ნათლისმცემლის ჩოხის ძაფი და აქუს ვეცხლის ჯაჭვი.

13. ხატი გულსაკიდი წ-დის გიორგისა მრგვალს ბუდეში ვეცხლისაში მოოქროვილი და ვგონებ ნაწილები არის შიდ.

14. ერთი ჯვარი გამოყვანილი სრულიად ვეცხლისა, რომელსა შინა არს საეჭოდ ნაწილი.

15. დავით აღმაშენებლის საცერე ოქროსი, რომელსა ზედა არის წ-დის გიორგის სახე.

16. ვეცხლის კოლოფი მოოქროვილი, ხატებიანი, თვინიერ თავსახურავისა, რომელშიდაც არის მდებარე დამტვრეული ვეცხლის ჯვარი მოოქროვილი შუაში ჩასმული არის ბროლი და ერთი დიდი თვალი მტრედისფერი იაკინთისა და თხუთმეტი მოყვითალო ქვა ლალი, ამას გარდა არის ბევრი სხუა და

სსუა ქვეები და ვეცხლის ნაგლეჯები, ერთი ოქროს ღილი, ოთხი ოქროს ბეჭედი და ერთი მარგარიტის ღილი.

17. ერთი პატარა სანაწილე ვეცხლისა და ერთი ძველი პანალია ვეცხლისა ჯაჭვი აქუს ვეცხლისავე დაგლეჯილი.

18. ორი ძაბრი თოქმა ვეცხლისა თათრული ორი თუთბრის სასანთლე და ერთი ფადნოზი ორი იმერეული ქვაბი დიდროვანი და ორი პატროვანი ერთი პატარა საოდკე ქვაბი თავსახურავი, ორი ტაფა ერთი ტაშტი და ერთი თუნგი.

19. ერთი დიდი ძველი ქვაბი ყოფილა, რომლისაგან გარდაქმნილ არს, ორი დიდი ქვაბი ფსკერ ვაკე ორი მოდიდი კარსრუკა თავსახურიანი, ერთი სპილენძის ფლაგის საწური და ერთი დიდი ტაშტი.

20. ერთი ჯვარი ვეცხლისა რუსეთიდგან ჩამოტანილი ჯვარცმა ფინიკტზე დახატული შემოწირული ნიკო ბატონიშვილისაგან.

ამ ზემო აღწერილის სიისამებრ მივიბარე გაენათის არხიმანდრიტმა ეფთვიმემ.

ამ ზემო აღწერილის სიისამებრ მივიბარე ვანის ილუმენმა სიმეონმა.

21. ჩაწერილ არს მიღებულნი წარმოწერილობისათანა საქართველოს ექსარხოისის არხიეპისკოპოსის ევგენიოსის კათებერვლიდამ ჩყმზ წლისა №595 შემდეგ არის სახელსა ზ-ა გაენათის არხიმანდრიტის ეფთიმესა და იმერეთის საეპარხიო კანცელარიის სეკრეტარის ბესარიონ ლოლობერიძისა მდინარე და გარდასაფარებელი დანაშთენნი შ-დ გარდაცვალებისა სანკტუეტერბურლსა შ-ა ით მარტს ჩყმა წელს იმერეთის დედოფლის მარიამ კაციას ასულისა წარმოგზავნილნი დასაცველად გაენათის ღვთისმშობლის შობის მონასტერსა შ-ა უმაღლესის ნებით, რლ-ნიც არიან ოქრომკედის გლაზეთისანი და პლ-სა მათგანსა მანიასა აქვს გარემოვლებული ყარყუმის ბეწვი, ხოლო გარდასაფარებელს გარშემო ყარყუმისვე ბეწვი და ამათან ირგვლივ და შუაზედ ჯვრებათ დაფარებულნი ოქრომკე-



დის ბრუზმენტები და ოთხის კიდევბზედ დიდროვანის ოქრომ-  
კედის ფუნჯებით. გაენათის არხიმანდრიტი ეფთვიმი.  
ქ.ც.ს.ა. ფ.21, ს.1958, ფ.46-49

## აღწერა

ნივთთა საეკკლესიო სამკაულისა და შესამოსელისა იმერეთ-  
ში ყოფილი კატალიკოსთაგან შემოწმებითურთ იმა სიისა-  
მებრ რომლისამებრცა ილუმენს სიმეონს პოლიციის ჩინოვნი-  
კის თანდასწრებით მიუღია ჩვენებითა შესწავებაში ნაკლუ-  
ლევანებანი, რაიცა პირისპირ იმა სიისა აღმოსჩნდა. ქმნილი  
ჩემბ-სა წელსა იანვრის იე-სა დღეს.

ჯვარი ოქროსი დროშის მსგავსი წინ სატარებელი სამწყსო-  
ში მიმოსვლის დროს, რომელსაცა აქვს შუაზედ გამოსახული  
ჯვარცმა, და ბოლოებზედ მრგვალი ხატები, ზეითგან მაცხოვ-  
რისა მხრებზედ ლუთისმშობლისა და წინამორბედისა ქვემოთ  
ნიკოლოზ სასწაულთმოქმედისა, ჯვარცმის გარშემო არის  
მოვლებული ორმოცდათორმეტი მარგარიტი, რომელშიაც ურევია  
ორი საკმაოდ მოდიდო მარცვლები, და სხვები კი არიან საშუ-  
ალონი, ორი ლალი დიდროვანი, რომელთაგანიც ერთი ფრი-  
ად მდაბალი დარჩეს ცხრა იაგუნდი და თერთმეტი ფირუზი  
არა ძალიან დიდროვანები, ჯვარის ქვეშე ბუშტი ოქროსივე  
ზედ წარწერილი და ამ ბუშტის ქვეშ ოთხ კუთხად გაკეთებუ-  
ლი ყუთსავით ზევით ბუშტამდის ოთხ კუთხადვე მორგვალე-  
ბული ოქროსივე, რომელზედაც არის რვა გამობერელი ხატე-  
ბი, და ესე ყოველივე კუთხები მისი არის გარშემოვლებული  
მაეთულზედ ასხმულის საშუალის სიდიდის მექონის მარგა-  
ლიტებითა, რომელსაც რომელსამე ადგილებში აკლია და იმა-  
ზედ უსხედს ორმოცდაათი მსხვილი და წვრილი სხუა და სხუა  
ქვები რომელთა შინაც ურევია უბრალოებიცა, შუაზედ აქუს  
ლულა ვეცხლისა და ამ ოთხ კუთხიდამ არის დაწყებული  
ტარი ვეცხლის ლულითვე ხუთ მუხლიანი ხუთის ბუშტებითა,  
რომელიცა არის ასასხმელი ხეზედ და ესენი არიან ვეცხლის  
ოქროთი დაფერილი.

2. ბარძიმი ოქროსი სიმაღლით ნახევარი ადლი, რომელში-  
დაც ჯამის პირზედ ერთს რიგზედ და ხელსაჭერს ტარზედ  
ორს ადგილს აქვს შემოვლებული მავთულზედ ასხმული სა-  
შუალი მარგალიტი, ამა ყოველსავე ზედა არს ბუდეში ჩას-  
ხმული ლალები და ფირუზები წვლილი და მსხვილი და უმფრო  
მომატებით წვრილი, რომელიცა ინიშნავს წონით ორასოც-  
დაშიდსა და ნახევარსა დრამსა, ესე იგი ორასთერთმეტ მის-  
ხალსა.

3. ფეშხუმი ოქროსი წყლტე რომელიცა არის წონით ას  
ცხრამეტი დრამი, ესე იგი სამოცდაცხრამეტი და ნახევარი  
მისხალი.

4. კამარა ოქროსი თავზედ აქვს ჯვარი ოქროსავე, რომელ-  
საც უზის ორი ქვა წვრილები და თვით კამარაზედ ასხედს  
თორმეტი ქვა რომელთაგანიც ექვსი არის ფირუზი ძალიან  
მდაბლები, და ექვსი გავს, რომ უბრალო ქვები.

5. კოვზი ოქროსი, რომელისაც ხატი არის წვრილის ფირუ-  
ზებითა და ლალებითა მოოჭვილი, რაოდენიმე ბუდეები აქვს  
ცალიერი და ბოლოზედ აქვს ფირუზის ფინიკიტი.

6. სანაწილე ოქროსი გულზედ საკიდი, რომელშიაც აწყვი-  
ნაწილში წ-თა მოწამეთანი, და ნაწილაკი სამსჭულისა უფლისა,  
ზემოთ ფიცარზე არის გამოსახული ჯვარცმა წინამდგომარე-  
ბითურთ და ქუემოთ ზედ სამნი ანგელოსნი და ნათლისმცე-  
მელი, ყოველისავე მხრითგან არს მოოჭვილი სხუა და სხუითა  
არა ძალიან კარგის თვლებითა და საშუალოს სიდიდის მექო-  
ნის მარგარიტით აქუს ცარიელი ადგილები თორმეტი და  
აქუს ოქროს ჯაჭვი.

7. პანალია დიდი ვეცხლისა ოქროში ცვრეული, ფინიკტი  
ხატი უზის ქრისტეს აღდგომისა, გარეშემოვლებული ორს რიგ-  
ზედ მარგარიტითა, შიგნითი რიგი მომსხოთი და მეორე სა-  
შუალითა ამათგანში პირველში უზის ოთხი წვლილი ლალი  
ბუდეებში, მას ზედა არის გვირგვინი სამ გრგოლიანი, რო-  
მელთაცა უსხედს თითო დიდროანი მარგარიტი მოოჭვილი  
წვრილის მარგარიტებითა ამ გრგოლებს შუა ორი მარგარი-

ტი, საშუალო მაფთულზედ გაკეთებული და მათ ქუეშ ბუდეში ჩასმული ხუთი მარგარიტი, რომელშიაც არის ოთხი ლალი ბუდეებში საშუალებს გრგოლზედ აქუს ერთი ლალი ბუდეში ჩასმული და მას ზედა ჯვარი, ქუემოთ ჰკიდია სამი ბოლო, რომელსაც აქუს თვითოს სამ სამი მარგარიტი, ქუემოთი სამი მარცვალი საკმაოდ დიდროვანები, ამას არა აქუს ჯაჭვი.

8. პანალია პატარა ვეცხლისა ოქროთი დაფერილი მას ზედა ხატი ფინიკტისა წ-დის ნათლისმცემელისა ამას გარეშე ერთს რიგზედ აკლია მომსხო მარგარიტი ოცდაოთხი მარცვალი, ამათში არის ოთხი ლალი, მეორეს რიგზედ ავლლია ლალები არა დიდროვანები მსხდომარე ბუდეებში, ამას ზედა არის გვირგვინი პატარა ჯვართურთ, რომელსაც უსხედს ცამეტი წვლილი ქვა და ოცდამედი წვრილი მარგალიტი, ძირს ჰკიდია ორი მარგარიტი ერთი მოდიდო და მეორე საშუალო, ერთი დაკიდებული ბოლო აკლია, ამას აქუს ვეცხლის ჯაჭვი.

9. მიტრა ახალი წარმოგზავნილი რუსეთიდგან განსუენებულის კატალიკოზის მაქსიმესაგან, სრულებით ესე მიტრა მოოჭვილი არს სხუა და სხუა ზომის მექონი მარგარიტებითა, ამას ზედა არის ჯვარი შედგენილი თექვსმეტის ბრილიანტისაგან, რომელიცა არის მჭვირულად ჩასხმული, ჯვარის ქუემ არის დიდი ქვა სვილანი შავ-წითლის ფერისა, როგორც ეს ეგრეთვე ოთხი ფინიკტის ხატი არა ძალიან დიდროანი, რომელიცა სხედს ამა მიტრაზედ გარშემოვლებულ არიან საკმაოდ მომსხოს მარგარიტითა, მასზედვე უსხედს წითელი სხუა და სხუა ზომისა თლილი იაგუნდი ვეცხლის ოქროთ დაფერილს ბუდეებში ას სამოცდათორმეტი, და სახელდობრ გადაჯვარიდინებულზედ ოცდარვა ამის კუთხეებში, ოთხი ოთხის ხატის გარეშემო ოცდათორმეტი, ხატებს ქუემ მიტრის გარშემო ექვსი გვირგვინი შედგენილი იაგუნდის და მარგარიტისგან რომელიცა უსხედს ბუდეებში ყოველსავე ამა გვირგვინებში სხედს ორმოცდათორმეტი იაგუნდი და გვირგვინებს ქუემ ექვსი ნაპირზედ ორ რიგად შემოვლებულს მარგარიტს შუა უსხედს სიმრგვლივ იაგუნდები რიცხვით ორმოცდარვა, ხოლო

სრულებით იაგუნდი არის ასსამოცდათორმეტი გვირგვინებში აკლია სამი მარგარიტი.

მიტრა ნაკერი სხუა დასხუა გვარის მარგარიტითა წითელს ხავერდზედ წარმოგზავნილი ეგრეთვე რუსეთიდან მისვე განსვენებულის კატალიკოზისაგან ჯვარი რომელიცა ჰქონია თავზედ დაკარგულა, როდესაც მოუტაცნია იგი გზაზედ ოსებს, რომელთაც რომელსამე ადგილებში მარგარიტები მოურღვევიათ, იმ მიტრაზედ არის ყვითელი იაგუნდი და დაჟღერილი მოდიდო, რომელშიაც მჯდარა ჯვარი, ეგრეთვე ოთხი ფინიკტის ხატი. ვეცხლისა ოქროთი დაფერილს ბუდეებში მსხდომარე და ოთხი სერაფიმი. უბუდოდ ამა ხატებს შუა ოთხი და ნაპირზედ მარგარიტით ნაკერს შარავანდედებს ქუეშე ოცდაექვსი მწვანე ქვა ვეცხლის ოქროთ დაფერილს ბუდეში.

11. მიტრა ძველი გვირგვინის მსგავსი ექვსის დიდროვანის ნაპირებიდან დაწყებულის შარავანდედებითა რომელნიც არიან ნაკერნი სახედ ოქრომკედითა და აბრეშუმითა, სხუა და სხუა ადგილებში ტანისამოსები ნაკერი არის წვრილის მარგარიტითა, რომლის ნაკერთაც თვით იგი მიტრა არის შედგენილი, რომელიც როგორც ესე ეგრეთვე შარავანდედები მრავალს ადგილებში მოოჭვილი არის სხუადასხუა გვართა ქვებითა ოქროს ბუდეებში, და უსხედს ეგრეთ არა მცირედ საშუალი მარგარიტები, ამ შარავანდედებს უკანიდამ აკრავს გათხელებული ოქროს თუნუქა, ამ მიტრაზედ არის ერთი და შარავანდედებზედ ექვსი მომცრო ჯვარები ოქროსი წვრილის ქვებით მოოჭვილი, ოთხსავე მათს კუთხეზედ ასმულია ვეცხლის მათთულზედ სხუა და სხუა ქვები, და რომელსამე ზედა მარგარიტებიცა.

12. ჯვარი რომელიცა აკერია შავს ბარტყულაზედ, არის შედგენილი სხუა და სხუა გვარის თორმეტის მოდიდროვანის და საშუალოს ოქროს ბუდეებში მსხდომარის ქვებისაგან, რომელთაგანიცა არის ერთი ლურჯი და ოთხი წითელი იაგუნდი, ხუთი ფირუზი და ორი ლალი, ესე ჯვარი არის მოოჭვილი საშუალის მარგარიტითა, და შესაფერს ადგილებში უსხედს თუთხმეტი მარცვალი ძალიან მომსხო მარგარიტი.

13. ორი სერაბიმი დაკერებულები ბარტყულის ყურებზედ, რომელთაცა პირის სახეები არის მოოჭვილები ძალიან წვრილის მარგარიტით, და იმაში სამ სამი წვრილ წვრილი ქვები, რომელიც სხედს ბუდეებში და ფრთებიც აქუსთ ნაკერი საშუალის მარგარიტითავე.

14. კვალად ორი სერაბიმი ახლები, მომცროები ზემო ხსენებულებზედ რომელთაცა პირის სახეები არის დახატული და ფრთები კი ნაკერი წვრილის მარგალიტითა.

15. ოლარი ნაკერი შავს ატლასზედ კილიტებითა, რომელსაც არშიეები, ექვსი ჯვარი და ექვსი სერაბიმა არის ნაკერი საშუალოს და წვრილის მარგარიტითა, ქუემოთ ფუნჯებზედ ოცდათორმეტი გრგოლი არა დიდროვანები, რომელნიც არიან ასხმულნი დიად წვრილის მარგალიტითა.

16. სარტყელი ნაკერი არა ძალიან წვრილით და საკმაოდ კარგის მარგალიტით, რომელსაც შესაკრავი ბალთები არის ოქროსი და აქუს ოქროსივე ჯაჭვი და შესაკრავი ჩხირი, გარეშემო ერთს ბალთსა აქუს მოვლებული ოქროს მავთულზედ ას სამოცდათვრამეტი და მეორეზე ოთხმოცდაშვიდი მარცვალი საკმაოდ მომსხო მარგარიტი.

ერთი წყვილი საბუხრეები ნაკერი შავს ატლასზე, არა ძალიან წვრილის მარგარიტით, ამათზედ სხედს რვა წვრილი ფირუზი ბუდეებში აკერია ორმოცი წვრილი გრგოლი ოქროსი და ორი ნევისი ოქროსივე.

18. ენქერი ნაკერი მარგარიტით, ნაპირებზედ და საჩენს ადგილებზედ საშუალოს მარგარიტითა, რომელზედაც არის დაკერებული უბუდოდ ოცდაორი წვრილი ლალი, ერთი ლალი და ოთხი წვრილი ფირუზი კი სხედს ბუდეებში, კუთხეებზედ აბია სამი ფუნჯი წვრილის მარგარიტის, რომლისაგანაცა გვერდებისას აქუს თორმეტთორმეტი და ბოლოს ცხრა ძაფი მარგარიტისა, და ზევით კუთხესა აქუს ოქროს წვრილის ფირუზებით მოოჭვილი ლილი.

19. ომფორი დიდი, ნაკერი ოქრომკედით ათნაკეცი და მოოჭვილი ოქრომკედის ნაკერზედ წვრილისა და საშუალისა

მარგარიტით, და საჩინო ადგილებში კი მომსხოთი, ბოლოებზედ აბრეშუმის ფუნჯებზედ, აქუს ორმოცდაექვსი გრგოლი თვით წვრილის მარგალიტით ასხმული, ეგრეთვე აკერია ამ ომფორს სამი ოქროს ღილი.

20. ბისონი მწვანეს ხავერდზედ ოქროს მკედით ნაკერი სახეების გამოსახულებით, რომელსაცა აქუს სამხრე ნაკერი ტილოზედ, ოქრომკედი თავის წითელს აბრეშუმთან შერეულითა, მას ზედა ასხედს ათი ოქროს ღილი, ორი სპილენძისა ოქროში ცვრეული და ორიც ვეცხლისა.

21. სტიხარი ძველი ყიზილბაშის ფარჩისა (ღიბის) რომელსაცა აქუს ქუემოთ გარეშემო ნაკერი იისფერის ატლასზე ოქრომკედით და შურდახილები გარდა რომელთამე აქუს ნაკერი წვრილის მარგარიტით, რომელზედაც აკერია უბრალო ქვები და სხედს ვეცხლისა ოქროსა და სპილენძისა ბუდეებში.

22. ქოშები წირვაზედ სახმარებელი მოოჭვილი ოქრომკედით ნაკერზედ წვრილის მარგარიტით, რომელნიც არიან ვეცხლის ნალებით დაჭედილები.

23. ორიანი და სამიანი ჯვარის სასანთლეები ვეცხლისა.

24. ლამპარი ვეცხლისა მღვდელმთავრის წირვაზედ სახმარებელი, რომელსაცა აქუს ძირი ოთკუთხი, წონით არის ხუთი გირვანქა და ოცი მისხალი.

25. ხელსაბანი ალთაფა ვეცხლისა ნაკვეთიანი, რომელზედაც სწერია სახელი განსვენებულის კატალიკოზის მაქსიმესი, არის წონით ორი გირვანქა ოთხმოცდაშვიდი მისხალი და ოცდაშვიდი დანგი.

26. ხელსაბანი ტაშტი ნაკვეთიანი, რომელიც არის წონით სამი გირვანქა ოთხმოცდათოხმეტი მისხალი და ოცდაშვიდი დანგი.

27. დიდი შესამოსელის დასაწყობი ვეცხლის სინი ნაკვეთიანი, რომელიც არის წონით ოთხი გირვანქა და ოცდაცხრა მისხალი.

28. ათი ვეცხლისა ოქროთი დაფერილი არა დიდროვანი ბუშტები, როგორც სჩანს ყოფილა ფუნჯებზედ გასაყრელი, და თორმეტი ღილი ვეცხლისა არა დიდროვანები.

## ახლად აღმოჩენილი ნივთები

1. ალთაფა ვეცხლისა წონით გირვანქა ნახევარი.
2. სამღვდელმთავრო საბეჭური, სირმა ყვითელის ოქრომკედით ნაკერი ყვითელ ფარჩაზედ.
3. ღილები ვეცხლისა სამი და ფანჯრული არა მცირის ტანისა.
4. საკათალიკოზო კვერთხი შავის ხისა შუა შუაზედ ძულები სპილოსი, და თავზე უცხო ძელით არწივით გამოყვანილი.  
ამ ზემო აღწერილის სიისამებრ მივიბარე გაენათის არხიმანდრიტმა ევფთიმემ.  
ამ ზემო აღწერილის სიისამებრ მივიბარე ვანის ილუმენმა სიმეონმა.

ქ.ც.ს.ა. ფ.21, ს.1958, ფ.42-49

## ბელათს

აქ მუდამ უფლის დიდება იყო,  
აქ მუდამ სული აღმაფრენას გრძნობს,  
მას შემდეგ, როცა ღმერთი ვიწამეთ  
და ვეზიარეთ ჩვენ უკვდავებას.

აქ გადიქროლა ყრუ მურვანის ბრბომ...  
აქ მიდიოდა თურქი და ლეკი...  
მაგრამ გელათი კვლავ შეუდრეკლად  
იღვა ივერთა სულის საეანედ.

აქ აღავლენდა ლოცვას დავითი,  
აქ სინანულით ვედრებდა უფალს,  
მან დაამკვიდრა „იერუსალიმ“,  
და „სხვა ათინა“ შეუქმნა ქართველთ!

აქ დამიანემ ილოცა ტკბილად  
და იგალობა „შენ ხარ ვენახი“,  
მან აღასრულა მამის ანდერძი,  
და მოხსნა კარი განძისა მტკიცე.

აქ მოიდრეკდა მუხლსა თამარი,  
აქ შეავედრა ივერნი უფალს.  
წმიდა ეკვდერში ილოცებოდა  
და ყელსაბამი შესწირა ხახულს...

აქ ბევრს იღწვოდნენ მამანი წმიდა  
აქ ქმნიდნენ ძვირფას თვალ-მარგალიტებს  
მათნი სახელნი უკვდავი გახდა  
არსენი წმიდა და იოანე.



აქ მოდრეკილა მრავალთა ქედი,  
აქ დადენილა მრავალი ცრემლი,  
აქ წმიდა ლამაზ ნავთასყუდელში  
განისვენებენ წმიდა მეფენი.

აქ დედა ღვთისას მადლი იგრძნობა,  
აქ მრავალ ბერთა მადლი ტრიალებს,  
ქართველო კაცო, შენ ალბათ იცი,  
გელათში დიდი მადლია ისევ!

ლ. ტყეშელაშვილი

Гелатский монастырский комплекс является золотой частью блестящей истории грузинского института монашества. Монашеская жизнь в Гелати началась гораздо раньше, чем святой царь Давид Строитель завершил один из величайших и избранных научно-познавательных центров христианского мира.

Этот факт подтверждается книгой пожертвований за 1527 год имеретинского царя Баграта - III на имя некоего Панчулидзе. Во время нашествия Мурвана-Кру в 735 году, в Гелати существовала цековь в честь Архангела, которую до основания разрушил жестокий завоеватель.

Из жизнеописания святых великомучеников Давида и Константина узнаём, что в долине реки Цхалцитела, на вершине скалы существовал укрепленный город с многочисленным населением. Там была церковь во имя Благовещения Пресвятой Богородицы. Этот город-крепость с церковью разрушил до основания Мурван-Кру.

Известный учёный Г. Церетели отмечал, что ещё в VII веке святой царь Арчил обратил внимание на местоположение Гелати. На рукописи, хранимой в Гелати дописано следующее: "Вечная память царю Баграту, построившему эту свягую Гелатскую уединённую обитель". Как считает Т. Жордания, тут упомянутый Баграт - есть царь единой Грузии - Баграт III. Т. Жордания считал, что именно царь Баграт III воздвиг в Гелати церковь во имя святого великомученика Гиоргия Победоносца "в знак благодарности Богу за победу, которую дал ему в 1056 году над великим воеводой Липаритом". По его мнению там должны быть захоронены цари Гиорги II и Баграт IV. Эту мысль подтверждает армянский историк Вардан: "Вардан скажет, что в Гелати захоронены предки Давида". Именно в знак великого почтения своих предков, святой царь Давид в Гелати начал строительство нового большого храма, который в последствии стал усыпальницей грузинских царей.

Церкви и монастыри в Гелати до деятельности святого царя Давида-Строителя:

1. Церковь во имя святого Саввы Освященного;
2. Церковь во имя святого Ильи Пророка;
3. Церковь во имя святой равноапостольской Нины, просветительницы

Грузии;

4. Сохастерская церковь во имя Спасителя;
5. Берис цихе (крепость монаха);
6. Неизвестная церковь в Лагисеули;

7. Дохора;

8. Церковь в честь Архангела;

9. Неизвестная церковь на вершине Гелати.

